საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ანა კუპრავა-გოგოლაძე

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია საქართველოში 1953-1958 წლებში

სადოქტორო- საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ვახტანგ გურული,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2022

სარჩევი

ანოტაცია (ქართულ ენაზე) 3

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე) 5

შესავალი 6

თავი I. პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის
გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის მარტი-ივნისი) 11

§1. ლავრენტი ბერიას მოღვაწეობა იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ 11

§2. ლავრენტი ბერიას პარტიულ და საბჭოთა ხელისუფლებიდან ჩამოცილება 21

თავი II. რეაბილიტაციის დასაწყისი 29

§1. ხელისუფლების ინიციატივა კანონიერების აღდგენისათვის. 29

§2. რეაბილიტაციის პროცესის ახალი ეტაპი 34

§3. კონტრრევოლუციურ დანაშაულისათვის გასამართლებული პირების
საქმეების გადახედვის კომისიის შექმნა 44

თავი III. კონტრრევოლუციურ დანაშაულისთვის გასამართლებული პირების
საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობა 48

თავი IV. XX საუკუნის 50-იანი წლების სასამართლო პროცესები:
თბილისის სასამართლო პროცესი 197

დასკვნა 204

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა 215

დანართი 1 220

დანართი 2. 224

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია XX საუკუნის 50-იან წლებში მთელს საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში დაწყებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი, რომელსაც ხელისუფლების განცხადებით უნდა აღედგინა „სოციალისტური კანონიერება“. ჩვენ მიერ გამოყენებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის და უახლესი ისტორიის რუსეთის სახელმწიფო არქივებში დაცული მასალების გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებლობა მოგვეცა განგვესაზღვრა რეაბილიტაციის პროცესის დაწყების მიზეზები, განხორციელების მექანიზმები და შედეგები. ამასთან დაგვედგინა, თუ რამდენად იყო ამ პროცესში გამოხატული მმართველი ელიტის პოლიტიკური ნება და რა მიზნები ჰქონდათ სინამდვილეში. იყო თუ არა მოქალაქეთა თავისუფლება და საკონსტიტუციო უფლებები დაცული. როგორი იყო სამართლებრივი სტატუსის და უფლებების აღდგენის პრაქტიკა. რა საკანონმდებლო ბაზას ეყრდნობოდა აღნიშნული პროცესი და რომელი რეპრესიული ზომების გაუქმებას ეხებოდა.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიღებული არაერთი სარეაბილიტაციო აქტისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ათასობით ადამიანი ჯერ კიდევ ითვლებოდა კანონიერად რეპრესირებულად. მოქალაქეთა დაუსაბუთებელი გასამართლების გამოვლენისა და მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა სპეციალური კომისიების შექმნა, რომლებსაც უნდა გადაეხედათ იმ პირთა სისხლის სამართლის საქმეებისთვის, რომლებიც გასამართლდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის ყველა სასამართლო და არასასამართლო ორგანოების მიერ და იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპყრობილეებში, ბანაკებსა და კოლონიებში და ასევე იმ პირთა საქმეებისთვისაც, რომლებიც სასჯელის მოხდის შემდეგაც იმყოფებოდნენ გადასახლებაში.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის №8 ფონდში დაცულია მასალები, რომლებიც ეხება კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადა-

ხედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობას 1954-1955 წლებში. როგორც დადგინდა, კომისიის მუშაობა მიზნად არ ისახავდა მსჯავრდებულთა სრულ რეაბილიტაციას, ამინისტიას ან შეწყალებას. მისი მიზანი იყო, დაედგინა საბჭოთა კავშირში მოქმედი სასამართლო და არასასამართლო ორგანოების მიერ პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით რეპრესირებულთა მიმართ გამოტანილი განაჩენის მართებულობა. რესპუბლიკური კომისიის მუშაობა, ისევე როგორც მთლიანად რეაბილიტაციის პროცესი, ატარებდა შეზღუდულ და არათანმიმდევრულ ხასიათს და მას პოლიტიკური პროცესების მიღმა ვერ განვიხილავთ. რეაბილიტაციის პროცესი იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. მოხდა უდანაშაულო მსხვერპლთა სახელის აღდგენა და ბანაკებიდან, ციხეებიდან და გადასახლებიდან ათასობით ადამიანის გათავისუფლება,განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები,მოიხსნა სამართლებრივი შეზღუდვები და გაუქმდა რეპრესიული კანონები, მოქალაქეებს დაუბრუნდათ კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონება და დაისაჯნენ დამნაშავეები. მიუხედავად ამისა, მხილებული იქნა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც იმ პერიოდში აძლევდა ხელს ხელისუფლებას. მმართველი ელიტა გაურბოდა ყველა მთავარ და მტკივნეულ საკითხს- პირად პასუხისმგებლობას.

Annotation

Based on the study of archival materials, the dissertation presents the process of rehabilitation of victims of political repression throughout the Soviet Union in the 1950s, including in Georgia, which, according to the authorities, was intended to restore "socialist legitimacy." Based on the information and analysis of the materials used by the Ministry of Internal Affairs of Georgia, the President of the Russian Federation, and the recent history of the Russian State Archives, we were able to determine the reasons for the start of the rehabilitation process, the mechanisms, and the results. At the same time, we learned how much the ruling elite was expressing their political will during this process, and what their real goals were, including whether the liberties of citizens and constitutional rights were protected. What was the procedure for restoring legal status and rights. What was the legal basis of the process. Which repressive measures were repealed.

Despite numerous rehabilitation acts and legislative changes passed after the death of Joseph Stalin, thousands of people were still considered legally repressed. In order to detect unfounded trials of citizens and their further rehabilitation, it was considered expedient to set up special commissions to review the criminal cases of persons convicted of all counter-revolutionary crimes by judicial and non-judicial bodies and were present in the prisons, camps, and colonies of the Ministry of the Interior of the Soviet Union, as well as for the cases of persons who were in exile after serving their sentences.

The Archive #8 of the Ministry of Internal Affairs of Georgia preserves materials related to the work of the Republican Commission for the Review of Cases of Persons Convicted of Counter-Revolutionary Crimes in 1954-1955. As it turned out, the work of the commission was not aimed at the complete rehabilitation, amnesty, or pardon of the accused. Its purpose was to establish the validity of the sentences against those who had been repressed by the judiciary and extrajudicial bodies operating in the Soviet Union for political or other motives. The work of the Republican Commission, as well as the process of complete rehabilitation, was limited and inconsistent, and we can not discuss it beyond the political process.

The process of rehabilitation was one of the methods used in the struggle for power. The names of innocent victims were restored and thousands of people were released from camps, prisons and deportations, legislative changes were made, legal restrictions were lifted and repressive laws were repealed, citizens were returned to confiscated property and criminals were punished.

Nevertheless, only those criminal acts were exposed, that the government wanted at the time. The ruling elite avoided all the major and painful issues - personal responsibility.

შესავალი

იურიდიული ლექსიკონის თანახმად, რეაბილიტაცია გულისხმობს უსამართლოდ მსჯავრდებულის გასამართლებულის ან ჩირქმოცხებული პირის კეთილი სახელის, რეპუტაციის აღდგენას, საქმის გადახედვისას გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დანაშაულის ჩადენის ფაქტის არარსებობის, დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის ან დანაშაულში მონაწილეობის დაუდასტურებლობის შემთხვევაში. ასევე დადგენილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ. (თეზელიშვილი 2008: 443) როგორც ვხედავთ, საქმე ეხება იმ აქტის გაუქმებას, რომელსაც თან სდევდა რეპრესიული ზომების გატარება. საბჭოთა რუსეთში დაწყებულმა, მოგვიანებით კი მთელ საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა რეპრესიებმა უპრეცედენტო მასშტაბებს იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში, ორი წლის (1936 წლის იანვრიდან 1938 წლის ნოემბრამდე) განმავლობაში მიაღწია. რეპრესიები საბჭოთა მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო, პოლიტბიუროს ხელმძღვანელობიდან დაწყებული, რიგითი მოქა-ლაქეებით დამთავრებული, რომლებსაც ქუჩაში აპატიმრებდნენ, რათა „დასასჯელი კონტრრევოლუციური ელემენტების“ კვოტა შეევსოთ. დიდი ტერორის ტრაგედია ათწლეულების განმავლობაში იყო მიჩუმათებული. XX საუკუნის 50-იან წლებში, პოსტსტალინისტურ პერიოდში, საბჭოთა კავშირში დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, რომელსაც, როგორ მაშინ უწოდებდნენ, უნდა აღედგინა „სოციალისტური კანონიერება“. არაერთი სარეაბილიტაციო აქტისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენების შემდეგ გახდა შესაძლებელი ცხადი გამხდა-რიყო „1936-1938 წლებში პარტიის ხელმძღვანელებისა და პარტიული მუშაკების წინააღმდეგ ჩადენილი სოციალისტური კანონიერების დარღვევის მრავალრიცხოვანი ქმედებები“. მომდევნო წლებში მოხდა რეპრესირებულთა გარკვეული რაოდენობის, კერძოდ, სამხედროების რეაბილიტაცია. თუმცა არაფერი თქმულა „ჩვეულებრივ“ მსხვერპლთა შესახებ. 1961 წლის ოქტომბერში სკკპ-ის XXII ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა საჯაროდ აღიარა, რომ „მასობრივი რეპრესიები შეეხო უბრალო და პატიოსან

საბჭოთა მოქალაქეებს“, მაგრამ მას არაფერი უთქვამს ამ რეპრესიების მასშტაბებზე, რომლებზე პასუხისმგებელი, მისი თაობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, თავადაც იყო.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა: პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ტოტალიტარიზმის არსში წვდომასთან და მისი მანკიერი მემკვიდრეობისგან საზოგადოების გათავისუფლების საკითხთან. სხვა შემთხვევაში, არც ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა არ არის დაცული წარსულის რეციდივებისგან.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი: საარქივო მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განვსაზღვროთ რეაბილიტაციის პროცესის დაწყების მიზეზები, განხორციელების მექანიზმები, დინამიკა და შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: XX საუკუნის 50-იან წლებში განვითრებული რეაბილიტაციის პროცესი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: I. 1953 წლის მარტიდან 1953 წლის ივნისამდე ანუ იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან ლავრენტი ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილებამდე; II. 1953 წლის ივნისიდან 1956 წლის თებერვლამდე ანუ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამდე; III. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა, რასაც აფერხებდა საარქივო მასალებთან წვდომის პრობლემა. ჩვენ მიერ პირველად იქნა დამუშავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის №8 ფონდში დაცული მასალები, რომლებიც ეხება კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობას 1954-1955 წლებში. საარქივო მასალებში დაცული, კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების პერსონალური საგამოძიებო საქმეების გაცნობის, ანალიზისა და შედარების საფუძველზე დავადგინეთ, რომ

ა. კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქ-მეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ 1954-1955 წლებში გადახედა და გადა-წყვეტილება გამოიტანა, 1343 პირის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

ბ. კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების

საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ გადახედა 1937-1953 წლებში სასამართლო და არასასამართლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობას.

გ. კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დადებითი, უარყოფითი ან დასკვნა დანაშაულის გადაკვალიფიცირების და სასჯელის ვადის შემცირების შესახებ.

დ. კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მიერ მიღებულ დასკვნებს არასასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი განაჩენის შემთხვევაში ისევ განიხილავდა ცენტრალური კომისია (გარდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა), ხოლო დასკვნებს სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი განაჩენის შემთხვევაში, განიხილავდა შესაბამისი სასამართლო ორგანო. ანუ ხშირად ხდებოდა ერთი და იგივე საქმის ორჯერ გადახედვა, რაც აფერხებდა რეაბილიტაციის პროცესს.

ვფიქრობთ, აღნიშნული კვლევა საინტერესო იქნება უახლესი ისტორიის ამ რთული პერიოდის შესწავლისათვის.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა (წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა): სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის №8 ფონდში დაცული, კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეთა გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობის ამსახველი 23 ოქმის მასალები, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კრებულში ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: II ტომი. დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში. შემდგენლები იუნგე. მ. თუშურაშვილი.ო. ბონვეჩი. ბ. თბილისი, 2015. ასევე, სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონული მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში – HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS. – 2013. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=696. სადაც 3600 ზე მეტი 1937-38 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციაა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის და უახლესი ისტორიის რუსეთის სახელმწიფო

არქივების მასალები, რომლებიც თავმოყრილია კრებულებში: Реабилитация: как это было. Документы Президиума ЦК КПСС и другие материалы. Март 1953 – февраль 1956. Москва, 2000 და Реабилитация: как это было. Документы Президиума ЦК КПСС и другие материалы. февраль 1956 начало 80-х годов. Москва, 2000; Лаврентий Берия 1953. Документы. Международный фонд „демократия". Москва, 1999. ასევე პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების მოგონებები, იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა.

რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული პირველი სისტემური გამოკვლევა XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში მოგვცა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯონ შაპირომ (**Shapiro J.** Rehabilitation Policy and Politikal Conflicts in the Soviet Union 1953-1964. New York, 1967). მან შეისწავლა XX საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამოქალაქო რეაბილიტაციის პროცესი, რისთვისაც ჩაატარა რაოდენობრივი ანალიზი რეპრესირებულთა სახელების მოხსენიების შესახებ XX და XXII ყრილობების ოქმებში, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში და საბჭოთა ბეჭდურ საშუალებებში. მკვლევარისათვის დესტალინიზაციის მაჩვენებელი იყო ტაბუდადებული პირების მოხსენიება.

ლევიცკი, აშშ-ში ემიგრირებული საბჭოთა პუბლიცისტი, აანალიზებდა რა ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლას სკკპ-ის XX ყრილობაზე, სკეპტიკურად აფასებდა სტალინის სიკვდილის შემდეგ დაწყებულ დესტალინიზაციის პროცესს. ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რეაბილიტაციის პროცესი – ეს იყო სკკპ-ის მორიგი აქტი, რომელიც მთლიანად ჯდებოდა სტალინიზმის ტრადიციებში (**Levitsky B.** The Stalinist Terror in the Thirties. Dokumentation from the Soviet Press. Stanford, Cal.1974).

ძმები როი და ჟორეს მედვედევები პოზიტიურად აფასებდნენ ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკას, მიმართულს „პიროვნების კულტის" წინააღმდეგ და კონსტრუქციულად მიიჩნევდნენ მას (**Medvedev R. Medvedev Zh.** Khrushchev.The Years in Power. New York, 1976). დისიდენტი ანტონოვ ოვსეენკო, რომელმაც რამდენიმე წელი გაატარა ბანაკებში, როგორც „ხალხის მტრის" შვილმა, რეაბილიტაციის პროცესს მიიჩნევდა არასაკმარისად და არათანმიმდევრულად (**Antonov-Ovseenko A.** The Time of Stalin. Portrait of a Tyranny. New York, 1981).

რეაბილიტაციის პროცესის არსებითი გამოკვლევა 1986 წელს ჩაატარა ისტო-

რიკოსმა ვან გუდეევერმა. მან გამოყო რეაბილიტაციის სამი ფორმა:

ა) ფორმალური რეაბილიტაცია – პოლიტიკური, სოციალური და მატერიალური ასპექტების გამოყენებით;

ბ) სამოქალაქო რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს პირის მოხსენიებას პრესაში, ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში;

გ) სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაცია, რომელიც ეხება ბანაკებსა და ციხეებში დაღუპულ ადამიანებს (**Goudoever V.** The Limits of Destalinisation in the Soviet Union since Stalin. London, 1989).

თავი I. პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის მარტი - ივნისი)

§1. ლავრენტი ბერიას მოღვაწეობა იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ

1953 წლის რამდენიმე თვემ, იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან ლავრენტი ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილებამდე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარება ათწლეულების მანძილზე.

1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საღამოს სასწრაფოდ მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს სახელითა და დავალებით განიხილეს საკითხი „პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ღონისძიებების შესახებ“ (**Лаврентий 1999:6**). სხდომაზე პირველი სიტყვა ითხოვა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ლავრენტი ბერიამ. მან საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელა თავისი, როგორც ის თვლიდა „უერთგულესი მეგობარი“ გიორგი მალენკოვი და არა ვიაჩესლავ მოლოტოვი, რომელსაც ათი წელი ჰქონდა ნამუშევარი ამ პოსტზე. ენვერ ხოჯა თავის მოგონებებში იხსენებს: „ჩვენც და სხვებსაც გვეგონა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩევდნენ ვიაჩესლავ მოლოტოვს, იოსებ სტალინის უახლოესს თანამებრძოლს, ყველაზე ძველ, მოწიფულ, საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ ყველაზე ცნობილ ბოლშევიკს. თუმცა ასე არ მოხდა. სათავეში გიორგი მალენკოვი მოვიდა, რომელსაც მოსდევდა ლავრენტი ბერია. იმ დღეებში შორიახლოს, ჩრდილში იდგა „ჯიქი“, რომელიც ამ ორთავეს ჩასაყლაპად და სალიკვიდაციოდ ემზადებოდა. ეს იყო ნიკიტა ხრუშჩოვი“ (**ენვერ ხოჯა 2011:18**).

გ. მალენკოვის არჩევას პრეზიდიუმის სხვა წევრებმაც დაუჭირეს მხარი. თავის მხრივ გ. მალენკოვმა რიგით პირველ მოადგილედ დაასახელა ლ. ბერია. მინისტრთა საბჭოს კიდევ სამ მოადგილედ აირჩიეს: ვიაჩესლავ მოლოტოვი, ნიკოლაი ბულგანინი

და ლაზარ კაგანოვიჩი. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სათავეში ჩაუდგა ნიკიტა ხრუშჩოვი (პირველი მდივანი იმავე წლის სექტემბერში გახდება). კლიმენტ ვოროშილოვი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ნიკოლოზ შვერნიკის ნაცვლად. მაშინ ლავრენტი ბერიას ნიკოლოზ შვერნიკზე უთქვამს, რომ მას ქვეყანაში არავინ იცნობდა. კლიმენტ ვოროშილოვი კი სჭირდებოდა იმისთვის,რომ მას ბრძანებებით გაეფორმებინა ის, რაც სურდა ლავრენტი ბერიას (**Максимович 1991:146**).

იმავე გაერთიანებულ სხდომაზე დაადგინეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო აღარ იარსებებდა და მის ნაცვლად იქნებოდა მხოლოდ პრეზიდიუმი,რომელშიც შევიდოდა თერთმეტი კაცი. ფაქტობრივად აღდგა 1952 წლის ოქტომბრამდე (სკკპ-ის XIX ყრილობამდე) არსებული პოლიტბიურო.

სხდომის შემდეგ, როცა გიორგი მალენკოვმა გამოსვლა დაასრულა, ბრძანა რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ დაავალა გ. მალენკოვს, ლ. ბერიას და ნ. ხრუშჩოვს, მოეწესრიგებინათ სტალინის დოკუმენტები და საქაღალდეები, როგორც მოქმედი, ასევე საარქივო. ფაქტობრივად დასახელდნენ იოსებ სტალინის მემკვიდრეები (**Лаврентий 1999:7**).

როცა მოხდა თანამდებობების გადანაწილება, გიორგი მალენკოვმა წამოაყენა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ლავრენტი ბერია ჩაუდგა. ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიცოცხლეში, ნიკიტა ხრუშჩოვს გამოუთქვამს შეშფოთება ნიკოლაი ბულგანინთან საუბრის დროს იმის შესახებ,რომ იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ, ლავრენტი ბერია დაიკავებდა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას და ეს არაფრით არ უნდა დაეშვათ, რადგან ამ თანამდებობას ლავრენტი ბერია გამოიყენებდა მათ წინააღმდეგ. „ეს იქნება 1937-1938 წლებში დაბრუნება და უარესიც. ეს იქნება პარტიისათვის კატასტროფა. ის ყველას გაგვანადგურებს“ (**Хрущёв 1991:250**). პროფესორი ნორინსკი, რომელიც შინაგან საქმეთა სტრუქტურებში მუშაობდა, იხსენებს, რომ 1953 წელს, როცა ლ. ბერიამ გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაიბარა, სისტემის მრავალი მუშაკისათვის ეს დღესასწაულის ტოლფასი იყო (**კრემლიოვი 2012:7**). ანასტას მიქოიანი კი იგონებდა: „მე მას (ლავრენტი ბერიას) შევეკითხე, რად გინდა შსს. მან კი მიპასუხა: უნდა აღდგეს

კანონიერება, არ შეიძლება ქვეყანაში ამ მდგომარეობის მოთმენა. ჩვენ ბევრი პატიმარი გვყავს, ისინი უნდა გათავისუფლდნენ“ (**Лаврентий 1999:7**).

ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვებით, მან ჯერ კიდევ მაშინ იცოდა რასაც წარმოადგენდა ლავრენტი ბერია, არ თვლიდა მას კომუნისტად. ის იყო ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი,რომელმაც შეაღწია პარტიაში,მოიპოვა იოსებ სტალინის ნდობა და მიაღწია მაღალ თანამდებობებს.ნ. ხრუშჩოვისავე აზრით, იოსებ სტალინს ეშინოდა კიდეც ლავრენტი ბერიასი. მას შეეძლო იოსებ სტალინისთვისაც ის გაეკეთებინა, რასაც უკეთებდა სხვებს იოსებ სტალინის დავალებით. მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვი და ნიკოლაი ბულგანინი მაშინ დუმდნენ. ნ. ხრუშჩოვი თავის დუმილს ხსნიდა იმით, რომ ხმის ამოღება და სიმართლის თქმა ლავრენტი ბერიაზე პარტიაში განხეთქილებას გამოიწვევდა და ჩათვლიდნენ რომ იყვნენ დეზორგანიზატორები, მით უფრო, რომ „ჯერ კიდევ არ იყო გაციებული სტალინის ცხედარი“ (**Лаврентий 1991:88**).

1953 წლის მარტიდან იმავე წლის ივნისამდე პერიოდში ლავრენტი ბერია განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს. უშუალოდ მის მიერ ან მისი ინიციატივით გამოიცა არაერთი სარეაბილიტაციო აქტი. მკვლევართა ნაწილს ეს პარადოქსად მიაჩნია, რადგან საზოგადოებრივი აზრი სწორედ ლ. ბერიას სახელს უკავშირებდა სადამსჯელო ორგანოებს და განუკითხაობას. რა მიზანს ისახავდა ლავრენტი ბერია და რა ტიპის სამართლებრივ აქტებზეა საუბარი.

ლავრენტი ბერიამ 1953 წლის 13 მარტს გამოსცა ბრძანება საგამოძიებო საქმეთა გადახედვის ჯგუფის შექმნის თაობაზე. აღნიშნულ ჯგუფს უნდა გადაეხედა ბოლო წლებში გახმაურებული საქმეებისთვის (ექიმთა საქმე, უშიშროების სამინისტროს დაპატიმრებული თანამშრომლების საქმე, მთავარი საარტილერიო სამმართველოს თანამშრომელთა საქმე. საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ დაპატიმრებულ ადგილობრივი თანამშრომლების საქმე). ჯგუფის მუშაობაზე ზედამხედველობა დაეკისრა სერგეი კრუგლოვს, ბოგდან ქობულოვს, სერგო გოგლიძეს. სამუშაოს დასრულების ვადად დადგინდა ორი კვირა. მუშაობის შედეგები უნდა ეცნობებინათ უშუალოდ ლავრენტი ბერიასათვის. იმავე დღით თარიღდება ლავრენტი ბერიას ბრძანება საქართველოდან გასახლებული მოქალაქეების საქმეთა შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის მუშაობის ვადად განისაზღვრა ერთი თვე. საერთო ზედამხედველობა დაეკისრათ ბ. ქობულოვს, ს. გოგლიძეს, ს. კრუგლოვს (**Лаврентий 1999:5**).

1953 წლის 27 მარტს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის ლავრენტი ბერიას პროექტი ამინისტიის (და არა რეაბილიტაციის) შესახებ. იმავე წლის 28 მარტს გამოვიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის და გენერალური პროკურორის ბრძანება „1953 წლის 27 მარტის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამინისტიის შესახებ გამოცემული განკარგულების შესრულების წესის შესახებ“. ამინისტია 5 წლამდე მსჯავრდებულებს შეეხოთ (**Реабилитация А 2000:15-16**).

რამდენიმე კვირაში გულაგი დატოვა 1 201 738-მა პატიმარმა, ანუ ბანაკებისა და სპეციალური სასჯელ-აღსრულებითი კოლონიების მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა (**Реабилитация А 2000:145**). მათი უმრავლესობა წვრილმანი ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს ან ყველაზე ხშირად, ისინი იყვნენ რომელიმე რეპრესიული კანონის მსხვერპლი რიგითი მოქალაქეები. ეს კანონი სჯიდა ყველანაირი დარღვევისათვის – სამუშაო პოსტის მიტოვებიდან დაწყებული, შიდა პასპორტებზე დაწესებული კანონის დარღვევით. ნაწილობრივი ამინისტია გამორიცხავდა პოლიტიკურ პატიმრებს და სპეციალურ ადგილნაცვალებს ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სისტემის თვითნებობით. სახელმწიფოსა და პარტიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის კი სასჯელის ვადა 15-20 წლამდე იყო (კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის, მძიმე ქურდობისთვის, ბანდიტიზმისა და წინასწარგანზრახული მკვლელობისთვის).

ამ ამინისტიის დასასაბუთებლად, 1953 წლის 24 მარტს ლავრენტი ბერიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს გაუგზავნა ვრცელი წერილი, რომელშიც ხსნიდა, რომ გულაგის 2 526 402 ტუსაღიდან მხოლოდ 221435 იყო განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავე. ლ. ბერია აღიარებდა, რომ პატიმრების უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოსათვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა (**Лаврентий 1999:14**). ამასთან სულ უფრო ჭირდა მძიმე და ნაკლებრენტაბელური სასჯელაღსრულებითი სისტემის განტვირთვა. მკვლევართა აზრით, არა მხოლოდ პოლიტიკურმა, არამედ ეკონომიკურმა მიზეზებმაც განაპირობა ხელისუფლების გადაწყვეტილება ამინისტიის თაობაზე (**კურტუა 2011:7**). ალექსეი აჯუბეი თავის მოგონებებში ამინისტიას ეშმაკურ ხერხს უწოდებს: „ლავრენტი ბერიას აშფოთებდა ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო ავტომატურად გაეგრძელებინა

იმ ადამიანებისთვის სასჯელის ვადა, რომლებიც მოხვდნენ ბანაკებში მასობრივი რეპრესიების დროს და მოხდილი ჰქონდათ სასჯელის ვადა. ისინი ბრუნდებოდნენ სახლებში და ითხოვდნენ სამართლიანობის აღდგენას. ლავრენტი ბერიას კი ჭირდებოდა არასასურველი ადამიანების ისევ გადასახლებებში გაგზავნა და იქ დარჩენილების დაკავება. ამიტომ დაიწყეს სისხლის სამართლის დამნაშავეების გათავისუფლება, რომლებმაც გააგრძელეს ძველებური ცხოვრება. უკმაყოფილებას და არასტაბილურობას ლავრენტი ბერია დაუპირისპირებდა ძველ მეთოდებს“ (**Аджубей 1991: 254**). მოგვიანებით, 1953 წლის ივლისის პლენუმზე ამინისტიის გამოცხადება ლავრენტი ბერიას ერთ-ერთ დანაშაულად ჩაუთვალეს. მონაწილეთა შეფასებით „მისი ბრძანებით ჩატარებული ამინისტიის შედეგად ბანაკებიდან გამოუშვეს მილიონნახევარი პატიმარი, უმეტესობა ქურდი - რეციდივისტი“ (**Лаврентий 1999:89**).

1953 წლის აპრილში დაიწყო ბოლო წლების პოლიტიკურ პროცესებში მსჯავრდებულების საქმეების და სასჯელის ვადების გადახედვაც. 1953 წლის პირველ აპრილს ლავრენტი ბერიამ მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს „ექიმთა საქმეში“ გასამართლებულ პირთა რეაბილიტაციის შესახებ. 1953 წლის 3 აპრილს კი უკვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ექიმთა საქმის“ ფალსიფიკაციის შესახებ. დადგენილების თანახმად, პატიმრობიდან გათავისუფლდა და სრული რეაბილიტაცია შეეხო ამ საქმეში მსჯავრდებულ 37 ადამიანს. მხედველობაში მიიღეს ლავრენტი ბერიას განცხადება იმის თაობაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული იქნებოდა ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომლებიც აღარ დაუშვებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მსგავსი ტიპის დარღვევებს (**Лаврентий 1999:19**).

„ექიმთა საქმის“ შესახებ ოდნავ მოგვიანებით, გიორგი მალენკოვმა განაცხადი გააკეთა. „საქმე, რომელმაც დიდად შელახა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი, ყველას დავიწყებული ჰქონდა. ლავრენტი ბერიამ კი ებრაელ ექიმთა შეთქმულება მსოფლიოს კვლავ გაახსენა. „ექიმთა საქმე“ ლავრენტი ბერიამ შეთითხნილად გამოაცხადა. საინტერესოა, რატომ გამოაქვეყნა 1953 წლის 4 აპრილს მან განცხადება ამის თაობაზე? ამ განცხადებით ლავრენტი ბერიამ საჯაროდ დაგმო უშიშროების ყოფილი მინისტრის საქმიანობა და მისი მუშაობის მეთოდებს უკანონო უწოდა. ნუთუ მან არ იცოდა,

რომ ხალხის თვალში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი არ შეიძლება ცდებოდეს.რასაკვირველია კარგად იცოდა.მაშ, რატომ დასცა ხალხის თვალში საბჭოთა ადმინისტრაციის პრესტიჟი? რად მიაყენა ჩრდილი უშიშროების ორგანოებს? რატომ მოიქცა ისე, როგორც არ უნდა იქცეოდეს საბჭოთა ადამიანი.პასუხი ნათელია: მან ეს ჩაიდინა, რათა ჩრდილი მიეყენებინა საბჭოთა სამართლისთვის". სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნიკოლაი შატალინმაც განაცხადა, რომ ეს იყო სახელმწიფო ინტერესების საზიანო (**Лаврентий 1999:8**).

1953 წლის 4 აპრილით თარიღდება ლავრენტი ბერიას ბრძანება „მსჯავრდებულთა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების აკრძალვის თაობაზე." ლ. ბერიას განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილ იქნა უშიშროების სამინისტროს ორგანოების საგამოძიებო საქმიანობაში საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები, უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების დაპატიმრებები, საგამოძიებო საქმეების ფალსიფიკაცია, წამების განსხვავებული საშუალებების გამოყენება. მისივე განცხადებით, ციხეებში არსებობდა სპეციალური ადგილები და ამ საქმისათვის გამოყოფილი პირები აწამებდნენ მოქალაქეებს გაყალბებულ საქმეებზე აღიარებითი ჩვენებების მოსაპოვებლად „მაშინ როცა უშიშროების სამინისტრო ქვეყნის ჭეშმარიტ მტრებს ვერ ამჩნევდა". აქედან გამომდინარე, ლ. ბერიას ბრძანებით აიკრძალა პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედება და გამოცხადდა სისხლის სამართლის კოდექსის პროცესუალური ნორმების დაცვის აუცილებლობა. უნდა გაუქმებულიყო წამებისთვის გამოყოფილი შენობები და განადგურებულიყო წამების ყველა საშუალება. საბჭოთა კანონიერების დარღვევისათვის მკაცრად დაისჯებოდნენ როგორც უშუალო შემსრულებლები, ისე მათი ხელმძღვანელებიც (**Лаврентий 1999:15**).

1953 წლის 10 აპრილს სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა ლ. ბერიას მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა წლების მანძილზე უშიშროების სამინისტროში დანაშაულებრივი ქმედებების გამოაშკარავებას, რაც გამოიხატებოდა პატიოსან ადამიანებზე საქმის ფალსიფიკაციაში (**Лаврентий 1999:8**).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1953 წლის 10 აპრილს მიიღო დადგენილება „მეგრელთა ნაციონალური დაჯგუფების შესახებ საქმის ფალსიფიკაციაზე" (**Реабилитация А 2000:20**). მანამდე, ლ. ბერიამ ერთგული ხალხისაგან სასწრაფოდ შექმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია (გენერალ-პოლკოვნიკი ბახჩო

ქობულოვი, გენერალ-ლეიტენანტი ლევ ვლოდიმორსკი და სხვ.) და უკვე 1953 წლის 8 აპრილს წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ე. წ. „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ“. დოკუმენტში დაგმობილ იქნა 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებები და მომხდარი რეპრესიების თაობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრ ნიკოლოზ რუხაძეს დააკისრა. რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სისხლის სამართლის საქმე №4294 მიხეილ ბარამიას, ავქსენტი რაფავას, ვლადიმერ შონიას და სხვათა მიმართ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1953 წლის 8 აპრილის დადგენილებით, შეწყდა მასში მონაწილე პირების სრული რეაბილიტაციით (**Реабилитация А 2000:20**).

მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ-ის კომუნისტურ პარტიას მოეხსნა ნაციონალიზმის ბრალდება, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან გათავისუფლდა აკაკი მგელაძე, ლ. ბერიას ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე კადრების დარგში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად დაინიშნა გიორგი მამულოვი – ლავრენტი ბერიას სამდივნოს ყოფილი უფროსი. საბჭოთა საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში სწრაფად დაიწყო მსხვილმასშტაბიანი საკადრო ცვლილებები.

ლ. ბერიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს სხვა ღონისძიებებიც შესთავაზა. მისი ინიციატივით იქნა მიღებული საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საპასპორტო შეზღუდვებისა და სარეჟიმო ზონების გაუქმების შესახებ“ (**Лаврентий 1999:7**).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანონიმური წერილების, როგორც სანდო დოკუმენტების გამოყენების პრაქტიკა, რომლითაც ხშირად სარგებლობდნენ ცილისმწამებლები, მანკიერ მხარედ ჩათვალა და დაავალა გაზეთ „პრავდას“ გაეკეთებინა აუცილებელი განმარტებები (**Реабилитация А 2000:43**). უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე ტიპის განმარტება არ გაკეთებულა პრესაში. მეტიც, ნიკიტა ხრუშჩოვი ლენინგრადის პარტიულ აქტივთან შეხვედრის დროს, 1954 წლის მაისში აცხადებდა: „მე მეკითხებიან, როდის დავასრულებთ ანონიმური წერილების განხილვას. ჩვენ მათ ნაკლებად განვიხილავთ, მაგრამ ანონიმურ წერილებში არის

ისეთი განცხადებებიც, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის სიგნალებს. ხდება ხოლმე, რომ ადამიანს არ ჰყოფნის გამბედაობა ხელი მოაწეროს თავის წერილს, არადა ებრძვის უკანონობას. ჩვენ იმ მოსაზრებით, რომ ის ანონიმურია, გადავაგდებთ. რამდენიმე დღეში კი აღმოჩნდება, რომ იქ იყო სერიოზული სიგნალი პარტიისა და სახელმწიფოს-თვის. მე მჯერა, რომ კომუნისტები, რომლებიც ფორმალურად არ მიუდგებიან ამ საკითხს, გაარკვევენ, სად არის ცილისწამება და სად სიმართლის მარცვალი“ (**Реабилитация А. 2000: 129**).

ლ. ბერია აუცილებლად მიიჩნევდა პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებიდან სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც შეისწავლიდა სპეცგადასახლებულების შრომის, ყოფისა და დასვენების პირობებს. ლ. ბერია წინადადებას იძლეოდა მომხდარიყო შრომა-გასწორების დაწესებულებების მთავარი სამმართველოს (გულაგი) რეორგანიზაცია. კერძოდ, მთავრობას სთავაზობდა, გაუქმებულიყო იძულებითი შრომის სისტემა, ვინაიდან იგი არ გახლდათ ეფექტური და პერსპექტიული. შრომა-გასწორების მთავარი სამმართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობიდან და შევიდა საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში (**Реабилитация А 2000:17**). (1954 წლის 21 იანვრის დადგენილებით შრომა-გასწორების ბანაკები, ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუბრუნდა ა. კ.).

1953 წლის ივნისში ლ. ბერიამ განცხადებით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საგანგებო სათათბიროების უფლებების შეზღუდვის შესახებ: „ფართოდ მინიჭებულმა უფლებებმა, გამოიწვია ის, რომ საგანგებო სათათბიროები განიხილავდნენ უსაფუძვლო, ფალსიფიცირებულ საქმეებს. საჭიროა ამ ორგანომგადახედოსმხოლოდიმსაქმეებს,რომლებიცოპერატიულიანსახელმწიფოებრივი მოსაზრებით არ შეიძლება გადაეცეს სასამართლო ორგანოებს“. გადაწყვეტილებები უნდა მიღებულიყო სსრკ-ში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასჯელის ვადა, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა ამ ორგანოს, უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 10 წლისა. ლ. ბერია საჭიროდ თვლიდა უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვასაც (**Реабилитация А 2000:52-53**). მოგვიანებით, როცა ლ. ბერიას ამ ინიციატივაზე საუბრობ-და, ნიკიტა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ წინააღმდეგი იყო სასჯელის ვადის შემცირების და მოითხოვდა დაპატიმრებების მთელი სისტემის გადახედვას (**Хрущёв 1991: 264**).

ლავრენტი ბერიას სურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების სიმპათიის მოპოვება. იოსებ სტალინის შემდეგ მეტნაკლებად ავტორიტეტული ხალხში იყო ვიაჩესლავ მოლოტოვი. ლავრენტი ბერიამ დაუყოვნებლივ დაიწყო მისი დაპატიმრებული ცოლის საქმის გამოძიება, შუამდგომლობით მიმართა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს და არც დაელოდა პროკურატურის გადაწყვეტილებას, გაათავისუფლა პატიმრობიდან პოლინა ჟემჩუჟინა-ვიაჩესლავ მოლოტოვის მეუღლე. როგორც ჩანს, სტალინის ძველი თანამებრძოლის მხარდაჭერა სჭირდებოდა ლავრენტი ბერიას. რეაბილიტირებული იქნა ლ. კაგანოვიჩის ძმაც.

ამავე დროს, ლავრენტი ბერია პარტიული ნომენკლატურის გატეხას ცდილობს კომპრომატების საშუალებით. მისი ბრძანებით გაძლიერდა უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელთა და მუშაკთა კონტროლი. შინაგან საქმეთა სამინისტროს I სპეცგანყოფილების უფროსის ჩვენებიდან: „ბერიამ მომცა დავალება, დავკავშირებოდი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა განყოფილების უფროსს და მებრძანებინა გადმოეცათ შინაგან საქმეთა I სპეცგანყოფილებისთვის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებზე (პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებზეც) მოპოვებული ოპერატიულ-აგენტურული მასალები. ასეთი მასალა – 284 შეკვრა ბეჭდური და ასევე მოსასმენი აპარატურით მოპოვებული, 25 მაისს ჩავაბარე ბოგდან ქობულოვს, ლავრენტი ბერიასადმი ჩემს რაპორტთან ერთად (**Мухин 2007:252**).

1953 წლის ზაფხულში ლავრენტი ბერიას სამსახურმა შეაგროვა მასალები, რომლითაც შეიძლებოდა გიორგი მალენკოვის, ნიკიტა ხრუშჩოვის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრების დისკრედიტაცია. ლ. ბერიამ დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ს. იგნატიევის (გიორგი მალენკოვის მომხრე) დაპატიმრების შესახებ. უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი, რომელსაც შეეძლო ჩვენების მიცემა ნიკიტა ხრუშჩოვისა და გიორგი მალენკოვის წინააღმდეგ, ასევე მისცეს პასუხისგებაში (**Лаврентий 1999:18**).

სიტუაცია ქვეყანაში და პარტიაში შეიძლება გამოსულიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის კონტროლიდან.

ლ. ბერია თავისი აქტიურობით საშიში კონკურენტი გახდა გიორგი მალენკოვის, ნიკიტა ხრუშჩოვისა და სტალინური პოლიტბიუროს სხვა წევრების თვალში. ფლობდა რა ბევრ ინფორმაციას, ლავრენტი ბერიას შეეძლო ნებისმიერ დროს, ხელთ არსებული კომპრომატებით თავისივე მოკავშირეებზე მიეტანა იერიში. ეს კი ბევრისათვის საგანგაშო სიგნალი გახდა. „რაც უფრო აქტიურობდა, რაც უფრო ბევრი წინადადებები შემოჰქონდა, რაც უფრო სპეკულირებდა შიდა კონფლიქტების აღმოფხვრაზე, მით უფრო იმყარებდა თავის პოზიციებს და აფართოებდა ხელისუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობებს (**Симонов 1991:192**).

აშკარად ტყუოდა გიორგი მალენკოვი, აღნიშნავს თავის მოგონებებში სერგო ბერია, როცა ამბობდა: „კიდევ კარგი, რომ მხოლოდ სამი თვე დაგვჭირდა ავანტიურისტის ჭეშმარიტი სახის დასადგენად...“ სერგო ბერიას აზრით, სამი თვე ის დრო იყო, რომელიც ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობად დასჭირდათ (**ჩილაჩავა 2012:185**).

ლავრენტი ბერიამ მოკლე პოსტსტალინისტურ პერიოდში რამდენიმე ისეთ ზომას მიმართა, რომლითაც საზოგადოების წინაშე გამოვიდოდა როგორც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მოწინააღმდეგე, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დანაშაულების წინააღმდეგ მებრძოლი. გადახედეს ისეთ საქმეებს, რომლებშიც უშუალოდ ლავრენტი ბერიას მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული. ლ. ბერიას ინიციატივებში ლაპარაკიც არ იყო XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივი რეპრესიების ან მეორე მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მასობრივი დეპორტაციის შესახებ. ლ. ბერიას მიზანი იყო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება, საკუთარი ავტორიტეტის ამაღლება ნებისმიერი მეთოდით, რათა თავისი თავი გამოერიცხა სტალინური რეჟიმის დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირებისგან.

არც ბერია და არც პრეზიდიუმის წევრი მისი კოლეგები არ ჩქარობდნენ ციხეში მყოფი მილიონობით ადამიანისათვის მიეცათ თავისუფლება.

§2. ლავრენტი ბერიას პარტიულ და საბჭოთა ხელისუფლებიდან ჩამოცილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები შიშობდნენ, რომ ლავრენტი ბერია მხოლოდ საკუთარ მომავალზე ზრუნავდა, სხვა პარტიული ლიდერების დაჩრდილვის და ჩამოცილების გზით – ერთპიროვნული ლიდერობისთვის ემზადებოდა. ამ სიტუაციაში ნ. ხრუშჩოვმა დაარწმუნა გ. მალენკოვი და პრეზიდიუმის სხვა წევრები, რომ ლ. ბერიას დაპატიმრება აუცილებელი იყო.

ოფიციალური ვერსიით ლავრენტი ბერია დააპატიმრეს 1953 წლის 26 ივნისს. მის დაპატიმრებაში აქტიური პოზიცია ეკავათ გ. მალენკოვს, ნ. ხრუშჩოვს, ვ. მოლოტოვს. სამივეს ჰქონდა სახელისუფლებო ლიდერობაზე პრეტენზია. სხვები თავიდან არ ეთანხმებოდნენ ლ. ბერიას დაპატიმრებას. მაგალითად, ანასტას მიქოიანი მის სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებას უჭერდა მხარს, ცხადია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანით. მაგრამ, საბოლოოდ ისინიც დაეთანხმნენ ლავრენტი ბერიას დაპატიმრებას (**Лаврентий 1999 : 8-9**).

1953 წლის 26 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომლის სტენოგრამა და ოქმი არ უწარმოებიათ. ფაქტების აღწერას ვხვდებით პოლიტბიუროს წევრების მოგონებებში. ლავრენტი ბერიას წაუყენეს ბრალდებები, რომ ის ანტისაბჭოთა ელემენტია, ინტრიგანია, შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე მაღლა დააყენა და დასაპატიმრებელია.

1953 წლის 29 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზეც მიიღეს დადგენილება ლავრენტი ბერიას ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპარტიული დანაშაულების გამოძიების დაწყების შესახებ. ლ. ბერიას საქმის გამოძიება დაევალა ნიკიტა ხრუშჩოვის პროტეჟეს რომან რუდენკოს, რომელიც ამ სხდომაზე დანიშნეს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე. მან სასწრაფო წესით შეცვალა გრიგოლ საფონოვი.ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვებით, გრიგოლ საფონოვი არ იმსახურებდა ნდობას და ვერ შეძლებდა ლავრენტი ბერიას საქმის ობიექტურად

გამოძიებას. (ერთი თვის შემდეგ, 1953 წლის ივლისში, ნ. ხრუშჩოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში სსრკ-ის გენერალური პროკურატურის მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ, გაკრიტიკებულია გრიგოლ საფონოვი და მისი უწყება კრიტიკული ანალიზის გარეშე დაპატიმრებების სანქციების გაცემაში) (**Реабилитация А 2000: 58**). სსრკ-ის გენერალური პროკურორის დანიშვნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა გახლდათ. შესაბამისად, გრიგოლ საფონოვი სრულიად უკანონოდ იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან. საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორ რომან რუდენკოს უნდა მოემზადებინა შესაბამისი საგამოძიებო აპარატი, მოეხსენებინა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტისათვის მისი პერსონალური შემადგენლობის შესახებ და დაეწყოთ საქმის გამოძიება.

1953 წლის 2 ივლისს სასწრაფოდ მოიწვიეს სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის სხდომაზეც ლავრენტი ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების შესახებ მოხსენებით გამოვიდა გიორგი მალენკოვი. ლავრენტი ბერიას შესახებ ითქვა ყველაფერი, მაგრამ ამასთან ჯერ კიდევ ინდობდნენ სტალინს, კონსტანტინე სიმონოვის აზრით „არც თუ ეფექტურად“ (**Симонов 1991: 193**).

1953 წლის ივლისში გამართული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, ლავრენტი ბერია გარიცხეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან და მისი საქმის მასალები გადაეცა სასამართლოს.

ლავრენტი ბერიას დაპატიმრებიდან პირველი კვირის განმავლობაში არცერთხელ არ არის მოხსენიებული მისი სახელი ოფიციალურ პრესაში. მხოლოდ 1953 წლის 10 ივლისს „პრავდის“ მოწინავე სტატიაში გაჩნდა ინფორმაცია სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ: „ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა რა ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენება ლ. პ. ბერიას ანტისახელმწიფოებრივ, ანტიპარტიულ მოქმედებების შესახებ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისთვის და რომელიც გამოიხატა ვერაგული ცდებით დაეყენებინა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მაღლა. პლენუმმა გამოიყვანა ლ. ბერია სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გარიცხა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, როგორც კომუნისტური პარ-ტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტერი“ (**პარტიის 1953:1**).

მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა მშრომელთა ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების გაცნობისადმი. კრების მონაწილეები აღშფოთებით გმობდნენ პარტიისა და ხალხის მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის, ლავრენტი ბერიას მავნებლურ საქმიანობას და მხურვალე მადლობას უძღვნიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს დროული და გადამჭრელი ზომების მიღებისათვის ლავრენტი ბერიას მტრული მოქმედებების სალიკვიდაციოდ (**მშრომელთა 1953:2**).

ლავრენტი ბერიას დაპატიმრებაში აქტიური მონაწილეობისთვის მადლობა გა-დაუხადეს სამხედროებს: 1953 წლის 13 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა არმიის გენერლებისა და ადმირალების რეაბილიტაციის შესახებ (სულ 54 პირი). მათ შორის იყვნენ მარშალ გ. ჟუკოვის ახლობლებიც (**Реабилитация А 2000: 58-59**).

1953 წლის ივლისშივე ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-ტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი პარტიულ აქტივთან ერთად, რომელმაც განიხილა სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლ. ბერიას დანაშაულებრივი, ანტიპარტიული და ანტისახელ-მწიფოებრივი მოქმედებების თაობაზე. პლენუმზე განიხილეს ის უარყოფითი შედე-გები, რომელიც ლ. ბერიას ხელმძღვანელობამ და შეფობამ მოუტანა საქართველოს. კერ-ძოდ: შეფერხდა რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობა და შეიქმნა მოჩვენებითი წარმოდგენა უჩვეულო მიღწევების შესახებ. გასული წლის სახელმწიფო გეგმა არ შეასრულა 317 საწარმომ. შეფერხდა მეცხოველეობის განვითარება. შეიზღუდა მევენახეობისა და მებაღეობის განვითარება. შემცირდა ძვირფასი ტექნიკური კულ-ტურების ფართობი. გაიზარდა სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრების უნაყოფო ხარჯვა. უხეშად ირღვეოდა ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ხელმძღვანე-ლობის ბოლშევიკური პრინციპი, პარტიის წესდების მოთხოვნები ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების ვადების შესახებ, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი. სერიოზული ჩავარდნები იყო პარტიულ-ორგანიზაციულ, პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში. პლენუმმა გააკრიტიკა საქართველოს

სათავეში ლ. ბერიას მიერ დაყენებული კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე, რომლებიც რესპუბლიკის განვითარების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტას ლავრენტი ბერიას მეშვეობით ახორციელებდნენ (**საქართველოს 1953:1**).

როგორც ვხედავთ, საუბარიც არ არის დიდი ტერორის პერიოდში ლავრენტი ბერიას მიერ საქართველოსათვის მიყენებული ზარალის შესახებ.

ლ. ბერიასადმი წაყენებული ბრალდებები ზოგიერთი ავტორის აზრით, გროვდებოდა არაკანონიერი გზებით. უმაღლესი თანამდებობის პირები, არც ინტერესდებოდნენ ამ ბრალდებების ჭეშმარიტებაში. ფელიქს ჩუევთან საუბრის დროს, ლაზარ კაგანოვიჩი იხსენებს: „გიორგი მოლოტოვს შევეკითხე: ჰქონდა თუ არა რაიმე სამხილი ლავრენტი ბერიას იმპერიალიზმის აგენტად გამოცხადებისთვის. მან მიპასუხა, რომ ამგვარი დოკუმენტები მას არ უნახავს“ (**Попов 1991:300**).

1953 წლის დეკემბერში საკავშირო თუ რესპუბლიკური პრესა ისევ აქვეყნებდა ცნობებს მშრომელთა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრებებისა და მიტინგების შესახებ, სადაც სიტყვით გამოსულები გმობდნენ ლავრენტი ბერიას და მის თანამზრახველებს და მოითხოვდნენ მათ უსასტიკესად დასჯას. ქვეყნდებოდა სტატიები სათაურით: „ზიზღი და კრულვა გამცემლებს“, „მოღალატენი ვერ გაექცევიან საბჭოთა ხალხის მსახვრალ ხელს“, „ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, მჭიდროდ დავირაზმოთ პარტიისა და მთავრობის გარშემო“, „არავითარი დანდობა მოღალატეებს“, „მტრები გაცამტვერებული იქნებიან“ (**საბჭოთა 1953:2-3**). რამდენიმე დღის შემდეგ კი „საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენს სამშობლოს მოღალატე ბერიასა და მის თანამზრახველთა სიკვდილით დასჯის შესახებ“ (**ჩვენი 1953:1-2**).

1953 წლის 18-23 დეკემბერს, მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს დახურული პროცესი.

სასამართლო პროცესზე განიხილებოდა ლავრენტი ბერიას და მასთან დაახ-ლოებული პირების – ვსევოლოდ მერკულოვის, ვლადიმერ დეკანოზოვის, ბოგდან (ბახ-ჩო) ქობულოვის, სერგო გოგლიძის, პავლე მეშიკის და ლევ ვლოდიმორსკის საქმეები.

მათ ბრალად ედებოდათ იმპერიალიზმის აგენტობა და საბჭოთა სახელმწიფო-სადმი მტრულად განწყობილ შეთქმულთა მოღალატეობრივი ჯგუფის წევრობა. სასამართლო პროცესზე გაკეთდა განცხადება, რომ მათი მხილება და გაუვნებლება

საბჭოთა წყობილების ძალის, ურყეობის, მისი სიმტკიცის და ძლიერების მკაფიო მაგალითი იყო.

ლავრენტი ბერიასა და სხვა ბრალდებულთა დანაშაულებრივი ქმედებების შეფასება, მათი საქართველოში საქმიანობის პერიოდს ეხებოდა. ბრალდების მხრიდან აქცენტი ხშირად კეთდებოდა ისეთ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მაგალითად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულების მუშაობა, როცა განიხილებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც სასამართლო ორგანოებს ან სამხედრო კოლეგიებს უნდა განეხილათ და არც ბრალდებულთა გამოძახება ხდებოდა და არც მოწმეთა ჩვენებების გადამოწმება. ამაზე სერგო გოგლიძემაც განაცხადა, რომ მოქმედებდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და პროკურატურის სპეციალური ბრძანების შესაბამისად და საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლით სესიას არ შეეძლო საქართველოში ჩამოსვლა საქმეთა განსახილველად (**Попов 1991:314**).

ოფიციალური ვერსიის თანახმად, 1953 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალურ დახურულ სხდომაზე მხარეების მონაწილეობის გარეშე (მოქმედებდა 1934 წლის 1-ლი დეკემბრის კანონი), ლავრენტი ბერიას ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში, შეთქმულთა ჯგუფის შექმნაში საბჭოთა სახელმწიფოს დასამხობად, კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენის მცდელობაში, საიდუმლო კავშირებში უცხოეთის დაზვერვის აგენტებთან და კონტრრევოლუციონერ მენშევიკ-ემიგრანტებთან. სასამართლომ წაიკითხა განაჩენი. ოფიციალური ვერსიით ლავრენტი ბერია დაუყოვნებლივ დახვრიტეს. დახვრიტეს მასთან დაახლოებული პირებიც: ვ. მერკულოვი, ბ. დეკანოზოვი, ბ. ქობულოვი, ს. გოგლიძე, პ. მეშიკი, ლ. ვლოდიმორსკი, რომლებიც ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილეებად გამოცხადდნენ. ყველა მათგანის პირადი ქონება კონფისკაციას დაექვემდებარე. მათი ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს აეკრძალათ მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, ჩრდილოკავკასიასა და ამიერკავკასიაში ცხოვრება. 1953 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე მირცხულავა აგზავნის წერილს ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე. წერილის თანახმად, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები ლავრენტი ბერიას ახლობლები და ნათესავები არ ერიდებოდნენ

მტრულ გამონათქვამებს და ავრცელებენ სხვადასხვა სახის პროვოკაციულ განცხადებებს. ლავრენტი ბერიას დედა, მართა ბერია, დადიოდა ეკლესიაში და ლოცულობდა თავისი შვილისათვის. ლავრენტი ბერიას გამოაშკარავების შემდეგ გახშირდა საეჭვო შეკრებები ლავრენტი ბერიას დედის ბინაზე. ა. მირცხულავას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად ლავრენტი ბერიას ნათესავების საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრება და სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ითხოვდა თანხმობას მათ გასახლებაზე. წერილს თან ახლავს გასასახლებელი ადამიანების სია – დედა, ოთხი და და ბერიას ნათესავი კიდევ 15 ადამიანი (**Реабилитация А 2000 :171**).

ლავრენტი ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭკორი და ვაჟი სერგო ბერია დააპატიმრეს 1953 წლის ივნისის ბოლოს. 1953 წლის ივლისში გააგზავნეს კრასნოდარის მხარეში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ. 1954 წლის 28აგვისტოს გენერალური პროკურორი რომან რუდენკო და სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე მიმართავენ შინაგან საქმეთა მინისტრ სერგეი კრუგლოვს ლავრენტი ბერიას საქმეზე გასამართლებულ პირთა ახლობლების სპეცგადასახლებაში გაგზავნის შესახებ.

ყაზახეთში გადაასახლეს ვ. მერკულოვის დედა და მეუღლე, ბ. ქობულოვის მეუღლე, და, დედა და ქალიშვილი, ს. გოგლიძის მეუღლე და ვაჟი, პ. მეშიკის ცოლი და დედა, ვ. დეკანოზოვის მეუღლე, ვაჟი, რძალი, მეუღლის დედა, ლ. ვლოდიმორსკის მეუღლე, ლ. ბერიას დები მეუღლეებთან ერთად. ასევე ლ. ბერიას ბიძაშვილები, მათი შვილები და რძლები.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 5 ივლისის დადგენილებით სპეცჩასახლებულებს მოეხსნათ ზოგიერთი შეზღუდვა. ამავე დადგენილების მე-7 პუნქტით შეზღუდვები არ ეხსნებოდათ იმ პირებს, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფოებრივი დანაშაული. ეს პუნქტი გავრცელდა ლავრენტი ბერიასა და მასთან დაახლოებული პირების ოჯახის წევრებზე (**Реабилитация А 2000:171**).

ლ. ბერიასა და მის თანამზრახველებთან ერთად საგამოძიებო საქმეების ფალსიფიცირება და სოციალისტური კანონმდებლობის უხეში დარღვევები დაუკავშირეს უშიშროების ყოფილ მინისტრ ვიქტორ აბაკუმოვს. ლენინგრადის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე, გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენკომ განაცხადა „უშიშროების ორგანოებში საპასუხისმგებლო სამუშაოს შესასრულებლად აბაკუმოვს არ ჰქონდა

არც პოლიტიკური ცოდნა, არც საერთო განათლება და არც ოპერატიული მუშაობის გამოცდილება. სამაგიეროდ, მას ახასიათებდა ძაღლური ერთგულება ლ. ბერიასა და ბ.ქობულოვის მიმართ. ის იყო კარიერისტი და ავანტიურისტი, ამიტომაც ასრულებდა დანაშაულებრივ დავალებებს“ (**Реабилитация А 2000:117**).

ლავრენტი ბერია იყო პასუხისმგებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დანაშაულებზე, მაგრამ მასთან ერთად იყვნენ: გიორგი მალენკოვი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, ნიკიტა ხრუშჩოვი, კლიმ ვოროშილოვი, ანასტას მიქოიანი, ნიკოლაი ბულგანინი. არაფერი რომ არ ვთქვათ იოსებ სტალინზე ან ანდრეი ჟდანოვზე.ასევე წინა წლებში დახვრეტილ ჰენრიხ იაგოდასა და ნიკოლაი ეჟოვზე. 1957 წელს გამართულ პლენუმზე, ლაზარ კაგანოვიჩი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სასიკვდილო სიებს მთელი პოლიტბიურო აწერდა ხელს. „უკრაინაში თქვენ არ აწერდით ხელს ბრძანებებს სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ“? მიმართავდა ის ნიკიტა ხრუშჩოვს (**მონტეფიორე 2004:833**). ნიკიტა ხრუშჩოვი უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 1938 წლიდან ედგა სათავეში. ომამდე მან კულაკების სასტიკი წმენდა ჩაატარა. მანვე გაანადგურა უკრაინელი ნაციონალისტები, გაჟლიტა უნიის მიმდევარი ეპისკოპოსები, ხოლო 1948 წელს სოფლებიდან „საშიში ელემენტები“ განდევნა. ნიკიტა ხრუშჩოვის ამ ინიციატივას მილიონამდე ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა და სისასტიკით ის კულაკების გადასახლებას უტოლდება (**მონტეფიორე 2004 :763**).

1938 წელს უკრაინის სსრ-ის კომუნისტური პარტიის სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის დანიშვნის შემდეგ 106 000-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის უმრავლესობა დახვრიტეს. უკრაინის სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 200 წევრიდან, მხოლოდ სამი გადარჩა (**მონტეფიორე 2004:187**).

1937 წლიდან ყველა ზემოთდასახელებული ხელმძღვანელი პირი პირადად ჩავიდა თავის ადგილზე, რათა გაეწმინდათ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები. ლაზარ კაგანოვიჩი გააგზავნეს წმენდის ჩასატარებლად დონბასში, ჩელიაბინსკის, იაროსლავის, ივანოვოს, სმოლენსკის რაიონებში. ანდრეი ჟდანოვი ლენინგრადში ჩატარებული წმენდის შემდეგ გაემგზავრა ორენბურგში, ბაშკირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. ანასტას მიქოიანი – სომხეთში, ნიკიტა ხრუშჩოვი – უკრაინაში (**კურტუა 2011:184**).

1938 წელს იოსებ სტალინისა და ნიკოლაი ეჟოვისადმი გაგზავნილ ლავრენტი

ბერიას დეპეშას რეპრესირებულთა ლიმიტების გაზრდის შესახებ რეზოლუცია დაადეს იოსებ სტალინმა, ნიკოლაი ეჟოვმა, ანასტას მიქოიანმა, ლაზარ კაგანოვიჩმა, ანდრეი ჟდანოვმა, კლიმენტ ვოროშილოვმა (**ბოლშევიკური 2015:102**).

1958 წელს ნიკოლოზ შვერნიკი ნიკიტა ხრუშჩოვისადმი გაგზავნილ წერილობით მიმართვაში წერდა: „პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ გამოვლენილი იყო მალენკოვის მონაწილეობა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ მასობრივად საქმეების ფალსიფიკაციაში“ (**Реабилитация А 2000:311-315**).

ენვერ ხოჯა თავის მოგონებებში წერს, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი ლავრენტი ბერიას საქმიანობის განხილვისას რას აღარ აბრალებდა მას და ლამისაა ყველა უბედურების მიზეზად წარმოედგინა. „ეს იყო იოსებ სტალინზე შეტევის პირველი ნაბიჯები. ჯერ-ჯერობით ნიკიტა ხრუშჩოვი ვერ დაესხმებოდა თავს იოსებ სტალინს, მის საქმესა და ფიგურას. მას ეს კარგად ესმოდა. ამიტომ ლავრენტი ბერიადან დაიწყო, რათა ნიადაგი შეემზადებინა ერთმანეთის გამოსაძევებლად უმაღლეს სახელისუფლებო ბრძოლაში“ (**ხოჯა 2011:402**).

როგორც ლავრენტი ბერია გაურბოდა პასუხისმგებლობას მასობრივ რეპრესი-ებზე, ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის არც ერთი წევრი არ აპირებდა ათასობით უდანაშაულო ადამიანის პატიმრობიდან გათავისუფლებას. დიდი ტერორის ყველა მსხვერპლი, გადასახლებული ეთნიკური ჯგუფები ჯერ კიდევ ითვლებიდნენ კანონიერად რეპრესირებულებად.

იმ ფაქტის მიუხედავად რომ სისტემის ბევრი ფუნდამენტური პრინციპი ხელუხლებელი დარჩა და იოსებ სტალინის მემკვიდრეებმა შეინარჩუნეს ავტორიტარული ძალაუფლების ჩარჩო, სახელმწიფო ტერორის გაუქმებამ, უკვე 1953 წელს შეცვალა სისტემის არსებითი ბუნება (**ხლევნიუკი 2015:219**).

ლავრენტი ბერია კი წლების მანძილზე იქცა განტევების ვაცად იმ დანაშაულისათვის, რაც ჩაიდინა პირადად მან და სტალინურმა რეჟიმმა. ლ. ბერია გაურბოდა პასუხისმგებლობას მასობრივ რეპრესიებზე, ამასთან ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია ქვეყნის მართვა იოსებ სტალინის გარეშეც. დანაშაულების მონაწილიდან ის გადადიოდა სახელმწიფო ორგანოებისა და პარტიის მსაჯულის როლში. მაგრამ, ლავრენტი ბერიას ყოფილი თანამზრახველები არც კი ფიქრობდნენ დესტალინიზაციაზე. ისინი ცდილობდნენ გაემართლებინათ დიქტატორი და ბრალი მხოლოდ ლავრენტი ბერიასა და მის გარემოცვაზე დაეკისრებინათ.

თავი II. რეაბილიტაციის დასაწყისი

§1. ხელისუფლების ინიციატივა კანონიერების აღდგენისათვის

ლავრენტი ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გაუსწორდნენ მის ახლობლებსა და მეგობრებს. გადაიხედა კადრების საკითხი პროკურატურაში, უშიშროების ორგანოებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში. სერგეი კრუგლოვი სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს. (ლავრენტი ბერიას მოადგილე შინაგან საქმეთა სამინისტროში). სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომელიც გახდა დამოუკიდებელი ორგანო, დაუქვემდებარეს გენერალ ივანე სეროვს, რომელიც პირადად აკონტროლებდა ხალხების ყველა გადასახლებას მეორე მსოფლიო ომის დროს. გენერალი სეროვი ნიკიტა ხრუშჩოვის ახლობლად ითვლებოდა. ის ასახიერებდა გარდამავალი პერიოდის ყველა ბუნდოვანებას, რომელშიც სტალინის პერიოდის ხელმძღვანელთა საკმაო რაოდენობა ინარჩუნებდა წამყვან პოსტს (**კურტუა 2011:238**). ნიკიტა ხრუშჩოვი კი აცხადებდა „არ უნდა მივდიოთ იმ პრინციპს, რომ თუკი ადამიანი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ბერიასა და აბაკუმოვის დროს, აღარ შეიძლება ვენდოთ. ამ პრინციპით აღარც ხრუშჩოვს, მალენკოვს, მოლოტოვს, ბულგანინს არ უნდა ენდოთ, რადგან ჩვენც ბევრი წელი ვიმუშავეთ ბერიასთან“ (**Реабилитация А 2000:129**).

1953 წლის აგვისტოს თვეში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გადაეხედა მსჯავრდებულთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დამნაშავეთა ჯგუფს. ხელისუფლების განცხადებით „დანაშაულის ხარისხის ბუნდოვანებიდან გამომდინარე ბევრი მსჯავრდებული დაუსაბუთებლად მიაკუთვნეს ამ კატეგორიას და გაუშვეს სპეცბანაკებსა და ციხეებში“ (**Реабилитация А 2000:83**). კომისიას სამი თვე მიეცა სამუშაოდ. 1953 წლის დეკემბრის თვეში საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რომან რუდენკო, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე გორშენინი და შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი კრუგლოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აგზავნიან მოხსენებით ბარათს გაწეული მუშაობის შესახებ. მათი ანგარიშიდან ირკვევა, რომ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა კატეგორიიდან სპეცბანაკებში იმყოფება 203 573 ადამიანი, ხოლო ციხეებში

1076. მათი პირადი საქმეების გაცნობის შემდეგ, კომისიამ სპეცბანაკებსა და ციხეებში დატოვა 94668 პირი. ამ კატეგორიაში შევიდნენ ნაციონალისტური დაჯგუფებების აქტიური მებრძოლები, გერმანელ ოკუპანტებთან აქტიური თანამშრომლობისათვის მსჯავრდებული და საბჭოთა არმიისა და პარტიზანების წინააღმდეგ უშუალო მებრძოლები, გერმანულ და სხვა ქვეყნების დაზვერვასთან კავშირში მყოფნი, შპიონები, დივერსანტები, ტერორისტები, ტროცკისტები, ესერები, მენშევიკები, მემარჯვენეები და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების აქტიური წევრები.

დარჩენილი 109 981 ადამიანი დაექვემდებარა საერთო ციხეებში გადაყვანას. კერძოდ: 72684 პირი – ნაციონალისტურ დაჯგუფებებთან კავშირისთვის მსჯავრდებული, რომელთა დანაშაული გამოიხატა ცალკეული დავალებების შესრულებაში (ღამის გათევა, კვებით უზრუნველყოფა); 16866 პირი – მსაჯვრდებული გერმანულ ადმინისტრაციაში მამასახლისად ან პოლიციელად სამსახურისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ ჩადენილი კონკრეტული დანაშაული საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ; 2156 პირი – მსჯავრდებული ტერორისტული განზრახვის გაჟღერებისათვის; 5183 პირი – მსჯავრდებული სხვადასხვა საეკლესიო და ანტისაბჭოთა სექტანტური დაჯგუფების წევრობისთვის; 13092 პირი- მსჯავრდებული ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის (**Реабилитация А 2000:83-84**).

გამოიცა არაერთი დადგენილება, რომლებიც ხელისუფლების განცხადებით, „სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევების“ წინააღმდეგ იყო მიმართული.

საბჭოთა კავშირში წლების მანძილზე მოქმედებდა არაერთი არასასამართლო -სადამსჯელო ორგანო, რომელთა მიერ მსჯავრდებული პირებიც, მოგვიანებით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ჩაითვალნენ.

ერთ-ერთ ასეთ ორგანოს წარმოადგენდა საგანგებო სათათბირო. ის შეიქმნა 1934 წლის 5 ნოემბერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამ ორგანოს უფლება მიეცა საზოგადოებისათვის საშიში პირების მიმართ გამოეყენებინა შემდეგი სახის ზომები: გასახლება და გადასახლება 5 წლის ვადით, შრომა-გასწორების კოლონიებში პატიმრობა 5 წლის ვადით, უცხოელების გასახლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან.

1937 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საგანგებო სათათბიროებს შეეძლოთ გამოეტანათ

გადაწყვეტილება და 8 წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკებში გაეგზავნათ ის პირები, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ მემარჯვენე-ტროცკისტულ, დივერსიულ-შპიონაჟურ და ტერორისტული ორგანიზაციების წევრობაში. დადგენილება ეხებოდა სამშობლოს ღალატისათვის სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებული პირების და ზემოთდასახელებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ოჯახის წევრებსაც.

1941 წლის 17 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იღებს დადგენილებას, რომლითაც საგანგებო სათათბიროს მიეცა უფლება, განეხილა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებში არსებული საქმეები, რომლებიც ეხებოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას და საბჭოთა კავშირის გენერალურ პრო-კურორთან ერთად გამოეტანა სასჯელის ზომა დახვრეტის ჩათვლით. ხელისუფლება ამას ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ხსნიდა.

საგანგებო სათათბიროების უფლებრივი მდგომარეობა მინიჭებული 1941 წლის დადგენილებით, ვრცელდებოდა 1953 წლამდე. ამ დოკუმენტების გარდა, საგანგებო სათათბიროს მიენიჭა უფლება: გაეგზავნათ გადასახლებაში პირები, რომელთაც მოხდილი ჰქონდათ სასჯელი, 20 წლით სპეციალურ ბანაკებში გაეგზავნათ პირები, რომლებიც გაიქცნენ ჩასახლების ადგილებიდან, შრომა-გასწორების ბანაკებში 8 წლის ვადით გაეგზავნათ პირები, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

1946- 1953 წლებში, საგანგებო სათათბიროების მიერ გასამართლებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები ასეთია: 1946 – 8320 ადამიანი; 1947 – 13393 ადამიანი; 1948 – 17257 ადამიანი; 1949 – 38460 ადამიანი; 1951 – 9076 ადამიანი; 1952 – 958 ადამიანი; 1953 – 204 ადამიანი.

თავისი არსებობის მანძილზე, 1934-1953 წლებში საგანგებო სათათბიროების მიერ გასამართლდა 442531 ადამიანი. მათ შორის სასჯელის უმაღლესი ზომით – 10101, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 360921 პირს, ქვეყნის შიგნით გადასახლებაში გაიგზავნა 67539 პირი, ხოლო სხვადასხვა სახის სასჯელით (იძულებითი მკურნალობა, საზღვარგარეთ გასახლება) გასამართლდა 3970 პირი (**Реабилитация А 2000:72-74**).

1953 წლის 12 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ იმსჯელა საგანგებო სათათბიროების შესახებ და 1953 წლის 1 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება 1934 წლის დადგენილების და

შესაბამისად საგანგებო სათათბიროების გაუქმების შესახებ. დადგენილებას ხელს აწერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

დადგინდა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა საქმეები უნდა განეხილა მხოლოდ სასამართლო ორგანოებს. საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორ რ. რუდენკოს დაევალა საგანგებო სათათბიროების მიერ განუხილველი საკითხები და იმ პირთა საქმეები, რომლებმაც ჩაიდინეს საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, განსახილველად გადაეცა შესაბამისი სასამართლო ორგანოებისთვის. რ. რუდენკოსა და ს. კრუგლოვს მნიშვნელოვან საგამოძიებო საქმეებზე ანგარიში უნდა წარედგინათ სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტისადმი (**Реабилитация А 2000:70**).

საგანგებო სათათბიროების მიერ გასამართლებული პირების უმეტესობა სასჯელს იხდიდა კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის. ამ ორგანოს მუშაობის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა მოქალაქეების არასაკმარისად დასაბუთებულ გასამართლებას. ამას ხელს უწყობდა ის რომ, საქმის განხილვები ხდებოდა ბრალდებულისა და მოწმეების გარეშე. ეს კი იძლეოდა საშუალებას წინასწარი გამოძიების ნაკლი დაფარულიყო და უხეშად დარღვეულიყო კანონები.

1948 წლის 26 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ თანახმად 1948 წლის 21 თებერვლის დადგენილებისა, მიიღო ერთობლივი დირექტივა (№66/124), რომლის თანახმად სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ნება მიეცათ კვლავ დაეპატიმრებინათ ის პირები (ჯაშუშები, დივერსანტები, ტერორისტები, ტროცკისტები, მემარჯვენეები, მენშევიკები, ესერები, ანარქისტები, ნაციონალისტები, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები), რომლებმაც სასჯელი მოიხადეს და გათავისუფლდნენ ბანაკებიდან და ციხეებიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ან ვისაც სასჯელის ვადა დაუმთავრდა ომის დროს და დატოვეს ბანაკები და ციხეები ომის დასრულებამდე. ეს პირები დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალი იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენისთვისაც უკვე ჰქონდათ სასჯელი მოხდილი. განმეორებითი რეპრესიების ინიციატორი იყო საბჭოთა კავშირის უშიშროების მაშინდელი მინისტრი ვიქტორ აბაკუმოვი. 1947 წლის 27 ივლისს უშიშროების ორგანოებს მან მისცა განკარგულება არქივებიდან ამოეღოთ მასალები ყოფილ ტროცკისტებზე, მემარჯვენეებზე, ესერებზე და უკვე არარსებულ პარტიებსა

და დაჯგუფებებზე. ჩატარებული საქმიანობის შესახებ ვ. აბაკუმოვმა მოახსენა იოსებ სტალინს და ანდრეი ჟდანოვს. მისი ინფორმაციით, ადრეგასამართლებული პირები, რომელთაც უკვე მოხდილი ჰქონდათ სასჯელი, ასევე მათთან დაახლოებული პირები, ისევ აგრძელებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას და თითქოსდა ქმნიდნენ საიდუმლო დაჯგუფებებს. 1948 წლის ბრძანების შესაბამისად გათვალისწინებული იყო სპეციალური რაიონების შექმნა კოლიმაში, კრასნოიარსკის მხარეში, ნოვოსიბირსკის ოლქში და ყაზახეთის სსრ-ში, სადაც თავმოყრილი იქნებოდა გადასახლებულთა უმრავლესობა და დაწესდებოდა შედარებით მკაცრი რეჟიმი.

1948 წლის დირექტივების საფუძველზე, საგანგებო სათათბიროებმა 1953 წლის 1 სექტემბრამდე (ანუ მის გაუქმებამდე) გადასახლებაში გაგზავნა 20272 ადამიანი. 1953 წლის 17 სექტემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: „უსაფუძვლო გასამართლების და შემდგომში მათი რეაბილიტაციის მიზნით აუცილებლობად ვთვლით გადაიხედოს ყველა საარქივო- საგამოძიებო მასალა, რომელიც განიხილა საგანგებო სათათბირომ 1945 წლიდან მის გაუქმებამდე. ასევე 1948 წლის დირექტივის საფუძველზე გადასახლებულების საქმეები“ (**Реабилитация А А 2000:74**).

აქ გამოჩნდა დადგენილების შეზღუდულობა. 1945 ივნისამდე მიღებული გადაწყვეტილებების სპეციალურად გადახედვა კომისიამ მიზანშეუწონლად ჩათვალა, რადგან „დიდ სამამულო ომამდე საგანგებო სათათბიროების უფლებები შეზღუდული იყო (შრომა-გასწორების ბანაკებში 8 წლით გაგზავნა). გასამართლებულებს ვადა ამოეწურათ, ხოლო დიდი სამამულო ომის პერიოდში საგანგებო სათათბიროების მოთხოვნები სამხედრო საჭიროებებს იყო მორგებული.

ამრიგად, საგანგებო სათათბიროების გაუქმება და მის მიერ განხილული საქმეების ხელახალი გადახედვა, ატარებდა შეზღუდულ ხასიათს. კანონიერების აღდგენა არ ეხებოდა 1945 წლის ივნისამდე გასამართლებულებს ანუ 335444 ადამიანს. 166408 ადამიანის საქმე სამხედრო საჭიროებას მორგებულად გამოცხადდა, ხოლო 8 წლით შრომა-გასწორების ბანაკებში ათასობით ადამიანის გაგზავნა მხოლოდ შეზღუდულ უფლებად ჩაითვალა. საბოლოოდ, კომისიას უნდა გადაეხედა მხოლოდ 87668 მსჯავრდებულის საქმისთვის.

ლავრენტი ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილებას თითქოს უნდა დაეჩქარებინა უკანონოდ გასამართლებულთა საქმეების გადახედვის და შესაბამისად რეაბილიტაციის

პროცესი, მაგრამ თვეები გავიდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 1954 წლიდან, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ლიდერობა გამოიკვეთა, დაიწყო „სოციალისტური კანონიერების“ აღდგენის ახალი ეტაპი. ნ. ხრუშჩოვი ლენინგრადის პარტიულ აქტივთან შეხვედრისას აცხადებდა: „საჭიროა მშვიდად შეფასდეს არსებული მდგომარეობა, რათა შეცდომების გამოსწორებისას არ იქნას დაშვებული ახალი შეცდომები“ (**Реабилитация А 2000: 129**).

ნიკიტა ხრუშჩოვმა პირველ რიგში დაიწყო „ლენინგრადელების საქმეში“ დაპატიმრებულ პირთა საქმეების გადახედვა. მკვლევართა აზრით,ნ. ხრუშჩოვმა კარგად აითვისა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სტალინური მეთოდები, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ მაკომპრომეტირებელი მასალების გამოყენებას გულისხმობდა. „ლენინგრადელების საქმის“ გამოძიება და მათ მიმართ სამართლიანობის აღდგენა კომპრომეტირებულს ხდიდა გიორგი მალენკოვს, რომელიც ერთ-ერთი დამნაშავე იყო ნიკოლაი ვოზნესენსკის, ალექსი კუზნეცოვის და მათი მეგობრების სიკვდილში. ეს კი ნიკიტა ხრუშჩოვის ავტორიტეტის ზრდას უწყობდა ხელს.

ლენინგრადის პარტიულ აქტივთან შეხვედრისას ნიკიტა ხრუშჩოვი შეეხო 1937-1938 წლების ზოგიერთი საქმის გადახედვის, შეცდომების გამოსწორების აუცილებლობას, კოლექტიური ხელმძღვანელობის უპირატესობას, იოსებ სტალინის მმართველობის ბოლო წლებში დაშვებულ შეცდომებს: „ბოლო წლებში ავადმყოფობის გამო სტალინი ხშირად იცვლიდა ხასიათს და შეხედულებებს. ამით სარგებლობდნენ ბერიასა და აბაკუმოვის ტიპის ავანტიურისტები“ (**Реабилитация А 2000:130**).

ნ. ხრუშჩოვს, ისევე როგორც ლ. ბერიას, ამოძრავებდა სუბიექტური მიზეზები დაეწყო სტალინის მმართველობის დროს მომხდარი დანაშაულების გამოსწორება. ეს იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის და საკუთარი პასუხისმგებლობიდან თავის არიდება.

§2. რეაბილიტაციის პროცესის ახალი ეტაპი

ხელისუფლებისათვის ბრძოლისა და საკადრო ცვლილებების პარალელურად გრძელდებოდა ცნობილი ადამიანების რეაბილიტაციის პროცესი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში რეგულარულად შედიოდა წერილები რეპრესირებულთა რეაბილიტაციის მოთხოვნით მათი ნათესავებისა და ახლობლების ან რომელიმე ორგანიზაციის მხრიდან (აქაც გამოჩნდა ამ პროცესის არათანმიმდევრული ხასიათი. ვისაც არ ჰყავდა ახლობელი, ის შეიძლება რეაბილიტაციის მიღმა

დარჩენილიყო.). მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ყველა გადაწყვეტილებას იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. „ის გახდა უმაღლესი სასამართლო ორგანო. სამართალი ქვეყანაში ექვემდებარებოდა არა კანონს, არამედ ცენტრალურ კომიტეტს“ (**Мухин 2007:14**).

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. 1953 წლის 16 ივლისით თარიღდება ლევან ღოღობერიძის დის, ელენე ღოღობერიძის წერილი, რომლის ადრესატიც არის ანასტას მიქოიანი. ანალოგიური წერილით მიუმართავს ნიკიტა ხრუშჩოვისა და გიორგი მალენკოვისთვისაც. ელენე ღოღობერიძე ითხოვს ძმის ბედის გარკვევას, რადგან 17 წელია მის შესახებ არაფერი სმენიათ (დააპატიმრეს ქ. როსტოვში 1937 წელს) „იხსენით ლევანი, თუკი ის ისევ ცოცხალია, მას შეუძლია ბევრი რამისთვის ფარდის ახდა, რადგან ადამიანები, რომლებიც მოწმენი არიან ლავრენტი ბერიას კარიერის ადრინდელი პერიოდის, ცოტანი დარჩნენ ცოცხლები. თუკი დაიღუპა, მაშინ იხსენით მისი სახელი, სახელი პატიოსანი ბოლშევიკისა, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა პარტიასა და ქვეყანას. არ ვიცი, რა ფაქტები და რა გზით აღიარებინეს მას. მაგრამ ლევანი იმან განსაჯოს, ვინც არ იცის ის მეთოდები, რომელსაც იყენებდა ლავრენტი ბერია თავისი კარიერისათვის საშიში ადამიანების მოსაშორებლად“ (**Реабилитация А 2000:60**). 1954 წლის 23 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორ რ. რუდენკოს განეხილა ეს განცხადება და 1954 წლის 6 მარტს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ლევან ღოღობერიძის რეაბილიტაციის შესახებ. 1956 წელს, პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ლ. ღოღობერიძე აღადგინეს პარტიის რიგებში. ლევან ღოღობერიძის შვილი, ცნობილი კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე თავის წიგნში იხსენებს მოსკოვში, სტუდენტობის დროს ანასტას მიქოიანთან შეხვედრას და მის მიმართ გამოჩენილ მზრუნველობას. ა. მიქოიანის დამოკიდებულებას დაღუპული მეგობრის შვილის მიმართ მატერიალური შედეგიც ჰქონია. ფრუნზეს სანაპიროზე, მინისტრთა საბჭოს სახლში, ლანა ღოღობერიძისთვის მიუციათ ერთოთახიანი ბინა მამის რეაბილიტაციის გამო, ლევან ღოღობერიძის მოსკოვური ბინის სანაცვლოდ (**ღოღობერიძე 2019:217**).

საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი სარეაბილიტაციო დადგენილება სამ ქართველ მწერალს: მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს და პაოლო იაშვილს ეხება.

ქეთევან ჯავახიშვილი იგონებს, რომ როცა გაუგია ტიციან ტაბიძის მეუღლის მიერ გიორგი მალენკოვისადმი წერილის გაგზავნის შესახებ, 1953 წლის 27 დეკემბერს გ.მალენკოვის სახელზე წერილი მასაც გაუგზავნია. მთავარი სამხედრო პროკურატურიდან მიუღია შეტყობინება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის საქმე მოწმდებოდა და შედეგებს დამატებით აცნობებდნენ. ითხოვდნენ წერილობით დამატებით ინფორმაციასაც. წერილს ხელს აწერდა სამხედრო პროკურორი,იუსტიციის პოდპოლკოვნიკი კუზმინი. ქეთევანი პირადად შეხვედრია მოსკოვში სამხედრო პროკურორს და წერილობითაც გადაუცია ინფორმაცია ლავრენტი ბერიასა და მიხეილ ჯავახიშვილს შორის უსიამოვნების ფაქტების შესახებ. მოსკოვშივე შეხვედრია გოგლა ლეონიძეს, რომელიც თავის ძმის – ლევან ლეონიძის რეაბილიტაციის საკითხს არკვევდა (ლ. ლეონიძე დახვრიტეს 1937 წელს, შალვა ოდილავაძის ტერორისტული დაჯგუფების წევრობის ბრალდებით ა.კ.). მთავარ სამხედრო პროკურორს, პოლკოვნიკ ლობიშევს, რომელსაც დავალებული ჰქონია ეს საქმე, მოუძებნია და მოწმის სახით დაუკითხავს უკვე პენსიაში მყოფი, მიხეილ ჯავახიშვილის საქმის უშუალო გამომძიებელი მიხეილ გიორგის ძე ნაცვლიშვილი, რომელიც „წარჩინებული სამსახურისთვის“ ლავრენტი ბერიას დაუწინაურებია და სამუშაოდ მოსკოვში გადაუყვანია.

„ჩვენმა გაგზავნილმა განცხადებებმა ეს მივიწყებული საქმე აღძრა, ახალმა ხელმძღვანელობამ კი სტალინის დაშვებული შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტა. მათ ჩვენს მიმართ მარტო კეთილშობილური გრძნობა კი არ ამოძრავებდათ, ძირითადად სტალინის პოლიტიკის დაგმობა იყო მთავარი მიზანი. ჩვენ კი ბედმა გაგვიღიმა, რომ უდანაშაულო ხალხის რეაბილიტაცია განიზრახეს“ (**ჯავახიშვილი1991:428**).

მოსკოვიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს მწერალთა კავშირში შეკითხვა გამოუგზავნიათ იმ მწერლების თაობაზე, რომლებიც 1937 წელს იყვნენ დაპატიმრებულები. „იმ დროს ჩვენი მთავრობა კარგად არ იცნობდა მამას შემოქმედებას და საქმეს როგორც მოახსენებდნენ და ურჩევდნენ, ისე მოიქცეოდნენ. ირაკლი აბაშიძეს უთქვამს ვასილ მჟავანაძისათვის – ისტორია თქვენ ამ დიდ ამაგსა და კეთილ საქმეს არ დაგიკარგავთ. ამ სამი მწერლის სახელი (მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი) უნდა აღადგინოთ. ისინი უდანაშაულოდ დასჯილნი არიან“ (**ჯავახიშვილი1991:428**).

1954 წლის 4 მაისს საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ამონაწერში მწერლების მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის,

პ.იაშვილის შესახებ ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომამ გადახედა და შეისწავლა რა 1937 წელს დაპატიმრებულ და დახვრეტამისჯილი მწერლების საქმეები, ასევე მწერალ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი, დაადგინა, რომ მ. ჯავახიშვილი და ტ.ტაბიძე დაუსაბუთებლად, სისხლის სამართლებრივი საქმეების პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით წაყენებული ბრალდებით იქნენ დაპატიმრებულები. ურთიერთგამომრიცხავია როგორც მსჯავრდებულების, ასევე ამ საქმესთან დაკავშირებული დაკითხული მოწმეების ჩვენებები. მ. ჯავახიშვილი და ტ. ტაბიძე მოგვიანებით გამომჟღავნებული სამშობლოს მტრების – ს. გოგლიძის, ბ. ქობულოვის, ნ. კრიმიანის და სხვების მიერ იქნენ დაპატიმრებულები. ისინი საქმის კვლევის პროცესში დაპატიმრეული მწერლების წინააღმდეგ ბინძურ მეთოდებს იყენებდნენ. პ. იაშვილმა თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც ცენტრალურ კომიტეტში ლავრენტი ბერიამ დაიბარა. მანამდე კი წერილი დატოვა. წერილში საკუთარ უდანაშაულობაზე და იმ სიცრუეზე საუბრობდა, რომელიც სამშობლოს მტრებმა მის სახელთან დაკავშირებით შეთითხნეს. მათი ნაწარმოებები 1937 წელს აიკრძალა, როგორც სამშობლოს მტრების შემოქმედება. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა ადგენს: გადაწყეტილ იქნას მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის რეაბილიტაციის საკითხი. მათ შემოქმედებაზე მოიხსნას აკრძალვა და გაგრძელდეს ამ ნაწარმოებების გამოცემა“ (**ყიფშიძე 2015:181**). ამის შემდეგ ეს მოთხოვნა უკვე საიდუმლო გრიფით მოსკოვში გაიგზავნა.

1954 წლის ლიტერატურული ცხოვრების მთავარი მოვლენა იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე ყრილობა (30 VI - 03. VII), რომელიც ირაკლი აბაშიძემ გახსნა. ყრილობას ესწრებოდნენ რეპრესირებული მწერლების ოჯახის წევრები.ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. თავისი სიტყვის დასასრულს მან აღნიშნა: „ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ, რომლებიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით არკვევს თუ როგორ დასწამეს ცილი, დასდეს მსჯავრი, შეურაცხყვეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. არკვევს,

რათა თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი.საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებულები არიან“ (**მჟავანაძე 1954:6**). საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 26.06.1954 წლის განჩინებით, მიხეილ ჯავახიშვილის და ტიციან ტაბიძის საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (**სტალინური 2013**).

ნიტა ტაბიძის მოგონებიდან: „როცა კრებაზე ვასილ მჟავანაძემ გამოაცხადა ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი რეაბილიტირებულები არიანო, მამის გადასახლების შემდეგ დედა პირველად ვნახე ბედნიერი. მას მუდამ სჯეროდა რომ მამა ცოცხალი იყო. ერთი ბოთლი ღვინო ჰქონდა გადანახული და ამბობდა, როგორც ჩამოვა, მაშინ უნდა გავხსნაო. იმ დღეს ჩვენს პატარა ოთახში პოეტები მოვიდნენ, მათ შორის ბორის პასტერნაკიც იყო და ის ღვინო დალიეს“ (**კახაძე 2000:261**).

მიხეილ ჯავახიშვილი, ისევე როგორც პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე აღადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრების უფლებებში 1934 წლიდან. 1955 წლის 11 იანვარს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახებს საავტორო უფლებებიც აღუდგინეს. მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახს დაუბრუნეს კუთვნილი ბინა თბილისში, ელბაქიძის № 21-ში. ასევე გადაუხადეს ბინიდან წაღებული ნივთების საფასური. ტიციან ტაბიძის ოჯახს ახალი ბინა მისცეს გოგებაშვილის ქუჩაზე (**ჯავახიშვილი1991:484**).

ქართული მწერლების, მეცნიერების, სამხედროების, სხვა წარჩინებული თუ უბრალო მოქალაქეების მსგავსად, თეატრის რეპრესირებული მოღვაწეების სახელებიც დაუბრუნდა ქართულ საზოგადოებას და კულტურას.

1955 წლის 6 ივლისს სამხედრო პროკურორმა, პოლკოვნიკმა ა. ცუმაროვმა წარმოადგინა დასკვნა სანდრო ახმეტელის და მისი საქმის მიხედვით რეპრესირებული რუსთაველის თეატრის თანამშრომლების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია: „ვთვლი, რომ ამ საქმით გასამართლებული ყველა პირის მიმართ წაყენებული განაჩენი უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად და საქმე შეწყდეს მასში დანაშაულის არარსებობის გამო“ (**კლდიაშვილი 2008:39**). 1956 წლის 11 თებერვალს კი საბჭოთა კავშირის უზენაესი

სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ მოხდა რუსთაველის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის, რეპრესირებულ ალ. ახმეტელის და ამავე თეატრის თანამშრომლების. პლატონ კორიშელის, ელგუჯა ლორთქიფანიძის, ია ქანთარიას, ივანე ლაღიძის, თამარ წულუკიძის, ბუჟუჟა შავიშვილის და ნინო ღვინიაშვილის რეაბილიტაცია (**კლდიაშვილი 2008:44**).

რუსთაველის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა პავლე კანდელაკმა თამარ წულუკიძე (სანდრო ახმეტელის მეუღლე, მისჯილი ჰქონდა 10 წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით ა. კ.) დააბრუნა თეატრში. ჯერ კიდევ 1952 წლის 25 ნოემბერს თ. წულუკიძე ლ. ბერიას ქართულად სწერდა: „ამ ცივ შორეულ ქვეყანაში გადასახლებულმა, უთვისტომოდ და უსახლკაროდ, ჩემს თავს ნება მივეცი შეგაწუხოთ და უდიდესი მოწიწებით მოგმართოთ თხოვნით“. მსახიობი ითხოვდა საქართველოში დაბრუნებას და სიმართლის გარკვევას. საჩივარი განიხილეს 1953 წლის 14 იანვარს და უარი ეთქვა თხოვნაზე.

საქართველოში დაბრუნებულმა თამარ წულუკიძემ აღდგენილ სპექტაკლში „ოჯახი“ ითამაშა. „თეატრი გაივსო მაყურებლით. საოცარი მღელვარე წუთები იყო. წულუკიძის გმირში ასოცირდებოდა მისი ბედი და ეს კიდევ უფრო დრამატულს ხდიდა სიტუაციას. ისედაც დაძაბული იყო ატმოსფერო. ბევრი იყო თამარ წულუკიძის მაყურებელი, ბევრიც რეპრესირებული ოჯახებიდან. თაობა ტკივილს განიცდიდა“ – იგონებს ვასილ კიკნაძე, იმ დროს რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე (**კიკნაძე 1992:122**).

თამარ წულუკიძმ მალე დედის როლი შეასრულა ვ. გაბესკირიას პიესაში „გურიის მთები დაუთოვია“. ახალი რეაბილიტირებული იყო სპექტაკლის რეჟისორი კუკური პატარიძე (დააპატიმრეს 1941 წელს ა. კ.). სპექტაკლი მოხსნეს პოლიტიკური მოტივით. ცენზურისათვის მიუღებელი აღმოჩნდა პიესის შინაარსი და ტენდენცია. პიესაში გადმოცემული იყო ქართველი ემიგრანტის ბედი, რომელსაც მოენატრა თავისი დედისა და სამშობლოს ნახვა. ჩამოვიდა ღამით ფარულად. დედა მას სხვებზე მალავს. განიცდის, როგორ მოიქცეს. ცენზურას კი სურდა შვილის ჩამოსვლა უმალვე ეცნობებინა შესაბამისი ორგანოებისთვის. „თითქოს კლიმატი თანდათან იცვლებოდა, მაგრამ ჯერ ისევ ძლიერი იყო ინერციის ძალა“ (**კიკნაძე 1992:122**).

1956 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაიბეჭდა სანდრო ახმეტელის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია, ფოტო და სურათები მისი სპექტაკლებიდან

(„საქმიანი კაცი“ და „ინ ტირანო“). სტატიაში საუბარია სანდრო ახმეტელის დამსახურებაზე თეატრის ისტორიაში: „სანდრო ახმეტელი დიდად ნიჭიერი შემოქმედი იყო, რომელიც კოტე მარჯანიშვილთან ერთად, თავდადებით ემსახურებოდა ახალი ქართული თეატრის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს. მან დიდი ამაგი დასდო არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა თეატრალური კულტურის აყვავების საქმეს საერთოდ“ (**სანდრო 1956: 11**).

რეაბილიტაციის პროცესის დროს ხშირი იყო შემთხვევები, როცა რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს, სასჯელის რეალურ ზომას არ ეუბნებოდნენ. 1939 წლიდან იმ პირთა ნათესავებს, რომლებიც დაიხვრიტნენ საგანგებო სათათბიროების და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, უშიშროების სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორეულებისა და სამეულების გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები პასუხობდნენ, რომ გასამართლებულები იყვნენ 10 წლის ვადით მიმოწერის უფლების გარეშე. რადგანაც უკვე გასული იყო 10 წელზე მეტი ,მსგავსი პასუხები ნათესავებსა და ახლობლებს აღარ აკმაყოფილებდათ. ხელისუფლებას კი არ სურდა რეპრესიების რეალური მასშტაბების გამოაშკარავება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და პროკურატურამ 1954 წელს სასჯელის რეალური ზომის გაცხადების შესახებ სინამდვილის გამხელა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინადადებით მიმართეს სიკვდილით დასჯილთა ნათესავებისათვის ზეპირი ფორმით განეცხადებინათ. რომ გასამართლებულები დაიღუპნენ პატიმრობაში ყოფნის დროს. ასეთი პასუხები შეეძლოთ მიეღოთ რეპრესირებულთა უშუალო ნათესავებს: მშობლებს, ქმარს ან ცოლს, შვილებს.გარდაცვალების ცნობა ეძლეოდათ მმაჩის ბიუროში (მაგალითისთვის იხ. დანართი №1). შესაბამისი დოკუმენტაცია დაეხმარებოდათ ზოგიერთი უფლებრივი და ქონებრივი საკითხის მოგვარებაში. გასამართლებულთა შესახებ ცნობების გაცემის უფლებამოსილება გააჩნდა უშიშროების კომიტეტს, მილიციას, სამხედრო კოლეგიას. (საბოლოო დირექტივა ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა მიიღო 1955 წლის აგვისტოში) (**Реабилитация А 2000:254**). ვახუშტი კოტეტიშვილი იგონებს, თუ როგორ ატყუებდნენ წლების მანძილზე, რომ მამამისი, ვახტანგ კოტეტიშვილი ცოცხალი იყო და გადასახლებაში იხდიდა სასჯელს.

მაგრამ „რეაბილიტაციის დროს, როდესაც თითქოს სიმართლე აღიარეს, მაინც ვერ გაძლეს ტყუილის გარეშე და გვამცნეს: გარდაიცვალა 1942 წელს, ფილტვების ანთებით“ (**კოტეტიშვილი 2005: 240**). ერთი ასეთი ცნობა გაცემულია 1956 წლის 4 იანვარს ნიკოლო მიწიშვილის საქმესთან დაკავშირებითაც, რომლის მიხედვით მწერალი გარდაცვლილა 1939 წლის 23 იანვარს, მაგრამ იმავე საქმეში პატარა კონვერტში დევს ცნობა: განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში 1937.13 VII (**კვერენჩხილაძე 2007: 390**).

რეპრესიების მსხვერპლთა და შემდგომ რეაბილიტირებულთა ქონების დაბრუნების საკითხიც პრობლემატური იყო. ფინანსური ორგანოების არქივები, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების შესახებ ინფორმაცია ან არ იყო შენარჩუნებული (ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე) ან ზოგიერთი განადგურებული იყო შენახვის ვადის გასვლის გამო. ამიტომაც ეყრდნობოდნენ მხოლოდ უშიშროების ორგანოებში არსებული მასალების მონაცემებს.

კონფისკაციისა და ქონების დაყადაღების დროს ირღვეოდა კანონი, ამიტომაც ხშირად ქონების შეფასება ვერ ხერხდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა 1937-1939 წლებში ჩატარებულ მასობრივ წმენდას, როცა: დაპატიმრებულთა ბინები ილუქებოდა მასში არსებული ქონების აღწერის გარეშე. დალუქულ ქონებაზე მეთვალყურეობა ეკისრებოდათ პირებს, რომლებსაც მატერიალური პასუხისმგებლობის აღება არ შეეძლოთ ამ ქონების შენახვაზე (მეეზოვეები, დარაჯები).

საჭირო კონტროლი ამ ქონებაზე ან გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებაში არ ხდებოდა. ამიტომაც ხშირი იყო დატაცებები.

ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ხვდებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს საწყობებში, სადაც ინახებოდა უწესრიგოდ და არ იყო აღნუსხული, რასაც ასევე თან სდევდა ძარცვა. ამისათვის კი არავის ისჯებოდა (**Реабилитация В 2000:183**). სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა სერგო გოგლიძემ განაცხადა, რომ დაპატიმრებულთა ძვირფასი ნივთები ექვემდებარებოდა კონფისკაციას და გადაეცემოდა შინსახკომის სპეციალურ მაღაზიებს, საიდანაც შინსახკომის თანამშრომლები ყიდულობდნენ (**Попов 1991:317**).

ამოღებული ქონების აღწერა არსებული ნივთების დახასიათების გარეშე ხდებოდა, წიგნებზე კი მხოლოდ რაოდენობას მიუთითებდნენ. ქონების ამოღება რიგ შემთხვევებში ხდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იმ დროს, როცა სასამართლოს დადგენილება ეხებოდა მსჯავრდებულის მხოლოდ პირადი

ქონების კონფისკაციას. უმრავლესობა შეფასდა რეალურ ფასზე ნაკლებად. არსებული დარღვევების გამო რეაბილიტირებული პირები ხშირად აპროტესტებდნენ ამას საჩივრებითა და წერილებით და მოითხოვდნენ ქონების შეფასებას არსებული ფასების მიხედვით (**Реабилитация В 2000:182**).

როცა მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახის წევრებს ჩამოაწერინეს წაღებული ნივთების სია და დაჰპირდნენ მისი საფასურის გადახდას, ქეთევან ჯავახიშვილმა აცნობა მათი ოჯახიდან წაღებული რამდენიმე ნივთის ადგილსამყოფელი (შინსახკომის თანამშრომლების ოჯახებში იყო) ამაზე კი მიუგეს, რომ ცოტა უხერხულია ოჯახებში შევიდეთ და თქვენი ნივთები გამოვიტანოთო (**ჯავახიშვილი1991:485**).

ვახტანგ კოტეტიშვილის რეაბილიტაციის ცნობა მართალია 1956 წელს მოვიდა, მაგრამ 1961 წლამდე მათი კუთვნილი ბინის დაბრუნების საკითხი გადაუწყვეტელი იყო. რაიონის მოსამართლეს განცხადება ბინის დაბრუნების თაობაზე უკან გამოუტანებია. მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ დაბრუნებულან კოტეტიშვილები საკუთარ ბინაში. „უკანონოდ ჩამორთმეული ბინის კანონიერად დაბრუნებაში კიდევ ფულს ითხოვდნენ“ – იგონებს ვახუშტი კოტეტიშვილი (**კოტეტიშვილი 2005:246**).

უშიშროების კომიტეტი და ფინანსთა სამინისტრო ერთობლივად სწავლობდნენ იმ საკითხს, რომელიც ეხებოდა კონტრრევოლუციურ დანაშაულში მსჯავრდებულ და შემდგომ რეაბილიტირებულთა ქონების დაბრუნებას.

სკკპ-ის XX ყრილობის შემდეგ, იოსებ სტალინის თეორიული და პრაქტიკული შეცდომების გასაჯაროებამ, რეაბილიტაციის მომდევნო ეტაპს დაუდო სათავე.

საქართველოში 1937-1938 წლების მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა დახვრეტილია. (სტალინური 2013). ცალკეული პირების სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაცია ხდება სწორედ 1956 წლის შემდეგ. განჩინება რეაბილიტაციის შესახებ გამოაქვს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კოლეგიას, საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს, აჭარის და აფხაზეთის ასსრ-ების უზენაესი სასამართლოების პრეზიდიუმს.

აღნიშნული პროცესების მიუხედავად, ხელისუფლება არ მოერიდა სტალინის კრიტიკით გამოწვეული საპროტესტო მოძრაობის მონაწილეთა დარბევას. 1956 წლის 9 მარტს, თბილისში საბჭოთა არმიის ნაწილებმა ტანკებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით იერიში მიიტანეს დემონსტრანტებზე. ოფიციალური სამთავრობო

დოკუმენტების მიხედვით, ეს იყო საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის, დაწესებულებების და წარმოების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის გადადგმული ნაბიჯი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1956 წლის 10 ივლისს მიიღო დადგენილება „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ“ და 1956 წლის 5-დან 9 მარტის ჩათვლით თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში განვითარებული მოვლენები შეაფასა როგორც ნაციონალისტური და მტრული ელემენტების მიერ მოწყობილი პროვოკაცია (**Реабилитация В 2000:150-152**).

რეაბილიტაციის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმართა 1957 წლის 22-29 ივნისს. პლენუმამდე და მისი მუშაობის დღეებში გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლებისთვის. პარტიულ ხელმძღვანელობაში მწვავე კამათს თან სდევდა წარსულზე აპელირება. პლენუმზე წამოიჭრა საკითხი ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩის, გ. მალენკოვის, კ. ვოროშილოვის სისხლიან რეპრესიებში პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ განიხილებოდა მხოლოდ პრეზიდიუმის იმ წევრთა საკითხი, რომლებიც გამოდიოდნენ ახალი ლიდერის კრიტიკით. ლაზარ კაგანოვიჩის პირდაპირ შეკითხვას მონაწილეობდა თუ არა მასობრივ რეპრესიებში, ნიკიტა ხრუშჩოვმა თავი აარიდა. იმ ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამი წლის წინ ნიკიტა ხრუშჩოვს ლავრენტი ბერიას საწინააღმდეგო კამპანიაში, ახლა ბრალს სდებდნენ განხეთქილებაში, ცენტრალურ კომიტეტთან დაპირისპირებაში, 1937-1938 წლების სისხლიან დანაშაულში მონაწილეობაში.პლენუმმა განიხილა საკითხი გ.მ. მალენკოვის, ლ.მ. კაგანოვიჩის და ვ.მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

„როგორცახლადადგენილია,მალენკოვი,კაგანოვიჩი,მოლოტოვიპერსონალურად პასუხისმგებლები არიან მასობრივ რეპრესიებზე და მსგავს ქმედებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში. ეკავათ რა მაღალი თანამდებობები, ცდილობდნენ წაეშალათ დანაშაულებრივი ქმედებების კვალი და გაქცეოდნენ პასუხისმგებლობას. ანტიპარტიული ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში“. პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება: გამოიყვანა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხანაგები გ.მ. მალენკოვი, ლ.მ. კაგანოვიჩი, ვ.მ. მოლოტოვი; მოხსნა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივნობიდან და

გამოიყვანა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის კანდიდატობიდან და სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხანაგი შეპილოვი (**Реабилитация В 2000:273**).

1957 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ, რეაბილიტაციის პროცესი შეჩერდა. გადახედილ საქმეთა რაოდენობა კლებულობდა, ვიწროვდებოდა განსახილველ საკითხთა წრე. რეაბილიტაციის ტემპის შეჩერებაში გარკვეული როლი ითამაშა შემდეგმა გარემოებამაც. რეპრესიებში დამნაშავეთა ნაწილი ჩამოშორდა ხელისუფლებას. ნიკიტა ხრუშჩოვისათვის აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას რეაბილიტაციის პროცესი გამოეყენებინა ერთპიროვნული ლიდერობისათვის.

§3. კონტრრევოლუციურ დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის კომისიის შექმნა

1954 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში გიორგი მალენკოვისა და ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე შევიდა რომან რუდენკოს, ივანე სეროვის, კონსტანტინე გორშენინის, სერგეი კრუგლოვის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმადაც საქმეების გადახედვისა და აუცილებელი დადგენილებების მიღების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს შექმნილიყო ცენტრალური კომისია საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, საბჭოთა კავშირის იუსტიციის მინისტრის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილის, სასჯელაღსრულების სამმართველოს უფროსის, საბჭოთა კავშირის პროკურატორის სპეციალურ საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის, საბჭოთა არმიის მთავარი სახედრო პროკურატურის განყოფილების უფროსის, საბჭოთა არმიის მთავარი სამხედრო პროკურორის, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის, იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს უფროსის თანაშემწის, საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სარევიზიო სამმართველოს უფროსის, საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს სპეცსასამართლოების უფროსის შემადგენლობით (**Реабилитация А 2000:116-117**).

უკანონოდ გასამართლებულთა სწრაფი რეაბილიტაციის მიზნით

მიზანშეწონილად მიიჩნიეს შეცვლილიყო საქმეთა გადახედვის არსებული წესი, რომლის თანახმადაც საგანგებო სათათბიროების, სამხედრო კოლეგიებისა და სამეულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გადაიხედებოდა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში. ამჯერად გასამართლებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეები განხილული უნდა ყოფილიყო ამ პირთა გასამართლების ადგილზე. მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში უნდა შექმნილიყო კომისიები შემდეგი შემადგენლობით: პროკურორი (რესპუბლიკების, მხარის, ოლქის), რომელიც უხელმძღვანელებდა კომისიას. კომისიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსი, იუსტიციის მინისტრი. ცენტრალურ კომისია სხდომებზე განიხილავდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სათათბიროების და გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიების მიერ გასამართლებულ პირთა საქმეებს. რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომისიები კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კომისიებს საქმეების განხილვის დროს უკანონო გადაწყვეტილებების, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის, გადასახლებაში უსაფუძვლო გაგზავნის აღმოჩენის შემთხვევაში გამოჰქონდათ დასკვნა. დასკვნის შესაბამისად შესაძლებელი იყო: ა. ძველი დადგენილების გაუქმება და პირის სრული რეაბილიტაცია; ბ. დანაშაულის გადაკვალიფიცირება და სასჯელის ვადის შემცირება; გ. 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება „ამინისტიის შესახებ“ გამოყენება. თუკი ადრე მიღებულ დადგენილებას კომისია ჩათვლიდა მართებულად, ამის შესახებაც უნდა ეცნობებინათ მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის მიხედვით. კომისიის გადაწყვეტილება იყო საბოლოო. იმ პირთა საქმეები, რომლებიც გაასამართლა სასამართლო ორგანოებმა და მათი გადაწყვეტილებები კომისიამ შეცვალა ან გააუქმა, განიხილებოდა შესაბამის სასამართლო ინსტანციებში კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (**Реабилитация А 2000:117**).

ცენტრალურ კომისიას უნდა დაემტკიცებინა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომისიების შემადგენლობა. ინსტრუქტაჟი გაეწია მათი მუშაობისთვის, მიეწოდებინა გასამართლებულ პირთა პერსონალური სიები – კოლონიებიდან, ბანაკებიდან, საპყრობილეებიდან. ასევე ინფორმაცია ვინ, როდის,სისხლის სამართლის რომელი მუხლით იქნა დაპატიმრებული, რა ვადა მიესაჯა და სად იხდიდა სასჯელს.

1954 წლის 4 მაისს სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ცენტრალური და ადგილობრივი კომისიების შექმნის შესახებ, რომელთაც უნდა გადაეხედათ „კონტრრევოლუციონერთა“ საქმეებისთვის (**Реабилитация А 2000:117**). საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1954 წლის 15 მაისს ჩაატარა სხდომა „კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა გამო გასამართლებულ პირთა საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობის დაწყების შესახებ“. შეიქმნა რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: მიხეილ თოფურიძე – საქართველოს სსრ-ის პროკურორი (თავმჯდომარე), ვლადიმერ ჯანჯღავა – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსი ინაური – საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ვალერიან მამალაძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი (**ბოლშევიკური 2015:289**).

1954 ივნისში პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ-ის კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა გამო გასამართლებულ პირთა საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივის №8 ფონდში დაცულია ამ კომისიის მუშაობის ამსახველი 23 სხდომის აღწერილობა (ოქმი) 1954 წლის ივნისიდან 1955 წლის სექტემბრამდე. არქივში არ მოიპოვება 1954 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეებში კომისიის მუშაობის მასალები, შესაბამისად აღწერილობაც არასრულია.

კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა გამო გასამართლებულ პირთა საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის სხდომები ტარდებოდა თვეში 2 ჯერ ან 3 ჯერ, ყოველთვიურად. კომისიის თავმჯდომარე მოხსენებით ბარათს გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად აგზავნიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის სახელზე. რესპუბლიკური კომისიის სხდომების ოქმები და მოხსენებითი ბარათები შესრულებულია რუსულ ენაზე. ყველა სხდომის ოქმს ახლავს კომისიის წევრთა და თავმჯდომარის ხელმოწერა, სხდომის ჩატარების თარიღი და მოკლე ინფორმაცია განხილული საკითხების შესახებ. კერძოდ: გასამართლებულთა გვარი, სახელი მამის სახელი (ზოგჯერ მხოლოდ ინიციალები), საგამოძიებო-საარქივო საქმის ნომერი (გვხვდება შემთხვევები როცა არ არის მითითებული), გასამართლების წელი, განაჩენის გამომტანი ორგანო, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი და დანაშაულის კვალიფიკაცია. თითოეულ საქმეს ჰყავდა მომხსენებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ან უშიშროების ორგანოების პასუხისმგებელი პირების სახით.

მითითებულია კომისიის დასკვნა და შესაბამისი დასაბუთება.

საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რომან რუდენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პერიოდულად აგზავნიდა ანგარიშს ცენტრალური და რესპუბლიკური კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ანგარიშში ვხვდებით ინფორმაციას ქართული კომისიის მიერ გადახედილი საქმეების რაოდენობის შესახებ შექმნის დროიდან 1955 წლის აპრილამდე. ვიგებთ, რომ რესპუბლიკურ კომისიას გადაუხედავს 1738 სისხლის სამართლის საქმისთვის და მხოლოდ 68 შემთხვევაში მიუღია გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. უმრავლეს შემთხვევაში ხდება სასჯელის ვადის შემცირება.

რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომისიების მუშაობის შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რომან რუდენკო პროკურორებთან შეხვედრის დროს საუბრობდა იმის შესახებ, რომ ქვეყანაში იკლო კონტრრევოლუციურმა დანაშაულმა, რაც იყო საბჭოთა ხალხის მორალურ- პოლიტიკური ერთიანობისა და ლავრენტი ბერიასა და მისი თანამზრახველების ჯგუფის გამოაშკარავების შედეგი. ამასთან მიუთითებდა, რომ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დასჯილთა საქმეების გადახედვის დროს, არ უნდა დაევიწყებინათ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლის ამოცანა, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყანას.

1953 წელთან შედარებით 50-ჯერ გაზრდილა შემოსული თხოვნებისა და საჩივრების რაოდენობა. რ. რუდენკო აქცენტს აკეთებს კომისიების წევრთა მხრიდან სიფხიზლისა და შრომისმოყვარეობის გამოჩენაზე, რათა დასაბუთებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული. გენერალური პროკურორი ყურადღებას ამახვილებს კომისიების მუშაობის დროს გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, მთელ რიგ შემთხვევებში, როცა ძველი განაჩენი ძალაში რჩება, არ არის შემოწმებული მომჩივანთა მოსაზრებები. გენერალური პროკურორი ასევე აღნიშნავდა, რომ აღიარებები ხშირად ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ იყო მიღებული და მათზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა.

იყო შემთხვევები, როცა საქმის მასალების მიხედვით პირს ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური აგიტაცია. კომისია ასკვნიდა, რომ მსგავსი ქმედება მიზნად არ ისახავდა კონტრრევოლუციურ ჩანაფიქრს, როცა არსებული მასალებით ეს არ დგინდებოდა და არც მოწმდებოდა. ასევე ხდებოდა სასჯელის ზომის შემცირება მაშინ, როცა გამოტანილი განაჩენი შეესაბამებოდა დანაშაულს (**Реабилитация А 2000:170**).

თავი III. კონტრრევოლუციურ დანაშაულისთვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობა

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი პირველი სხდომა ჩაატარა 1954 წლის 12 ივნისს. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. სხდომას ესწრებოდნენ რესპუბლიკური კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე.

სხდომაზე განიხილეს კონტრრევოლუციურ დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საკითხები:

1. ვსევლოდ ანდრიას ძე ლევჩენკო (საქმე, №82949/14906). გასამართლებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის დადგენილებით 1938 წლის 5 მაისს და მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მისი დაპატიმრების და გასამართლების საფუძველი გახდა შემდგომში სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებული ვინმე გულოვის ჩვენება, რომ ვსევლოდ ლევჩენკო იყო იმ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელიც მოქმედებდა კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. მომხსენებელმა, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორის თანაშემწემ განსაკუთრებულ საქმეებში, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ე. მგელაძემ რესპუბლიკური კომისიის სხდომის წევრებს წარუდგინა საქმის მასალები, რომლითაც ირკვევა, რომ 1935 წელს ინდუსტრიული ინსტიტუტის პარტიულ კრებაზე განიხილებოდა ვინმე ჩხეიძის პარტიიდან გარიცხვის საკითხი, რადგან ის მატერიალურად ეხმარებოდა პატიმრობაში მყოფ მამას. ჩხეიძეს მხარი დაუჭირა ვ. ლევჩენკომ, რომელმაც განაცხადა, რომ შვილები მამის დანაშაულისათვის პასუხს არ აგებენ. სწორედ ეს გამოსვლა ჩათვალა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა კონტრრევოლუციურად. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით კი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ ვ. ლევჩენკოსადმი წაყენებული ბრალდება იყო უსაფუძვლო, საქმის მასალებში არ ჩანდა მისი კონტრრევოლუციონერობის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები. შესაბამისად, ვსევლოდ ლევჩენკოს საქმის

წარმოება შეწყდა.

2. ნიკოლოზ სოლომონის ძე ალოღიშვილი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წლის 15 ოქტომბერს 10 წლიანი პატიმრობა მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკში. ის გასამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-10 და 59-11 მუხლებით და ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის წევრობა საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში. დაპატიმრების საფუძველი გახდა მოწმე ჩიკაძის ჩვენება.

მომხსენებელმა ე. მგელაძემ რესპუბლიკური კომისიის სხდომის წევრებს წარუდგინა საქმის მასალები, რომლითაც ირკვევა, რომ ჩიკაძე იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელ კაკაბეთში. ის ანიავებდა საკოლმეურნეო ქონებას. ამის შესახებ რაიონის ხელმძღვანელობას არაერთხელ მიმართა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბეგიაშვილმა, მაგრამ უშედეგოდ. მეტიც, ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავადაც მოითბო ხელი ჩიკაძესთან ერთად. რადგანაც ხელმძღვანელობისგან დახმარება ვერ მიიღეს, ბეგიაშვილმა შექმნა ჩიკაძის საწინააღმდეგო ჯგუფი, რომელშიც კოლმეურნეობის 8 წევრი და მათ შორის ნიკოლოზ ალოღიშვილიც შევიდა. სწორედ ეს ჯგუფი ჩათვალეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებლებმა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულად. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, საქმეში არ არის არანაირი ფაქტი, რომელიც ამ ჯგუფის საქმიანობის პოლიტიკურ ხასიათზე მიუთითებდა. შესაბამისად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ჩაითვალა უსაფუძვლოდ და საქმე დაიხურა.

3. იასონ ალექსის ძე შვანგირაძე (საქმე №701425-25717) დაბადებული 1890 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ გვიშტიბში. გლეხი, დაოჯახებული. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქუთაისში სანიტარულ-ჰიგიენური მაღაზიის გამგედ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა გაასამართლა 1938 წლის 14 დეკემბერს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორებით ბანაკში. დაპატიმრებისთანავე გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან, რომლის წევრიც იყო 1917 წლიდან. მომხსენებელ მგელაძის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით, 1927-1929 წლებში იასონ შვანგირაძე იყო ქუთაისში მოქმედი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი. მას ევალებოდა

ორგანიზაციის ფილიალების შექმნა ქუთაისის რაიონის სოფლებში. 1935 წელს უმასპინ-ძლა გადასახლებიდან დაბრუნებულ ტროცკისტ დავით ლორთქიფანიძეს, სადილზე მასთან ერთად იყვნენ ასევე ტროცკისტები ჟორჟოლიანი, მაჭავარიანი და სხვები. იასონ შვანგირაძე კონტრრევოლუციურ საქმიანობას თავადაც აღიარებს და არსებობს მოწმეთა (ჟორჟოლიანისა და მაჭავარიანის) ჩვენებებიც. ამიტომ იასონ შვანგირაძის საჩივარი რესპუბლიკურმა კომისიამ არ დააკმაყოფილა.

4. ბაჰრამ ნასიბ ოღლი გიუნაშევი. ახალციხის მკვიდრი, ეროვნებით თურქი. გასამართლდა 1937 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილებით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მას ბრალად ედებოდა: სახელმწიფო ქონების მითვისება, კავშირი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან, საბჭოთა წყობილების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა და კავშირი თურქეთის დაზვერვასთან. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება, თუმცა რა მტკიცებულებების საფუძველზე, არ ჩანს.

5. ვალერიან სიმონის ძე ხომასურიძე (საქმე №42668). დაბადებული 1904 წელს, ონის რაიონის სოფელ ხირსონისის მცხოვრები, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისში ეკონომისტად. 1938 წლის 14 მარტს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა დაადანაშაულა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. როგორც მისი საქმის მომხსენებელმა, მილიციის მაიორმა კარაპეტიანმა რესპუბლიკური კომისიის წინაშე განაცხადა, ვალერიან ხომასურიძეს ბრალად ედებოდა 1936 წლიდან კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ორგანიზაციასთან კავშირი. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ტერორისტული აქტების მოწყობა საბჭოთა ხელმძღვანელების, კერძოდ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ. რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ვალერიან ხომასურიძის ბრალეულობა არ დასტურდება, რადგან მოწმეთა ჩვენებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ირიბი. მოწმე ნიჟარაძეს და სვანიძეს, ხომასურიძის საქმიანობის შესახებ შეუტყვიათ მოქალაქე ჯავახაძე და კოხაიასაგან (რომელთა გადაბირება თავის მხრივ ხომასურიძეს მიეწერება). ეს უკანასკნელნი კი არც იყვნენ დაკითხული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

სამეულის მიერ. ასევე არ დაუკითხავთ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებად მიჩნეული ფულარიანი და ნინიკაშვილი, რომლებსაც ვითომდა ანგარიშს აბარებდა ვალერიან ხომასურიძე. თავად მსჯავრდებულიც კატეგორიულად უარყოფს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან კავშირს. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის დადგენილება გააუქმა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

6. ივანე ქრისტეფორეს ძე როზენდორფი (საქმე. №635034). ქალაქ სოხუმის მცხოვრები, 1938 წლის 29 სექტემბერს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-13 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. როგორც მისი საქმის მომხსენებელმა მილიციის მაიორმა კარაპეტიანმა განაცხადა, ბრალად ედებოდა: სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელებთან კავშირი და ანტონ დენიკინის არმიის კონტრდაზვერვის სამსახურში ყოფნა, ასევე სოხუმში სისტემატურად ანტისაბჭოთა აგიტაციის გაწევა.

დაპატიმრების საფუძველი გახდა მოქალაქე ეძგვერაძის ჩვენება. ეძგვერაძე აცხადებდა, რომ ივანე როზენდორფს 1918 წლიდან იცნობდა და როცა რევოლუციური საქმიანობისათვის ეძგვერაძე დაუპატიმრებიათ, ის დაუკითხავს სწორედ როზენ-დორფს. მოწმე ეძგვერაძე თავის ჩვენებებში იმოწმებდა სხვა პირებსაც, რომლებმაც არ დაადასტურეს ეძგვერაძის ჩვენება. მოწმე იონათოვი აცხადებდა, რომ იცნობდა მსჯავრდებულს 1908 წლიდან და რომ ის არასდროს არ ყოფილა თეთრგვარდიელებთან დაკავშირებული. რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, ერთი მოწმის ჩვენება არ არის საკმარისი ბრალეულობის დასამტკიცებლად. ამიტომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება, როგორც დაუსაბუთებელი, გაუქმდა.

7. შაკირ სულეიმანის ძე ბერიძე. მილიციის თანამშრომელი, მცხოვრები ქედის რაიონში. გასამართლდა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-17მუხლებითდაშინაგანსაქმეთასახალხოკომისარიატისსამეულისგადაწყვეტილებით 1937 წლის 4 ოქტომბერს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1948 წლის 26 ოქტომბრის დირექტივის საფუძველზე, ის ხელმეორედ დააპატიმრეს და გაგზავნეს ქალაქ ჯამბულში. როგორც მისი საქმის მომხსენებელმა, მილიციის მაიორმა კარაპეტიანმა განაცხადა, შაკირ ბერიძეს ბრალად ედებოდა ის ფაქტი,

რომ ცეცხლსასროლი იარაღი გადასცა და იფარებდა პოლიტიკურ დამნაშავე ჩხეიძეს. ეს ბრალდება თავად შაკირ ბერიძემაც დაადასტურა და ასევე სამმა მოწმემ, რომლებიც სხვა საქმეზე იყვნენ გასამართლებულები. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩათვალა მართებულად.

8. მოსე ანდრიას ძე რამიშვილი (საქმე №42333 1938 წელს და საქმე №2788500 1949 წელს). ის აღნიშნულ დროს იმყოფებოდა სპეცჩასახლებაში კრასნოიარსკის მხარეში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ქალაქ ბათუმში. იყო უპარტიო, უმაღლესი განათლებით, ეკონომისტი. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წლის 18 თებერვალს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. როგორც მისი საქმის მომხსენებელმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №1 საპყრობილის უფროსის მოადგილემ ოპერატიულ დარგში მაიორმა ტარიელაშვილმა განაცხადა, მოსე რამიშვილის დაპატიმრების მიზეზი გამხდარა მხოლოდ ერთი მოწმის, იმ დროისთვის უკვე დახვრეტილი მიხეილ კოპალიანის ჩვენება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მათი დაპირისპირება არ მომხდარა და არც რაიმე ფაქტი ჩანს კონტრრევოლუციურ საქმიანობასთან მოსე რამიშვილის კავშირის შესახებ. მსჯავრდებულს დაკითხვისას განუცხადებია, რომ 1922-1924 წლებში იყო „ახალგაზრდა მარქსისტულ ორგანიზაციაში“. რომელიც ოფიციალურად დაუტოვებია 1924 წელს და მას შემდეგ არცერთ ორგანიზაციაში არ გაწევრიანებულა. დაუსაბუთებელი ბრალდების გამო, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა.

9. ოგანეს კარაპეტის ძე ზადიკიანი (საქმე №22125). ქალაქ გაგრის მცხოვრები, სკკპ-ის წევრობის კანდიდატი, გლეხი, დაწყებითი განათლებით. აღნიშნულ დროს იმყოფებოდა გადასახლებაში კრასნოიარსკის მხარეში. როგორც მისი საქმის მომხსენებელმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოპერრწმუნებულმა, უფროსმა ლეიტენანტმა დერბინინმა განაცხადა, ოგანეს ზადიკიანს ბრალი წაუყენეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით. გასამართლებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ 1937 წლის 15 სექტემბერს კონტრრევოლუციურ-დაშნაკური ორგანიზაციის წევრობისთვის.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულის წინააღმდეგ ჩვენება მიუცია მხოლოდ ერთ მოწმეს, რომელსაც თავის მხრივ სხვისგან გაუგია, რომ ოგანეს ზადიკიანი იყო კონტრრევოლუციურ-დაშნაკური ორგანიზაციის წევრი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის უსაფუძვლო, რადგან საქმეში დასახელებული ბრალდებები არ დასტურდება.

10. ილია კონსტანტინეს ძე კვირკველიძე (საქმე №16126). დაბადებული 1894 წელს, მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში. იყო მენშევიკური პარტიის წევრი. მისი საქმის შესახებ მომხსენებელი იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის 4-ე განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული კაპიტანი ძაგნიძე. ილია კვირკველიძის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მას ბრალად ედებოდა მენშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობა. მისი მონაწილეობით 1922 წელს ტერორისტული აქტის შედეგად მოუკლავთ სოფელ სუფსის მილიციის უფროსი. 1923 წელს ის მიმალულა და იმყოფებოდა ჯერ სოხუმში, შემდეგ მოსკოვში. 1930 წელს მოსკოვიდან დაბრუნებული აირჩიეს სოფელ ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, თუმცა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და 1932 წლიდან დაპატიმრებამდე მუშაობდა ვაკიჯვარში აგროტექნიკოსად. ამასთან ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას ციტრუსების მოყვანის საქმეში და გამოირჩეოდა ანტისაბჭოთა გამონათქვამებით. 1937 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა და 10 წლით გადაასახლა შრომა-გასწორების ბანაკში. 1939 წლის 11 სექტემბერს ილია კვირკველიძის საჩივრის საფუძველზე გადაიხედა მისი საქმე. დამატებითი მასალების შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ ის მართლაც იყო მენშევიკური პარტიის წევრი, ახასიათებდა ანტისაბჭოთა, ანტისაკოლმეურნეო გამონათქვამები და ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას. ამიტომაც მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

რესპუბლიკური კომისია დაეყრდნო თავად ი. კვირკველიძისა და მოწმე თხილაშვილის ჩვენებას, რომლითაც მსჯავრდებული მართლაც იყო მენშევიკური პარტიის წევრი, მაგრამ ორგანიზაციულ საქმიანობას არ ეწეოდა. არც მისი კონტრრევოლუციური საქმიანობა დასტურდება. რაც შეეხება მავნებლობას, როგორც ვაკიჯვრის სოფლსაბჭოს ოფიციალური ცნობიდან ირკვევა, ეს იყო უფრო საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, რომელიც გადაკვალიფიცირდა როგორც მავნებლობა. რესპუბლიკურმა კომისიამ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ მიიჩნია.

11. რუბენ ნაუმის ძე ვაინბერგი (საქმე №1643). მისი საქმის მასალები რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე წარმოადგინა საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა შინგაზდილოვმა. რუბენ ვაინბერგი იყო ეროვნებით ებრაელი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. მიღებული ჰქონდა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი ბერლინის აღებისათვის და სამთავრობო ორდენი ვარშავის გათავისუფლების 1949 წელს ის დაადანაშაულეს იმაში, რომ დაწერა ანტისაბჭოთა შინაარსის ანონიმური წერილი და გაუგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს. წერილში ის წერდა, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო სიტყვის თავისუფლება და მშრომელებს არ ჰქონდათ არანაირი პირობები. 1950 წელს უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით გაასამართლა და 7 წლით შრომა-გასწორების ბანაკში გადასახლება მიუსაჯა. დაკავებულმა აღიარა წერილის ავტორობა, რაც დადასტურდა კალიგრაფიული ექსპერტიზითაც. რადგანაც ანტისაბჭოთა ხასიათის ანონიმური წერილის შინაარსი არ გავრცელებულა მოსახლეობაში, რესპუბლიკურმა კომისიამ უმაღლესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება ჩათვალა მკაცრად რუბენ ვაინბერგის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ, 7 წლით განსაზღვრული სასჯელის ვადა შეიცვალა 5 წლიანი ვადით და მსჯავრდებულს შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტს მიღებული ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

12. სარქის აკოფის ძე მარქოსიანი (საქმე №2033). ეროვნებით სომეხი, თბილისელი მეწაღე. 1950 წელს უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ ბრალი დასდო ანტისაბჭოთა აგიტაციაში. რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, შესაძლებელი იყო მხედველობაში მიეღოთ მისი ასაკი, ასევე ის ფაქტი რომ 3 წელი და 6 თვე უკვე იხდიდა ციხეში სასჯელს და შეემცირებინათ სასჯელის ვადა 5 წლამდე. მაგრამ, რესპუბლიკურმა კომისიამ ასევე საჭიროდ ჩათვალა სარქის მარქოსიანის წარსული ცხოვრების და საქმიანობის დამატებითი შესწავლა. ამიტომ, საქმე დროებით მოიხსნა განხილვიდან.

13. ლიდია კონსტანტინეს ასული პოლტორაცკაია (საქმე №2837/4314). როგორც საქმის მომხსენებელმა მგელაძემ განაცხადა, ლიდია პოლტორაცკაია ჯერ კიდევ 1940 წელს იყო გასამართლებული საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მისჯილი ჰქონდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

შრომა-გასწორების ბანაკში. 1944 წელს ვადამდე გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო. 1952 წელს საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ისევ გაასამართლა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ლიდია პოლტორაცკაიას ბრალი წაუყენეს იმაში, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, არ მალავდა თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და აღტაცებით საუბრობდა ცარისტული რუსეთის კულტურაზე.

რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულის ანტისაბჭოთა საქმიანობა მისი საქმის მასალებიდან არ იკვეთება. მოწმეთა ჩვენებებში გარდა იმისა, რომ მსჯავრდებული შალიაპინზე და საბინოვზე საუბრობდა, სხვა ხელშესახები ფაქტი მის კონტრრევოლუციონერობას რომ დაადასტურებდა, არ ჩანს. აქედან გამომდინარე, გაუქმებულად ჩაითვალა ლიდია პოლტორაცკაიას მიმართ საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (**სშსსა 1:3-18**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მეორე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 19 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური

სხდომაზე მომხსენებლებმა წარმოადგინეს კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებულ შემდეგ პირებთან დაკავშირებული საკითხები:

1. ანტონ გრიგოლის ძე ელოევი (საქმე №2859). საქმის მომხსენებელი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის პოდპოლკოვნიკი პავლოვი. მისი ინფორმაციით, დაბადებული 1918 წელს ლენინგორის რაიონის სოფელ აბრევში დაბადებული ანტონ ელოევი, საბჭოთა არმიაში მსახურობდა 1939-1942

წლის იანვრამდე და 1945 წლის იანვრიდან 1947 წლის აპრილამდე. დაპატიმრებამდე მუშაობდა ვაგონგამცილებლად თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკში. 1952 წლის 13 მარტს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. ამასთან, სამხედრო ტრიბუნალმა ჩამოართვა უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება და ყველა სამთავრობო ჯილდო. (გერმანიაზე გამარჯვების, იაპონიაზე გამარჯვების, პრაღის გათავისუფლებისათვის და წითელი ვარსკვლავის ორდენი.)

ანტონ ელოევს ბრალად წაუყენეს ის ფაქტი, რომ ვორონეჟის ფრონტზე, როგორც სამხედრო შენაერთის მეთაურმა მოიხსნა სამხედრო წოდების ნიშნები და წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაბარდა ტყვედ გერმანელ დამპყრობლებს. იმყოფებოდა რა ტყვედ პოლონეთის ტერიტორიაზე, 1943 წლის მაისში შევიდა გერმანული არმიის ჩრდილო-კავკასიური ნაციონალური ლეგიონის 749-ე ოსურ სამხედრო დივიზიაში. აქ მან დადო ფიცი, გაიარა სამხედრო-ტექნიკური მომზადება და დაიკავა განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა. 1943 წლის აგვისტოში საბერძნეთში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში. 1943 წლის დეკემბერში ლეგიონის სხვა წევრებთან ერთად გადავიდა ბერძენი პარტიზანების მხარეს და მათთან მსახურობდა ექვსი თვის განმავლობაში. რეპატრირებული იყო საბჭოთა კავშირში. შემოწმების დროს დამალა თავისი სამსახური გერმანული არმიის ჩრდილო-კავკასიურ ლეგიონში.

რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე მომხსენებელმა პავლოვმა განაცხადა. რომ საქმის მასალებით და სასამართლო გამოძიებით დადგენილია ანტონ ელოევის დანაშაული, რომელსაც თავადაც აღიარებს და ასევე არსებობს მოწმე კომარზოევის ჩვენებაც. ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ ის ექვსი თვის მანძილზე იბრძოდა პარტიზანების მხარეს და 1943 წლის დეკემბრიდან ისევ ებრძოდა გერმანელ დამპყრობლებს, რისთვისაც არაერთი სამხედრო ჯილდო ჰქონდა მიღებული. აქედან გამომდინარე, 58-1 მუხლი შეიცვალა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და 25 წლიანი პატიმრობა შეეცვალა 15 წლიანი პატიმრობით შრომა-გასწორების ბანაკში.

2. მიხეილ თევდორეს ძე ზობკო. (საქმი მომხსენებელი მაიორი ჟვანია) გასამართლებული იყო საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 54-11 მუხლების საფუძველზე და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა 25 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. მიხეილ ზობკო 1952 წლის ოქტომბრიდან მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.. მისი შენაერთი იმყოფებოდა სსრკ-ირანის საზღვარზე. მიხეილ ზობკოს დედისთვის შეუტყობინებია, რომ აპირებდა საზღვრის გადაკვეთას და არგენტინაში გაქცევას მამასთან და ძმასთან. საქმის მასალებში არსებობს მიხეილ ზობკოს მიერ არგენტინაში მამისა და ძმისადმი გაგზავნილი წერილები, რომელიც საქმის მომხსენებელ ჟვანიას განცხადებით იყო ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა ხასიათის.მიხეილ ზობკო მხარს უჭერდა ნაციონალისტურ იატაკქვეშა ორგანიზაციების მუშაობას და უკმაყოფილებას გამოთქვამდა კოლექტივიზაციის მიმართ.

რესპუბლიკურმა კომისიამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიხეილ ზობკოს ბრალეულობასთან დაკავშირებით ჩათვალა მართებულად.

3. რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე მომხსენებელმა მაიორმა ჟვანიამ წარმოადგინა კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა გივი ანდრიას ძე წილოსანს და ალექსი ვასილის ძე კვინიკაძეს.

ორივე მათგანი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წლის 6 მარტს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლით და მიესაჯათ 25 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვა.

გ. წილოსანი და ა. კვინიკაძე 1941-1942 წლებში მსახურობდნენ საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წელს ჩავარდნენ ტყვედ გერმანელებთან და ჩაირიცხნენ გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში. მათ დადეს ფიცი გერმანიის ერთგულებაზე და სამი თვის მანძილზე გადიოდნენ სამხედრო მომზადებას. გ. წილოსანს ეკავა განყოფილების უფროსის, ხოლო ა. კვინიკაძეს სამხედრო შენაერთის უფროსის თანამდებობა. 1943 წლის მაისიდან ორი თვის მანძილზე ისინი ბრიანსკის და ბობრუისკის ოლქებში იბრძოდნენ პარტიზანების წინააღმდეგ. ამ ოპერაციების დროს გივი წილოსანმა მიიღო უნტერ-ოფიცრის წოდება, მაგრამ მალე შემჩნეულ იქნა პარტიზანებთან გაქცევის მცდელობაში

და 1945 წლამდე, ანუ ანგლო-ამერიკული ჯარების მოსვლამდე, დაკავებული იყო გერმანელებთან.

ალექსი კვინიკაძე აგრძელებდა გერმანელებთან თანამშრომლობას და მონაწილეობდა საბჭოთა მოქალაქეების გერმანიაში გადასახლებაში. შემდეგ გაიგზავნა საფრანგეთში, სადაც ებრძოდა ადგილობრივ პარტიზანებს. 1944 წელს, ფრანგმა პარტიზანებმა დააპატიმრეს, საიდანაც მალე გაიქცა და მოტყუებით შეუერთდა საბჭოთა პარტიზანებს.

გ. წილოსანისა და ა. კვინიკაძის დანაშაულს მოწმეების ჩვენებებით და თავად მსჯავრდებულების აღიარებითაც დადასტურებულად მიიჩნევს რესპუბლიკური კომისია. ამავე დროს, რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებები გივი წილოსანთან დაკავშირებით. კერძოდ: ის ცდილობდა პარტიზანებთან გაქცევას, რისთვისაც დააკავეს გერმანელებმა. ლეგიონში სამსახურის დროს საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიაში, დაამთავრა ინსტიტუტი, დაიცვა დისერტაცია (იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი) და ეწეოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას. აქედან გამომდინარე სასჯელი გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და 25 წლიანი პატიმრობა შეეცვალა 10 წლიანი პატიმრობით შრომა-გასწორების ბანაკში.

რაც შეეხება ალექსი კვინიკაძეს, მის მიმართ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელი ჩაითვალა მართებულად.

4. მსჯავრდებული ნ. პ. ხაინდრავა (საქმე №1649). მომხსენებელი იუსტიციის პოდპოლკოვნიკი მორეინისი. ნ. ხაინდრავა გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის ბ ქვეპუნქტით 1950 წლის 29 მარტს. მას მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებული 1940 წლის თებერვლიდან 1941 წლის სექტემბრამდე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წელს გერმანელთა ტყვეობაში მყოფი შევიდა ბატალიონ „ბერგმანის“ შემადგენლობაში. ნ. ხაინდრავამ დადო ფიცი გერმანელთა ერთგულებაზე და 1942 წლის აგვისტოდან-დეკემბრამდე მონაწილეობდა ნალჩიკის რაიონში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელების მარცხის შემდეგ ნ. ხაინდრავამ უკან დაიხია გერმანულ ნაწილებთან ერთად და 1943

წლის სექტემბერში საფრანგეთში მყოფი შევიდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. ომის დასასრულს შემოწმების მიზნით იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ზანდეში საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონაში. 1945 წელს ნ. ხაინდრავა გაიქცა აღნიშნული ბანაკიდან ჰოლანდიაში. როცა მსახურობდა „ბერგმანში“ შეიცვალა გვარი და სახელი და გახდა შალვა ჭელიძე. ამ გვარით აგრძელებდა გერმანელებთან სამსახურს. მოგვიანებით ჭელიძის სახელზე მიიღო რეპატრიანტის ცნობა ჰოლანდიაში, საბჭოთა კავშირის საკონსულოში. საბჭოთა კავშირში დაბრუნებულმა შეცვალა მოწმობა და მიუთითა თავისი ნამდვილი გვარი. როგორც საქმის მომხსენებელმა განაცხადა რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე, ნ. ხაინდრავას საქმიანობის შესახებ საქმეში ფიგურირებს მოწმეთა ჩვენებები და დანაშაული აღიარა თავად ხაინდრავამაც. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება მართებულად ჩაითვალა.

5. ლავრენტი ავქსენტის ძე გოგოხია (საქმე №3597/ 8787). 1953 წლის 10 დეკემბერს გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში. ამასთან, სასჯელის მოხდის შემდეგ, 3 წლით ერთმეოდა საარჩევნო უფლება. ლ. გოგოხია დაპატიმრებამდე მუშაობდა გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში სასადილოს გამგედ. მას ბრალი ედებოდა, რომ 1953 წლის 23 ივლისს სასადილოში დალია ლავრენტი ბერიას ჯანმრთელობის სადღეგრძელო, ამართლებდა მას და გამოთქვამდა სურვილს, რომ ლავრენტი ბერიას ისევ დაეჭირა ძველი ადგილი. თანამეინახეების წინააღმდეგობის მიუხედავად, მან ბოლომდე დალია სადღეგრძელო. რესპუბლიკურმა კომისიამ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება მართებულად ჩათვალა და განაჩენი ძალაში დატოვა.

6. ბიჭიკო მაქსიმეს ძე გვაზავა (საქმე №2867/8749). გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1952 წლის 1-3 მარტს და საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1952 წლის 2-3 აპრილს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით. მას ბრალად ედებოდა მთვრალ მდგომარეობაში მყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, უცენზურო გამონათქვამები მილიციის მისამართით, ხალხის ბელადის და საბჭოთა კანონების ლანძღვა. როგორც ბიჭიკო გვაზავას საქმის მომხსენებელმა მგელაძემ განაცხადა, მასალების გაცნობის შემდეგ,

ხუთი მოწმიდან მხოლოდ ორმა დაადასტურა ძველი ჩვენება ბ. გვაზავას მხრიდან ანტისაბჭოთა გამონათქვამების თაობაზე. თავად ბ. გვაზავა თავს დამნაშავედ ცნობდა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში.რესპუბლიკურმა კომისიამ ადრე მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა. რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წაყენებულ მუხლი არ შეესაბამებოდა ბ. გვაზავას მიერ ჩადენილ ქმედებას.

7. ლეონიდ ტიმოთეს ძე ფურცოვი. ქალაქ ფოთის მცხოვრები. 1950 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ლეონიდ ფურცოვს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. კერძო საუბრებში ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას არსებული წყობილების მიმართ.

განმეორებითი გამოძიების დროს მოწმეებმა უარყვეს ადრე მიცემული ჩვენებები და აღნიშნეს, რომ ისინი გაყალბებული იყო და მუქარის ქვეშ დაწერილი. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ლეონიდ ფურცოვის ბრალეულობასთან დაკავშირებით ჩაითვალა არამართებულად და საქმის წარმოება შეწყდა.

8. სიმონ გარის ძე შულცი.პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი 1950 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა 5 წლის ვადით. ს. შულცი იყო რეპრესირებული მამის შვილი. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1941 წლიდან (ანუ 16 წლის ასაკიდან) ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, ლანძღავდა საბჭოთა ხელმძღვანელობას და სურდა შეექმნა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია. ამის შესახებ წერდა თავის დღიურებში. მამის სიკვდილში (რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ გარდაიცვალა სახლში) ადანაშაულებდა საბჭოთა მთავრობას.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სიმონ შულცის დანაშაულებრივი საქმიანობა დადასტურებულია როგორც მისი პირადი, ისე მოწმეთა ჩვენებებით. ამიტომ საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალა

მართებულად.

9. პოლიკარპე პავლეს ძე კუჭავა. (საქმე №7834). 1937 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა და მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ის მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე. პ. კუჭავას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მცდელობა.

როგორც საქმის მომხსენებელმა, მაიორმა კარაპეტიანმა განაცხადა, პ. კუჭავა მხოლოდ ერთი მოწმის-მოქალაქე გეგეჭკორის ჩვენების საფუძველზე იყო დაპატიმრებული. თავად პ. კუჭავას განცხადებით, ის ჩათრეული იყო გეგეჭკორის მიერ კონტრრევოლუციურ -ტროცკისტულ ორგანიზაციაში, მაგრამ რაიმე პრაქტიკული ხასიათის საქმიანობა არ უწარმოებია. ამასთან წინააღმდეგობები შეინიშნება მათ ჩვენებებში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, რადგანაც პირდაპირი მტკიცებულება პ. კუჭავას კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ საქმის მასალებიდან არ იკვეთება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება შეწყდა.

10. დანიელ ივანეს ძე ზაზაშვილი (საქმე №18129). შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ 1937 წლის 25 სექტემბერს გასამართლებული, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლის თანახმად მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. როგორც საქმის მომხსენებელი მაიორი კარაპეტიანი აცხადებს, დანიელ ზაზაშვილს ბრალი ედებოდა კონტრრევოლუციურ-მენშევიკური ორგანიზაციის წევრობაში. თავად დ. ზაზაშვილი უარყოფს აღნიშნულ ბრალდებას და მოწმეთა ჩვენებებიც წინააღმდეგობრივია, არ შეიცავს კონტრრევოლუციური საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებს. განათლების არქონის გამო, ხელიც კი არ აქვს მსჯავრდებულს დაკითხვის ოქმზე მოწერილი. საქმეში დასახელებულ მოწმეებსა და დ. ზაზაშვილს შორის დაპირისპირება არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული განაჩენი გაუქმებულად ჩაითვალა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

11. აკაკი ნიკოლოზის ძე მეძმარიაშვილი. (საქმე №11359). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს

სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.

ჯერ კიდევ 1929 წელს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამ-მართველოს მიერ „ახალგაზრდა მარქსისტების კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში“ საქმიანობისათვის, აკაკი მემმარიაშვილს მიესაჯა 3 წლით გადასახლება.1935 წელს ის დაუკავშირდა მენშევიკ ხაფავას, როდონაიას, ასათიანს, სოფრომაძეს. შეკრებების დროს ისინი გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, აკრიტიკებდნენ საბჭოთა კანონებს. აკაკი მემმარიაშვილის კონტრრევოლუციური საქმიანობის დადასტურებად, რესპუბლიკურმა კომისიამ საკმარისად ჩათვალა მოწმეთა ჩვენებები და თავად მსჯავრდებულის აღიარებაც. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

12. ზაქირ დურსუნის ძე ხალვაში.მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და აჭარის მიერთება თურქეთთან. 1937 წლის 15 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა ზაქირ ხალვაში გაასამართლა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. დაპატიმრების მიზეზი გახდა მოქალაქე ვარშანიძის ჩვენება, რომელიც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. ვარშანიძის განცხადებით, მას არ ახსოვს თუ ვისთან ილაპარაკა აჭარის თურქეთთან მიერთებაზე, ხოლო ზაქირ ხალვაშს შეხვდა რამდენჯერმე ორგანიზაციულ საკითხებზე. არსებობს სხვა მოწმის ჩვენებაც, რომლითაც ზ. ხალვაშის გადმობირება მომხდარა 1935 წელს. ზაქირ ხალვაში უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მოწმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივია და არ არის გამყარებული კონკრეტული ფაქტებით. ამიტომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ზაქირ ხალვაშის ბრალეულობასთან დაკავშირებით ჩაითვალა უსაფუძვლოდ.

13. გიორგი გრიგოლის ძე ხაჩატუროვი. 1937 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლიანი პატიმრობა შრომა გასწორების ბანაკში

1939 წელს გიორგი ხაჩატუროვს მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის საქმის

გადახედვის შესახებ,, მაგრამ უშედეგოდ. ამჯერად, რესპუბლიკურმა კომისიამ შეწყვიტა გ. ხაჩატუროვის საქმის წარმოება და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ჩათვალა უსაფუძვლოდ.

14. სარქის აკოფის ძე მარქოსიანი. მისი საქმის მასალების შესწავლა რესპუბლიკური კომისიის წინა სხდომაზე გადაიდო. ის გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1950 წლის დეკემბერში, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. სარქის მარქოსიანს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, საბჭოთა სინამდვილისა და პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. სარქის მარქოსიანმა აღიარა თავისი დანაშაული და აღნიშნა, რომ ეს ხდებოდა სიმთვრალეში და კონტროლს ვერ უწევდა თავის გამონათქვამებს. რესპუბლიკურმა კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იყო მეტისმეტად მკაცრი. ამიტომ სასჯელის 7 წლიანი ვადა შეუმცირდა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ (**სშსსა 2 :20-38**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მესამე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 29 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ილია ფილიპეს ძე ბაკლარი, ეროვნებით ბულგარელი. 1942 წელს ნებაყოფლობით გადასულა გერმანულ პოლიციაში. 1944 წელს გაქცეულა ბულგარეთში და მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც დაიჭრა კიდეც. 1950 წელს საკასაციო საჩივრით მიუმართავს, მაგრამ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას უცვლელად დაუტოვებია განაჩენი. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მისი სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში და დაპატიმრებამდე ქარხანაში

კეთილსინდისიერი სამსახური და ამიტომ 25 წლიანი პატიმრობა შეუცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.

2. ბრონისლავ ფრანცის ძე რიხლიკი, ეროვნებით პოლონელი, 1944 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა.

3. დომნა პეტრეს ასული სავინა-ჟუკოვსკაია, გასამართლებული იქნა ამიერკავ-კასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით, მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით და 3 წლით საარჩევნო უფლებების ჩამორთმევით.

ბრონისლავ რიხლიკს ბრალად ედებოდა სსრკ-ს ტერიტორიაზე გერმანული დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობა. ბათუმში პოლონელებთან ანტისაბჭოთა აგიტაცია და მათი მომზადება თურქეთში ემიგრაციისთვის. დომნა სავინა კი იყო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი აჭარის რეგიონში და მას ბრალად ედებოდა რიხლიკის საქმიანობის შესახებ შესაბამისი ორგანოებისათვის კონტრრევოლუციური დანაშაულის შეუტყობინებლობა. 1954 წელს ბ. რიხლიკი აგზავნის წერილს სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, ითხოვს საქმის გადახედვას და აშშ-ს საელჩოს კი სთხოვდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მისი აშშ-ში გამგზავრების თაობაზე, რადგან თავს თვლიდა არა საბჭოთა კავშირის, არამედ აშშ-ს ქვეშევრდომად ამასთან ის აღნიშნავდა, რომ უსამართლოდ იყო მსჯავრდებული სამშობლოს ღალატისათვის, რადგან საბჭოთა კავშირს არ თვლიდა თავის სამშობლოდ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ბრონისლავ რიხლიკისა და დომნა სავინა-ჟუკოვსკაიას დანაშაული დადასტურებულია, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები შესაბამისობაშია ჩადენილ დანაშაულთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაც მართებულია.

4. სტეპან ივანეს ძე კორჩევი, ეროვნებით უკრაინელი, რომელიც დაპატიმრე-ბამდე ცხოვრობდა ტყვარჩელში. უკრაინის სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 მუხლით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მას ბრალად ედებოდა 1942 წლიდან გერმანელებთან სამსახური და ბრძოლა საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ. სტეპან

კორჩევის საქმეზე დაიკითხნენ მოწმეებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალის 1951 წლის გადაწყვეტილება ჩათვალა მართებულად.

5. კონსტანტინე ივანეს ძე ძოწენიძე 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. 5 წლით შეეზღუდა საარჩევნო უფლებები და ჩამოერთვა უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1944 წელს ჩავარდა ტყვედ და დაკითხვის დროს გერმანელებს გაუმხილა ინფორმაცია საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო ავიაციის შესახებ. ასევე თავისი პოლკის დისლოკაციის ადგილი, თვითმფრინავების რაოდენობა, საავიაციო ქარხნების ადგილმდებარეობა.

გამოძიების მასალების მიხედვით, რესპუბლიკურმა კომისიამ დადასტურებულად ცნო კონსტანტინე ძოწენიძის მიერ სამშობლოს ღალატი. ამის მიუხედავად, რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ზომა ჩათვალა ზედმეტად მკაცრად და პატიმრობის 25 წლიანი ვადა შეცვალა 10 წლის ვადით.

6. ამინატ დებიროვი დიდი სამამულო ომის დროს ჩავარდა ტყვედ გერმანელებთან და გაწევრიანდა გერმანული არმიის ჩრდილოკავკასიურ ლეგიონში. 1953 წელს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კოლეგიამ ჯერ მიუსაჯა 25 წლით პატიმრობა, შემდეგ კი შეუცვალა 10 წლით პატიმრობის ვადით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, დანაშაული დადასტურებულია როგორც თავად მსჯავრდებულის, ასევე მოწმეთა ჩვენებებით და სამხედრო კოლეგიის დასკვნა ჩაითვალა მართებულად და მსჯავრდებულის დედას საჩივარზე უარი ეთქვა.

7. ბორის პავლეს ძე სპერანსკი. მას ბრალად ედებოდა გერმანელების მხარეს ნებაყოფლობითი გადასვლა და საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა. არ სურდა სსრკ-ში დაბრუნება, გაიქცა და იმალებოდა იუგოსლავიაში. დანაშაულს აღიარებს თავადაც და ამავეს მოწმობს მოწმეთა ჩვენებებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება 25 წლიანი პატიმრობის ვადის, ქონების კონფისკაციისა და საარჩევნო უფლებების 5 წლით შეზღუდვის თაობაზე ძალაში დატოვა.

8. ერასტი ბესარიონის ძე ზაუტაშვილი. 1949 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა 25 წლით პატიმრობა. ტყვედ

ჩავარდნილი გადავიდა გერმანელების მხარეს და მსახურობდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. მსჯავრდებული ნაწილობრივ აღიარებდა დანაშაულს. საქმეში არსებობდა 3 მოწმის ჩვენება. ამის მიუხედავად, რესპუბლიკურმა კომისიამ დაკისრებული სასჯელი მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია და 25 წლიანი პატიმრობა შეუცვალა 15 წლიანი პატიმრობით.

9. ფირიევი (არ არის მითითებული სახელი და მამის სახელი), გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 7 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. მას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. კერძო საუბრებში აქებდა ცარიზმის დროს ხალხის ცხოვრებას. თავად არ აღიარებდა, მაგრამ საქმეში ფიგურირებს მოწმეთა ჩვენებები. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ხელმძღვანელობის მიერ მისთვის გამოცხადებული მადლობები (საქმის მასალებში არ ჩანს სად მუშაობდა) და 10 წლიანი ვადა შეუცვალა 5 წლიანი ვადით. რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

10. ვლადიმერ მიხეილის ძე თოფურია. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1946 წლის 23 ივლისს. მას მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 3 წლის ვადით. 1943 წელს, ვლადიმერ თოფურია ჩავარდა ტყვედ და გადავიდა გერმანული არმიის მუშა ბრიგადაში პროპაგანდისტად, ავრცელებდა ფაშისტურ ლიტერატურას. ის დაინიშნა ქართული ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად, დადიოდა გერმანულ ქალაქებში და ასრულებდა ანტისაბჭოთა ხასიათის სიმღერებს. 1944 წელს თავად შექმნა სიმღერა პროფაშისტური სულისკვეთებით და მიიღო უნტერ-ოფიცრის წოდება. დანაშაული დადასტურებულია მსჯავრდებულის აღიარებით და მოწმეთა ჩვენებით. ადრე გამოტანილი სასჯელი რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია.

11. გიორგი გავრილოს ძე ვეშაპიძე. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. 1941 წელს ჩავარდა ტყვედ გერმანელებთან და მსახურობდა ქართულ

ლეგიონში. დანაშაული დადასტურებულია მისი და მოწმეთა ჩვენებით.რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ 1944 წელს (ხერსონის აღების შემდეგ) ის ჩაირიცხა საბჭოთა არმიის რიგებში და ებრძოდა ფაშისტებს, ასევე ისიც, რომ ლეგიონში სამსახურის დროს ის არ გამოირჩეოდა აქტიურობით და ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის 25 წლიანი ვადის შეცვლა 10 წლიანი პატიმრობის ვადით.

12. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1949 წელს გასამართლებული სიორიძე, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მსახურობდა გერმანულ არმიაში. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სიორიძე არ აქტიურობდა გერმანულ დაზვერვაში, რეპატრიაციის შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობაში, იყო სტახანოველი. ამიტომაც 25 წლიანი პატიმრობის ვადა შეეცვალა 10 წლიანი პატიმრობის ვადით.

13. ვლადიმერ დავითის ძე შველიძე. 1950 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ იბრძოდა გერმანელების მხარეს. დანაშაულს აღიარებს ნაწილობრივ და არიან მოწმეებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადა ძალაში დატოვა.

14. ივანე ევდოკის ძე გოროხოვეცი. გასამართლდა საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს მტრულად იყო განწყობილი სახელმწიფო ხელისუფლებისა და პარტიის ღონისძიებების მიმართ. მოწმეთა ჩვენებები დანაშაულს ადასტურებს. რესპუბლიკურმა კომისიამ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

15. მისლიჩენკო გ.ი. დიდი სამამულო ომის დროს გადავიდა გერმანელების მხარეს. მაშინ იყო არასრულწლოვანი (15 წლის). რესპუბლიკურმა კომისიამ ეს ფაქტი მიიღო მხედველობაში და 25 წლიანი პატიმრობის ვადა შეუცვალა 15 წლით.

16. პავლე კორნელის ძე მაღრაძე. 1946 წელს გასამართლდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. მიესაჯა 10 წლით პატიმრობა შრომა გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით.

პავლე მაღრაძე 1942 წელს ჩავარდა ტყვედ. იმყოფებოდა ტყვეთა ბანაკში რუმინეთში. ქართველი ემიგრანტების ხელშეწყობით გადაიყვანეს გერმანიაში აგენტ-პროპაგანდისტთა სკოლაში. ხელმძღვანელობდა ქართულ გუნდს. ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ ქართული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. მისი საქმის გადახედვის შესახებ მისი მეუღლის მიერ შემოტანილი განაცხადი რესპუბლიკურმა კომისიამ არ დააკმაყოფილა და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი დატოვა ძალაში.

17. ნესტორ რაჟდენის ძე ჩიბიროვი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილი გაწევრიანდა გერმანული არმიის ოსურ დივიზიაში, მისცეს ეფრეიტორის წოდება. მუშაობდა ჰოლანდიაში თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაში. გახდა უნტერ-ოფიცერი. მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს ადასტურებენ მოწმეები და თავადაც არ უარყოფდა საქმეში არსებულ ფაქტებს. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა, რომ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ აქტიურ სამხედრო მოქმედებებში არ ჩართულა. ამიტომ 25 წლიანი პატიმრობა შეეცვალა 10 წლიანი პატიმრობის ვადით.

18. აკაკი ევგენის ძე გოცირიძე თბილისი გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა 1943 წლის სექტემბერში დეზერტირობის ბრალდებით და შეეფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლი. სასჯელის ზომად დაუდგინდა 15 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა.რესპუბლიკურმა კომისიამ საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ აკაკი გოცირიძის შემთხვევაში დეზერტირობა დასტურდება, მაგრამ არა სამშობლოს ღალატი. (რასაც ითვალისწინებდა მის მიმართ წაყენებული მუხლი). ამიტომ, კომისიამ მოითხოვა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის შეცვლა (მუხლი 58-1 შეიცვალა 193-მუხლით).

19. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდებით 1951 წელს გაასამართლა ალექსანდრე გალუსტოვი, მიხეილ ბარამიძე და კონსტანტინე გოგუაძე. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად, სამივეს მიესაჯა პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში 25 წლით,

ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ალექსანდრე გალუსტოვი ნებაყოფლობით გადავიდა გერმანული არმიის სომხურ ლეგიონში. 1944 წელს კი შეუერთდა ფრანგ პარტიზანებს და დამალა გერმანელებთან ყოფნის ფაქტი. სასჯელის ზომა გადაკვალიფიცირდა და შემცირდა 10 წლამდე. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ალექსანდრე გალუსტოვი აქტიურად არ იბრძოდა საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ. მ. ბარამიძე და კ. გოგუაძეც ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მსახურობდნენ გერმანულ არმიაში, მაგრამ პოლონეთში დარჩნენ გერმანელების უკანდახევის შემდეგ და დაელოდნენ საბჭოთა ჯარების მოსვლას. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა მიხეილ ბარამიძის ხანდაზმულობა და სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე და ხოლო კონსტანტინე გოგუაძეს 10 წლამდე.

20. დიმიტრი ტიხონის ძე არტემენკო. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა 10 წლით პატიმრობა. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. მოწმეთა ჩვენებით, ის ხოტბას ასხამდა რევოლუციამდელ რუსეთს და უნდობლობას უცხადებდა კომუნიზმის მშენებლობას. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მისი ასაკი, განათლების დაბალი დონე და სასჯელის 10 წლიანი ვადა შეუმცირდა 5 წლით, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

21. ვლადიმერგრიგოლის ძე ჩიხრაძე. გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 15 ივნისს, ხოლო 1949 წელს საგანგებო სათათბირომ გაგზავნა ყაზახეთში, ჯამბულის ოლქში.

საქმეში ჩანს მოწმე დობორჯგინიძის ჩვენება იმის შესახებ, რომ ვინმე ლაღიძის დავალებით კონტრრევოლუციურ საქმიანობისთვის გადაუბირებია ვლადიმერ ჩიხლაძე. თუმცა არ არის დასახელებული როდის. რესპუბლიკურმა კომისიამ საკმარისად არ მიიჩნია ერთი მოწმის ჩვენება, შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილება გააუქმა და საქმეც დაიხურა.

22. იპოლიტე სიმონის ძე სტურუა. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წელს და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა და ანტისაბჭოთა აგიტაცია. ი. სტურუას დაკავების მიზეზი გამხდარა ერთ-ერთი

დაკავებულის, რაჟდენ ლეჟავას ჩვენება. რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, დაკითხვის ოქმის მასალები იმის შესახებ, რომ 1922 წელს სტურუა დაპატიმრებული იყო მენშევიკური საქმიანობისა და 1917-1918 წლებში მენშევიკურ ჯარში სამსახურისთვის, არ არის იმის დასტური, რომ ის 30-იან წლებშიც იქნებოდა არალეგალური ორგანიზაციის წევრი. რესპუბლიკურმა კომისიამ ადრე გამოტანილი განაჩენი ბათილად ცნო.

23. ესმა ლორთქიფანიძე 1937 წელს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და მიესაჯა 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლის შესაბამისად. იმხანად პატიმრობაში იმყოფებოდა კრასნოიარსკის მხარეში. ბრალი ედებოდა იმ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობაში, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და აჭარის მიერთება თურქეთთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის განყოფილებაში შესულა ცნობები ესმა ლორთქიფანიძის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ. ორგანიზაციის ხელმძღვანელად დასახელებული იყო ესმა ლორთქიფანიძის მეუღლე ზექირ ლორთქიფანიძე. ე. ლორთქიფანიძე ასევე მსჯავრდებული იყო თურქული ოქროს მონეტების შენახვაში, რომელიც მის ქმარს მოჰქონდა.

რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, დანაშაულებრივი ქმედება ესმა ლორთქიფანიძის შემთხვევაში არ ჩანს. მისი საქმის მოწმე ყუფარაძემ და სხვებმა ჩვენებები ესმა ლორთქიფანიძის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ არ მისცეს. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ჩაითვალა ბათილად.

24. იოსებ იოსების ძე კომეტიანი (საქმე №7325) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წლის 3 მარტს,საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში, შრომა-გასწორების ბანაკში.როგორც საქმის მომხსენებელი ძაგნიძე აღნიშნავს, დაპატიმრების საფუძველი გამხდარა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იოსებ კომეტიანი მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში და 1930 წელს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ დააპატიმრა 2 წლით. ასევე, ის სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას მიმართულს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ. გლეხებში ავრცელებდა ხმებს, საბჭოთა

ხელისუფლების დამხობის შესახებ. რესპუბლიკური კომისიის მიერ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, კონტრრევოლუციური საქმიანობა არ დადასტურდა. მოწმეთა ჩვენებები არ არის კონკრეტული. ხოლო აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის, მას უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

25. ერვანდ ნაზარის ძე ამბარცუმოვი (საქმე №2040). 1950 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 თანახმად.

ერვანდ ამბარცუმოვი დამნაშავედ ცნეს იმის გამო, რომ თავის ნაცნობებში ავრცელებდა ანტისაბჭოთა მოსაზრებებს და ცილს სწამებდა საბჭოთა ხელისუფლებას და მთავრობის ხელმძღვანელებს. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, რესპუბლიკურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის ვადის შემცირე ბის შესახებ (5 წლამდე ვადით). შესაბამისად შეეხო 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ერვანდ ამბარცუმოვის მოსაზრებები ვრცელდებოდა ვიწრო წრეში და რაიმე მძიმე შედეგები არ მოჰყოლია.

26. სარქის კარაპეტიანი (საქმე №2032) გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა მოსაზრებები და საბჭოთა სინამდვილეზე დაწერილი ლექსები, რომელიც ცილისმწამებლურად იქნა მიჩნეული. 1949 წელს, სარქის კარაპეტიანის ქვისლი მეუღლითა და სამი შვილით გადაუსახლებიათ ალტაის მხარეში. მათთან მიმოწერა ჰქონდა მსჯავრდებულ კარაპეტიანს. ერთ-ერთი ლექსი „მძიმე დღეები“ აღმოაჩინეს მორიგ წერილში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ლექსი კონტრრევოლუციურად არ უნდა ჩაითვალოს. ასევე მხედველობაში მიიღეს სარქის კარაპეტიანის ასაკი, სამამულო ომის ინვალიდობა და უზენაესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ გააუქმა.

27. გიორგი ვასილის ძე ყიფიანი. 1937 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-10 და 58-11 მუხლებით

და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. დაკავების საფუძველი გახდა 3 მოწმის ჩვენება. თუმცა, საქმის მასალების შესწავლის დროს, რესპუბლიკურმა კომისიამ ვერ აღმოაჩინა კონტრრევოლუციური საქმიანობის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები და მოწმეთა ჩვენებებიც იყო წინააღმდეგობრივი ხასიათის. ამიტომ, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გააუქმა.

28. ვახტანგ სიმონის ძე ჯაფარიძე. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლით და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში. დაკავების საფუძველი გახდა ათი მოწმის ჩვენება ვ. ჯაფარიძის ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდობის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია“ წევრობის შესახებ. რესპუბლიკურმა კომისიამ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა ამ ორგანიზაციის არსებობა და მის მუშაობაში ჯაფარიძის მონაწილეობა. ამიტომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიიჩნია მართებულად.

29. სოლომონ მელიტონის ძე ცინცაძე. 1937 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-9 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში. დაპატიმრებამდე მელიტონ ცინცაძე მუშაობდა კასპის ცემენტის ქარხანაში. მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ჩათვალა მართებულად. მელიტონ ცინცაძის დანაშაულებრივი ქმედებების დასადასტურებლად, რესპუბლიკურმა კომისიამ საკმარისად მიიჩნია როგორც თავად მსჯავრდებულის, ისე მოწმეთა ჩვენებები (**სშსსა 3:40-73**).

1954 წლის 13 ივლისს გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძე უგზავნის მოხსენებით ბარათს, სადაც აღნიშნავს, რომ მას სსრკ-ის გენერალური პროკურორის რომან რუდენკოს წინაშე დაუყენებია საკითხი რესპუბლიკური კომისიის მუშაობაში

ცვლილებების შეტანის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, 1954 წლის 4 მაისის დადგენილებით, რესპუბლიკურ კომისიას შეეძლო შეეცვალა ან გაეუქმებინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულების არასწორი გადაწყვეტილებები და კომისიის დასკვნა იყო საბოლოო. ამასთან ერთად რესპუბლიკურ კომისიას არ შეეძლო საბოლოოდ გადაეწყვიტა საკითხი იმ პირთა გათავისუფლების შესახებ, რომლებიც შინსახკომის სამეულების მიერ იყვნენ გასამართლებულები. ისინი მოგვიანებით საგანგებო სათათბიროების მიერ გადასახლებაში გაიგზავნენ საგანგებო სათათბიროების გადაწყვეტილების მართებულობას კი წყვეტდა ცენტრალური კომისია. აქედან გამომდინარე ერთი და იგივე საქმეზე მუშაობდა ორი-ცენტრალური და რესპუბლიკური კომისია. მიხეილ თოფურიძე ითხოვდა რესპუბლიკური კომისიისათვის უფლებას განეხილა როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის, ისე საგანგებო სათათბიროების გადაწყვეტილებები. ეს დააჩქარებდა პირთა გათავისუფლების პროცესს. ამასთან, მიხეილ თოფურიძე ითხოვდა რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის გაზრდას 4 ან 5 წევრამდე, რადგან ორი წევრის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, კომისიის სხდომა არ ჩატარდებოდა. მან მიზანშეწონილად მიაჩნია კომისიის მე-5 წევრად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის ცუმარევის შეყვანა. ასევე, კომისიის თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შემსრულებლად მოადგილის დანიშვნა (**სშსსა 3:73**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მეოთხე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 3 ივლისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ანტონ ნიკოლოზის ძე მელიქია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებული იყო 1948 წლის 6 ივლისს, საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად და მიესაჯა 20 წლით

თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, შეეზღუდა საარჩევნო უფლებები 5 წლით და ჩამოერთვა უფროსი ლეიტენანტის წოდება.

საქმისმასალებისმიხედვით,ის1941წლის27ივნისსჩავარდატყვედგერმანელებთან. მოხვდა სამხედრო ტყვეთა ბანაკში. გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახურის დროს მიიღო ოფიცრის წოდება და ჯილდოები. 1943 წელს იცავდა გერმანულ ობიექტებს საფრანგეთსა და პოლონეთში. მონაწილეობდა ტექსელის აჯანყებაში. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მართებულად ჩაითვალა და სასჯელის ვადაც ძალაში დარჩა.

2. პოლიკარპე სერაპიონის ძე მელაძე. 1952 წლის 23 მაისს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. იმავე წლის 20 აგვისტოს სამხედრო კოლეგიამ გადახედა მის საქმეს და სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

რესპუბლიკურმა კომისიამ შეისწავლა პოლიკარპე მელაძის საქმის მასალები, რომლის მიხედვითაც ის ნებაყოფლობით შესულა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. მიუღია ეფრეიტორის წოდება. 1943 წელს კრუშინოდან გადაუყვანიათ საფრანგეთში, სადაც ებრძოდა ფრანგ პარტიზანებს და იცავდა გერმანული არმიის სამხედრო ობიექტებს. 1944 წელს გერმანელების უკანდახევის შემდეგ, ჩამოშორდა აღნიშნულ ბატალიონს და ჩავიდა პარიზში. პოლიკარპე მელაძეს ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ემიგრანტებთან-კობახიძე, მეუნარგია, გეგეჭკორთან. ცხოვრობდა კობახიძის სახლში და სასტუმრო „იმპერატორში“ კობახიძის ხარჯზე.

პ. მელაძე პარიზში დაუკავშირდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივან პეტრე შარიას და მასთან ერთად 1945 წლის აპრილში ჩამოფრინდა თბილისში. პ. მელაძე თავს არიდებდა რეპატრიანტთა ფილტრაციას, რაშიც დახმარებას უწევდა პეტრე შარია. შესაბამისს ორგანოებს დაუმალა თავისი სამსახური გერმანულ არმიაში.

თავის საჩივარში სსრკ-ის გენერალური პროკურორის წინაშე, პოლიკარპე მელაძე უარყოფდა გერმანელებთან ნებაყოფლობითი სამსახურის ფაქტს და ამტკიცებდა, რომ იარაღით ხელში არ უბრძოლია გერმანელების მხარეს და არც ფიცი დაუდია გერმანელების ერთგულებაზე. ის ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. რესპუბლიკური

კომისიის დასკვნით, მისი დანაშაული დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით და სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაც ძალაში დარჩა.

3. ალექსი ხაჩატურის ძე მარქოსიანი (საქმე №4169). 1951 წლის პირველ აგვისტოს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა სასჯელის 25 წლიანი ვადა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მას ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ 1943 წლიდან, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, მსახურობდა გერმანულ არმიაში. ჰქონდა ეფრეიტორის წოდება და მონაწილეობდა პოლონელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში. მსჯავრდებული თავადაც აღიარებს აღნიშნულ ფაქტს და არსებობენ მოწმეებიც. მაგრამ, რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მისი დაბალი კულტურული და განათლების დონე, ის რომ გერმანელებთან სამსახურის დროს ძირითადად მონაწილეობდა გზების მშენებლობაში და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლი შეუცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირა 10 წლამდე.

4. არტაშ ალექსის ძე თეიმურაზოვი (საქმე №4050). 1951 წლის 20 აპრილს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა. მას მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა და ქონების კონფისკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის მიხედვით.

არტაშ თეიმურაზოვი მეორე მსოფლიო ომის დროს ჩავარდა ტყვედ გერმანელებთან და მსახურობდა ბატალიონ „ბერგმანში“. აზერბაიჯანულ შენაერთში ასრულებდა თარჯიმნის ფუნქციას. შემდეგ გადაიყვანეს სომხურ ბატალიონში. 1945 წლის მაისამდე მსახურობდა რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. ფილტრაციის შემდეგ ჩაირიცხა საბჭოთა არმიაში, სადაც იმსახურა 1945 წლის მაისიდან დემობილიზაციამდე.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, არტაშ თეიმურაზოვის საქმეში დანაშაულის ნიშნები იკვეთება. მაგრამ მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ ა. თეიმურაზოვი ძირითადად მუშაობდა თარჯიმნად და აქტიური მონაწილეობა საომარ მოქმედებებში საბჭოთა ან მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ, არ მიუღია. საქმე გადაკვალიფიცირდა. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლი შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც 25 წლიდან შემცირდა 15 წლამდე.

5. კარლო ამირანის ძე ჩაგელიშვილი (საქმე №2698). ის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანელებთან სამსახურისათვის გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის სექტემბერში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილება სასჯელის 20 წლიანი ვადის 10 წლამდე შემცირებაზე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ კარლო ჩაგელიშვილი 1944 წლიდან ისევ იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში და ორჯერ იყო დაჭრილი.

6. მატვეი ალექსანდრეს ძე იუნოლაინენ (საქმე №800) 1949 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში,საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია.

მშენებლობაზე მუშაობის დროს, თავის გარემოცვაში სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, აქებდა კაპიტალისტური ქვეყნების კულტურას, ტექნიკას და ზოგადად ცხოვრების დონეს. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

7. ვასილ ანდრეის ძე მორგოშია (საქმე №21271). გასამართლებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ 1937 წლის 15 სექტემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების შესაბამისად და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში.

საქმის მასალებში მითითებულია, რომ ვასილ მორგოშია მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. ასევე შეუფარებია პოლიტიკურად დევნილი ვინმე კვირგველიძე, რისთვისაც დააპატიმრეს 1930 წელს. საგანგებო სათათბირომ გაგზავნა სამხრეთ ციმბირში 6 წლის ვადით. დაბრუნების შემდეგ ის აგრძელებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

ვასილ მორგოშია მხოლოდ ერთხელ იყო დაკითხული. მისი განცხადებით, ის არც მენშევიკური პარტიის წევრი იყო, არც აგვისტოს აჯანყებაში მიუღია მონაწილეობა და არც ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. რაც შეეხება კვირგველიძის შეფარებას, ამისათვის მას უკვე ჰქონდა სასჯელი მოხდილი.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვასილ მორგოშიას ბრალეულობასთან დაკავშირებით არამართებულად ჩაითვალა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.

8. ლავრენტი ევსევის ძეს ურუშაძე (საქმე 11379). მას ბრალად ედებოდა

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა და გასამართლდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ 1937 წლის 23 ოქტომბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გადასახლებაში იმყოფებოდა კრასნოიარსკის მხარეში. როგორც მომხსენებელმა ძაგნიძემ აღნიშნა, ლავრენტი ურუშაძე დაუპატიმრებიათ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. ლავრენტი ურუშაძეს უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი. ის როგორც მენშევიკი და აგვისტოს აჯანყების მონაწილე დაუპატიმრებიათ 1930 წელს და 1936 წლამდე ყოფილა გადასახლებაში. გადასახლებიდან დაბრუნებული ისევ დააპატიმრეს 1937 წელს. დაიკითხა მხოლოდ ერთხელ. რადგანაც მენშევიკებთან კონტაქტისათვის უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება შეწყდა.

9. მარტიროს ტიგრანის ძე ჩოლახიანი (საქმე №40153) ის ჯერ კიდევ 1932 წელს იქნა გასამართლებული დაშნაკურ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობისთვის და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1937 წლის 4 აგვისტოს საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით. გადასახლებაში იმყოფებოდა კრასნოიარსკის მხარეში. მას ასევე შეზღუდული ჰქონდა საარჩევნო უფლებები 5 წლის ვადით. საქმეში ფიგურირებს მოწმეთა ჩვენებები, რომელთა საფუძველზეც. კომისიამ არ დააკმაყოფილა მარტიროს ჩოლახიანის საჩივარი.

10. ვლადიმერ იოსების ძე თავამაიშვილი (საქმე №11204). ის სასჯელს იხდიდა ყაზახეთში, ყარაღანდის ოლქში. როგორ მისი საქმის მასალებიდან ირკვევა, პირველად 1927 წელს დაუპატიმრებიათ კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის და მიუსჯიათ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. 1937 წელს კი, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე, 10 წლით გადასახლება შეუფარდეს შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ვლადიმერ თავამაიშვილის შემთხვევაში არ იკვეთება კონტრრევოლუციური საქმიანობა. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

11. შალვა ბართლომეს ძე მეგრელიშვილი (საქმე №22482). 1937 წლის 15 ოქტომბერს გაუსამართლებია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-7, 58-8 და 58-11 მუხლების საფუძველზე, მიუსჯია 10 წლით

თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ის სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში. საქმეში ფიგურირებს მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება, არ ჩანს შალვა მეგრელიშვილის კონტრრევოლუციური საქმიანობის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები, არასაკმარისია მტკიცებულებები. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბათილად ჩათვალა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

12. მიხეილ სიმონის ძე რუბეჟოვი (საქმე №12350). მას მისჯილი ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, მიხეილ რუბეჟოვი ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1941 წელს, რუბეჟოვს მოუთხოვია საქმის გადახედვა. ხელმეორედ დაუკითხავთ მოწმეები, რომელთაც დაუდასტურებიათ 1937 წელს მიცემული ჩვენებები. რესპუბლიკურმა კომისამ ძალაში დატოვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

13. ამირან თეიმურაზის ძე შონია (საქმე №10132). 1938 წელს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე და გადაასახლეს კრასნოიარსკის მხარეში10 წლის ვადით. რესპუბლიკურმა კომისიამ მოწმეთა ჩვენებები არადამაჯერებლად მიიჩნია, თავად მსჯავრდებულს აღიარებითი ჩვენება არ მიუცია. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

14. თომა არტემის ძე ცერცვაძე. (საქმე №817896). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 31 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე. ის სასჯელს იხდიდა კუშტანაის მხარეში. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მაკარონის ფაბრიკაში მუშაობდა ვინმე ფრანც კელერმაიერი, რომელიც შპიონაჟის ბრალდებით გააძევეს საბჭოთა კავშირიდან. ფაბრიკის დირექტორის მურადოვის ჩვენებით, ცერცვაძეს კარგად ესმოდა ფრანც კელერმაიერის ფაშისტური გამონათქვამები, მაგრამ პარტიული ბიუროს სხდომაზე არ დაუყენებია მისი საკითხი. მურადოვი და გიორგობიანი, რომლებიც ფიგურირებდნენ ცერცვაძის საქმეებში, როგორც მოწმეები, დაიხვრიტნენ კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, მურადოვის ჩვენებები

ირიბია და ეჭვს იწვევს.ცერცვაძესა და კელერმაიერს შორის დანაშაულებრივი კავშირი არ იკვეთება. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ გააუქმა.

15. ლესე იასონის ძე ბარათაშვილი (საქმე №21377). როგორც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 2 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე. ლესე ბარათაშვილი ჯერ კიდევ 1932 წელს იყო გასამართლებული, როგორც მენშევიკური, არალეგალური ორგანიზაციის წევრი. (მასთან ერთად კიდევ ორგანიზაციის 10 წევრი ლაგოდეხის რაიონიდან). მათ ბრალად ედებოდათ კრებების მოწყობა და მსგავს ორგანიზაციებთან კავშირი.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, ლესე ბარათაშვილის კავშირი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან არ დასტურდება, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის კი უკვე დასჯილი იყო. ამიტომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკური კომისიის დასკვნით გაუქმდა.

16. აჰმედ ზაბიტის ძე გუგუნავა. (საქმე №817488). ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა გაასამართლა 1937 წლის 15 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. იმყოფებოდა გადასახლებაში ყაზახეთში. ახმედ გუგუნავას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა, რომლის მიზანიც იყო აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. საქმის მასალების მიხედვით, ამ ორგანიზაციაში ის გადაუბირებია „ხალხის მტერ“ თავდიშვილს. თავად გუგუნავასაც გადმოუბირებია სამი ადამიანი და ასახელებს მათ გვარებს. ასევე აღიარებს დანაშაულს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა.

17. ლეონიდ ალექსანდრეს ძე ჟღენტი (საქმე №12398). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 4 სექტემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 და 58-14 მუხლებით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

18. ონისე ოქროპირის ძე გოლეთიანი (საქმე №22219). 1937 წლის 8 სექტემბერს

გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში. სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში.

ონისე გოლეთიანს ბრალად ედებოდა ის, რომ აძაგებდა კოლექტივიზაციის კურსს, აქებდა ლევ ტროცკის, გრიგორი ზინოვიევს და სხვა, მტრებად შერაცხილ ბოლშევიკებს. ის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1921 წელს დაიჭირეს, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი და მიუსაჯეს 6 თვიანი იძულებითი შრომა. ხელმეორედ დააპატიმრეს 1923 წელს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს არასაკმარისი სამხილების გამო. 1931 წელს ისევ დააპატიმრეს მენშევიკური საქმიანობისთვის და 3 წლით გადაასახლეს ქალაქ ენისეისკში, სადაც შეუქმნია კონტრრევოლუციური ჯგუფი გადასახლებული მენშევიკებისგან.

რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, ონისე გოლეთიანის საქმის მასალებიდან გამომდინარე, იკვეთება დანაშაულებრივი საქმიანობა როგორც თავად გოლეთიანის აღიარებით, ისე მოწმეთა ჩვენებებით. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მიიჩნია მართებულად და დატოვა ძალაში.

19. დავით კონსტანტინეს ძე ცვეიბა (საქმე №689801) დაპატიმრებამდე სკკპ-ის წევრი, სოფელ ლიხნის მკვიდრი. 1937 წლის 15 სექტემბერს გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-7, 58-8 და 58-11 მუხლებით. რესპუბლიკური კომისიის მუშაობის პერიოდში იმყოფებოდა გადასახლებაში კრასნოიარსკის მხარეში.

დავით ცვეიბა მუშაობდა გაგრის დასასვენებელი სახლის დირექტორი. საქმის მასალებიდან გამომდინარე, იყო იმ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც ნესტორ ლაკობა ხელმძღვანელობდა. ბრალი ედებოდა იმაში, რომ დამალა ელენე როზენგოლცის თვითმკვლელობის საქმე. (ელენე როზენგოლცი იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის ქალიშვილი და გაგრაში იმყოფებოდა ნესტორ ლაკობას მიწვევით).

დავით ცვეიბა თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დანაშაულებრივი ქმედებაც რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით, არ იკვეთება. შესაბამისად, რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გაუქმებულად ჩათვალა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.

20. დავით ევსტათის ძე მებუკე (საქმე 818791) უმაღლესი განათლებით,საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1924 წლიდან. პარტიის რიგებიდან გარიცხეს დაპატიმრების შემდეგ. 1939 წლის 19-21 მაისს, უზენაესი სასამართლოს გასვლითი სესიის გადაწყვეტილებით, გასამართლებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 58-11 მუხლებით და შეეფარდა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ასევე 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა და ქონების კონფისკაცია.

ბრალად ედებოდა: კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის წევრობა და მავნებლური საქმიანობა ჭიათურის მაღაროში. მის დანაშაულს თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ მოწმეები, რომლებიც დახვრიტეს ჯერ კიდევ მებუკეს დაპატიმრებამდე 1937 წელს.

თავად მსჯავრდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ მაღაროში მუშაობის დროს შეიძლება რაიმე ტექნიკურ უზუსტობას ჰქონოდა ადგილი. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ტყემალაძემ ჩაატარა ტექნიკური ექსპერტიზა მებუკეს საქმესთან დაკავშირებით. დავით მებუკეს მხრიდან მავნებლობა არ დადასტურდა.

რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ დ. მებუკე არ ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას, საქმის მასალებში არ ჩანს მისი კონტრრევოლუციური საქმიანობის დამადასტურებელი ფაქტები. ასევე ბანაკის ადმინისტრაცია ახასიათებდა დადებითად და ის რომ ინჟინრად მუშაობის პერიოდში ჰქონდა რაციონალური გამოგონებები. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა კომისიამ დავით მებუკისთვის წაყენებული ბრალდება გაუქმებულად ჩათვალა.

21. ალექსი გერასიმეს ძე ჩერნოვი (საქმე №3329/8764). გაასამართლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1952 წლის 12 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.

ალექსი ჩერნოვს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა გამონათქვამები, უკმაყოფილება არსებული წყობილების მიმართ, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელების ლანძღვა. დააპატიმრეს მოწმე ინწკირველის ჩვენების საფუძველზე (მდინარის პირას იჯდა და ილანძღებოდაო). რესპუბლიკურმა კომისიამ გააუქმა ალექსი ჩერნოვის მიმართ მიღებული სასჯელი მხედველობაში მიიღო რა რამდენიმე გარემოება: მსჯავრდებული მიდრეკილი იყო ალკოჰოლიზმისკენ და მისი საუბარი რაიმე ტიპის აგიტაციას მიზნად

არ ისახავდა. ასევე დაბალი კულტურული დონე და ასაკი.

22. ლიდია პეტრეს ასული სარანოვა (საქმე №2866). ეროვნებით ჩეჩენი. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში.1952 წლის 15 თებერვალს გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სამხედრო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით. ლიდია სარანოვას მიესაჯა დახვრეტა, რომელიც შეეცვალა 25 წლიანი პატიმრობით შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის განხილვა გადაიდო დამატებითი შემოწმების მიზნით.

23. ტიტიკო სერაფიონის ძე კუხიანიძე. (საქმე №3548) სისხლის სამართლის კოდექ-სის 58-10 მუხლის თანახმად გაასამართლა ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სასამართლომ 1953 წლის 29 აგვისტოს. მას მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. დაპატიმრების საფუძველი გახდა ის, რომ 1953 წლის 26 აგვისტოს, თბილისი-წყალტუბოს მატარებელში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა აგინა გამცილებელს და შემდეგ სადგურ ბროწეულას ბაქანზე მღეროდა ანტისაბჭოთა შინაარსის სიმღერას ხალხის ბელადზე.

რესპუბლიკურმა კომისიამ ტიტიკო კუხიანიძე დამნაშავედ ცნო ბრალდების პირველ ნაწილში, ხოლო სიმღერის კვალიფიცირება, როგორც კონტრრევოლუციური დანაშაული და მისთვის 58-10 მუხლის პირველი ნაწილის შეფარდება, გადამეტებულად ჩათვალა.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ტიტიკო კუხიანიძის ქმედება მიზნად არ ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და მისი სასჯელი გადაკვალიფიცირდა. 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიცვალა 3 წლიანი სასჯელის ვადით (**სშსსა 4:6-30**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მეხუთე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 20 ივლისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ხაჯი მამედის ძე გაკჩა ოღლი (საქმე №225445). გაასამართლა თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრომ ტრიბუნალმა შეცვალა 10 წლიანი სასჯელის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

2. სანდრო (იგივე ანდრო) პავლეს ძე მონიავა (საქმე №3239). 1952 წლის 29 ივლისს გაასამართლა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლის ვადით და ქონების კონფისკაცია. სანდრო მონიავას საკასაციო საჩივარი განიხილა სამხედრო კოლეგიამ იმავე წლის აგვისტოში, მაგრამ განაჩენი დატოვა ძალაში. სანდრო მონიავას საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ის 1929 წელს დანაშაულებრივ კავშირში შევიდა ბათუმში მყოფ კონტრაბანდისტ პაპავასთან. თურქეთში არალეგალურად გადაიყვანა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტების“ წევრები კანკავა და გოგორიშვილი, რომლებიც ხანგრძლივი დროით იმყოფებოდნენ უცხოეთში და აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ.1945 წელს სანდრო მონიავამ მეორედ გაუწია დახმარება კანკავას თურქეთში გადასვლაში, თუმცა იცოდა, რომ კანკავა ომის დროს მავნებლური საქმიანობისათვის გერმანელების მიერ იყო შემოყვანილი საქართველოს ტერიტორიაზე. დანაშაული დასტურდება მონიავას, კანკავას და პაპავას ჩვენებებით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ზომა მართებულად ჩაითვალა.

3. ვალიკო გიორგის ძე გოგუაძე, იაკინთე პეტრეს ძე ქავჟარაძე და გრიგოლ ივანეს ძე ბაჯელიძე (საქმე №2761). ისინი 1951 წლის 5 სექტემბერს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად, შეუფარდა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლის ვადით და ქონების კონფისკაცია. სამივეს ბრალად ედებოდა სამამულო ომის დროს ტყვეთა ბანაკში ყოფნისას მტრის მხარეზე გადასვლა და გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულებს მონაწილეობა არ

მიუღიათ საბჭოთა არმიისა და პარტიზანების წინააღმდეგ აქტიურ საომარ მოქმედებებში. ამიტომ მათი სასჯელი გადაკვალიფიცირდა და შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით.გ. ბაჯელიძეს და ვ. გოგუაძეს 25 წელი შეეცვალათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ი. ქავჟარაძეს 25 წელი შეუცვალეს 2 წლით. მასვე შეეხო 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

4. მიხეილ სტეპანეს ძე ლაზკო (საქმე №7268) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წლის 24 ნოემბერს და მიუსაჯა 25 წლიანი სასჯელის ვადა შრომა-გასწორების ბანაკში. მისი საკასაციო საჩივარი სამხედრო კოლეგიამ არ მიიღო. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ ნებაყოფლობით გადასულა გერმანელების მხარეს. 1946 წელს მისი ნების საწინააღმდეგოდ გადმოეცა საბჭოთა ხელმძღვანელობას. დანაშაულს ადასტურებდა თავადაც და იყვნენ მოწმეებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ წაყენებული ბრალდება და სასჯელი მართებულად ცნო და ძალაში დატოვა.

5. გრიგოლ ჯაბას ძე ჩხაიძე (საქმე №1023). ის გასამართლებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის ბ პუნქტით და მიესაჯა 25 წლიანი პატიმრობის ვადა, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. გრიგოლ ჩხაიძე 1942 წელს ჩავარდნილა ტყვედ და ნებაყოფლობით შესულა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. ამას ადასტურებს მოწმეთა ჩვენებებიც და აღიარებს თავად მსჯავრდებულიც. მაგრამ რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ გრიგოლ ჩხაიძემ მოახერხა გაქცევა ქართული ლეგიონიდან და შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს. ებრძოდა გერმანელებს და მონაწილეობა აქვს მიღებული საავიაციო ქარხნის აფეთქებაში. რესპუბლიკური კომისია ფლობდა დოკუმენტებს, რომლებიც გაცემული იყო იტალიის გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ჩხაიძის საქმიანობის დასტურად. ამიტომ, შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელი ვადის შემცირება 15 წლამდე.

6. ალექსი ჩიკოს ძე გიგოლაევი, ვლადიმერ კიაზოს ძე ბესტაევი და ლევან ისიდორეს ძე ჩუბინიძე. მათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელის 4 მაისს 25 წლიანი სასჯელის ვადა შეუფარდა. ისინი ტყვედ ჩავარდნის შემდეგ კრუშინოში, ნებაყოფლობით გადავიდნენ გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში, დადეს ფიცი და ჩაიცვეს გერმანული სამხედრო ფორმა. იბრძოდნენ იუგოსლავიელი

პარტიზანების წინააღმდეგ, მაგრამ 1944 წელს გადავიდნენ იტალიელი პარტიზანების მხარეს. ეს გარემოება გაითვალისწინა რესპუბლიკურმა კომისიამ და სასჯელის ვადა შეუმცირა 15 წლამდე.

7. ალექსანდრე ივანეს ძე სიჩევი (საქმე №199) ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის ბ პუნქტით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. მას ბრალად ედებოდა პროფაშისტური, ანტისაბჭოთა აგიტაცია. მერყევი სამხედრო მოსამსახურეებისგან ჩამოაყალიბა გამცემთა 7 კაციანი ჯგუფი, დატოვა სამხედრო პოსტი და ჩაბარდა გერმანელებს. გერმანელებს გაანდო არმიის დისლოკაციის ადგილი. დანაშაული დასტურდება როგორც თავად სირჩევის აღიარებით, ისე მოწმეთა ჩვენებებით. 1944 წელს დატოვა რა გერმანული ჯარი, დაიწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ და მძიმედაც დაიჭრა. დაჯილდოებულია სამხედრო დამსახურებისთვის. სწორედ ეს გარემოება მიიღო მხედველობაში რესპუბლიკურმა კომისიამ და სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი შეუცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 15 წლამდე.

8. არშაკ გრიგორის ძე ეგიზარიანი (საქმე №766). მას ბრალად ედებოდა გერმანელების მხარეს ნებაყოფლობით გადასვლა და გერმანული არმიის სომხურ ლეგიონში სამსახური, რისთვისაც 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. საქმის მასალებიდან ირკვევა არშაკ ეგიზარიანის აქტიური ბრძოლა როგორც გერმანელების მხარეს, ისე ბერძენი პარტიზანების წინააღმდეგ. ეს გარემოება გახდა რესპუბლიკური კომისიის მიერ ადრინდელი განაჩენის ძალაში დატოვების მიზეზი.

9. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ტატარსკი. 1948 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციითა და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. ალექსანდრე ტატარსკი მსახურობდა გერმანულ ბატალიონში. მონაწილეობდა საბჭოთა პარტიზანების დაკავებაში, რომლებიც შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს. ამ ფაქტის გამო რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნია.

10. ივან დენისის ძე იაკოვიშინი (საქმე №103393). სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიესაჯა 25 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. გაასამართლა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო-სამშენებლო დივიზიის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 19 ივნისს. იყო რეპრესირებულთა ოჯახიდან. ომის დროს ნებაყოფლობით გადავიდა გერმანელების მხარეს და მსახურობდა პოლიციის სკოლაში. მისი უშუალო მონაწილეობით გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე გაიგზავნა ასამდე საბჭოთა მოქალაქე. ასევე მონაწილეობდა ებრაელთა დახვრეტაში, ებრძოდა საბჭოთა პარტიზანებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, დანაშაული კვალიფიცირდება სწორად, სასჯელის ზომაც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ ძალაში დატოვა სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

11. აგასი მარტიროსის ძე კეოსიანი (საქმე 3163-520). დაბადებული ქალაქ სამსუნში (თურქეთი), დაწყებითი განათლებით. 1936 წელს საფრანგეთიდან რეპატრიაციის წესით დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. დაპატიმრებამდე მუშაობდა დიღმის სადგურზე ავეჯის ფაბრიკაში. ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სასამართლომ 1951 წლის 30 მაისს გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 4 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. ბრალად ედებოდა 1947-1951 წლებში აქტიური ანტისაბჭოთა აგიტაცია, ლანძღავდა საბჭოთა ცხოვრების პირობებს, გამოთქვამდა უკმაყოფილებას საფრანგეთიდან ჩამოსვლის გამო. ამართლებდა აშშ-ს პოლიტიკას კორეაში, აქებდა აშშ-ს არმიას და ტექნიკას.

საგამოძიებო მასალებით დასტურდება მისი დანაშაული. აღიარებს თავადაც და არის მოწმეთა ჩვენებებიც.რესპუბლიკური კომისიის მუშაობის დროს, მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ კეოსიანი ამ აგიტაციას ატარებდა ვიწრო წრეში. მის ქმედებაში მოწოდება საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ არ ჩანდა, სასჯელს იხდიდა 1951 წლის 19 აპრილიდან. ამის გათვალისწინებით, რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე (შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლიც). ამის შემდეგ მსჯავრდებულს შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

12. ასლან ალის ძე სტამბოლიშვილი (საქმე №338380). სასჯელს იხდიდა კრასნოიარსკის მხარეში. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 31 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით. მიესაჯა 10 წელი კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. მოწმეთა ჩვენებებით ის გადაიბირეს 1936 წელს. სტამბოლიშვილს ჰქონდა ტროცკისტული გადახრები, გამოთქვამდა შენიშვნებს ლავრენტი ბერიას მისამართით. მოწმე დეისაძის ჩვენებით, სტამბოლიშვილი ბრალს დებდა ლავრენტი ბერიას პლაგიატობაში და ამბობდა, რომ მისი წიგნი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის შესახებ დაწერა ვინმე გორდელაძემ. ერთადერთხელ დაკითხული სტამბოლიშვილი თავს დამნაშავედ არ აღიარებდა. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ წაყენებული ბრალეულობა არ მტკიცდებოდა და ერთი მოწმის ჩვენება გასამართლების საფუძვლად არ გამოდგებოდა. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

13. პარმენ იოსების ძე ხუხუნაიშვილი. (საქმე №22604). ის გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 13 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლის შესაბამისად და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისია გაეცნო მასალებს, რომლის თანახმად, პარმენ ხუხუნაიშვილის დაპატიმრების მიზეზი გახდა ვინმე ზოიძის ჩვენება (სხვა საქმეზე მსჯავრდებულის). ზოიძის განცხადებით, საპარიკმახეროში, სადაც მუშაობდა ხუხუნაიშვილი, ზოიძეს განუცხადებია, რომ ბათუმში ჩამოსულია ალექსანდრე ხუნდაძე და რომ მენშევიკებმა განაახლეს არალეგალური მუშაობა. ხუნდაძეს თანამშრომლობა შეუთავაზებია ხუხუნაიშვილისათვის, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმებულა. გ. ხუხუნაიშვილი უარყოფდა ბრალდებას და აცხადებდა, რომ იცნობდა ზოიძეს, როგორც კლიენტს, მაგრამ მისგან არანაირი შეთავაზება არ მიუღია. დაპირისპირებაც ამ ორს შორის გამოძიების პროცესში არ მომხდარა. რესპუბლიკურმა კომისიმ მიიჩნია, რომ დანაშაულის შემცველი სხვა მონაცემები საქმეში არ არსებობს, ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალა არამართებულად და საქმეც დაიხურა.

14. არჩილ ალექსანდრეს ძე ლომიძე (საქმე №11332). შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილებით გასამართლდა 1937 წლის 7 ივნისს,

სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების შესაბამისად და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ის, რომ იყო ანტისაბჭოთა ელემენტი, ყოფილი მენშევიკი, მატერიალურად ეხმარებოდა პაპულია ორჯონიკიძის ოჯახს მისი დაპატიმრების შემდეგ. 1931წელს 6 თვით იყო დაპატიმრებული არალეგალურ-მენშევიკურ ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობის გამო. რესპუბლიკური კომისიის მიერ შესწავლილი მასალებით არ ჩანს სად, რომელ ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობდა კონკრეტულად არჩილ ლომიძე. მისთვის შუამდგომლობა გაუწევია პაპულია ორჯონიკიძეს და გაუთავისუფლებიათ. დაკითხვისას ა. ლომიძეს განუცხადებია, რომ ის მართლა იყო წარსულში მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, მაგრამ 1931 წლის შემდეგ, არანაირ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ეწეოდა. საქმეში ფიგურირებს მოწმე გრიგალაშვილის ჩვენება, რომელიც მხილებული იყო საკოლმეურნეო დოვლათის განიავებაში და ამის გამო მათ შორის მტრული დამოკიდებულება არსებობდა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით არანაირი სამხილი არჩილ ლომიძის კონტრრევოლუციონერობის შესახებ არ არსებობს. ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

15. კონსტანტინე ნესტორის ძე ღვამბერია (საქმე №21414). გადასახლებაში მყოფი კრასნოიარსკის მხარეში. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 15 აგვისტოს და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა აჭარის მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა. დაპატიმრების საფუძველი გახდა ერთადერთი მოწმის ვინმე ცინცაძის ჩვენება, თითქოს მას დავალებული ჰქონდა კოპლატაძისა და ჭყონიასაგან მენშევიკური ორგანიზაციის წევრების გადაბირება. მსჯავრდებულმა დაპირისპირების დროს დაადასტურა ცინცაძის ჩვენება და აღნიშნა, რომ პირველი საუბრის შემდეგ მას აღარ შეხვედრია. რაც შეეხება მენშევიკურ ორგანიზაციას, ღვამბერიამ მისი არამცთუ წევრობა, არამედ საერთოდ არსებობის შესახებ ცნობაც კი უარყო.საქმის მასალების მიხედვით ის დაპატიმრებულია, როგორც კონტრრევოლუციური, ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი. მოწმემ კი ჩვენება მისცა როგორც მენშევიკური ორგანიზაციის წევრზე. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, საქმის მასალებით ღვამბერიას დანაშაული არ დასტურდება და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც გაუქმებულად ჩაითვალა.

16. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მღებრიშვილი (საქმე №19374). საქმის განხილვა მ

მოიხსნა დამატებითი შემოწმების მიზნით.

17. ამბროსი ნესტორის ძე ამაღლობელი (საქმე №1613). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წლის 17 თებერვალს და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში, 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ მოზდოკის სამხედრო ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროს, მიიღო ქართველი ემიგრანტების წინადადება და 1942 წელს ჩაეწერა ქართულ ლეგიონში ბრანდენბურგის დივიზიაში. მიღებული ჰქონდა ობერ-ეფრეიტორის წოდება და მედალი-აღმოსავლელი ლეგიონერი. 1943-1945 წლებში იუგოსლავიის, უკრაინის, ბელორუსიის, იტალიის ტერიტორიებზე აქტიურად იბრძოდა საბჭოთა არმიისა და პარტიზანების წინააღმდეგ. 1944 წელს ხელში ჩაუვარდა ამერიკელ ჯარისკაცებს და 1945 წელს საბჭოთა მხარეს გადაეცა. ბრალეულობა დაადასტურა რესპუბლიკურმა კომისიამაც. ამიტომ ამბროსი ამაღლობელის საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული.

18. ზინაიდა აბრამის ასული ხუნაშვილი. (საქმე №2144). გაასამართლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1951 წლის 18 იანვარს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა და ქონების კონფისკაცია. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზინაიდა ხუნაშვილს სიღნაღში ჩამოყალიბებული ჰქონდა ევანგელისტურ-ბაპტისტური სექტა, სადაც გააწევრიანა როგორც მოხუცები, ისე ახალგაზრდები. ევანგელეის კითხვის დროს გამოთქვამდა ანტისაბჭოთა მოსაზრებებს, ხელს უშლიდა ხალხს შესულიყვნენ კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის რიგებში, ურჩევდა არ გამოეყენებინათ იარაღი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოწმეთა ჩვენებებით ჩანს, რომ მსგავსი ევანგელისტური ორგანიზაცია იყო სიღნაღში 1938 წლიდან ანუ სანამ ზინაიდა მიიღებდა ამ რწმენას. მსჯავრდებულმა დაადასტურა, რომ ხელმძღვანელობდა არარეგისტრირებულ რელიგიურ სექტას და არღვევდა დადგენილ წესებს, მაგრამ რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ზინაიდა ხუნაშვილის ბრალეულობა არ კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის გადაკვალიფიცირების შესახებ (სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად.)

19. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა

სასამართლომ 1950 წლის 10 იანვარს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლების შესაბამისად გაასამართლა ექვსი პირი: ელენე პავლეს ასული ნინუა, ეფროსინე ნიკიფორეს ასული კრავეცი, ვასილი მეთოდეს ძე ოზენიუკი, ანდრეი კონსტანტინეს ძე კრიკოტინი, ანდრეი თევდორეს ძე ბალკინი, გრიგოლ ზაქარიას ძე კოლისნიჩენკო. (საქმე №51) მათ ბრალად ედებოდათ არალეგალური სექტა 50-იანელების წევრობა. ისინი ვითომდა ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს, სინამდვილეში ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას და თავიანთ სახლებს არალეგალური შეხვედრებისთვის იყენებდნენ. სამ მათგანს მისჯილი ჰქონდა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ სამს 8 წლით. აქედან კრიკოტინი ანდრეი გარდაიცვალა გადასახლებაში. მსჯავრდებულები დანაშაულს აღიარებდნენ მხოლოდ იმ ასპექტში, რომ იყვნენ არარეგისტრირებული დაჯგუფების წევრები. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, არ იკვეთება დანაშაული ,რომელსაც ითვალისწინებდა 58-10 და 58-11 მუხლები და სასჯელის ზომა შეეფარდათ სისხლის სამართლის კოდექსის 129 -ე მუხლის შესაბამისად.

20. პეტრე დავითის ძე ერქვანიძე. 1938 წლის 19 მარტს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და შეუფარდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-მემარჯვენე ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი იყო მართებული და მსჯავრდებულ პ. ერქვანიძის საჩივარიც არ დაკმაყოფილდა.

21. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კუდრავცევი, ვიქტორ მატვეის ძე კაკულია და გიორგი ვასილის ძე გურამიშვილი გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა1938 წელს. მათ ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციური საქმიანობა და შეფარდებული ჰქონდათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

22. ხარლამპი გრიგორის ძე გვარამია. საქმე მოიხსნა განხილვიდან დამატებითი შემოწმების მიზნით.

23. ილარიონ ალფეზის ძე ჯოხაძე, ტიტიკო უშანგის ძე კაკოიშვილი, კონსტანტინე გიორგის ძე მუნტიანი, კირილე ანტონის ძე ხიდურელი და. ევგენი ნესტორის ძე ლაშხი გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 და 58-11 მუხლებით და შეუფარდა 10 წლით თავისუფლების

აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციური საქმიანობა. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც დაუსაბუთებელი, გააუქმა.

24.დომენტი სტეფანეს ძე თარგამაძე. საქმის განხილვა მოიხსნა დამატებითი შემოწმების მიზნით.

25. ლიდა პეტრეს ასული სარანოვა. 1952 წელს გაასამართლა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ და მიუსაჯა 25 წლით პატიმრობა, ქონების კონფისკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.რესპუბლიკური კომისიის მიერ შესწავლილი საქმის მასალებით, ლიდა სარანოვა თავის ნაცნობებს წერდა ანტისაბჭოთა, ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის წერილებს. ნატრობდა კომუნისტების განადგურებას და საბჭოთა სახელმწიფოს დამხობას. დაკითხვისას აღნიშნა, რომ მას ცილს სწამებდნენ მასთან მტრულად მყოფი მეზობლები. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მისი ავადმყოფობა, მეორე ჯგუფის ინვალიდობა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი შეუცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და 25 წლიანი სასჯელის ვადა 15 წლით. (ეს საქმე კომისიის წინა შეხვედრაზე გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით)

26. ანასტასია ეფრემის ძე მაცაბერიძე. გაასამართლა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო კოლეგიამ 1951 წლის 15 იანვარს და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის შესაბამისად. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური შინაარსის საუბრები, გმობდა საბჭოთა ხელისუფლებას, ნატრობდა ბელადის სიკვდილს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩაითვალა.

27. სარქის აირაპეტის ძე სირუნიანი, გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1950 წლის 16 სექტემბერს და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს 40 წელზე მეტი სამუშაო სტაჟი ჰქონდა. ამის მიუხედავად ცოტას გამოიმუშავებდა და შესაძლოა გამოეთქვა უკმაყოფილება არსებული წყობილების მიმართ. ამიტომ,

რესპუბლიკურმა კომისიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი შეუცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით. კი სასჯელის 10 წლიანი ვადა შეუმცირა 5 წლამდე და შეეხო 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

28. ლეონ ტარასის ძე თევდორაძე საქმე (№2355), ვასილი ტიხონის ძე ინოზემცევი (საქმე №7819), ვლადიმერ გრიგოლის ძე კაბისოვი (საქმე №555), გიგუცა ივანეს ძე ტუაევი (საქმე №3010), გიორგი ვლადიმერის ძე ხაჩიროვი (საქმე №3006), ივანე იაკობის ძე კუნიცინი (საქმე №927), ინდიკო ანტონის ძე თუთოსანი (საქმე №1497) და მელიტონ გრიგორის ძე პერტახია (საქმე №8634). ეს პირები 1948-1952 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიამ დაადასტურა მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამასთან გაითვალისწინა დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები. კერძოდ: დიდხანს არ უმსახურიათ გერმანელებთან, აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ გერმანელებისთვის სასარგებლო საქმიანობაში,არ უბრძოლიათ საბჭოთა არმიის ან პარტიზანების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე სისხლის სამართლის კოდექსის 58 -ე მუხლი შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და სასჯელის ვადა კი შემცირდა 10 წლამდე (**სშსსა 5:35-87**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მეექვსე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 24 ივლისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. დიმიტრი სარონის ძე მიაგკოვი (საქმე 1571), ნიკოლოზ ნესტორის ძე ლომინეიშვილი (საქმე №2114) ოთარ ავთანდილის ძე აბულაძე, ვლადიმერ ირაკლის ძე ვარდოსანიძე, ვართან გეორქის ძე დალაქიანი, გირგენ დავითის ძე აკოლიანი (საქმე №2515), კონსტანტინე თევდორეს ძე ფლეჟევარი (№საქმე 103877), ვლადიმერ ალექსის ძე კამკამიძე (საქმე №1538), ისიდორე ისმაილის ძე შეყილაძე და ესაილ ავესტის ძე შაინოვი. ეს პირები 1947-1951 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. მათი დანაშაული რესპუბლიკურმა კომისიამ დაადასტურა, მაგრამ ამასთან შესაძლებლად მიიჩნია სისხლის სამართლის კოდექსის 58 -ე მუხლის შეცვლა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე.

3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს გაასამართლა შემდეგი პირები: ფარნაკ ოსიპეს ძე პეტროსიანი, სურენ პეროსის ძე ტოპოლიანი, ხაჩიკ სარქისის ძე ბედიკიანი, პოღოს ავესტის ძე პარციკიანი . მათ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. ბრალად ედებოდათ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანული არმიის სომხურ ლეგიონში სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულებს გერმანელების მხარეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. დაჯილდოებული იყვნენ საბრძოლო მედლებით. აქედან გამომდინარე: ფარნაკ პეტროსიანს 15 წლიანი სასჯელის ვადა შეუმცირდა 5 წლამდე. სურენ ტოპოლიანს 15 წლიანი ვადა შეუმცირდა 8 წლამდე. პოღოს პარციკიანს და ხაჩიკ ბედიკიანს 25 წლიანი სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე.

4. სეტიკ მარტიროსის ძე გრიგორიანი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. საქმის

მასალების მიხედვით, მსახურობდა გერმანელებთან პროპაგანდისტად, ხატავდა საბჭოთა ბელადის კარიკატურებს და ამასხარავებდა საბჭოთა არმიას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ ამგვარი ქმედებით, მხოლოდ საკუთარ მდგომარეობას იმსუბუქებდა და აქტიურად და მონდომებით გერმანელთა სასარგებლოდ არ უმოქმედია. ამიტომ, შესაძლებლად ჩაითვალა, სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის შეცვლა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე შრომა-გასწორების ბანაკში.

5. მირიან მიხეილის ძე გაბუნია (საქმე №99727). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. ბრალად ედებოდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური ლევ ყიფიანის ფსევდონიმით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით: განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

6. ალექსანდრე მატვეის ძე გიგაური (საქმე №3081). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, რადგანაც ალექსანდრე გიგაური მონაწილეობდა საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმსა და უკრაინაში, გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

7. ნიკოლოზ ვასილის ძე ომიაძე. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. სიმონ ივანეს ძე ვეზირიშვილი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ნიკოლოზ ომიაძესა და სიმონ ვეზირიშვილს ბრალად ედებოდათ 1949 წელს კისლოვოდსკში ანტისაბჭოთა,

ნაციონალისტური ორგანიზაციის შექმნა თავისი წესდებით და პროგრამით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

8. სტეფანე იაკიმეს ძე დიდა. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 54-11 მუხლებით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. ვლადიმერ პავლეს ძე მაქსიმოვი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 54-11 მუხლებით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. სტეფანე დიდას და ვლადიმერ მაქსიმოვს ბრალად ედებოდათ 1948 წლიდან უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა, ანტისაბჭოთა ხასიათის ტექსტების გავრცელება. ვლადიმერ მაქსიმოვს უნდოდა ჯერ თურქეთში, შემდეგ აშშ-ში გადასვლა, სადაც ცხოვრობდა ბიძამისი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მტკიცებულებები ვლადიმერ მაქსიმოვის და სტეფანე დიდას ბრალეულობის შესახებ ეჭვს არ იწვევდა. სასჯელის ზომაც შეესაბამებოდა დანაშაულს. ამიტომ განაჩენი დარჩა ძალაში და სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილება მართებულად ჩაითვალა.

9. სიმონ არსენის ძე მგალობლიშვილი. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკურ პოლიციაში სამსახური და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სიმონ მგალობლიშვილის მონაწილეობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში არსებული მასალების მიხედვით ეჭვს იწვევდა. შემდგომ წლებში ის არ მისდევდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. გასამართლებული იყო დაუსაბუთებელი ბრალდებით. ამიტომ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

10. ნიკოლოზ სპირიდონის ძე იაკობაშვილი (საქმე №17755). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების

ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკებთან კავშირი და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა. მსჯავრდებულს მოწმეები და კოლმეურნეობის წევრები ახასიათებდნენ, როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

11. შუქრი ხასანის ძე თანთოღლი. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა თურქეთის აგენტობა. თურქეთის საზღვრის არალეგალური გადაკვეთა. რესპუბლიკურმა კომისიამ მისი დანაშაული დადასტურებულად ჩათვალა და განაჩენიც დატოვა ძალაში.

12. ილია ფილიპეს ძე მხეიძე. (საქმე №7324). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა აბაშის რაიონში მოქმედი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ჯგუფის წევრობა.რესპუბლიკურმა კომისიამ მისი დანაშაული დადასტურებულად ჩათვალა და განაჩენიც დატოვა ძალაში.

13. ივანე ანდრეის ძე ფოცხიშვილი გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციონერ-მენშევიკებთან კავშირი.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი გაუქმებულად ჩაითვალა, რადგან საქმის მასალებში დასახელებულმა მოწმეებმა ჩვენება ივანე ფოცხიშვილის წინააღმდეგ არ მისცეს. ერთი მოწმის ჩვენება, როცა კონტრრევოლუციონერობის დამადასტურებელი ფაქტები საქმის მასალებში არ ჩანს, რესპუბლიკური კომისიის აზრით, არ იქნებოდა საკმარისი ბრალის წასაყენებლად.

14. ალექსანდრე ვიქტორის ძე გოცირიძე. (საქმე №11175). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. საქმის მასალების მიხედვით, 1920 წელს სამხრეთ-ოსეთში მენშევიკურ რაზმებთან ერთად მონაწილეობდა გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში, ავრცელებდა ხმებს აბელ ენუქიძის სასარგებლოდ.

თუმცა ამ დანაშაულის მტკიცებულებები საქმეში არ ჩანს. 1929 წელს დაპატიმრებულ იქნა როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, გარიცხეს კომკავშირიდან, შემდეგ ისევ აღადგინეს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, საქმის მასალებით დანაშაული არ მტკიცდება. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება შეწყდა.

15 არისტოკლე არედის ძე იჩკიტიძე (საქმე №11148). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხოკომისარიატისსამეულმა1937წელსსისხლისსამართლისკოდექსის58-10მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ა. იჩკიტიძე ჯერ კიდევ 1931 წელს ერთი წლით დაუპატიმრებიათ კონტრრევოლუციურ-მენშევიკური ორგანიზაციის წევრობისთვის. მისი საქმის მასალების მიხედვით, გათავისუფლების შემდეგ როგორც მჭედელი, მიზანმიმართულად ცდილობდა კოლმეურნეობის საქმეების დაზარალებას. საკუთარი ხარი გაუყიდია, რათა არ შეეყვანა კოლმეურნეობაში. თავად არ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ არიან მოწმეები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნა მართებულად და არისტოკლე იჩკიტიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

16.. გიორგი ნიკოლოზის ძე ჯანიაშვილი (საქმე №1249). გაასამართლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ 1948 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. ჯერ კიდევ 1946 წელს, გასამართლებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლით, მაგრამ საქმე შეწყდა.1948 წლის 25 დეკემბერს, საჩვენებელ დაფაზე, მუშების თანდასწრებით, გადახაზა ბელადის სურათი და საბჭოთა ლოზუნგებს მიაწერა უცენზურო სიტყვები. არიან მოწმეები და თავადაც აღიარებს დანაშაულს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად და მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

17. მიკირტიჩ არზუმანის ძე ამირხანოვი (საქმე №3455). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალების მიხედვით, 1932 წელს გამხდარა თბილისში 1931 წლიდან მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, რომლის მიზანიც იყო სოფლებში კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება. მიკირტიჩ

ამირახანოვი თავს დამნაშავედ არ ცნობდა მაგრამ არსებობდნენ მოწმეები.

რესპუბლიკურმა კომისიამ მიკირტიჩ ამირხანოვის დანაშაულებრივი ქმედება დადასტურებულად ცნო. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალა მართებულად.

18. ილია ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე (საქმე №18542), გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა, არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა 1927 წლიდან, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მიმართული ანტისაბჭოთა აგიტაციის ჩატარება. თავად მსჯავრდებული ნაწილობრივ აღიარებდა დანაშაულს. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნია.

19. ლეონიდ ალექსანდრეს ძე ჟღენტი (საქმე №12398). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა. დააპატიმრეს მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. მათივე განცხადებით ლეონიდ ჟღენტი არანაირ კონკრეტულ დავალებებს არ იღებდა. დამატებითი გამოძიების დროს, დაიკითხა კიდევ სამი ადამიანი. ისინი იცნობდნენ ჟღენტს, მაგრამ მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ, არაფერი სმენოდათ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ლეონიდ ჟღენტის დანაშაულებრივი საქმიანობა არ დასტურდება. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გაუქმდა.

20. ხარლამპი გრიგორის ძე გვარამია (საქმე №22212). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული აღიარებდა. რომ ის გადაუბირებია კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისაკ გვარამიას 1935 წელს და შემდეგ მათ გადმოუბირებიათ სხვებიც. მოგვიანებით დაპატიმრებულმა ისაკ გვარამიამ აღნიშნა, რომ ხარლამპი გვარამიას კონტრრევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, ვინმე პერტენავასგან იყო მისთვის

ცნობილი. მსჯავრდებულის მიერ დასახელებული ე.წ. გადმობირებულები გამოძიებას არც კი დაუკითხავს. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ხარლამპი გვარამია საკუთარი აღიარების საფუძველზე იყო დაპატიმრებული, რომელიც მოგვიანებით თავადვე უარყო. აქედან გამომდინარე,შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

21. სანდრო (ალექსანდრე) ივანეს ძე ტერტერაშვილი (საქმე №9690). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 58-11 მუხლებით და შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის წევრთა განმარტებით, საქმეს ჭირდებოდა დამატებითი შემოწმება.

22. რუდოლფ იულიუსის ძე ფარვე (საქმე №1736/8596). გაასამართლა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ 1949 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა ეროვნებით ესტონელი, იყო სამამულო ომის ინვალიდი და დარაჯად მუშაობდა დაპატიმრებამდე. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა მოსაზრებები და უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ჯერ აღიარა დანაშაული, (როგორც აღნიშნა გათავისუფლებას შეპირდნენ) შემდეგ უარყო. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, რუდოლფ ფარვეს დანაშაული მტკიცდება მოწმეთა ჩვენებებით. ამიტომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლო კოლეგიის მიერ ადრე გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად (**სშსსა 6:88-120**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით მეშვიდე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 8 აგვისტოს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვალერიან მამალაძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. საარქივო-საგამოძიებო საქმე №2687 ეხებოდა ნოე გიორგის ძე ქურდაძეს, ვლადიმერ პეტრეს ძე ბეროზაშვილს, სერგო დავითის ძე კაპანაძეს. დასახელებული პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 3 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მათ ბრალად ედებოდათ გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური. 1942 წელს, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, ფიცი დადეს გერმანიის ერთგულებაზე და ჩაიცვეს გერმანიის არმიის სამხედრო ფორმა. მუშაობდნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე. მოგვიანებით, ტყვედ ჩავარდნენ ამერიკელებთან. ნოე ქურდაძე და ვლადიმერ ბეროზაშვილი იყვნენ აშშ-ში, სერგო კაპანაძე – ინგლისში. საბჭოთა ხელისუფლებისთვის გადმოცემის შემდეგ, დამალეს გერმანელებთან სამსახური.რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დასახელებული პირები აქტიურ საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ. ამიტომ გადაკვალიფიცირდა მათი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდათ 8 წლამდე.

2. ალექსი დოროთის ძე დანიუკი (საქმე №670). 1948 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით პატიმრობის ვადა შრომა გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია მისი გასამართლება. ამასთან აღინიშნა, რომ დანიუკის, როგორც უცხო ქვეყნის დაზვერვის აგენტის საქმიანობა აქტიურად არ იყო გამოვლენილა. ამიტომ დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 15 წლამდე.

3. ანდრონიკ ტატევოსის ძე ვალერჯიანი (საქმე №8653). გაასამართლა 1950 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით პატიმრობა შრომა -გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. რესპუბლიკურმა კომისიამ ადრე გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა იმ მოტივით, რომ მსჯავრდებული მონაწილეობდა ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრთა და იმ საბჭოთა მოქალაქეების

დაპატიმრებაში, რომლებიც კავშირში იყვნენ პარტიზანებთან.

4. 1944 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თურქეთში გადასვლის მსურველ 5 პირს: ილია აბრამის ძე გოგუაძეს, ზიგმუნდ გოტერმანს, ტომბას ვაისმანს, პიავკა ვოლფ მაიერს, შილო კლიგერს. ამ უკანასკნელმა ვადამდე მოიხადა სასჯელი 1953 წელს და ცხოვრობდა სვერდლოვსკში. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ცნო და ძალაში დატოვა.

5. ავგუსტ ედუარდის ძე კარსი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით პატიმრობა შრომა გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მსჯავრდებული ესტონეთიდან ჩამოვიდა ბათუმში და სურდა თურქეთში გადასვლა. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

6. ნარიმან ვლადიმერის ძე ელიოზაშვილი 1938 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო კოლეგიამ და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, ანტისაბჭოთა გამონათქვამები, აქებდა ლევ ტროცკის. შექმნა ანტისაბჭოთა ჯგუფები. რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად და დატოვა ძალაში.

7. ალექსანდრე გაბრიელის ძე ვართანოვი (საქმე №3272). გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდა და ცარისტული რეჟიმის ქება. საქმეში ფიგურირებენ მოწმეებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ ადრე გამოტანილი განაჩენი მართებულად ცნო.

8. ვალენტინ ალექსანდრეს ძე ეფიმოვი (საქმე №891488). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მავნებლური საქმიანობა გაერთიანება „საქნავთში“. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ

გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა, დაეყრდნო რა საექსპერტო დასკვნებს ვალენტინ ეფიმოვის მავნებლობის შესახებ.

9. ვიქტორ ისაკის ძე სარქისოვი (საქმე №8527) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს მავნებლობის ბრალდებით და სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 58-11 მუხლების შესაბამისად მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკურმა კომისიამ დანაშაულის ფაქტები დადასტურებულად ჩათვალა და ძველი განაჩენი დატოვა ძალაში.

10. აჯიკარიმ მაჰმუდ ოღლი, გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მუსავატურ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. თავადაც აღიარებდა მსჯავრდებული დანაშაულს და საქმის მასალებში ფიგურირებდნენ მოწმეებიც. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა.

11. მიხეილ ივანეს ძე ცირეკიძე. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, მენშევიკურ პარტიასთან კავშირი, ეწეოდა აგიტაციას, რომ არ გამოცხადებულიყვნენ სამსახურებში. რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩათვალა მართებულად.

12. ივანე გლახუნას ძე მგელაძე. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1943 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ არ მალავდა გერმანიის საბჭოთა კავშირზე გამარჯვების სურვილს. სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ ჩათვალა მართებულად.

13. გრიგოლ ვასილის ძე სენატენკო 1951 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა საბჭოთა

ბელადის და ხელმძღვანელობის მიმართ უცენზურო გამონათქვამები. ომის შემდგომ წლებში ეწეოდა სპეკულაციას. რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად.

14. სარქის ეგორის ძე ჯაგინოვი. გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1946 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის შესაბამისად და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ხასიათის ანტისაბჭოთა აგიტაცია. განაჩენი რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა.

15. ნიკოლოზ ზაქარიას ძე შენგელია, მიხეილ ალექსანდრეს ძე კოღუაშვილი და იასონ ნიკოლოზის ძე წკეპლაშვილი გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს. მათ ბრალად ედებოდათ მენშევიკებთან კავშირი. ნ. შენგელიასა და მ. კოღუაშვილის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო ი. წკეპლაშვილის შემთხვევაში რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად.

16. მიხეილ ნიკოლოზის ძე მესხიშვილი (საქმე №806). 1948 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. საქმის მასალების მიხედვით, ის ებრძოდა პოლონელ და ფრანგ პარტიზანებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, რესპუბლიკურმა კომისიამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა.

17. სერგეი ანდრეის ძე ჩხვირკია, დავით კონსტანტინეს ძე ჩოგოვაძე (საქმე №2759), ნიკოლოზ მიხეილის ძე კეთილაძე (საქმე №2470), სევერიან მელიტონის ძე იობიძე (საქმე №638), გერმანე სანოს ძე ავდალიანი (საქმე №1948), ილია ივანეს ძე სინტურაშვილი (საქმე №1493), ტარიელ ივანეს ძე ქარქუსაშვილი და მიხეილ აბრამის ძე ნავროზაშვილი (საქმე №2858), მამედოვი იუსუფ ახმედოღლი (საქმე №550), ვლადიმერ ივანეს ძე ლისენკო (საქმე №524), იონა ოლიფანტეს ძე მაღრაძე და მალენტი ერასტის ძე ჩხაიძე, გაიკ (გიორგი) ბაღდასარის ძე ბოიაჯიანი (საქმე №4332), დავით იაკობის ძე ჩიქობავა და ერასტი იოსების ძე ლურსმანაშვილი (საქმე №4383). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო

ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ ტყვეობაში ჩავარდნის შემდეგ გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური. დამატებითი გამოძიების შემდეგ, რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ მსჯავრდებულები ნებაყოფლობით არ გადასულან გერმანელების მხარეს, იბრძოდნენ პარტიზანებთან ერთად, სახელმწიფო შემოწმების დროს არ დაუმალავთ თავიანთი კავშირი გერმანელებთან, დაპატიმრებამდე ეწეოდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. აქედან გამომდინარე გადაკვალიფიცირდა მათი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შემცირდა 10 წლამდე (**სმსსა 7:1-36**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით მერვე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 18 აგვისტოს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. საარქივო-საგამოძიებო საქმე №1175. 1948 წლის აპრილ-ივნისის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-10 და 58-11 მუხლებით გაასამართლა შემდეგი პირები: ალექსანდრე სიმონის ძე ციბულევსკი. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. თეიმურაზ ირაკლის ძე თაზიშვილი. მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია. ნაურ ვალერიანის ძე მარღანია. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. კომუნელა მოსეს ასული მარქმანი. მიესაჯა 25 წლით

თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია. იური ანტონის ძე ლიპინსკი. მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია. დურმიშხან ეპიფანეს ძე ალშიბაია. მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია.ალექსანდრე გიორგის ძე ბალუაშვილი. მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით და ქონების კონფისკაცია. ლევ ქრისტეფორეს ძე სოფიანიდი. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ალექსანდრე გიორგის ძე მელნიკოვი. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. საქმის მასალების მიხედვით 1944 წელს თეიმურაზ თაზიშვილს შეუქმნია ახალგაზრდული, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომლის წევრებიც იყვნენ ალშიბაია, მარქმანი, მარღანია, ლიპინსკი, ბალუაშვილი. ორგანიზაციის ძირითადი მიზანი იყო ანტისაბჭოთა აგიტაცია, ტერორისტული აქტების მომზადება პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებზე, საქართველოს სსრკ-დან გამოყოფა, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა უცხო სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ. საიდუმლო შეხვედრებზე შეიქმნა ტერორისტული ჯგუფი თაზიშვილი, ალშიბაია, მარღანია, ლიპინსკის შემადგენლობით. ამზადებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის ტექსტებს და ავრცელებდნენ თბილისში. სოფიანიდის ბრალეულობა გამოიხატა იმაში, რომ ჰქონდა კავშირი მარქმანთან და ასევე მცდელობა შეექმნა საკუთარი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია. ციბულევსკის ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. ინფორმირებული იყო მარქმანისა და ლიპინსკის არალეგალურ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე, მაგრამ არ აცნობა შესაბამისს ორგანოებს. მელნიკოვს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა საუბრები და აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით საქმის მასალებით დანაშაული დადასტურებულია, არსებობს პირადი აღიარებები და მოწმეთა ჩვენებები, ასევე ნივთმტკიცებები. შესაბამისად განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

2. ნიკოლოზ სიმონის ძე პოღოსოვი (საქმე №877). გაასამართლა საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების

აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. მისი საკასაციო საჩივარი სამხედრო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. ბრალად ედებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან სამსახური. მუშაობდა საწყობის გამგედ და ამარაგებდა გერმანელებს პროდუქტებით. დამატებითი გამოძიებით დადგინდა, რომ ნიკოლოზ პოღოსოვი მსახურობდა რა გერმანელებთან, ამავე დროს იარაღით და საბრძოლო მასალით ეხმარებოდა პარტიზანებსაც. გადავიდა მათ მხარეს, დაიჭრა კიდეც ომში. 1945-1949 წლებში მსახურობდა დასავლეთ უკრაინაში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგან ჯარებში. დადებითი კუთხით გამოირჩეოდა, როგორც სამხედრო სამსახურში, ისე დემობილიზაციის შემდეგ. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით, სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 24 აპრილს გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით შემდეგ პირებს (საქმე №1972): შოთა ლუკას ძე ქაჯაია, მიხეილ დიმიტრის ძე ჭაჭიაშვილი, სერგო გიორგის ძე ლორთქიფანიძე, თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ჩხეიძე, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ყურაშვილი და ივანე თეიმურაზის ძე ლიპარტელიანი. 1954 წლის თებერვალში შოთა ქაჯაიამ საჩივრით მიმართა სსრკ-ის თავდაცვის მინისტრს და ითხოვა საქმის მასალების გადახედვა. ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან სამსახური. 1941 წელს შოთა ქაჯაია ჩავარდა ტყვედ და ქართველმა ემიგრანტმა გადაიყვანა გერმანელ აგენტ-პროპაგანდისტების ბანაკში. 1942 წელს გადააგზავნეს იუგოსლავიაში, სადაც მუშაობდა სოფლის მეურნეობაში. 1943 წელს შეუერთდა იუგოსლავიელ პარტიზანებს და ომის დასრულებამდე მათთან მსახურობდა. დაიჭრა და დაჯილდოებულია მედლით მამაცობისათვის სერგო ლორთქიფანიძე შეხვდა რა ქართული კომიტეტის თავმჯდომარე ემიგრანტ მაღალაშვილს, ომის დასრულებამდე მისი ქვისლის მამულში მუშაობდა.დანარჩენი მსჯავრდებულებიც მსახურობდნენ გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. ისინი ხელში ჩაიგდეს მოკავშირეებმა და გადმოსცეს საბჭოთა

ხელმძღვანელობას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მსჯავრდებულებს საბჭოთა არმიის და პარტიზანების წინააღმდეგ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამიტომ სასჯელის ვადა შეუმცირდათ 15 წლამდე. ხოლო შოთა ქაჯაიას 5 წლამდე, შესაბამისად შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

4. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მათიაშვილი, ანატოლი პეტრეს ძე ივანცოვი, ალექსანდრე ტიმოთის ძე აბრალავა, იოსებ ივანეს ძე დუსამათაშვილი, ვასილი დიმიტრის ძე ფროლოვი (საქმე №8620). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. საკასაციო საჩივარი სამხედრო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, რადგან მსჯავრდებულები მონაწილეობდნენ პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

5. ზაქრო ვასილის ძე მჭედლიშვილი, გიორგი ფილიპეს ძე სიორიძე, ზაქარია ივანეს ძე ჩიდრაშვილი, ნიკოლოზ სიმონის ძე ჭკუასელი, ბენია ელიზბარის ძე დუნდუა, ივანე ერასტის ძე ჭყონია და ივანე გიორგის ძე ჯაჯალაშვილი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წლის 13-14 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან ტყვეობა და მათთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ჯაჯალაშვილს და ჭყონიას უცვლელად დარჩათ სასჯელის ზომა, ხოლო დანარჩენი მსჯავრდებულების შემთხვევაში, შესაძლებლად ჩაითვალა სისხლის სამართლის კოდექსის 58 -ე მუხლის შეცვლა სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდათ 15 წლამდე.

6. შაქრო ბართლომეს ძე სამხარაძე და მურმან დავითის ძე წერეთელი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა

შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან ტყვეობა და სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შაქრო სამხარაძის შემთხვევაში განაჩენი ჩაითვალა მართებულად. ის 1950 წლამდე არ დაბრუნებულა საფრანგეთიდან. მურმან წერეთლის შემთხვევაში კი შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე.

7. ვლადიმერ ვლადიმერის ძე კუტუბიძე და კარაპეტ გარნიკის ძე საღათელიანი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან ტყვეობა და სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

8. გრიგოლ სავლეს ძე შეველიძე-ომიაძე (საქმე №3245). გაასამართლა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს რსფსრ -ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-4 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავი-სუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გრიგოლ შეველიძე-ომიაძე ცხოვრობდა ვლადივოსტოკში, უკმაყოფილო იყო საბჭოთა ცხოვრების პირობებით და 1930 წელს წავიდა ჩინეთში ემიგრაციაში, სადაც შევიდა ანტისაბჭოთა ქართულ-ნაციონალისტურ საზოგადოებაში. ამ საზოგადოების ხელმძღვანელთა დახმარებით მიიღო ემიგრანტული პასპორტი ომიაძის სახელზე. აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების მუშაობაში, ესწრებოდა კრებებს, იხდიდა საწევროს. შეველიძე-ომიაძე იყო განსაკუთრებული სამხედრო ორგანიზაციის წევრი, რომლის მიზანიც იყო აქტიური დახმარების გაწევა საერთაშორისო ბურჟუაზიისთვის სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1944 წელს შეველიძე-ომიაძე მუშაობდა კრუპიედ არტკლუბში, რომელიც დააარსა იაპონურმა დაზვერვამ. 1947 წელს კი დეპორტირებულ იქნა საბჭოთა კავშირში. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ქალაქ ტყიბულში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შეველიძე-ომიაძის დანაშაული საქმის მასალებით დამტკიცებულია.

სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

9. ვლადიმერ კვატატის ძე სამუშია (საქმე №3179). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან ტყვეობა და სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სისხლის სამართლის კოდექსის 58 -ე მუხლის შეცვლა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

10. გრიგოლ გიორგის ძე გიორგაძე გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გაუქმდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.

11. გრიგოლ ანდრეის ძე ჩალაძე (საქმე №4513/3589). გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1953 წლის 30 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 3 წლით. ბრალად ედებოდა ხალხთა ბელადის ლანძღვა. მსჯავრდებული აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და არსებობდნენ მოწმეებიც. ამიტომ ადრე გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

12. ალექსანდრე იოსების ძე ქურასბედიანი (საქმე №3492,) გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1953 წლის 6 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდა ქვემო სვანეთში ანტისაბჭოთა საქმიანობა, მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა, მონაწილეობის მიღება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ალექსანდრე ქურასბედიანი 1927 წელს 3 წლით

დაუპატიმრებიათ მენშევიკური საქმიანობისთვის. 1937 წელს იატაკქვეშა მენშევიკური ორგანიზაცია ლიკვიდირებულ იქნა და ქურასბედიანიც გააფრთხილეს მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ. ის 16 წლის მანძილზე ემალებოდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ა. ქურასბედიანის შემთხვევაში მენშევიკური საქმიანობა დასტურდება, რისთვისაც მას უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელის ვადა, ხოლო ქვემო სვანეთში კონტრრევოლუციური საქმიანობა არ დასტურდება. ამასთან, რადგანაც მხოლოდ იმალებოდა და არანაირი კონტრრევოლუციური ქმედებები არ განუხორციელებია, შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე.

13. შოთა ნესტორის ძე კვაშილავა (საქმე №3628/3789.) გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1954 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 3 წლით. ბრალად ედებოდა ლავრენტი ბერიას ქება და უკმაყოფილების გამოხატვა მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილების გამო. რესპუბლიკურმა კომისიამ სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად და სასჯელის ვადაც უცვლელი დარჩა.

14. გიორგი პეტრეს ძე ბურლაევი (საქმე №1874). გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წლის 26 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 3 წლით. 1950 წელს მისი საჩივარი განიხილა სამხედრო კოლეგიამ და განაჩენი დატოვა ძალაში. ბრალად ედებოდა უცენზურო გამონათქვამები ხალხთა ბელადზე, მედალს „საბრძოლო დამსახურებისთვის“ უწოდა ჯართი. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით ჩადენილი დანაშაული შეფასდა როგორც ხულიგნობა და გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 75 -ე მუხლით. სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე. ამის შემდეგ შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

15. ვლადიმერ ლევანის ძე კაკაბაძე (საქმე №1417) გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა

შრომა-გასწორების ბანაკში, საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდა უკმაყოფილების გამოხატვა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ანტისაბჭოთა შინაარსის ანონიმური წერილების ავტორობა.ვლადიმერ კაკაბაძემ 1949 წლის 6 მარტს ანონიმური წერილი გააგზავნა ქალაქ ვლადიმირის საფეიქრო ფაბრიკა „კომუნისტური ავანგარდის“ სტახანოველ ფეიქარ სავინოვასთან. ეს უკანასკნელი სიტყვით გამოვიდა ფაბრიკის მუშებთან და მადლობა გადაუხადა ხალხთა ბელადს ხალხზე ზრუნვისთვის. კაკაბაძე სავინოვას თავის წერილში ემუქრება, რომ მას პასუხის გაცემა მოუწევს რუსი და ქართველი ხალხის წინაშე და ამავე დროს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს ბელადს. მეორე წერილი გააგზავნა მოსკოვში 1949 წლის 13 ივნისს, ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ რედაქციაში. წერილში წერს, რომ სსრკ-ში კარგად ცხოვრობენ ქურდები, მექრთამეები და ნაძირალები. რიგით ადამიანებს კი იმ პურის ყიდვის საშუალებაც არ აქვთ, რითაც რევოლუციამდელ რუსეთში საქონელს კვებავდნენ. რესპუბლიკურმა კომისიამ სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა და ვლადიმერ კაკაბაძის მეუღლის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

16. ალექსანდრე პავლეს ძე ახვლედიანი (საქმე №17355) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ, მეამბოხე შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობა, რომლის მიზანიც იყო კოლმეურნეობების განადგურება და აქტიური კომუნისტების ლიკვიდაცია. მსჯავრდებული გაიქცა ტყეში, რათა თავიდან აერიდებინა დაპატიმრება. თავადაც აღიარებს დანაშაულს და არსებობენ მოწმეებიც. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და ალექსანდრე ახვლედიანის ცოლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

17. არსენ ჩაგუს ძე ფირცხალავა (საქმე №15314) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ანტისაბჭოთა აგიტაცია და უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა პარტიის ხელმძღვანელების მიმართ.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, არსენ ფირცხალავას ანტისაბჭოთა საქმიანობა დასტურდება როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ისე თავად მსჯავრდებულის აღიარებითაც. განაჩენი მართებულად იქნა ცნობილი და ა. ფირცხალავას საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

18. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მღებრიშვილი (საქმე №30207.) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 14 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა ანტისაკოლმეურნეო აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი მართებულად იქნა მიჩნეული და ნიკოლოზ მღებრიშვილის მეუღლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

19. ასად მაჰმუდის ძე ჯანგოევი. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წლის 23 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ქურთები კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა და საქმის წარმოება შეწყდა რადგან მსჯავრდებული თავად უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, საქმის მასალებში არსებული მოწმეთა ჩვენებები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ამ ორგანიზაციის ძირითადი და აქტიური წევრები არ იყვნენ დაპატიმრებულები.

20. კოკი ალექსანდრეს ძე გამსახურდია. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით კოკი გამსახურდიას დანაშაული საქმის მასალებით არ დასტურდება და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გაუქმდა.

21. ოთარ (კაკო) შალვას ძე კიკნაძე. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წლის 15 აგვისტოს და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური, ფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრობა. საქმის მასალების მიხედვით, 1936-1937 წლებში, თბილისი 21-ე სკოლაში ორგანიზებული იყო ახალგაზრდების ანტისაბჭოთა ჯგუფი სახელწოდებით „საქართველოს ახალგაზრდობის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია“. ჯგუფის წევრები

და მათ შორის მსჯავრდებული კიკნაძეც, იკრიბებოდნენ თბილისის სხვადასხვა უბნებში და არალეგალური მუშაობის გეგმებს აწყობდნენ. საქმეში ფიგურირებენ მოწმეებიც. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად, დარჩა ძალაში და ოთარ კიკნაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

22. ელიზბარ რომანის ძე თარგამაძე (საქმე №11259) გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-21 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ელიზბარ თარგამაძე, როგორც ყოფილი მენშევიკი აქებდა მენშევიკურ პარტიას და უკმაყოფილებას გამოთქვამდა საბჭოთა ხელისუფლების მისამართით. ბრალდებას თვითონაც აღიარებს და არსებობენ მოწმეებიც.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

23. ოქსანა სერგოს ძე ვერბიცკაია, ივანე ალექსანდრეს ძე მალოფეევი და გიორგი კონსტანტინეს ძე ერისთავი (საქმე №2411) გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა ლიტერატურის შესწავლა და გავრცელება. საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის დისკრედიტაცია. ამოღებული ლიტერატურის ანტისაბჭოურობა დაადასტურა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა წერეთელმა. საქმეში არსებობს გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და მსჯავრდებულ ოქსანა ვერბიცკაიას ვაჟის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

24. იოსებ იაკობის ძე ჯანიკაშვილი (საქმე №3572) გაასამართლა 1953 წელს უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა.ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა ხასიათის პროკლამაციების დამზადება, სოფლის აქტივისტების კომპრომეტირება.

რესპუბლიკურმა კომისიამ სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ცნო.

25. ბონდო დიმიტრის ძე ძაგანია. (საქმე №167) გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა უკმაყოფილების გამოხატვა არსებული წყობილების მიმართ. ამბობდა რომ იყო მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ბონდო ძაგანიას მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა საქმის მასალებით არ დასტურდება. შესაძლებლად ჩაითვალა მისი ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

26. გივი ნოეს ძე მაღულარია, ალბერტ შალვას ძე მელაძე, ჟორეს ივანეს ძე ცინცაძე, შოთა ალექსანდრეს ძე ჯიჯაძე, იური პავლეს ძე მაჩაიძე, ბორის ელიზბარის ძე ხუჭუა, კუკური ვარლამის ძე ძიმისტარიშვილი, ოტია მიხეილის ძე პაჭკორია, თენგიზ ალექსანდრეს ძე ზალდასტანიშვილი. (საქმე №1204). ისინი გაასამართლა საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წლის 8 მარტს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-10 და 46-ე მუხლების გათვალისწინებით. მათ მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა – ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა (შეიქმნა 1946 წელს). ორგანიზაციის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და ტერორი, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფოს შექმნა. ორგანიზაციის წევრები აწყობდნენ არალეგალურ შეხვედრებს. 1948 წელს ანტისაბჭოთა ჯგუფი დაიშალა.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული მტკიცდება მსჯავრდებულების აღიარებით როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოს დროს. თუმცა რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა მათი ასაკი, ის რომ ორგანიზაციის წევრების საქმიანობას მავნე შედეგები არ მოჰყოლია და გ. მაღულარიას, ბ. ხუჭუას, კ. ძიმისტარიშვილს და ი. მაჩაიძეს სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე. დანარჩენ მსჯავრდებულებს იგივე სასჯელის ვადა დარჩათ და მათი ნათესავების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

27. ვლადიმერ ძუკუს ძე ჩხარჩხალია, გერმანე ბათოს ძე კვარაცხელია, სოლომონ

პროკოფის ძე სიმონიშვილი, შოთა ილიას ძე გიორგაძე, ვალერიან ეფრემის ძე ცხოვრებაძე, არჩილ ვლადიმერის ძე ხეჩიაშვილი, რაჟდენ სტეფანეს ძე ფაცაცია, ვარდენ მოსეს ძე მოისწრაფიშვილი, არხიპ ლუკას ძე ბუაჩიძე, შალვა თევდორეს ძე ხუჭუა, საიდულ შირინის ძე ყურბანოვი, სულეიმან ახმედის ძე დუმბაძე. ეს პირები 1948-1951 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ვინაიდან მსჯავრდებულიები მცირე ხნის მანძილზე მსახურობდნენ გერმანელებთან და არ გამოირჩეოდნენ აქტიურობით, შესაძლებლად ჩაითვალა სისხლის სამართლის კოდექსის 58 -ე მუხლი შეცვლილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შემცირებულიყო 15 წლამდე (**სშსსა 8:37-86**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით მეცხრე სხდომა ჩაატარა 1954 წლის 28 აგვისტოს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ივანე სტეფანეს ძე ონისკიევი საქმე (№100166). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წლის 29 სექტემბერს უკრაინის სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა უკრაინის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. კვალის დაფარვის მიზნით გადავიდა საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ცნო

და დატოვა ძალაში.

2. გიორგი ალექსანდრეს ძე სოზაშვილი, მიხეილ მიხეილის ძე ლეპერტი, გიორგი ივანესძელომიძე,შალვავასილისძექათამაძე,ერმილეალექსანდრესძესვანიძე,პოლიკარპე მიხეილის ძე ბოდოკია, ფირუზ სიმონის ძე უნაფქოშვილი, ვასილი ალექსანდრეს ძე ბორაშვილი, გიორგი იასონის ძე კოკოლაშვილი, შალვა გრიგოლის ძე გავაშელი, მიხეილ ბაგრატის ძე ჯაფარიძე, სიმონ ალექსის ძე კოპაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ახალკაცი, ვასილ ივანეს ძე ბალახაშვილი, ამირან ვასილის ძე გიორგანაშვილი, ილია გრიგოლის ძე კოჭლავაშვილი. ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მათ ბრალად ედებოდათ გერმანელებთან ტყვეობა და ქართულ ლეგიონში სამსახური. პარტიზანების საძებნად გაკაფეს ტყე, თუმცა აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამასთან მსჯავრდებულების ნაწილი 1944 წელს შეუერთდა ფრანგ პარტიზანებს. ამ გარემოებების გათვალისწინებით,რესპუბლიკურმა კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე.

3. ნიკოლოზ ემილის ძე სტრუჟენკო (საქმე №552). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-9 მუხლით. მას მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით.იყო რა ტანკის მეთაური, მოაწყო დივერსიული აქტი სამხედრო ნაწილში, რაც დაადასტურა ტექნიკურმა ექსპერტიზამაც. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ცნო.

4. ვარდენ ეფრემის ძე ჩეხოევი. გასამართლებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლ-ქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს. ტყეები გაკაფვა პარტიზანების მოსაძებნად. 1943 წლიდან ისევ საბჭოთა არმიის რიგებშია და მონაწილეობს გერმანელების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში. რესპუბლიკურმა კომისიამ 12 წლიანი პატიმრობის ვადა შეუმცირა 7 წლამდე.

5. სიმონ არჩილის ძე ციციშვილი, ირაკლი დავითის ძე ლორთქიფანიძე და ელენე სიმონის ასული ციციშვილი-ლორთქიფანიძე გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წლის 13 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-4 და 58-10 მუხლებით. სიმონ ციციშვილს დახვრეტის მუხლი შეუცვალეს 25 წლიანი პატიმრობით, ირაკლი ლორთქიფანიძეს მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ელენე ციციშვილ-ლორთქიფანიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალების მიხედვით, სიმონ ციციშვილს ბერლინში ყოფნისას სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად მონაწილეობა მიუღია ქართული ნაციონალური კომიტეტის ჩამოყალიბებაში. კომიტეტმა მემორანდუმით მიმართა გერმანიის მთავრობას ეცნო დამოუკიდებელი საქართველო გერმანიის მიერ მისი ოკუპაციის შემთხვევაში. საბჭოთა საქართველოში დაბრუნების შემდეგ არ წყვეტდა რეემიგრანტებთან კავშირს. სიმონ ციციშვილის ქალიშვილი ელენე, 1922 წელს დედასთან ერთად გაემგზავრა პარიზში და იზრდებოდა ანტისაბჭოთა სულისკვეთებით. ემხრობოდა „თეთრი გიორგის“ ფაშისტურ ორგანიზაციას. 1943 წელს გადავიდა ბერლინში და მუშაობდა რეგისტრატორად გერმანიის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთ განყოფილებაში, სადაც აღრიცხავდა პროფაშისტური საქმიანობისთვის გადაბირებულ ემიგრანტებს და სამხედრო ტყვეებს. 1947 წელს საბჭოთა კავშირში დაბრუნებულმა დამალა ცნობები იმ ემიგრანტების შესახებ, რომლებიც ეწეოდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას. ირაკლი ლორთქიფანიძე თურქეთში გაქცევამდე იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი. თურქეთში შეხვდა ქართველ ემიგრანტებს და გადავიდა საფრანგეთში საცხოვრებლად. იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი. რესპუბლიკურმა კომისიამ მოწმეთა ჩვენებები დანაშაულის დამადასტურებლად მიიჩნია და სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ვადა დატოვა ძალაში.

6. გიორგი ასლანის ძე ლანდია, გრიგოლ აგედის ძე ტუსიაშვილი (საქმე №1163) ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 3 თებერვალს და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს. რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადა შეამცირა 6 წლამდე.

7. არტემ მიქაელის ძე მაღარიანი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1945 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და

მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა.რესპუბლიკური კომისიის მიერ შესწავლილი საქმის მასალებით, მსჯავრდებული აწვდიდა ინფორმაციას გერმანულ დაზვერვას. ამის გამო სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. ათანასე ძოგოს ძე ჟვანია, მიხეილ გრიგოლის ძე ვაჩაძე (საქმე №1653). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა. საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ მონაწილეობდნენ აქტიურ საომარ მოქმედებებში. ამიტომ სასჯელის ვადა შეუმცირდათ 5 წლამდე და შეეხებოდათ 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

9. დავით თევდორეს ძე სტურუა. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-4 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. 1930 წელს არალეგალურად გადაკვეთა სსრკ-მანჯურიის საზღვარი და დარჩა ჩინეთში საცხოვრებლად. საზღვრის გადაკვეთის მიზანი მისი განცხადებით იყო კერძო ვაჭრობით დაკავება, რისი საშუალებაც სსრკ-ში არ ჰქონდა. ჩავიდა რა ქალაქ ხარბინში, გაწევრიანდა ქართულ ნაციონალურ საზოგადოებაში. ამ საზოგადოების დახმარებით მიიღო ჩინური პასპორტი და ცხოვრობდა ვლადიმერ პავლეს ძე მესხის სახელით 1944 წლამდე. დასახელებული საზოგადოება იყო ჯერ ჩინეთის გომინდანის კონტროლქვეშ, შემდეგ იაპონიის მთავრობის კონტროლქვეშ. იაპონიის მთავრობამ ეს საზოგადოება შეიყვანა ანტიკომუნისტური კომიტეტის შემადგენლობაში, რომლის წევრიც იყო 1938-1944 წლებში. დავით სტურუა დაექვემდებარა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, სწავლობდა სამხედრო საქმეს იმ მიზნით, რომ ებრძოლა იაპონიის მხარეს სსრკ-თან ომში. 1944 წელს სტურუა გამოვიდა ამ საზოგადოებიდან და შევიდა საბჭოთა მოქალაქეების საზოგადოებაში. 1946 წელს საბჭოთა საკონსულოს მეშვეობით მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა, საბჭოთა პასპორტი და რეპატრირებულ იქნა საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ სვერდლოვსკში, 1948 წლიდან სამტრედიაში.

მუშაობდა სამტრედიის რესტორანში. თანამშრომლებთან საუბარში აქებდა თავის ცხოვრებას ჩინეთში და წუხილს გამოხატავდა იმის გამო, რომ არ ჰყოფნიდა რესტორნის შემოსავალი და რომ იძულებული იყო გაეყიდა რაღაც ნივთები. საქმეში ფიგურირებენ მოწმეებიც და დანაშაულს აღიარებს თავად მსჯავრდებულიც. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, დავით სტურუას გამონათქვამები, დანაშაულის ნიშნებს, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი, არ შეიცავს. ამიტომ გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 15 წლამდე.

10. ისმაილ ნიკიფორეს ძე კერვალიშვილი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 28 ივლისს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. სიმონ გიორგის ძე საღინაძე გასამართლდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. გიორგი პავლეს ძე ჯოხაძე გასამართლდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ პირებს ბრალად ედებოდათ გერმანელებთან ტყვეობა და გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა მათი შემდგომი სამსახური საბჭოთა არმიაში და ასევე ის ფაქტი, რომ საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამიტომ შეუმცირა სასჯელის ვადა: ისმაილ კერვალიშვილს 10 წლამდე, ხოლო დანარჩენი ორი მსჯავრდებულის შემთხვევაში სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე.

11. არუთუნ აკოფის ძე აკოფიანი, კარაპეტ პოღოსის ძე პეტროსიანი, არტემ მიკირტიჩის ძე მარიქიანი, დივინ რაფოს ძე გომიციანი, პოღოს არტაშას ძე მარქოსიანი. ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 27 აგვისტოს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ გერმანელების მხარეს ნებაყოფლობითი გადასვლა დიდი სამამულო ომის დროს და მათთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით პოღოს მარქოსიანს შეეცვალა სასჯელის ვადა 15 წლამდე, დანარჩენ მსჯავრდებულებს კი დარჩათ სასჯელის იგივე ზომა.

12. ვასილი ილიას ძე პრუდნიკოვი (საქმე №260). გაასამართლა ამიერკავკასიის

სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წლის 9 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მას ბრალად ედებოდა სახელმწიფო საზღვარზე ყარაულის პოსტის მიტოვება. ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნებული ემუქრებოდა ლეიტენანტს და იყენებდა უცენზურო სიტყვებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული მუხლი დანაშაულის არაადეკვატურია, მაგრამ სასჯელის ზომა მაინც დარჩა ძალაში.

13. ანდრეი ივანეს ძე კროიტორი და ხაიმ იაკობის ძე ცვენიაშვილი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან ტყვეობა, ლეგიონ „ბერგმანში“ სამსახური და საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი დატოვა ძალაში.

14. დავით შალვას ძე ჩხიკვაძე გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 19 აგვისტოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მას ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, მაგრამ რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა მსჯავრდებულის მხოლოდ სამეურნეო საქმიანობა ტყვედ ყოფნის პერიოდში და სასჯელის ვადა შეუმცირა 15 წლამდე.

15. ტარასი ალექსანდრეს ძე ჩანტლაძე, რაჟდენ ვასილის ძე სხირტლაძე, გიორგი თევდორეს ძე სამხარაული, დავით არჩილის ძე ინასარიძე, შალვა აბრამის ძე აბრამიძე, ალექსი მირონის ძე პოლუნინი, ანტონ ალექსანდრეს ძე გოგიაშვილი, შალვა თომას ძე ბახსოლიანი, ილია სარდიონის ძე ბურჯანაძე, ბიძინა იასონის ძე გაგოშიძე. ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს.

რესპუბლიკურმა კომისიამ ამ შემთხვევაშიც გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ პირებს არ ჰქონდათ აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა მიღებული და სასჯელის ვადა შეუმცირა 15 წლამდე.

16. იაკობ მუშქელის ძე ჯიოევი (საქმე №2488). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. 1942 წელს იაკობ ჯიოევი ტყვედ ჩავარდა გერმანელებთან და შევიდა გერმანული არმიის ქართული ლეგიონის მე-3 ბატალიონში. დადო ფიცი გერმანული მთავრობის ერთგულებაზე. 1942 წლის დეკემბერში პოლონეთში, კრუშინოს რაიონში მონაწილეობა მიიღო პოლონელი პარტიზანებისგან ტყეების გასუფთავებაში. საფრანგეთის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარების გადმოსვლის შემდეგ, ჯიოევი ლეგიონიდან გაიქცა და ჩაბარდა ამერიკელ ჯარისკაცებს. მოგვიანებით,როცა მუშაობდა ჯავის რაიონში, დაწერა ანონიმური წერილი მთავრობის მეთაურის სახელზე. წერილში მიუთითებდა, რომ კოლმეურნეები იხდიდნენ ბევრად მეტ გადასახადს. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ჯიოევს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია და ანონიმური წერილიც არ იყო ანტისაბჭოთა ხასიათის. დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 10 წლამდე.

17. არუთუნ გუკას ძე არაქელიანი (საქმე 3051). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მას ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დანაშაული და სასჯელის ზომა არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. ამიტომ 25 წლიანი ვადა შეიცვალა 10 წლიანი პატიმრობის ვადით.

18. ბესარიონ ნაუმის ძე ჩიგოგიძე (საქმე №2606). გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 7 წელი შრომა-გასწორების ბანაკში და 2 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. მას ბრალად ედებოდა ანარქისტი ლიდერების აკრძალული

ლიტერატურის შენახვა, რომელიც გამოძიების მიერ მისი სახლიდან იყო ამოღებული. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის ხანდაზმული ასაკი და ის რომ ლიტერატურა კონტრრევოლუციური მიზნებისთვის არ იყო გამოყენებული და ქვეყნისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდა. ამიტომ პატიმრობის 7 წლიანი ვადა შეუმცირდა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

19. ავქსენტი მალაქიას ძე გეგელია (საქმე №9428). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1938 წლის 21 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა. თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მოწმეებთან დაპირისპირება არ მომხდარა. სხვა ცნობები კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ არ არსებობდა. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება გააუქმა.

20. არჩილ დიმიტრის ძე ბერულავა (საქმე №41361) გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის წევრობა. არსებობდა მოწმეთა ჩვენებები და თავადაც აღიარებდა დანაშაულს. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

21. ელისო იესეს ასული ბროლიშვილი. გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა მენშევიკური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი.

22. ივანე მიხეილის ძე ურიათყოფილი (საქმე №21444). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალების მიხედვით, ივანე ურიათყოფილი 1927 წლიდან იყო ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი. თავადაც აღიარებდა ამ ფაქტს და იყვნენ მოწმეებიც. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი.

23. ალექსანდრე პავლეს ძე ჩიჩბა (საქმე №8170). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ალექსანდრე ჩიჩბა უარს აცხადებდა კოლმეურნეობაში მუშაობაზე და იმავეს უკრძალავდა ცოლს. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით.

24. ვახტანგ იაკობის ძე მაისურაძე (საქმე 2147). გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მსჯავრდებული მუშაობდა სახელგამში ბუღალტრად და ანეკდოტი მოჰყვა პარტიის ბელადზე. რესპუბლიკურმა კომისიამ განაჩენი მართებულად ჩათვალა და ვახტანგ მაისურაძის მეუღლის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

25. ბენიამინ მიხეილის ძე რიჟინაშვილი (საქმე №1884). გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა სიონისტური განწყობა, უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ და პროვოკაციული გამონათქვამები ხალხის ბელადის მისამართით. განაჩენი მართებულად ჩაითვალა რესპუბლიკური კომისიის მიერ.

26. ნოდარ კლიმენტის ძე ბრეგვაძე (საქმე №4527). გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1954 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ ბერიას დაპატიმრების ფაქტზე გამოხატავდა უკმაყოფილებას და ლაგოდეხის რაიონში გაავრცელა ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლები. გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა ბრეგვაძის ავტორობა. რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად (**სშსსა 9:87-122**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების

გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით მეთვრამეტე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 21 იანვარს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. სტეფანე დარჩოს ძე მამისაშვილი (საქმე №2979), მიხეილ კლიმენტის ძე თევზაძე (საქმე №3014), გიორგი მიხეილის ძე ჯაფარაშვილი (საქმე №3101), შაქრო ილიას ძე წკრიალაშვილი (საქმე №565), გიორგი თომას ძე ხაჟალია (საქმე №1135), ფიდო კიტოს ძე პატარძლიშვილი (საქმე №908), კონსტანტინე სპირიდონის ძე კაბისოვი (საქმე №335), პავლე ვასილის ძე ხალაძე (საქმე №811), პავლე კირილეს ძე ჩიჩუა (საქმე №2245), არცვიკ ჰარუნის ძე აგაიანი (საქმე №3020), ალექსანდრე ზაქარიას ძე გოგაშვილი (საქმე №3143), აკაკი ბესარიონის ძე სარჯველაძე (საქმე №479), გრიგოლ ნიკოლოზის ძე პატარაია (საქმე №2863), დავით მელიტონის ძე მეტრეველი (საქმე №2589), ზაქრო მარკოზის ძე ჩიტაძე (საქმე №1574) კაზიხან ალიხანის ძე ბიოევი (საქმე №103 744), ვასილ ზაქარიას ძე ჯარიაშვილი (საქმე №602), ვარლამ ისიდორეს ძე ფანცხავა, ვარლამ ილარიონის ძე შვანგირაძე, იონა პარმენის ძე დეკანოსიძე, დავით სარდიონის ძე მიქაძე (საქმე №24 835), დავით სიმონის ძე სვანიძე, გიორგი ივანეს ძე გორგოძე, ალექსანდრე სიმონის ძე ბუცხრიკიძე (საქმე №2524), ანტონ ანდრიას ძე კიკაბიძე (საქმე №517), ვასილ სოფრომის ძე ალიბეგაშვილი, პავლე ქრისტეფორეს ძე სამხარაძე (საქმე №1589), გიორგი ონისიმეს ძე აფრიდონიძე, ვლადიმერ სერგოს ძე არევაძე, დავით ფილიმონის ძე გუმბერიძე , ვასილი ილარიონის ძე ჯოხაძე, ნიკოლოზ ივანეს ძე რეიჰანოვი, გრიგოლ ივანეს ძე ნადირაშვილი, დავით მეთოდეს ძე კეზევაძე, არტემ ზაქროს ძე ქობულაშვილი და გიორგი ვლადიმირის ძე შალამბერიძე (საქმე №2514). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით

და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. შესაძლებლად ჩაითვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდათ ქობულაშვილს და შალამბერიძეს 10 წლამდე, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებს 15 წლამდე.

2. ალექსი აბელის ძე მელიქიძე, თევდორე გიორგის ძე ზედგენიძე და მირიან გრიგოლის ძე ივანიძე (საქმე №103 500) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1946 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9, 58-10 და 58-11 მუხლებით და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით მიესაჯა ალექსი მელიქიძეს, ხოლო დანარჩენ ორ მსჯავრდებულს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ მესხეთის ახალგაზრდული, ჰიტლერული ორგანიზაციის წევრობა. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ეს ორგანიზაცია მოქმედებდა ახალციხის რაიონში და დასახელებული პირები საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე იყვნენ მისი წევრები. ევალებოდათ პროფაშისტური აგიტაცია მოსახლეობაში. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გერმანელების შემოსვლის შემთხვევაში კი, ტერორისტული აქტების მოწყობა საბჭოთა და პარტიული მუშაკების წინააღმდეგ. ალექსი მელიქიძე რედაქტორობდა ჟურნალს „ნაპერწკალი მესხეთიდან“, სადაც აქვეყნებდა ანტისაბჭოთა ხასიათის სტატიებს. 1943 წელს სურდათ თურქეთში გადასვლა.რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა და დატოვა ძალაში.

3. სურენ გონაკანის ძე პოღოსოვი (საქმე №3167). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა 1942 წლიდან გერმანული არმიის ქართულ ბატალიონ „ბერგმანში“ სამსახური. შესაძლებლად ჩაითვალა 15 წლიანი პატიმრობის ვადის შემცირება 8 წლამდე.

4. ილია ივანეს ძე ანიპჩენკო (საქმე №3585), ნიკოლოზ დიმიტრის ძე გაბარაშვილი (საქმე №334), ვასილ პარმენის ძე ჩინჩალაძე (საქმე №298), ვახტანგ ვიქტორის ძე აბრამიძე (საქმე №1134) ანდრეი გიორგის ძე ხითაროვი (საქმე №2903), ვასილი ილიას ძე კუდრიავცევი (საქმე №102027), გიორგი ფილიპეს ძე ჯიქია (საქმე №1515), ნიკოლოზ ერასტის ძე კაციტაძე (საქმე №323), სიმონ სოლომონის ძე ზაქარეიშვილი (საქმე №456),

გრიგოლ იასონის ძე შუშიაშვილი და გიორგი ალექსანდრეს ძე კოკოევი (საქმე №609). ალექსი დიმიტრის ძე მაჩაბელი (საქმე №476), ნიკოლოზ ისაკის ძე ქაჩლიშვილი (საქმე №3218) ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1952 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდათ გერმანული არმიის ქართული ლეგიონში სამსახური, მონაწილეობა საბჭოთა არმიის, ბერძენი და იტალიელი პარტიზანების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩაითვალა.

5. ტიმოთე კუზმას ძე გოლუბევი (საქმე №2881) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით.ბრალად ედებოდა გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობა და სექტანტური მოღვაწეობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 129 -ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ

6. გიორგი დავითის ძე სარალიძე (საქმე №2157) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანულ არმიაში სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ტყვეობამდე მსჯავრდებული იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ და დაჭრილი ჩავარდა ტყვედ. ამიტომ, დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდა 5 წლამდე. ამის შემდეგ შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

7. ალექსანდრე პავლეს ძე ჩერნენკო (საქმე №102327). გაასამართლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წლის 29 ივნისს. სისხლის

სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლების გათვალისწინებით მას მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა გერმანულ პოლიციაში სამსახური, ბრძოლა საბჭოთა არმიის ნაწილებისა და პარტიზანების წინააღმდეგ, მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა. 1948-1949 წლებში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, აქებდა კაპიტალისტური ცხოვრების წესს, გარდაუვალად მიაჩნდა ანგლო-ამერიკული ბლოკის ომი სსრკ-ის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის დამარცხება. მოღალატური საქმიანობა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის გამოყენება რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად მიიჩნია, ხოლო ანტისაბჭოთა აგიტაციის კვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით არ დაადასტურა.

8. ვლადიმერ მიხეილის ძე ვისოცკი (საქმე №103881). გაასამართლა თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. 1948-1951 წლებში რადიომიმღების გამოყენებით სისტემატურად უსმენდა უცხოური რადიოსადგურების გადაცემებს, რომლებიც შეიცავდნენ ცილისმწამლებლურ შეხედულებებს საბჭოთა კავშირსა და მის ხელმძღვანელობაზე. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით,ვლადიმერ ვისოცკის საქმეში არ შეინიშნება კონტრრევოლუციური აგიტაციის დანაშაული, მის მიმართ წაყენებული სასჯელის მუხლი უმართებულოდ და უსაფუძვლოდ ჩაითვალა.

9. მაგომედ გაჯიევი და აბდულა ხარდოს ძე გაჯიევი (საქმე №2482). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ ტყვეობაში ყოფნის დროს გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შემცირდა 15 წლამდე.

10. იონა ლუკას ძე სიმონია, ლევან აბრამის ძე ბაირამაშვილი და გიგლა ვალერიანის ძე მეძმარიაშვილი (საქმე №2765). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების

კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ ტყვეობაში ყოფნის დროს გერმანელებთან სამსახური თუმცა, პირველივე შემთხვევაში გადავიდნენ ფრანგი პარტიზანების მხარეს. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შემცირდა 8 წლამდე.

11. იაროსლავ ნიკოლოზის ძე მუშინი (საქმე №103982). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 58-10 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად.

12. ანატოლი მოსეს ძე ადამია და ისაკ ზაქარიას ძე ძამანაშვილი (საქმე №2747). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და ბრძოლა იტალიელი პარტიზანების წინააღმდეგ. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 10 წლამდე.

13. სტეფანე მიხეილის ძე კოპტევი (საქმე №97904). 1948 წელს გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა რუსეთის სფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა 1942 წლიდან გერმანელთა სადამსჯელო რაზმებში სამსახური, როცა ცხოვრობდა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მისი მიზეზით დაიღუპნენ საბჭოთა პარტიზანები. მაგრამ 1944 წელს გადავიდა საბჭოთა პარტიზანების მხარეს და გერ-მანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიჭრა. რესპუბლიკურმა კომისიამშესაძლებლად ჩათვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 15 წლამდე.

14. გრიგოლ ივანეს ძე მანკოვსკი (საქმე №103293). 1952 წელს გაასამართლა

სამხედრო ტრიბუნალმა სომხეთის სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ცილისმწამებლური და ანტისაბჭოთა შინაარსის წარწერების გაკეთება თვითმფრინავზე. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად.

15. ანდრეი თევდორეს ძე ჟელტკოვი (საქმე №103913). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. 1950 წელს გაერთიანდა 50-იანელთა სექტაში, რომელიც რეალურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დანაშაული გადაკვალიფიცირდა, რადგან ჩადენილ ქმედებას არ შეესაბამებოდა მუხლი 58-10 და მუხლი 58-11. შეეფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი და სასჯელის ვადა შეუმცირდა 5 წლამდე. ამის შემდეგ შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

16. გიორგი ილიას ძე კვაჭინაძე, გიორგი იოსების ძე ბეჟიტაშვილი, ბური ტარასის ძე ბარათელია, ალექსანდრე ხანახის ძე გობეჩია, ზოლოტინსკა მიხეილის ძე ხანაგუა, იახია სულეიმანის ძე შამბა, მამათლა შაბანის ძე ახბა, რიზა შირინის ძე კობე, ივან ერასტის ძე ცკუა, დანილ ჩიჩოს ძე დანელია, კუჩმა ჩუკოს ძე ჯიკირბა, ხირბეა ნიკოლოზს ძე ფილია, არუშან რაჯიბის ძე არშბა, ხუხუ კუნოს ძე ბუტბა, შალვა ხალილის ძე ხაგუში, გრიგოლ ივანეს ძე ჯოფუა, ნიკო ჟაგოს ძე ფაჩულია (საქმე №1904). ეს პირები 1949 წელს გა-ასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა რუსეთის სფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელთა მხარეს გადასვლა და მათთან სამსახური. შესაძლებლად ჩაითვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შემცირდა 15 წლამდე.

17. იაკუბოვი დურსუნ აქბარ ოღლი, კალაევი მუსა ალავერდი ოღლი, ჰუსეინოვი აბილ ბაირამ ოღლი, ოსმანოვი ფოსუ ჰამიდ ოღლი, ყულიევი მემედ რუსთამ ოღლი, შარიფოვი სეიფადინ ემინ ოღლი, გიულმამედოვი აბდულ ალმამედ ოღლი (საქმე №823). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს

სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლის ვადით. ბრალად ედებოდათ გერმანული არმიის აზერბაიჯანულ ლეგიონში სამსახური. შესაძლებლად ჩაითვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდათ 15 წლამდე.

18. ლეონტი იოსების ძე რაიჩენოკი (საქმე №104010). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 63 -ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალების მიხედვით, ლეონტი რაიჩენოკი 1943 წელს 17 წლის ასაკში შევიდა „ბელორუსიის ახალგაზრდობის კავშირში", რომელიც გერმანელების მიერ იყო შექმნილი და კონტრრევოლუციურ დაჯგუფებას წარმოადგენდა. 1944 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და დაიჭრა გერმანელებთან ბრძოლაში. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მისი ასაკი და ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ და შესაძლებლად ჩათვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 7 წლამდე.

19. უშანგი გუდუს ძე სამუშია (საქმე №430). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, გადაიბირა ემიგრანტმა ალშიბაიამ. ყოფილმა ტყვე პაპიჯანაშვილმა შეიყვანა ქართულ ნაციონალურ ანტისაბჭოთა გუნდში. (ხელმძღვანელები დავით კასრაძე და პაპიჯანაშვილი). ამ გუნდთან ერთად დადიოდა საფრანგეთის, ჰოლანდიის, ავსტრიის, უნგრეთის ქალაქებში და აწყობდა კონცერტებს გერმანელი ჯარისკაცებისთვის. გუნდი ასრულებდა ანტისაბჭოთა შინაარსის ქართულ სიმღერებს და აქებდა ფაშისტური ხელისუფლების მესვეურებს. უშანგი სამუშია ჩაირიცხა ქართულ ნაციონალურ პოლკში და ერთხელ მიიღო მონაწილეობა იტალიელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც მიენიჭა უნტერ-ოფიცრის წოდება. შესაძლებლად ჩაითვალა დანაშაულის გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდა 15 წლამდე.

20. იპოლიტე თაგუს ძე ჩემია (საქმე №36320). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. იპოლიტე ჩემიას ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა და გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში სამსახური. ჰოლანდიაში ყოფნის დროს შევიდა ანტიფაშისტურ ორგანიზაციაში და ეხმარებოდა ჰოლანდიელ პარტიზანებს. დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48 -ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეიცვალა 6 წლამდე.

21. დავით ანტონის ძე მეტრეველი (საქმე №627) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. დავით მეტრეველს ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა. იღებდა მონაწილეობას საბჭოთა არმიის, ბერძენი, იუგოსლავიელი და ბულგარელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში. მიუხედავად ამისა, სამხედრო ტრიბუნალის მიერ ადრე დაწესებული სასჯელის ზომა რესპუბლიკურმა კომისიამ ჩათვალა მკაცრად და პატიმრობაში ყოფნის ვადად განისაზღვრა 15 წელი.

22. გრიგოლ ვარლამის ძე სამხარაძე (საქმე №2880). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. გრიგოლ სამხარაძეს ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა. გადაიბირა ემიგრანტმა ლაღიძემ. მსახურობდა ქართულ ნაციონალურ ლეგიონში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლით და სასჯელის ვადაც შეუმცირდა 15 წლამდე.

23. ბაგრატ სტეფანეს ძე ლაზარაშვილი (საქმე №3383). გაასამართლა თბილისის საოლქო სასამართლომ 1953 წლის 30 იანვარს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბაგრატ ლაზარაშვილს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, საბჭოთა სინამდვილის

დისკრედიტაცია. ასევე 1920-1921 წლებში მენშევიკური გვარდიის შემადგენლობაში ბრძოლა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. რესპუბლიკურმა კომისიამ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად.

24. ნიკოლოზ ანდრეის ძე ლაპუშნია (საქმე №3389) გაასამართლა თბილისის საოლქო სასამართლომ 1953 წელს და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და 3 წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვა. ნიკოლოზ ლაპუშნიას ბრალად ედებოდა საბჭოთა ბელადის მისამართით უცენზურო გამონათქვამები, მას შემდეგ რაც გაიგო მისი გარდაცვალება.თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

25. ალექსანდრე ტროფიმეს ძე ავერკიევი (საქმე №1625). გაასამართლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

26. ალექსი პავლეს ძე ივანოვი (საქმე №2556). გაასამართლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. ხორცკომბინატში მექანიკოსად მუშაობის დროს ვინმე გაგუასთან საუბარში გამოიყენა ანტისაბჭოთა გამონათქვამები კომუნისტური პარტიის და საბჭოთა პრესის მისამართით. ალექსი ივანოვის დანაშაული რესპუბლიკურმა კომისიამ დადასტურებულად ჩათვალა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ალექსი ივანოვი ადრე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო სამი შვილის მამა, სამამულო ომის მონაწილე და მესამე ჯგუფის ინვალიდი. ამიტომ შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე. რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

27. გრიგოლ ნიკოლოზის ძე კიშკა, იულიანა ანტონის ასული რევუნოვა, აგათია მაკარის ასული ისაკოვა, ვარვარა ტიმოთეს ასული სინიცინა, ალექსანდრა ანდროს ასული როგოჟკინა (საქმე №3455). გაასამართლა ქუთაისის საოლქო სასამართლომ 1953 წლის 8 ნოემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლების

შეზღუდვით. მათ ბრალად ედებოდათ ქრისტიანულ – ევანგელისტური სექტის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე განიმარტა, რომ ეს სექტა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ შეცდომით ჩაითვალა როგორც ანტისაბჭოთა სულისკვეთების მატარებელი ორგანიზაცია. არ დასტურდება არანაირი კონტრრევოლუციური მუშაობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით და შეუმცირდათ მსჯავრდებულებს სასჯელის ვადა.

28. ლეონტი თევდორეს ძე პტაშკა, მარია ივანეს ასული პტაშკა, მატრონა ტერენტის ასული მარჩენკო, ანნა ნიკოლოზის ასული ჟდანოვა, პროსკოვია ეგორის ასული ფედულოვა, სერგო მიხეილის ძე მაკი, ანასტასია პეტრეს ასული ჟიგულინა, თევდორე დემეტრეს ძე გორბენკო, ტიხონ პავლეს ძე მალცევი, პეტრე ათანასეს ძე ჟიგულინი, ვალენტინა თევდორეს ასული გორბენკო , ვალენტინა პეტრეს ასული ინუკოვა, კლიმენტი მოსეს ძე რეკრეტიუკი, პოლიკარპე თევდორეს ძე მაკი, ევდოკია ნიკოლოზის ასული ჟიგულინა (საქმე №1470) გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით. ბრალად ედებოდათ ევანგელისტურ-იეღოვური ჯგუფის წევრობა, ანტისაბჭოთა აგიტაცია. მოუწოდებდნენ არ ემსახურათ ჯარში, არ წასულიყვნენ კინოში, ცირკში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული არასწორად იყო კვალიფიცირებული და შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 129 -ე მუხლით.

29. დიმიტრი თევდორეს ძე გიპინი (საქმე №3294). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლების შეზღუდვა 5 წლით. 1947 წელს დაუკავშირდა ყოფილ სამხედრო ტყვეებს და იმჟამად სამშობლოს ღალატისთვის მსჯავრდებულ ქიქავას და სუმბაძეს. მათთან საუბრობდა, რომ სურდა თურქეთში გადასვლა, რადგან ეშინოდა, რომ პასუხს მოსთხოვდნენ გერმანელებთან ტყვედ ყოფნის გამო. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული დასტურდება, მაგრამ სასჯელის ზომა მეტისმეტად მკაცრია. შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე (**სშსსა 18:2-83**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების

გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით მეცხრამეტე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 26 იანვარს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. სოკრატ ლევანის ძე გიორგობიანი (საქმე №2532), ალექსანდრე არსენის ძე გამზარდია (საქმე №13317), გიორგი ქაიხოსროს ძე ტეტუნაშვილი (საქმე №1583), მიხეილ ვლადიმერის ძე ჩოჩიშვილი (საქმე №1357), ენვერ მაჰმუდის ძე მგელაძე (საქმე №2135), მიხეილ საბას ძე მირიანაშვილი (საქმე №204), ვიქტორ ნესტორის ძე კილიპტარი (საქმე №3019), ალექსანდრე ლუკას ძე გიორგაძე (საქმე №3021), დიმიტრი ლუარსაბის ძე არჩვაძე (საქმე №765), თომა კონსტანტინეს ძე ცვინარია (საქმე №2091), გიორგი ალექსის ძე გეგეტაშვილი (საქმე №1955), აკაკი ანთიმოზის ძე ჩარბაძე (№საქმე 3161), სტეფანე გიორგის ძე ნასიბოვი (საქმე №1281), შალვა ნიკოლოზის ძე მათიაშვილი (საქმე №1659), არქიფო გუგუს ძე ჭაჭია (საქმე №2883), რუბენ სტეფანეს ძე ყირმიზოვი (საქმე №2746), აზარ ნიკოლოზის ძე ბერუაშვილი (საქმე №519), დავით თომას ძე ქაციბაია (საქმე №2128), ალექსი ილიას ძე სეფიაშვილი, (საქმე №1307), ანდრეი გიორგის ძე ჯანუაშვილი (საქმე №1307) გიორგი როსტომის ძე ჯოხარიძე (საქმე №537), სარდიონ სპირიდონის ძე კურდაღია (საქმე №2498), ეგნატე გიორგის ძე აფხაზავა (საქმე №3018), სერგო არტემის ძე მჭედლიშვილი (საქმე №1927), ალექსანდრე კირილეს ძე ანთია (საქმე №2748), გიორგი კირილეს ძე ჯინჭარაძე (საქმე №2748), გიორგი ამბაკოს ძე ჯინჭველაშვილი (საქმე №2695) ალექსანდრე ვასილის ძე ხახუტაშვილი (საქმე №1503), დიმიტრი იოსების ძე ბერიკაშვილი (საქმე №2490), სერგო ხარლამპის ძე სიხარულიძე (საქმე №2490), იასონ სანდროს ძე ხატაშვილი (საქმე №2490), გრიგოლ პავლეს ძე კინწურაშვილი (საქმე №2490), გიორგი ივანეს ძე ნასარიძე (საქმე №2490), დავით ანტონის ძე კოპალიანი (საქმე №1230), შალვა იასონის ძე სიბაშვილი (საქმე №3259), ერვანდ გიორგის ძე გათენოვი (საქმე №566),

გიორგი საბას ძე ელიზბარაშვილი (საქმე №3203), დომენტი ივანეს ძე კლდიაშვილი (საქმე №2539), ივანე გიორგის ძე კუტაშვილი (საქმე №2591) ილია გედევანის ძე ბუზალაძე (საქმე №3301), არუთუნ სარქისის ძე არუთინოვი (საქმე №1755), ბოლესლავ სილვესტერის ძე ვერბიცკი (საქმე №3261), ვასილი თევდორეს ძე პასტუხოვი (საქმე №102 712), ნიკოლოზ ზაქროს ძე მღებრიშვილი (საქმე №2450).

ეს პირები მსჯავრდებული იყვნენ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობასა და სამსახურში. გასამართლდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში და ქონების კონფისკაცია. ყველა შემთხვევაში, სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 15 ან 10 წლამდე. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, საქმის მასალებიდან გამომდინარე დასტურდება სამშობლოს ღალატი და დანაშაულიც სწორადაა კვალიფიცირებული, მაგრამ რესპუბლიკური კომისიის წევრები ასევე ყველა დასახელებულ პირთან მიმართებაში ითვალისწინებდნენ საბჭოთა არმიისა და პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობას. რადგანაც, ამ შემთხვევებში არ დადასტურდა ეს ფაქტი, რესპუბლიკურმა კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება. მაგალითად:

ბოლესლავ სილვესტერის ძე ვერბიცკი (საქმე №3261) გაასამართლა 1952 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლების თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ვერბიცკი, ცხოვრობდა რა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გერმანიის სახელმწიფო საიდუმლო პოლიციას აწვდიდა კომუნისტების და საბჭოთა აქტივისტების სიას. მუშაობდა ელექტრომონტიორად ბერლინსა და ვენაში. 1945 წელს მოხვდა ამერიკელებთან და 1948 წლამდე მუშაობდა ამერიკული საოკუპაციო ზონის სხვადასხვა ობიექტებზე.იყო ლიტვის ანტისაბჭოთა – ნაციონალისტური კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა ამ კომიტეტის ანტისაბჭოთა საქმიანობაში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 10 წლამდე.

ვასილი თევდორეს ძე პასტუხოვი (.საქმე №102 712). 1951 წელს გაასამართლა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიჭრა, იყო ჰოსპიტალში. ავადმყოფობის გამო დააბრუნეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილას. მოიმიზეზა ავადმყოფობა და უარი თქვა ევაკუაციაზე და დარჩა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გერმანელებმა ის დანიშნეს სოფლის მამასახლისად. როცა გერმანელებმა უკან დაიხიეს, მათთან ერთად გაიქცა. რეპატრიაციის შემდეგ ცხოვრობდა ზესტაფონში. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მამასახლისად ყოფნის დროს რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ არ გაუტარებია და არც კომუნისტები გაუყიდია. ამიტომ 25 წლიანი სასჯელის ვადა შეეცვალა 10 წლით.

პირები, რომლებიც გასამართლდნენ გერმანელებთან თანამშრომლობისა და სამსახურისთვის და რესპუბლიკურმა კომისიამ ძალაში დატოვა ადრე შეფარდებული სასჯელის ვადა.

2. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე შავდია (საქმე №3277). 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდ-ვით. 1942 წელს ჩავარდა ტყვედ და შევიდა გერმანული არმიის ქართული ნაციონალურ ლეგიონში. მონაწილეობა მიიღო საბჭოთა არმიის ნაწილების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში. ჰქონდა ეფრეიტორის წოდება. ორჯერ მიიღო მონაწილეობა ფრანგი პარტიზანების და ანგლო-ამერიკული დაზვერვის წარმომადგენლების დახვრეტაში. 1944 წელს საფრანგეთში ყოფნის დროს ტყვედ ჩაუვარდა ფრანგ პარტიზანებს და იმყოფებოდა ბანაკში. მალე დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას, თავის ნათესავ გეგეჭკორს და მათი დახმარებით გათავისუფლდა. პარიზში ცხოვრებისას სტუმრობდა გეგეჭკორს, კობახიძეს და იღებდა მათგან მატერიალურ დახმარებას. 1945 წელს რეპატრირებული იყო საბჭოთა კავშირში.

3. გრიგოლ პავლეს ძე თოფურია (საქმე №2489). 1951 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების

შეზღუდვით. 1942 წელს ჩავარდა ტყვედ და შევიდა გერმანულ არმიაში. იბრძოდა ბელორუსიაში საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ. ამერიკელებმა გადასცეს საბჭოთა ხელმძღვანელობას.

4. აკაკი ისიდორეს ძე გოგოლაძე (საქმე №30 30). 1949 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა -გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. 1942 წელს ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გაწევრიანდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. 30 ლეგიონერთან ერთად 1944 წელს პარტიზანებთან ბრძოლის სპეციალური სწავლების კურსი გაიარა და კაპიტან კრამერის რაზმში იბრძოდა იუგოსლავიელი პარტიზანების წინააღმდეგ. 1944 წელს ფრანგმა პარტიზანებმა ჩაიგდეს ტყვედ და საბჭოთა მხარეს გადმოსცეს.

5. არჩილ ივანეს ძე გივიშვილი (საქმე №460). 1949 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. 1942 წელს ტყვედ ჩავარდა გერმანელებთან, შევიდა ფაშისტი პროპაგანდისტების სკოლაში, გერმანელების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემთხვევაში რომ ემსახურა პროპაგანდისტად. 1944 წელს გაგზავნეს რომში სასულიერო განათლების მისაღებად. სწავლის დაწყებამდე გადააგზავნეს ბერლინში, სადაც განსაკუთრებულ საქმეებს ანდობდნენ. 1945 წელს ბერლინიდან გადაიყვანეს ავსტრიაში. შემდეგ კი ამერიკელებმა გადასცეს საბჭოთა მხარეს.

6. ვლადიმერ გიორგის ძე ბეგოიძე (საქმე №1987). 1950 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ვლადიმერ ბეგოიძეს ბრალად ედებოდა ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანელებთან სამსახური. გამოირჩეოდა აქტიურობით, რისთვისაც დააჯილდოვეს ფაშისტური მედლით. 1944 წელს ფრანგმა პარტიზანებმა გადასცეს საბჭოთა მხარეს.

7. გიორგი ალექსანდრეს ძე ცუცქირიძე (საქმე №1514). 1949 წელს გაასამართლა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ებრძოდა ფრანგ პარტიზანებს, შემდეგ ცემა გერმანელი ოფიცერი, რისთვისაც ჩასვეს ციხეში. გაიქცა და შეუერთდა ფრანგ პარტიზანებს და ებრძოდა გერმანელებს.რესპუბლიკურმა კომისიამ შეცვალა მის მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 48-ე მუხლით, მაგრამ სასჯელის ვადა აღარ შეცვლილა, რადგან ისედაც 15 წელი ჰქონდა მისჯილი.

8. გალაკტიონ (იგივე კოკი) ბესარიონის ძე კაჭარავა (საქმე №1188). მსახურობდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში, იყო დივიზიის მეთაური. მის მიმართ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი 25 წლიანი სასჯელის ვადა რესპუბლიკურმა კომისიამ ისევ ძალაში დატოვა.

9. ლეო ლავრენტის ძე კოპალიანი (საქმე №102 070). 1945 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის თანახმად მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი, ემიგრანტ ქართველიშვილის აგიტაციის შედეგად შევიდა აუშვიცის სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში.სამი თვის განმავლობაში სწავლობდა დივერსიულ საქმიანობას და გაიგზავნა საბჭოთა კავშირში.

10. დიმიტრი ლუკას ძე ოსტიპენკო (საქმე №1993), მშიში კიაზოს ძე ბჟანია (საქმე №3248), ვლადიმირ გაბრიელის ძე აგატიევი (საქმე №103851), ივანე სავლეს ძე კროიტორი, ანტონ იაკობის ძე მოსეშვილი (საქმე №315) ვლადიმერ თევდორეს ძე ჯიოევი (საქმე №1503) აკაკი გრიგოლის ძე ბუიშვილი, ბორის ვლადიმერის ძე სამხარაძე, ვასილი სტეფანეს ძე ფრუიძე (საქმე №1415), პეტრე ლევანის ძე მღებრიშვილი (საქმე №2536) საქმის მასალების მიხედვით, ჩანს ამ პირთა აქტიური მონაწილეობა საბჭოთა არმიის საბრძოლო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში. შესაბამისად, რესპუბლიკურმა კომისიამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის 25 წლიანი ვადა უცვლელად დატოვა.

11. პრასკოვია ანდრიას ასული ბოლგარი (საქმე №3520). 1953 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის

სამართლის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა. ბრალად ედებოდა საბჭოთა ბელადის მისამართით ცილისმწამებლური მოსაზრებები. პრასკოვია ბოლგარის დანაშაული, რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დასტურდება. მაგრამ რესპუბლიკურმა კომისიამ ასევე გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ მსჯავრდებულს ჰყავს სამი შვილი, არის გაუნათლებელი და შესაძლებლად მიიჩნია 6 წლიანი ვადის შეცვლა 5 წლიანი სასჯელის ვადით და ამის შემდეგ 1953 წლის 27 მარტის ამინისტიის შესახებ დადგენილების გამოყენება.

12. 1944 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-7 მუხლებით გასამართლდნენ შემდეგი პირები (საქმე №0396657)

გიორგი ილიას ძე ზედგინიძე. მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით და შეუმცირდა სასჯელის ვადა.

ესტატე წყალობას ძე ზურაშვილი. მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 მუხლის მიხედვით. მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 98 -ე მუხლით და შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება.

ვახტანგ ნიკოლოზის ძე მექვევრიშვილი. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-7 მუხლებით. მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 98 -ე მუხლით და შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება.

ლევან პეტრეს ძე ქავთარაძე. მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-7 მუხლებით. მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 98 -ე მუხლით და შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება.

ზაქრო სიმონის ძე ნონიკაშვილი მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-7 მუხლებით.მისი გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლით და შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება.

ზემოთჩამოთვლილ პირებს ბრალად ედებოდათ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისათვის ყალბი ჩვენებების მიცემა კონტრრევოლუციური დაჯგუფების არსებობის შესახებ, რის გამოც დააპატიმრეს 6 უდანაშაულო ადამიანი.

13. იოსებ ვლადიმერის ძე ბერელაშვილი. გაასამართლა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 202 და 58-ე მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. იოსებ ბერელაშვილი იყო საქაშეთის სკოლის დირექტორი და დაუშვებელი მეთოდებით ხელმძღვანელობდა სკოლას. შემოწმების შედეგად ის მოიხსნა თანამდებობიდან და მიიღო პარტიული საყვედური. გორის რაიონის რაიკომის ბიუროზე მისი საკითხის განხილვის დროს, ისაუბრეს სკოლის პარტორგანიზაციის მდივანმა, მისმა მოადგილემ და სკოლის პედაგოგმა. სწორედ მათზე ჩაიდო წყენა გულში მსჯავრდებულმა. როცა ხდებოდა სკოლის ქონების გადაბარება ახალ დირექტორზე, ბერელაშვილმა მოკლა პარტიული კომიტეტის მდივანი ჩიტაძე პისტოლეტით. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დანაშაული გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლით, სასჯელის ვადა კი დარჩა უცვლელი.

14. ოგანეზ არტაშას ძე მკრტიჩიანი (საქმე №98287) გაასამართლა 1948 წელს საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 202 და 58-8 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 5 წლით. მას ბრალად ედებოდა მილიციის ოპერრწმუნებულზე თავდასხმა.რესპუბლიკურმა კომისიამ მსჯავრდებულის საჩივარი არ დააკმაყოფილა და სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი დატოვა ძალაში.

15. 1944 წელს საქართველო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით გაასამართლა შემდეგი პირები: (საქმე №0473336) თათარ ოღლი ჰარუნ მამედის ძე. ჩელიქ იუსუფ მამედის ძე, ყარა უბრაჰიმ ოღლი შაბან მამედის ძე, ყარა იბრაჰიმ ოღლი ჰარუნ მამედის ძე, უზუნ ეიუბ ოღლი სეიფუთდინ იუსუფის ძე, ყარა იბრაჰიმ ოღლი ხანიფე იმლუხანის ძე, ყარა იბრაჰიმ ოღლი ხანიფე მემდის ძე, ზარხოშ ოღლი მეთო ბაქირის ძე, ყარა იბრაჰიმ ოღლი ფეზლი მემედის ძე. მათ ბრალად ედებოდათ შპიონაჟი და ჯაშუშობა. გადაიბირა ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვამ და დაპატიმრებამდე არალეგალურად გადმოდიოდნენ

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ეწეოდნენ აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რესპუბლიკური კომისიის მუშაობის დროს, რამდენიმე მათგანი უკვე გარდაცვლილი იყო. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

16. ჯაბარალი ოღლი დურსუნოვი და სულეიმან ჰამილ ოღლი ემინოვი (საქმე №465530) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1945 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათი საქმის მასალების მიხედვით, გათავისუფლდნენ რა ახალციხის ჰოსპიტლიდან, დეზერტირებად იქცნენ და 1943 წელს გადავიდნენთურქეთში. იქ იყვნენ 1945 წლამდე. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბინალის გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

17. იური ალექსანდრეს ძე ბარანოვი (№66987). 1951 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის თანახმად მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და 3 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. იური ბარანოვი იყო სამხედრო ნაწილის სასულე ორკესტრის დირიჟორი და თავის ქვეშევრდომ ჯარისკაცებთან, სერჟანტებთან და ასევე ოფიცრებთან საუბრებში, ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებდა პარტიასა და სკკპ-ის წევრებზე.

რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, საქმის მასალების მიხედვით იური ბარანოვის დანაშაული იკვეთება, მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ ბარანოვი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდა დაპატიმრებამდე. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადის შემცირება 6 წლამდე (**სშსსა19: 86-131**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით მეოცე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 19 თებერვალს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეი-

ტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ, 1945-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით გასამართლებულ პირთა საქმეები, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახურისა და თანამშრომლობის ბრალდებით. სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩაითვალა და სასჯელის ვადა იგივე დარჩათ შემდეგ პირებს:

გაგიკ ხაჩატურის ძე გევორქიანი (საქმე №103736), პანტელეიმონ კალენიკეს ძეჯაში (საქმე №464), შლემ აბრამის ძე ნაიმარკი, რახილ სამოელის ასული ნაიმარკი, სარა ბენცის ასული რასკინა, დვეირი მენდელის ასული კაპლანი, იოსებ ნაფთულის ძე გრინბლატი, მოსე მიხეილის ძე გოლდბერგი (საქმე №2907), შოთა ტარასის ძე დემანია (საქმე №1599), მიხეილ დავითის ძე კახიანი (საქმე №1356), ივანე პეტრეს ძე კორჟი (საქმე №103940), დიმიტრი ეფრემის ძე ზაიკა და ათანასე ივანეს ძე კიბალნიკოვი (საქმე №103 227), ალექსი ანტონის ძე კრამარენკო და პეტრე ალექსის ძე ვოლოგაი (საქმე №103 765), ლაზარე კირილეს ძე სიხარულიძე (საქმე №3074), სიდორ ლუკას ძე ჟივოტკო (საქმე №102104), პავლე დავითის ძე გუმბა და მანჩი ხოშიტას ძე ჩუაზი (საქმე №2067), ვსევლოდ ვალერის ძე ვაჩინსკი (საქმე №2069), ალექსი ივანეს ძე ლომაკინი (საქმე №103 962), თევდორე პავლეს ძე კასიმი და პეტრე თევდორეს ძე პეტკოვი (საქმე №13624), ვლადიმერ მიხეილის ძე რიხტერი, პავლე ნიკიტას ძე მატვეენკო, ივანე იოსების ძე ოტმახოვი და გრიგოლ ვასილის ძე მაკაროვი (საქმე №0247637), სერგო სტეფანეს ძე ტროფიმოვიჩი (საქმე №103 813), არამაის ბაგრატის ძე მურადიანი (საქმე №2517), ახმედ მაიროვის ძე დავითაძე და შუქრი მემედის ძე დიასამიძე (საქმე №85779), გიორგი ივანეს ძე ბაკურაძე, ანტონ პეტრეს ძე ჯანაშვილი და გიორგი რაჟდენის ძე ბოჩოიძე (საქმე №558), ნასყიდ სიმონის ძე დოლმაზაშვილი და არსენ ბეროს ძე ელოშვილი (საქმე №568), იოსებ სამოელის ძე იოსებაშვილი, დავით მოსეს ძე კახიძე, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ქიტოშვილი და ქარუმ ზაქროს ძე გორაკუდაშვილი (საქმე №0465534), ჭიჭიკო ვარლამის ძე დავითულიანი (საქმე №196), გაბრიელ გიორგის ძე

ოთარაშვილი (საქმე №159), სერგო ნიკოლოზის ძე ალექსანდროვი (საქმე №99785), შოთა ერმილეს ძე ბუცხრიკიძე (საქმე №292), სტეპან იოსების ძე კაკაჩევი და თომა პავლეს ძე ხითაროვი (საქმე №103818), გიორგი სახირის ძე ლომიძე (საქმე №600), ვალერიან ილიას ძე წურწუმია (საქმე №1315), ივანე ალექსის ძე ლომიძე (საქმე №421).

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის 25, 15 ან 10 წლიანი ვადები უცვლელად დატოვა რესპუბლიკურმა კომისიამ და მიიჩნია, რომ ამ ორგანომ სამართლიანად გამოიტანა განაჩენი. ზემოთ დასახელებული ყველა გასამართლებული პირი დამნაშავედ ჩაითვალა ან გერმანელების მხარეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის, ან მათთან აქტიური თანამშრომლობისთვის ან იმ შემთხვევაში, თუკი ნებაყოფლობით ჩაბარდნენ ტყვედ. მაგალითად: ვსევლოდ ვალერის ძე ვაჩინსკი, 1945 წელს გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა დახვრეტა. ერთი თვის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ სასჯელი შეუცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შრომა-გასწორების ბანაკში. გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილმა, დაკითხვაზე შეატყობინა თავდაცვითი ნაგებობების ზუსტი სქემა დერბენტის მონაკვეთზე და ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობის ადგილმდებარეობა. მუდმივად თანამშრომლობდა გერმანულ დაზვერვასთან.

შოთა ერმილეს ძეს ბუცხრიკიძეს (საქმე №282) 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში სამართლიან სასჯელად ჩაეთვალა იმ მიზეზით, რომ გერმანელებთან სამსახურის დროს აბუჩად იგდებდა საბჭოთა ტყვეებს.

2. ივანე გიორგის ძე ხუციშვილი და ივანე კონსტანტინეს ძე ბურდული (საქმე №2754) 1951 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუ-ნალმა და გერმანელებთან სამსახურისთვის მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მსჯავრდებულები ებრძოდნენ საბჭოთა პარტიზანებს. გერმანელების ტყვეობიდან მოხვდნენ ამერიკელებთან. ამერიკელებს სურდათ, რომ დარჩენილიყვნენ, მაგრამ დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკურმა კომისიამ მიიჩნია, რომ ისინი იმსახურებდნენ სასჯელს, მაგრამ არსებული განაჩენი იყო მკაცრი და ივანე ხუციშვილს და ივანე ბურდულს სასჯელის ვადა შეუმცირა 20 წლამდე. ეს ის შემთხვევაა, როცა რესპუბლიკური კომისია შესაძლებლად მიიჩნევს სასჯელის ვადის შემცირებას, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულებს საქმის მასალების მიხედვით

მონაწილეობა აქვთ მიღებული საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

3. ვალენტინ მიხეილის ძე უშკალოვი (საქმე №798), ბიძინა ნოეს ძე ადეიშვილი (საქმე №577), დიმიტრი მიხეილის ძე გოგლიძე (საქმე №3016), დავით ღვთისოს ძე გოგოჭური (საქმე №194), ევსეი დავითის ძე ქათამაძე და პავლე სამსონის ძე გვანიძე (საქმე №2505), შალვა მელიტონის ძე ჩაჩუა (საქმე №188), ვლადიმერ ევსტათის ძე ჭიჭინაძე (საქმე №1662), პავლე პეტრეს ძე შევერდიევი (საქმე №104053), ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ანუა (საქმე №2067), გუსტავ ვილჰემის ძე გილნერი (საქმე №10333738). ვალერიან პარმენის ძე გოგიბერიძე (საქმე №2055), შალვა ნესტორის ძე გრძელიძე (საქმე №1928), ხორბერგ მურადის ძე ინაიშვილი და ილია სერაფიმეს ძე ფხაკაძე (საქმე №2584). დავით დიმიტრის ძე ლომთაძე, ილიას მამედის ძე ხახუტაშვილი და ოსმან მურადის ძე კობალაძე (საქმე №2577), იასონ სერგოს ძე ბაბლიძე (საქმე №1580), აქვსენტი ილარიონის ძე კილიპტარი (საქმე №1572), შალვა ივანეს ასული მუმლაძე (საქმე №809), სიმონ იოველის ძე ზურაშვილი, როსტომ ზაალის ძე ჯალიაშვილი და მიხეილ ლევანის ძე სონღულაშვილი (საქმე №626), მიხეილ ივანეს ძე სვანიძე (საქმე №229), აკაკი მიხეილის ძე ხეცურიანი, ვასილი ავთანდილის ძე შარაშიძე, მურად ილიას ძე ბერიძე, თადეოზ პლატონის ძე კიკაბიძე და პავლე ყარამანის ძე ნადარეიშვილი (საქმე №2749), ვლადიმერ იოსების ძე ბარციცი (საქმე №2745), ქრისტეფორე ვარლამის ძე ლებანიძე (საქმე №2476), გერონტი კაპიტონის ძე მამალაძე (საქმე №103963), ვალერიან სერგოს ძე ხომერიკი (საქმე №2861), იასონ ილიას ძე შეყრილაძე (საქმე №796), ლევან იოსების ძე ზაქარიაძე (საქმე №1496), დავით ზაქროს ძე მარგიევი (საქმე №2137), შალვა კონსტანტინეს ძე ტყემალაძე (საქმე №2010), არშაკ ალექსის ძე ხითაროვი (საქმე №786), შალვა იოსების ძე შავშიშვილი (საქმე №805), გრიგოლ სერგოს ძე ციცქიშვილი (საქმე №255), ვლადიმერ სერგოს ძე ტაბატაძე და გიორგი ზაქროს ძე პატაშური (საქმე №2511), ალექსანდრე იულოს ძე გვინცაძე და ვასილი ზაქარიას ძე ჭრიკიშვილი (საქმე №2453), გიორგი გიორგის ძე ტერუნაშვილი, ილია კონსტანტინეს ძე არეშიძე და სიკო რაჟდენის ძე საბანაძე (საქმე №1185), ოსმან აზაპის ძე დევაძე, ზია ოსმანის ძე შერვაშიძე და მემედ მახსუდის ძე საითიძე (საქმე №220).

ეს პირებიც 1947-1952 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გერმანელებთან სამსახურისა და თანამშრომლობის ბრალდებით და რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით შეეცვალათ და შეუმცირდათ სასჯელის ვადა.

რესპუბლიკური კომისიის ამ სხდომაზე მოისმინეს იმ მსჯავრდებულთა საქმეებიც, რომლებიც გასამართლებულები იყვნენ სხვა კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის.

4. ბორის ივანეს ძე ნაპალკინი (საქმე №103984). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, ლანძღავდა საბჭოთა კანონებს და კონსტიტუციას. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 7 წლამდე.

5. კიჩიკ აჰმედ მეჰდი აბდულა ოღლი (საქმე №2263). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული 1938 წელს გადასულა თურქეთში და მიუღია თურქეთის მოქალაქეობა. 1950 წელს კი დააპატიმრეს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დროს.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, დანაშაულის ნიშნები მის ქმედებაში შეინიშნება, მაგრამ სასჯელი მკაცრია, რადგან არ ჩანს საქმის მასალებით, რომ მსჯავრდებული საზღვარზე გადმოვიდა მტრული მიზნებით.

6. ამიერკავკასიის სამხედრო კომისარიატმა 1943 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით გაასამართლა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთაც ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციური საქმიანობა და დივერსიების მოწყობა სოფლის აქტივისტების წინააღმდეგ. ამ დანაშაულისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა -გასწორების ბანაკში მიესაჯათ შემდეგ პირებს (საქმე №76378) ლევან ლუკას ძე ჟუჟუნაძე, პორფირე ივანეს ძე ოქრომელიძე, მოსე ზაქარიას ძე ოქრომელიძე შოთა ალექსანდრეს ძე ინასარიძე, შოთა პავლეს ძე ინასარიძე, გიორგი ალექსის ძე ქურდაძე, გრიგოლ ვასილის ძე ოქრომელიძე, ვლადიმერ ლუკას ძე ოქრომელიძე, ვლადიმერ ივანეს ძე მელიქიძე, თომა ვასილის ძე ჯვარიძე, სერგო ლევანის ასული ხმელაძე, შოთა სოლომონის ძე ხმელაძე, მოსე პავლეს ძე ინასარიძე, პეტრე პავლეს ძე ოქრომელიძე, არჩილ მიხეილის ძე მელიქიძე გიგოლა გიორგის ძე მაისურაძე, მირონ ბარნაბის ძე ოქრომელიძე.

რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით დასახელებულ პირებს სასჯელის ვადა შეეცვალათ და შეუმცირდათ 10 წლამდე.

7. შოთა ლევანის ძე გივიშვილი (საქმე №3533). 1953 წლის სექტემბერში გაასამართლა

საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა: ანტისაბჭოთა აგიტაცია, ავრცელებდა ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლური შინაარსის ტექსტებს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, სასჯელის ვადა შეეცვალა შოთა გივიშვილს და შეუმცირდა 5 წლამდე. რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

8. ალექსანდრე გიორგის ძე კირზუნოვი (საქმე №3516). გაასამართლა 1953 წელს საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ სიხარული გამოხატა საბჭოთა ბელადის სიკვდილის გამო. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ (**სშსსა 20:2-88**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით ოცდამეერთე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 4 მარტს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ნიკოლოზ სავლაგის ძე ჯუსოევი (საქმე №560), მიხეილ ქრისტეფორეს ძე ლომაკინი (საქმე №1635), გიორგი პავლეს ძე ჭიპაშვილი (საქმე №1198), პავლე თევდორეს ძე ივაშენკო (საქმე №245), ვაცლოვას ევოსის ძე ტაუჩასი (საქმე №3623), კონსტანტინე ივანეს ძე ბალამწარაშვილი (საქმე №505), მემედ ფაშას ძე დალივალოვი (საქმე №89051), ვალერიან ისიდორეს ძე მაღულარია (საქმე №763), გრიგოლ არქიფოს ძე პადუსენკო (საქმე 103517), ივანე ანდრიას ძე კუზნეცოვი (საქმე №0445818), გრიგოლ დავითის ძე ამაღლობელი (№760), არჩილ გიორგის ძე მიქაბერიძე (საქმე №574), გიორგი ილიას ძე სიბაშვილი

(საქმე №103537), ვასილი ალექსანდრეს ძე ჯუღელი (საქმე №221), ალი ხალილის ძე აჯალოვი (საქმე №103 580), ეს პირები 1946-1952 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით 5 წლის განმავლობაში. მათ ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით: მათი აქტიური მონაწილეობა საომარ მოქმედებებში გერმანელთა მხარეს, გერმანული არმიის ნაციონალურ ლეგიონებში სამსახური, ბრძოლა საბჭოთა და სხვა ქვეყნის პარტიზანების წინააღმდეგ, საბჭოთა ტყვეებზე ფიზიკური ძალადობა.

2. რომან პავლეს ძე ივანოვი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1953 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა 1952-1953 წლებში სამხედრო სამსახურის გავლის დროს ანტისაბჭოთა აგიტაცია ჯარისკაცებს შორის. მისი ახლობლები რეპრესირებულები იყვნენ და აქედან გამომდინარე გაბოროტებული იყო ხელისუფლებაზე. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა და სასჯელის ვადა დატოვა ძალაში.

3. გიორგი იოსების ძე გიგოლაშვილი და პანჩო იგივე ფრანც იოსების ძე ათოშვილი (საქმე №3178). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია. გიორგი გიგოლაშვილი და პანჩო ათოშვილი 1930 წელს გახდნენ არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრები. 17 კაციან ჯგუფთან ერთად დატოვეს საქართველო და გაემგზავრნენ საფრანგეთში, სადაც დაუკავშირდნენ ემიგრანტ ვარდიძეს. ნებაყოფლობით გაერთიანდნენ პროფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ რიგებში. რეპატრიაციის წესით, 1947 წელს დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში და ახალციხის რაიონის სოფელ უდეში ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას. რესპუბლიკურმა კომისიამ ადრე გამოტანილი განაჩენი კვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 58-4 მუხლით და სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე.

4. იანიკ ივანეს ძე სარქისოვი (საქმე №1202), მიხეილ მიხეილის ძე სესესაძე (საქმე №2533),

ვალერიან ალექსანდრეს ძე გერმანაშვილი (საქმე №548), ივანე გიორგის ძე კევლიშვილი (საქმე №2869), ნიკოლოზ ნოეს ძე მდივანი (საქმე №526), ევგენი მაქსიმეს ძე მოდებაძე (საქმე №2531), ვლადიმერ გაბრიელის ძე მანჯგალაძე (№3158), მაკედონ სამუელის ძე უმუდალოვი (საქმე №2978), ვასილი დავითის ძე ნოზაძე (საქმე №3129), ერვანდ გრიგოლის ძე ოგანეზოვი (საქმე 2339), ვლადიმერ მეთოდეს ძე მაკარენკო (საქმე №103773), ისრაელ სარქისის ძე სტეპანიანი (საქმე №2398), გაბრიელ სერგოს ძე ცარიტოვი (საქმე №104045), ლევან მიხეილის ძე აბრამიძე (საქმე №344), თათარ ნიკოლოზის ძე დორეული (საქმე №483), აზიზ ბალა აღა ოღლი აგალიევი (საქმე №103708), დავით ვასილის ძე ცაბაძე (საქმე №127), ვარლამ მელიტონის ძე მანდარია (საქმე №1198), სოკრატ ივანეს ძე მეტრეველი (საქმე №419), მიტროფანე ექვთიმეს ძე ღვინჯილია (საქმე №612), ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე, რადგან მსჯავრდებულებს გერმანელების მხრეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

5. რომან პავლეს ძე დემჩუკი, ვასილი მიხეილის ძე სვიდერსკოვი, პავლე ალექსის ძე კოსტივი, თეოდოს ნიკოლოზის ძე დომნიცკი, მიხეილ ვასილის ძე სმოტრიცკი, გრიგოლ ივანეს ძე გრიცანი, ანტონ დიმიტრის ძე ბალიცკი, პეტრე ივანეს ძე მაშტალერი (საქმე №103 904). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლისკოდექსის 72-ე და 73-ე მუხლებით. ბრალად ედებოდათ უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აგიტაცია, მოღალატური გამონათქვამები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და უკრაინის მეამბოხეთა არმიის წევრობა. მათ მისჯილი ჰქონდათ 10 წლიანი სასჯელის ვადა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

6. ვიქტორ ნიკიტას ძე ლისაკი (საქმე №2179) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ გამოხატავდა ანტისაბჭოთა განწყობას. რესპუბლიკური

კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი დარჩა ძალაში.

7. არმენაკ სააკის ძე ნავასარტოვი (საქმე №103 789) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით დამიესაჯა 10წლითთავისუფლებისაღკვეთაშრომა-გასწორებისბანაკში.ბრალადედებოდა ის ფაქტი, რომ სამხედრო მოსამსახურეთა შორის ავრცელებდა კონტრრევოლუციური შინაარსის ტექსტებს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. მიხეილ პეტრეს ძე ბილიკი და სტეფანე ნიკოლოზის ძე სტელმახი (საქმე №103 196) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს, მიესაჯათ 25 წლიანი პატიმრობა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით. ბრალად ედებოდათ უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მიიჩნია მართებულად და დატოვა ძალაში.

9. ვლადიმერ ივანეს ძე ივანოვი (საქმე №1630) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა ბათუმიდან საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

10. გრიგოლ იგორის ძე ასლამაზოვი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე. კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ტყვედ ჩავარდნამდე აქტიურად იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ.

11. მიხეილ ტერენტის ძე ბურჯანაძე (საქმე №246) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და

სამსახური. იყო ბატალიონ თამარ 2-ის წევრი. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 20 წლამდე.

12. ალექსანდრე გუჯას ძე ლაგვილავა (საქმე №759) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური.რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

13. აკაკი ლავრენტის ძე მუქაშავრია (საქმე №528) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე, რადგან მსჯავრდებულს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია.

14. პანტელეიმონ ნიკოლოზის ძე ტოპალი, ვასილი ილიას ძე ტუკანი და პეტრე პეტრეს ძე კაპსამუნი (საქმე №2371). ისინი გაასამართლეს 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან თანამშრომლობა. რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განაჩენი დატოვა ძალაში.

15. სოკრატ ბესარიონის ძე ცირეკიძე, ვახტანგ ბესარიონის ძე ფოფხაძე, ბარძიმ ზაქარიას ძე სიანაიძე, სოლომონ იოსების ძე ქოქრაშვილი, კალისტრატე დიანოზის ძე ბერაია, რაჟდენ დანიელის ძე ლობჟანიძე, გიორგი სიკოს ძე ჩიკვილაძე (საქმე №2110) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით, მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელის ვადა შეუმცირდათ 15 წლამდე.

16. ალექსანდრე მიხეილის ძე ჩუჟინოვი (№2905) გაასამართლეს თურქეთის საზღვარზე არალეგალურად გადასვლის მცდელობისთვის 1951 წელს და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. რესპუბლიკურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საკმარისი სამხილების არარსებობის გამო.

17. პეტრე დანიელის ძე ბეკეტოვი (საქმე №3456) გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის სასამართლო კოლეგიამ 1953 წელს და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა, საბჭოთა ბელადების საწინააღმდეგო გამოსვლები. 1954 წელს მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ვადა შეუმცირდა 10 წლამდე. სასჯელის ეს ვადა რესპუბლიკურმა კომისიამ დატოვა ძალაში.

18. ნიკოლოზ გრიგოლის ძე ზავალსკი (საქმე №103916) გაასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით, ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მამამისი 1937 წელს იყო რეპრესირებული და ამან განაპირობა მსჯავრდებულის ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. რესპუბლიკურმა კომისიამ ნიკოლოზ ზავალსკის დანაშაული დადასტურებულად ცნო და განაჩენი დატოვა ძალაში.

19. გიორგი გიორგის ძე სარალიძე, ალექსანდრე თომას ძე მამაიშვილი, შოთა რომანის ძე ბურდულაძე, გიორგი ქრისტეფორეს ძე სიფრაშვილი, შოთა თურმანის ძე ჯიბღაშვილი, ირაკლი იოსების ძე ბეითრიშვილი, ილია ალექსის ძე ქურხაშვილი, ვლადიმერ ალექსის ძე ტურაშვილი, კონსტანტინე ბასას ძე მამიაშვილი, რომან გიორგის ძე კაკაშვილი, შოთა გიორგის ძე სიფრაშვილი, ვალერიან გიორგის ძე ბაზერაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე სიფრაშვილი, გიორგი ივანეს ძე ხანდოლიშვილი, ოთარ ნიკოლოზის ძე ჩახნაშვილი, ფარნაოზ ზაქროს ძე ბეითრიშვილი, გიორგი ზაქროს ძე ნადაშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე ნადაშვილი, ვალერიან იოსების ძე მამაიაშვილი, ვლადიმერ ივანეს ძე ხანდოლიშვილი, შალვა არჩილის ძე ქურხაშვილი, შალვა სიმონის ძე ინაშვილი, შალვა ვასილის ძე ბაკაშვილი (საქმე №2278). ეს პირები გასამართლდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა. რესპუბლიკურმა კომისიამ განაჩენი დატოვა ძალაში.

20. მარია ანდრეის ასული შლოტგაუერი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო

ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წელს და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკი. მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის საავადმყოფოში და ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, აქებდა გერმანიის ძალას. რესპუბლიკურმა კომისიამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი დატოვა ძალაში (**სშსსა 21:93-141**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით ოცდამეორე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 18 მარტს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. მირონ მიხეილის ძე პრიიმაკი (საქმე №103794), გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია საბჭოთა არმიაში. მისი ძმები იყვნენ უკრაინის მეამბოხეთა არმიის წევრები და ორჯერ შეატყობინა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაციის შესახებ.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, სასჯელის ვადა შემცირდა 15 წლამდე.

2. გიორგი ბაგრატის ძე არეშოვი (საქმე №310). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. იყო ბატალიონ „ბერგმანის“ წევრი. იბრძოდა ბულგარელი და ბერძენი პარტიზანების წინააღმდეგ. დანაშაული დასტურდება, მაგრამ სასჯელი მკაცრად იქნა მიჩნეული რესპუბლიკური კომისიის მიერ და შემცირდა 15 წლამდე.

3. შალვა დავითის ძე იორამაშვილი, ვასილი ზოსიმეს ძე სანიკიძე, შოთა ფარნას ძე ბოკერია (საქმე №3220). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს და მიესაჯათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა

შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. 1943 წელს გადავიდნენ საბჭოთა არმიის მხარეს და პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ გერმანელების წინააღმდეგ. ვასილი სანიკიძის საქმის წარმოება შეწყდა (მუშაობდა ექიმად). დანარჩენ ორ გასამართლებულს სასჯელის ვადა შეუმცირდათ 8 წლამდე.

4. სისლან იოსების ძე ცხოვრებოვი (საქმე №490), ილია ნესტორის ძე ვახანია (საქმე №611). ალექსანდრე (კუკური) ილარიონის ძე ჯიქია (საქმე №3029), ბეჟო გიორგის ძე მარანელი (საქმე №1128), მიხეილ ივანეს ძე საველიძე (საქმე №2473) შოთა იასონის ძე გორგიაშვილი (საქმე №3040), იოსებ ვლასის ძე აბაშიძე (საქმე №409), ალექსანდრე ილიას ძე გრძელიშვილი (საქმე №1576), ნესტორ თადეოზის ძე გიგოევი, მინაგო ვიქტორის ძე ჩუბინიძე (საქმე №304), ტარას რომანოზის ძე იობიძე (საქმე №2701), კონსტანტინე ვასილის ძე ყურაშვილი, გური ანდროს ძე ჭიჭინაძე (საქმე №1426), მირიან სევერიანის ძე გაბელაია (საქმე №1752), ვლადიმერ იოსების ძე ბექერიშვილი (საქმე №471), ვლადიმერ ვასილის ძე რაზმაძე (საქმე №500), იასონ ალექსის ძე თეთრუაშვილი (საქმე №1652) გრიგოლ სპირიდონის ძე შუკაკიძე (საქმე №186), ვახტანგ ბარნაბის ძე კიკვაძე, ვასილ დავითის ძე უზუნაშვილი (საქმე №2581), ალექსანდრე ვარლამის ძე ასათიანი. ეს პირები 1947-1951 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 ან 10 წლამდე, რადგან მსჯავრდებულს გერმანელების მხრეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

5. ალექსანდრე მირონის ძე გოსლიაკოვი (საქმე №50366.) გასამართლებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ. ფოთის პორტში მტვირთავად მუშაობის დროს ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. ტყვეთა ბანაკიდან გაქცევის შემდეგ, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში 1946 წლამდე. რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადა შეუმცირა 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

6. ნესტორ თადეოზის ძე გიგოევი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. იყო ნაციონალური ფორმირების წევრი. მაგრამ გერმანელების მხარეს საომარ მოქმედებებში მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, სასჯელის ვადა შემცირდა 10 წლამდე.

7. ივანე მიხეილის ძე ივანუშკო (საქმე №37995). გაასამართლა II საგზაო-სამშენებლო დივიზიის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1947 წელს უკრაინელ ხალხს მისწერა კონტრრევოლუციური შინაარსის წერილი და მოუწოდა ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. თამარ მიხეილის ასული კასატკინა-ივაშენკო (საქმე №3632) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 58-10 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.მუშაობდა თარჯიმნად ხარკოვის ოლქში გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. 1943 წელს გაიქცა გერმანიაში და 1944 წლის დეკემბრამდე მუშაობდა თარჯიმნად საბჭოთა ტყვეთა ბანაკში. მონაწილეობდა საბჭოთა მოქალაქეების დაკითხვასა და ანტიფაშისტურად განწყობილ ტყვეთა გამოვლენაში. ომის შემდეგ, ცხოვრობდა ფოთში და ავლენდა ანტისაბჭოთა განწყობას. დაკითხვების დროს საბჭოთა ტყვეებზე ზეწოლაში მისი ბრალეულობა არ დასტურდება ფაქტებით. ამიტომ სასჯელის ვადა შემცირდა 10 წლამდე.

9. მაქსიმე იგორის ძე ლავროვი (საქმე №99908) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. იყო სპეცჩასახლებული და ეწეოდა ანტისაბჭოთა საუბრებს. აკრიტიკებდა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობაში, აქებდა კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკურ და მატერიალურ მდგომარეობას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

10. ნიკოლოზ ივანეს ძე მარტინუკი (საქმე №103970) გაასამართლა ამიერკავკასიის

სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 მუხლით და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანულ პოლიციაში სამსახური. 1944 წლიდან მსახურობდა საბჭოთა არმიაში, დაიჭრა, მიიღო კონტუზია. დაჯილდოებული იყო მედლებით. რესპუბლიკურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის ვადის 10 წლამდე შემცირების შესახებ.

11. ოთარ კონსტანტინეს ძე ფარულავა (საქმე №2047) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის დროს. ბრძოლა საბჭოთა, ბულგარელი და იუგოსლავიელი პარტიზანების წინააღმდეგ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი მართებულად იქნა მიჩნეული და სასჯელის ვადა დარჩა ძალაში.

12. მამედ შირინ ალიევის ძე ჩოთრაძე (საქმე №86753) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1945 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-14 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა თურქულ დაზვერვასთან კავშირი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, დანაშაული დასტურდება ფაქტებით და განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

13 გრიგოლ სარდიონის ძე საღინაძე, გიორგი ევგენის ძე ბუცხრიკიძე, ალექსანდრე დავითის ძე გოგიჩაიშვილი, სევერიან ანტონის ძე ჯაჯანიძე, თევდორე ეფრემის ძე ჯვარშეიშვილი, დავით პარმენის ძე ბურკაძე, ვლადიმერ იგორის ძე მძინარაშვილი (საქმე №2586) ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. მათ ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

14. არსენ აბრამის ძე აბრამიძე (საქმე №585) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს.

მონაწილეობდა ბერძენი, ბულგარელი და იუგოსლავიელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

15. ალექსანდრე ამბერკის ძე ხარატიშვილი (საქმე №101289) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. დაპატიმრებამდე მუშაობდა მცხეთის სამხედრო კომენდატურაში. მხილებულია ლოთობაში და მკვლელობაში. რესპუბლიკური კომისიის მიერ სამხედრო ტრიბუნალის გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

16. მაი ივანეს ძე პორშაკოვი (საქმე №104004) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური და პოლონელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

17. შამილ კონსტანტინეს ძე გუჯეჯიანი (საქმე №3352) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლით და მიესაჯა ჯერ დახვრეტა. შემდეგ კი სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, 1953 წელს განაჩენი შეეცვალა 25 წლიანი გადასახლებით. ბრალად ედებოდა მესტიის რაიონში ტერორისტული აქტის მოწყობა და რენო გუჯეჯიანის მკვლელობა.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 25 წლიანი პატიმრობის ვადა დარჩა უცვლელი.

18. გიორგი ივანეს ძე შავერდაშვილი, კარლო ვლადიმერის ძე გოგელია კაპიტონ დავითის ძე შენგელია (საქმე №2366). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მათ ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 15 წლამდე.

19. აკაკი ბაგრატის ძე ბენდიანიშვილი (საქმე №515) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის

58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

20. ნიკოლოზ მანუჩარის ძე კეკუა (საქმე №86961) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1946 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. ნიკოლოზ კეკუა ექიმად მუშაობდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. 1942 წელს გაემგზავრა კელცში, სპეციალურ ბანაკში, რომელიც შექმნეს ქართველმა ემიგრანტებმა კადრების მოსამზადებლად. 1943 წლიდან ქართველი ემიგრანტის წულუკიძის წინადადებით, გახდა ორგანიზაცია „თეთრ გიორგის“ წევრი. მიიღო გერმანული პასპორტი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა დარჩა უცვლელი, განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

21. შალვა დიმიტრის ძე მანია გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა დარჩა უცვლელი. განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

22. ალექსანდრე იაკობის ძე პირტახია (საქმე №578) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა დარჩა უცვლელი. განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

23. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე (საქმე №3285) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქმის მასალების მიხედვით, მიხეილ ჭავჭავაძე, როგორც ყოფილი თავადი, მტრულად შეხვედრია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში და ემიგრაციაში წასულა თურქეთში 1921 წელს. იქ გაწევრიანებულა თეთრგვარდიულ ორგანიზაციაში. 1923 წელს გადასულა პარიზში, სადაც გაუგრძელებია ანტისაბჭოთა

საქმიანობა. 1929 წელს შევიდა თეთრგვარდიელთა მონარქისტულ პარტიაში. 1932-1947 წლებში თანამშრომლობდა ფრანგულ დაზვერვასთან. 1946 წელს მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა და გამომგზავრებისას შეხვდა საფრანგეთის დაზვერვის თანამშრომლებს და მათგან მიიღო დავალებები ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის. დაუკავშირდა რეემიგრანტებს და პარიზიდან არალეგალურად ჩამოსულ გაბინაშვილს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ზომა ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

24. ნიკოლოზ პეტრეს ძე ლაკტიონოვი და გრიგოლ მაქსიმეს ძე ბაილო (საქმე №3162). ორივე მათგანი გაასამართლა ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია, ცილისმწამებლური გამონათქვამები პარტიის ლიდერების მისამართით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

25. ზაქარია მოსეს ძე ოვაგოვი, ვლადიმერ გრიგოლის ძე მარქოსოვი, ბეგლარ პაშოს ძე მარტიროსოვი, სერგო ვარდოს ძე ნარინოვი (საქმე №584). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. მათ მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ტერორისტული აქტის განხორციელება წალკის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი დარჩა ძალაში.

26. იოსებ ხანანის ძე ვინიაშვილი. გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.ბრალად ედებოდა: ანტისაბჭოთა აგიტაცია. მეზობლებთან ჩხუბის დროს უცენზურად მოიხსენია საბჭოთა კავშირის ბელადი და საბჭოთა მთავრობა. სხვა ფაქტები მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ არ ჩანს საქმის მასალებში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 6 წლამდე.

27. ამბროსი კოზმას ძე მაღრაძე, დავით მელიტონის ძე რობაქიძე, დიმიტრი გრიგოლის ძე ქურციკაშვილი, ვახტანგ გიორგის ძე ჭონიშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხმალაძე, გიორგი მიხეილის ძე ჯობინაშვილი-ციციშვილი, აკაკი ისააკის ძე

ჯინჯოლია, ვარლამ მელიტონის ძე კოკელაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე ლაღიძე, რევაზ სიკოს ძე მუზაშვილი, სარდიონ მოსეს ძე მორბელაძე, აკაკი იასონის ძე არზიანი, პეტრე ალექსანდრეს ძე პაპიძე (საქმე №2390). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ქართველი ემიგრანტების ანტისაბჭოთა აგიტაციის გავლენით, დასახელებული პირები 1942 წლიდან შევიდნენ გერმანელების სამსახურში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, ზაქარია ზურაბაშვილს იგივე დარჩა სასჯელის ზომა, დანარჩენებს კი შეეცვალათ და შეუმცირდათ 15 წლამდე.

28. ლუკა იაკობის ძე კუზმინსკი (საქმე №2427) გაასამართლა აჭარის ასსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1943 წელს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიუსაჯა დახვრეტა, რომელიც შეეცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით, ქონების კონფისკაციით და საარჩევნო უფლების შეზღუდვით 5 წლის ვადით. კუზმინსკის ოჯახი 1929 წელს, გაკულაკების შემდეგ, გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც 1934 წელს გაიქცა. ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, აქებდა გერმანულ არმიას, ოცნებობდა საბჭოთა კავშირის დამარცხებაზე, რომ გერმანელების მოსვლის შემდეგ მიწები და კერძო საკუთრება დაებრუნებინათ გლეხებისთვის. მისტიროდა მეფის რუსეთის დროს. 1944 წელს გარდაიცვალა პატიმრობაში.

29. გრიგოლ ამირანის ძე გაბიჩვაძე, პარმენ ივანეს ძე ჯალიაშვილი ისაკ ვასილის ძე ბარნაბიშვილი, აკაკი იოთამის ძე აბრამიშვილი, ვასილ ნიკოლოზის ძე ჩოჩიშვილი, სიმონ ნიკოლოზის ძე ზურაშვილი (საქმე №74591). ეს პირები გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1943 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სიმონ ზურაშვილს მიესაჯა დახვრეტა, დანარჩენ მსჯავრდებულებს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ ლაგოდეხში მოქმედი არალეგალური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, რომლის მიზანიც იყო გერმანელების მოსვლის შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა. მოსახლეობაში თესავდნენ პანიკას და ავრცელებდნენ კონტრრევოლუციურ პროკლამაციებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ბრალეულობა დასტურდება და განაჩენიც დარჩა ძალაში.

30. გიორგი ალექსანდრეს ძე ბოჟაძე, სერგო სერგოს ძე ბლუაშვილი, დავით

მიხეილის ძე დიაკონიძე, ვარლამ ივანეს ძე არველაძე (საქმე №3147). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი დარჩა ძალაში.

31. ვასილ ნიკოლოზის ძე კარსანოვი (საქმე №882275). გაასამართლა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1939 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 მუხლით და მიუსაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ შეუმცირა სასჯელის ვადა 10 წლამდე. რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, ის იყო ესერთა პარტიის წევრი. მამამისის ქონების ნაციონალიზაციის შემდეგ, გაბოროტებული იყო საბჭოთა ხელისუფლებაზე. 1936 წელს გადაიბირეს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, მავნებლურ საქმიანობას ეწეოდა სამხრეთ ოსეთში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. სვამდა არასწორ დიაგნოზს, უარს ამბობდა სამედიცინო დახმარების გაწევაზე. ამით სურდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გამოწვევა.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ეს ბრალდებები არ დასტურდება საქმის მასალების მიხედვით. ამიტომ საქმის წარმოება შეწყდა.

32. მიხეილ სამსონის ძე მორჩაძე, ილია იოსების ძე მჭედლიშვილი, ერასტი გარსევანის ძე ბარბაქაძე (საქმე 2370). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 15 წლამდე.

33. იასონ გიორგის ძე საბაური, ივან ნასყიდას ძე ქუშაშვილი, შაქრო ივანეს ძე საბაური, ილია გიორგის ძე სამკამაშვილი, ვასილ შიოს ძე კობიაშვილი, ვასილ ალექსის ძე ჭილაშვილი (საქმე 73731). ეს პირები 1943 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-10 მუხლებით და მიესაჯათ დახვრეტა, რომელიც შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ არალეგალური ორგანიზაცია „კომუნისტებისაგან გამათავისუფლებელი ქართველი ახალგაზრდები“ წევრობა.

ორგანიზაცია დაარსდა 1941 წელს და მიზანი იყო ფაშისტური დიქტატურის დამყარება და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. მსჯავრდებულებს ურთიერთობა ჰქონდათ დეზერტირებთან. სურდათ თავდასხმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყაზბეგის რაიონულ ორგანიზაციაზე იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. ასევე მეტეოროლოგიური სადგურის დაკავებაც. რესპუბლიკური კომისიამ ბრალეულობა დაადასტურა და განაჩენი დატოვა ძალაში (**სშსსა 22:3-55**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით ოცდამესამე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 14 აპრილს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ივანე ონისიმეს ძე აფრიდონიძე, შალვა ბაგრატის ძე ოქროპირიძე, სერგო ისიდორეს ძე ჭელიძე, ფიდო ალექსანდრეს ძე მჭედლიშვილი, ილია სერგოს ძე მამასახლისოვი, სიმონ ნიკოლოზის ძე თამაზაშვილი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე წერეთელი, გიორგი ალექსანდრეს ძე ამისულაშვილი, პავლე ანტონის ძე ბედოშვილი, გიორგი ივანეს ძე მახარაშვილი, ვარლამ ტარასის ძე ტყემალაძე, არჩილ გიორგის ძე აფციაური, ალექსანდრე ცაკას ძე კვარაცხელია, ბაგრატ სოლომონის ძე ბიჭიაშვილი, გერასიმე სოლომონის ძე ბიჩიაშვილი, ბაგრატ სერგოს ძე ხეცუაშვილი, იოსებ ილიას ძე მასპინძელაშვილი, მიხეილ იოსების ძე კაციაშვილი, ალექსანდრე ომანის ძე დალაქიშვილი, ბაგრატ ქრისტეფორეს ძე როსტომოვი, სერგო ვლადიმერის ძე ბიწაძე, ვასილი გიორგის ძე მჭედლიშვილი, ანატოლი იოსების ძე ჯაფარიძე, გიორგი ბეგლარის ძე ჩოგოვაძე, ოლიფანტე გაიოზის ძე ჟვანია, სოლომონ იასონის ძე თინიკაშვილი, ირეოდიონ ალექსანდრეს ძე ჭელიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე ფარცვანია ილია რომანის ძე ჩიხლაძე, ილარიონ იასონის ძე ჯამბურია (საქმე №2743). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის

სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან სამსახური. დანაშაული დასტურდება, მაგრამ სასჯელის ზომა რესპუბლიკურმა კომისიამ მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია და შეუმცირა 15 წლამდე.

2. ნიკოლოზ კარპეს ძე ბასისტოვი, პეტრე ნიკოლოზის ძე ზინოვი, ბორის ვლადიმერის ძე გორდეევი (საქმე №103 713). სამივე მათგანი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისთვის და ბასისტოვს და ზინოვს მიესაჯათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, გორდეევს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, ისინი თავს ესხმოდნენ კოლმეურნეებს საქართველოს სამხედრო გზაზე, ამასთან გამოთქვამდნენ საზღვარგარეთ წასვლის სურვილს: ზინოვი ირანში, გორდეევი გერმანიაში, აშშ-ს ზონაში. რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა.

3. იაროსლავ გრიგოლის ძე გავრილიუკი და ვლადიმერ ანტონის ძე ბაგრი (საქმე №855) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ სამხედრო ნაწილში ანტისაბჭოთა აგიტაცია. აქებდნენ უკრაინის მეამბოხეთა არმიას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, დანაშაული დასტურდება, მაგრამ სასჯელი მკაცრია. ამიტომ შეიცვალა და შემცირდა 5 წლამდე. ამის შემდეგ შეეხებოდათ 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

4. ნიკიტა ტარასის ძე იანუში და ვლადიმერ თეოდორის ძე კროტა (საქმე №104 063) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და ნიკიტა იანუშს მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ვლადიმერ კროტას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმის მასალების მიხედვით, ნიკიტა იანუშმა დატოვა სამხედრო ნაწილი და სურდა საზღვარგარეთ წასვლა, ვლადიმერ კროტამ კი არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს იანუშის განზრახვა. ასევე ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, საქმეში არ ჩანს მტკიცებულებები ,რომ ნიკიტა იანუში ნამდვილად აპირებდა საზღვრის

გადალახვას. ანტისაბჭოთა აგიტაციაზე 58-1 მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო 58-10 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ვადა შეეცვალათ და შეუმცირდათ 5 წლამდე.

5. ვახტანგ ტატოს ძე ქავთარაძე (საქმე №799), ვასილი გრიგოლის ძე ბაგაევი (საქმე №1494), მიხეილ დავითის ძე გურაბანიძე (საქმე №501), ვარლამ ვლადიმერის ძე კიკნაძე (საქმე №429), ნიკოლოზ მიტროს ძე აბშილავა (საქმე №522), ანდრეი ივანეს ძე გუშჩინი (საქმე №101557), გიგა იაკობის ძე ჯოხაძე (საქმე №1120), სიმონ ლეონტის ძე ყაველაშვილი (საქმე №439) შალვა დავითის ძე ჭიღლაშვილი (საქმე №2864), ვლადიმერ მიხეილის ძე ჩხიკვაძე (საქმე №2540), ბათო ალექსის ძე ცეციაიძე (საქმე №314), ნიკოლოზ ალექსის ძე გეორგიოღლუ (საქმე №13340), მიხეილ იოსების ძე პანკინი (საქმე №103 790), ნიკოლოზ ივანეს ძე პაპიაშვილი (საქმე №3109), ივანე ივანეს ძე პუგაჩოვი (საქმე №103795), მურადინ ანზორის ძე ზაშაევი (საქმე №0396659), რაფიელ ისიდორეს ძე ბოდოკია (საქმე №1425), აჯარ სარის ძე თაგიევი (საქმე №2401). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1952 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 ან 10 წლამდე, რადგან მსჯავრდებულებს გერმანელების მხრეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

6. გიორგი კირილეს ძე ნიაგუ (საქმე №2463), პავლე კონსტანტინეს ძე სეროკუროვი (საქმე №13336) სტეფანე მიხეილის ძე სკაჩკოვი-ბლუდოვი (საქმე №495) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. ასრულებდნენ გერმანული საოკუპაციო ხელისუფლების დავალებებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

7. ვასილი ანასტასის ძე იალპახი (საქმე №0397404). გაასამართლა თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა 1944 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით კატორღული სამუშაო. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. დიმიტრი გრიგოლის ძე კალენიუკი (საქმე №103924). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 წლამდე.

9. ათანასე ანდრეის ძე ნინუა და ევგენი კუჭუს ძე კუჭავა (საქმე №103758). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ნებაყოფლობით ჩაბარდნენ გერმანელებს ტყვედ და მსახურობდნენ მათთან. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე.

10. იგორ ტიხონის ძე იურევი (საქმე №2977) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.. ნებაყოფლობით ჩაბარდა გერმანელებს ტყვედ და მსახურობდა მათთან. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეუმცირდა 8 წლამდე.

11. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ზედგენიძე (საქმე №3181). გაასამართლა 1952 წელს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით. 1930 წელს გადავიდა თურქეთში, სადაც დაიჭირეს ქვეყნის ღალატის ბრალდებით. შემდეგ მენშევიკებმა მასხარაშვილმა და ინასარიძემ გაათავისუფლეს. უცხოურმა დაზვერვამ გადაიბირა საბჭოთა კავშირში შპიონაჟისთვის. 1931 წელს ბათუმში დააპატიმრეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომლებმა, მაგრამ დაუსაბუთებელი ფაქტების გამო საქმის წარმოება შეწყდა.1951 წელს ის დაუკავშირდა ვინმე ივანიძეს და ენუქიძეს, რომლებსაც უნდოდათ თურქეთში გადასვლა. ზედგენიძემ მათ ასწავლა მოკლე და უსაფრთხო გზები უცხოეთში გადასასვლელად და ქართველ ემიგრანტებთან კავშირისთვის. რესპუბლიკურმა კომისიამ შესწავლილი მასალების საფუძველზე დაადგინა, 1930 წელს ზედგენიძისადმი წაყენებული ბრალდება არასწორად იყო კვალიფიცირებული (ქვეყნის ღალატისათვის კანონი მიღებული იქნა 1943 წლის 9 ივლისს). ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის მიერ მიღებული

დასკვნა დატოვა ძალაში.

12. გიორგი ალექსანდრეს ძე კაჭარავა და ლავრენტი გიორგის ძე კორთხონჯია (საქმე №2487). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე.

13. იაკობ ერმილეს ძე ტუღუში და გრამიტონ ერმილეს ძე ტუღუში (საქმე №2904) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეუმცირდათ 15 წლამდე.

14. ანატოლი პეტრეს ძე პეტუხოვი (საქმე №3093). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა საუბრები. რესპუბლიკურმა კომისიამ გაითვალისწინა მისი დაბალი განათლების დონე და სასჯელის ვადა შეუმცირა 6 წლამდე.

15. ვლადიმერ პავლეს ძე ჭედია (საქმე №69543). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, დასცინოდა პარტიის ღონისძიებებს. ძირითადმა მოწმეებმა თავისი ჩვენებები შემდგომი გადამოწმების დროს შეცვალეს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით საქმის წარმოება შეჩერდა დაუსაბუთებელი ბრალდების გამო.

16. ვალერიან ნესტორის ძე გვიშიანი, ალფეზ ილარიონის ძე ლაკვეხელიანი და გერონტი ლუკას ძე ყურაშვილი (საქმე 1311). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. იყვნენ გერმანული არმიის ქართული ლეგიონის „ბერგმანის“ წევრები. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით შეუმცირდათ სასჯელის ვადა 15 წლამდე.

17. გიორგი ალექსის ძე გიორგაშვილი, ზაქრო ნიკოლოზის ძე თომაშვილი და გიორგი სიმონის ძე გიორგაძე (საქმე №3268). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით შეუმცირდათ სასჯელის ვადა 15 წლამდე.

18. სევერიან გერასიმეს ძე თალაკვაძე (საქმე №41 794). გაასამართლა უზენაესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ 1938 წელს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 58-17 მუხლების შესაბამისად მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა და მავნებლური საქმიანობა. დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები საქმის მასალებში არ ჩანს. ამიტომ, რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით საქმის წარმოება შეწყდა.

19. იაკობ დავითის ძე ხანიაშვილი, ივანე დავითის ძე სიყმაშვილი, ივანე ლონგინოზის ძე ბეგალიშვილი და სარდიონ იოსების ძე ქუთიბაშვილი (საქმე №8758). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით შეუმცირდათ სასჯელის ვადა 15 წლამდე.

20. შალვა კონსტანტინეს ძე ჭოხონელიძე, შოთა რუბენის ძე გოგისვანიძე, ვახტანგ ვასილის ძე დათიშვილი, ვასილი ალექსანდრეს ძე მრელაშვილი სულიკო მიხეილის ძე დუღაძე, ნიკოლოზ თომას ძე დამენია, მიხეილ არჩილის ძე ლაღუნდარიძე, გრიგოლ ვარლამის ძე ცაავა, გიორგი პავლეს ძე გულორდავა, შაქრო ევგენის ძე ცხოიძე, გიორგი ალექსანდრეს ძე მურადოვი, ალექსანდრე გერმანეს ძე კიპაროიძე (საქმე №2445). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთაშრომა-გასწორებისბანაკში.ბრალადედებოდათგერმანელებთანთანამშრომლობა და ქართულ ნაციონალურ ლეგიონში სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა გიორგი მურადოვს შეუმცირდა 5 წლამდე, დანარჩენ მსჯავრდებულებს 10 წლამდე.

21. ალექსი პროხორის ძე ალენინი (საქმე №0392061). გაასამართლა ამიერკავკასიის

სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1944 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. განაჩენი ჩაითვალა მართებულად, რადგან რესპუბლიკური კომისიის დასკვნით საქმის მასალებში ჩანს მსჯავრდებულის მიერ საბჭოთა ტყვეებს შორის კომუნისტების, კომკავშირელების და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული პირების გამოვლენის ფაქტები.

22. ილია თევდორეს ძე გოგია (საქმე №22772). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა 1937 წელს და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ტროცკისტულ-კონტრრევოლუციური საქმიანობა. ბინაზე აღმოუჩინეს აკრძალული ლიტერატურა (ნიკოლაი ბუხარინის შრომები). დაკავშირებული იყო ტროცკისტ-არალეგალებთან რობაქიძე და ფარულავასთან. ასევე რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმის ჩანაწერში მითითებულია, რომ მსჯავრდებული აფერხებდა სტახანოვურ მოძრაობას აგრონომად მუშაობის დროს და ცდილობდა უსიამოვნება გამოეწვია ხალხში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

23. რეჯებ აჰმედის ძე კახიძე და ბეშირ ოღლი ალი საიდის ძე (საქმე №85499). გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა. ბრალად ედებოდათ თურქეთის დაზვერვასთან თანამშრომლობა.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

24. ნიკოლოზ ალექსის ძე კონიაევი და ადამ პეტრეს ძე შეხტელია (საქმე №20610). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1941 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-9 და 58-2 მუხლებით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა საუბრები. თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ფეხსაცმლის ფაბრიკის აფეთქებაზე, მაგრამ სისრულეში არ მოუყვანიათ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

25. მიხეილ კონსტანტინეს ძე სავჩენკო (საქმე №583) 1948 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა. უკრაინის სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 მუხლის და საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის თანახმად მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-

გასწორების ბანაკში. მსახურობდა გერმანელებთან გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ასრულებდა მათ ყველა ბრძანებას. როცა ეს ტერიტორია გათავისუფლდა გერმანელებისგან საბჭოთა არმიის მიერ, დამალა თავისი სამსახური გერმანელებთან და შევიდა საბჭოთა არმიაში. თუმცა, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

26. გუგუშა ჯაკას ძე სექანია, გელა ჯაკას ძე სექანია, არჩილ იასონის ძე თოფურია და გადა ბაჯას ძე მესხია (საქმე №3596). ისინი გაასამართლა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1953 წლის 22 აგვისტოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის სასადილოში ბერიას საქებარი სიმღერის შესრულება. გუგუშა სექანიას, როგორც ინიციატორს, რესპუბლიკურმა კომისიამ განაჩენი დაუტოვა ძალაში. დანარჩენ მსჯავრდებულებს კი სასჯელის ვადა შეუმცირდათ 8 წლამდე.

27. ალექსანდრე ვასილის ძე სურანოვი (საქმე №158). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, ებრძოდა პარტიზანებს. 1943 წელს ევაკუირებული იყო ქალაქ ჰამბურგში და იქ ცხოვრობდა 1945 წლამდე. გამოტანილი განაჩენი რესპუბლიკურმა კომისიამ მართებულად ჩათვალა და დატოვა ძალაში.

28. მარკი ნიკიტას ძე ცვიგუნი (საქმე №340). გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა რელიგიური შეკრებების ორგანიზება. ამბობდა რომ არ უნდა ემღერათ სიმღერები ბელადზე და უნდა ემღერათ ღმერთზე.რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით მსჯავრდებულს სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 წლამდე.

29. ალექსანდრე მაკარის ძე დალალიშვილი, ტრისტან დავითის ძე ფანქველაშვილი, მაკარ ზაქარიას ძე დალალიშვილი, ივანე ზაქარიას ძე დალალიშვილი და ელენე ვასილის ასული დალალიშვილი (საქმე №98710). ისინი გაასამართლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ტრიბუნალმა 1945 წელს და ალექსანდრე დალალიშვილს მიესაჯა დახვრეტა, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების

აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში. ბრალად ედებოდათ ტერორისტული აქტის მოწყობა ზვარეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეზე. ალექსანდრე დალალიშვილმა პირადად მოწამლა 11 სული საქონელი. მაკარ დალალიშვილი ატარებდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო საუბრებს. ჯგუფის დანარჩენ წევრებს ბრალდებოდათ დანაშაულის დაფარვა და კვალის წაშლა. რესპუბლიკურმა კომისიამ გამოტანილი განაჩენი ჩათვალა მართებულად (**სშსსა23: 3-56**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით ოცდამეოთხე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 25 აპრილს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ნიკოლოზ ერმილეს ძე გორგილაძე (საქმე №462). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. რადგან მოგვიანებით გადავიდა იტალიელი პარტიზანების მხარეს, რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

2. შალვა გიორგის ძე ლორთქიფანიძე (საქმე №2172). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. რადგანაც მსჯავრდებული მცირე ხნით, 5 თვის განმავლობაში თანამშრომლობდა გერმანელ ოკუპანტებთან, რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 7 წლამდე.

3. ლავრენტი იასონის ძე სირბილაძე (საქმე 141). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის

58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, ებრძოდა საბჭოთა პარტიზანებს. განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

4. მამია დავითის ძე წულაია (საქმე №1529). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გერმანელებთან სამსახური. მაგრამ შემდეგ გადავიდა და იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადა შეუმცირა 7 წლამდე.

5. სერგო დავითის ძე ოხანაშვილი (საქმე №1521). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, მაგრამ შემდეგ გადავიდა და იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში. ამიტომ რესპუბლიკურმა კომისიამ სასჯელის ვადა შეუმცირა 8 წლამდე.

6. გერონტი ნოეს ძე ქართველიშვილი (საქმე №1824). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, მაგრამ შემდეგ გადავიდა და იბრძოდა ფრანგ პარტიზანებთან ერთად. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 6 წლამდე.

7. ედიშერ ილიას ძე აბულაძე (საქმე №1346), დიმიტრი თევდორეს ძე პარხომენკო (საქმე №103989). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე, რადგან მსჯავრდებულებს გერმანელების მხრეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

8. ლეო თათარხანის ძე ანჩაბაძე (საქმე №81). გაასამართლა ამიერკავკასიის

სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური. იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ სექციის მდივანი. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

9. ალექსანდრე რაჟდენის ძე ახალაძე (საქმე №298). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, ებრძოდა საბჭოთა პარტიზანებს. დაჯილდოებული იყო მედლით. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

10. გრამიტონ ზაბილოვის ძე კიღურაძე (საქმე №252). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა გერმანელებთან სამსახური, ებრძოდა საბჭოთა პარტიზანებს. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

11. ვასილ გრიგოლის ძე იობიძე, ივანე სარდიონის ძე ფანცხავა კლიმენტი ნესტორის ძე აფხაიძე, სილოვან დარისპანის ძე ქუთათელაძე. გიორგი ანანიას ძე იოსელიანი, აკაკი ივანეს ძე პესტვინაძე, დავით ერასტის ძე გიორხელიძე, ბესარიონ ილარიონის ძე ედიბერიძე და კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფხაკაძე (საქმე №2479). ისინიგაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მათ ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან წარმატებული სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

12. აკაკი იოსების ძე მუმლაძე, უშანგი ილარიონის ძე ბრეგვაძე, ლევან ივანეს ძე მოდებაძე, ლუკა დავითის ძე ნუცუბიძე, სევერიან ილარიონის ძე კუპატაძე, კუკური ვლადიმერის ძე მოდებაძე დიმიტრი სილოვანის ძე ახალაძე, ილია თეოფილეს ძე გოგსაძე, ელიზბარ იპოლიტეს ძე ახვაძე, რაჟდენ პლატონის ძე ლოლაძე, ბესარიონ დიმიტრის

ძე ჩუბინიძე, აკაკი სევასტის ძე ყაველაშვილი, მიხეილ ბესარიონის ძე სარალიძე, ალექ-სანდრე ილარიონის ძე ქართველიშვილი, ზოტინ ტრიფონის ძე უფლისაშვილი (საქმე №2744). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, მსჯავრდებულებს შეეცვალათ და შეუმცირდათ სასჯელის ზომა.

13. ვლასი ივანეს ძე კლდიაშვილი, აკაკი ამირიდოს ძე კლდიაშვილი. ნიკოლოზ ლუარსაბის ძე ჭირაქაძე და იაკობ სოლომონის ძე აბზიანიძე (საქმე №1628). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 6, 10 და 15 წლამდე.

14. ვასილი სტეფანეს ძე ტოროპენკო (საქმე №1331). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1950 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. უკმაყოფილებას გამოხატავდა საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობების მიმართ. მოწმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივია. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო ვასილი ტოროპენკოს სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში, სამამულო ომის ინვალიდობა და ჩათვალა, რომ სასჯელის ზომა იყო მკაცრი. ამიტომ 10 წლიანი სასჯელის ვადა შეიცვალა 5 წლით.

15. ავეტიკ სიროხანის ძე დანელიანი (საქმე №2036) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

16. ვარლამ ბუჯგას ძე ლობჟანია, ბუჯგა იბლოს ძე ხუბულავა, ვანო ელიზბარის ძე კვიტია, შალვა ჩონგორის ძე გობეჩია, აველ იბლოს ძე ხუბულავა და მარია ეგნატეს ასული ხონდრიკი (საქმე №86577). ეს პირები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა 1944 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-17

მუხლებით. ბრალად ედებოდათ კრიმინალური დაჯგუფების წევრობა. ეს დაჯგუფება 1943 წელს შექმნა ვარლამ ლობჟანიამ, რომელიც იყო დეზერტირი და დაბრუნდა გალის რაიონში. მათ გაძარცვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ სოფელ ოქუმის ორ მკვიდრს და გააუპატიურეს ამ სოფლის მკვიდრი არასრულწლოვანი გოგონა. ლობჟანიას თავდაპირველად მიესაჯა დახვრეტა, რომელიც შეეცვალა 15 წლით თავისუფლების აღკვეთით, როგორც დაჯგუფების სხვა წევრებს. რესპუბლიკურმა კომისიამ არსებული განაჩენი მართებულად მიიჩნია და ძალაში დატოვა.

17. ვლადიმერ დანიელის ძე ხორკავო, ლუკა პეტრეს ძე პახმურსკი და ვლადიმერ იოსების ძე სერქესი (საქმე №958). ეს პირები 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. მათ ბრალად ედებოდათ უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა, უკმაყოფილება საბჭოთა წყობით.რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

18. თეოდორ რადიონის ძე რიჟოვი (საქმე №81725). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1943 წელს და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა საუბრები, აქებდა ფაშისტურ გერმანიას, გერმანულ ტექნიკას. პატიმრობის პერიოდშიც განაგრძობდა მსგავსი ტიპის საუბრებს. ამბობდა, რომ როცა აშშ თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, მაშინ ყველა პატიმარი გათავისუფლდებოდა. სასჯელს იხდიდა თბილისში. 1951 წელს კიდევ დაემატა 10 წელი საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების ბანაკების სასამართლოს მიერ. რესპუბლიკურმა კომისიამ განაჩენი მართებულად ჩათვალა.

19. ალექსანდრე ოგანეზის ძე მხითარიანი, გიორგი ადამის ძე ეგიაზარიანი, არმენულ დავითის ძე ტატეზოსიანი, ცოვინარ მურადის ძე ტატეზოსიანი, ევგენი ვაგინაკის ძე ტატეზოსიანი და ანდრენიკ ტატეზოსიანი. (საქმე №3222). ისინი 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა. ანდრენიკ ტატეზოსიანს მიესაჯა დახვრეტა, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებს სხვადასხვა ვადით (25, 15, 10 წლიანი ვადა) თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ანდრენიკ ტატეზოსიანის საქმესთან დაკავშირებით რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმში

აღნიშნულია, რომ ის ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და შექმნა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია. ავრცელებდა ხელისუფლებისა და მთავრობის მაკომპრომეტირებულ წერილებს 1949 წლის 7 ნოემბრის დემონსტრანტებს შორის და ასევე კინო-თეატრებში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ამ პირების მიმართ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

20. მიხეილ ალექსის ძე კოტოვი (საქმე №103943). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. 1949 წელს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად აუგად მოიხსენია სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური და პარტიის ისტორიის მოკლე კურსი. რესპუბლიკურმა კომისიამ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის სამსახური საბჭოთა არმიაში (ავიასპეციალისტი იყო), მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაიღუპა დიდ სამამულო ომში და შესაძლებლად მიიჩნია სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე, რის შემდეგაც შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

21. იოსებ არქიფოს ძე ზუბენკო (საქმე №3250). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა ბათუმიდან თურქეთში გადასვლის სურვილი და წაუყენეს სამშობლოს ღალატის ბრალდება. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით საქმის წარმოება შეწყდა მის შემადგენლობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (**სშსსა 24:4-29**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით ოცდამეხუთე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 12 მაისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

მოისმინეს გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობისათვის გასამართლებული პირების საქმეთა გადახედვის შესახებ ინფორმაცია:

1. გიორგი გრიგოლის ძე ასპატოვი, მიხეილ სიმონის ძე გოგიტიძე, გრიგოლ სოლომონის ძე იმერლიშვილი, ნიკოლოზ ილიას ძე მეტრეველი, რომან მიხეილის ძე ჭუჭულაშვილი, ალექსანდრე ბეგოს ძე ლეიბა, გაიოზ ზაქროს ძე ხანდაველი; გრიგოლ სიმონის ძე ცისკარიშვილი (საქმე №2451), ასლამბეკ ნოქარის ძე ძბოევი, დავით სამსონის ძე გამცემლიძე (საქმე №418), ივან დიმიტრის ძე ზაპორენკო, კონსტანტინე მალაქიას ძე გოშაძე, ყარამან ალექსის ძე კაზიევი-ღუდუშაური, ვლადიმერ ვასილის ძე ცეხოვოი (საქმე №103848), გიორგი კალისტრატეს ძე ჯანგავაძე (საქმე №413), გიორგი გრიგოლის ძე გოგნაძე (საქმე №558). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 15, 10 და 5 წლამდე.

2. შოთა ირაკლის ძე შავგულიძე, ალექსანდრე გიორგის ძე ოსიპაშვილი, ვლადიმერ სიმონის ძე სულაბერიძე (საქმე №442). ლევან გიორგის ძე ანთაური (საქმე №120). ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949-1951 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

3. კირილე ბაგრატის ძე ზაბახიძე (საქმე №498). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. კირილე ზაბახიძე თანამშრომლობდა გერმანიის საიდუმლო სახელმწიფო პოლიციასთან ფსევდონიმით კარლი. შეაგროვა ცნობები იუგოსლავიელი პარტიზანების შესახებ და გადასცა გერმანელებს. მანვე თარგმნა ქართულიდან გერმანულ ენაზე პარტიზანების წერილი, რომლითაც ისინი მოუწოდებდნენ გერმანულ არმიაში მყოფ ლეგიონერებს. გადასულიყვნენ პარტიზანების მხარეს. ამ წერილის შედეგად გერმანელებმა დახვრიტეს 4 ლეგიონერი. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა.

4. რუსლან ბიკენტის ძე ტიხომიროვი, ვლადიმერ გერასიმეს ძე ხეზვი და სერგო მიხეილის ძე სოშენკო გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო

ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რუსლან ტიხომიროვი, რომელსაც მამა ჰყავდა რეპრესირებული 1937 წელს, ომის დაწყების პირველივე დღიდან ცდილობდა თავი აერიდებინა სამხედრო სამსახურისთვის და სურდა გაქცეულიყო უცხო ქვეყანაში, სადაც მტრულ საქმიანობას გასწევდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან გადაიბირა დასახელებული ორი მსჯავრდებულიც. რესპუბლიკურმა კომისიამ შეისწავლა არსებული მასალები და დაადგინა, რომ არ ჩანდა მათი ქვეყნიდან გაქცევის კონკრეტული ფაქტები და მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის ვადის შემცირების შესახებ. ასევე მსჯავრდებულებს მოეხსნათ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი.

5. თევდორე ეგნატეს ძე ფედორენკო. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. სამხედრო ნაწილში ყოფნის დროს ფეხქვეშ გათელა შინელი და ბათინკები. რესპუბლიკურმა კომისიამ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩათვალა.

6. მერჯან იუსუფის ძე დავითაძე, მუედინ იაკობის ძე დავითაძე, რეჯებ დემურალის ძე ფუტკარაძე, ასლან დურსუნის ძე ფუტკარაძე, თალიბა კადირის ძე ზოიძე, შახო იუსუფის ძე დავითაძე, მუჰამედ კადვერის ძე ზოიძე, იუსუფ ესრატელის ძე დიასამიძე და მუედინ დავითის ძე ფუტკარაძე (საქმე №80303). ეს პირები 1943 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა დაჯგუფების ფორმირება და ხულოს რაიონში საბჭოთა არმიის რიგებში მობილიზაციის ჩაშლა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ადრე გამოტანილი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

7 კონსტანტინე ასლანის ძე გუგეშაშვილი (საქმე №117), დიმიტრი ივანეს ძე სარიოღლუ, პეტრე პეტრეს ძე ვესტერლი, გიორგი ივანეს ძე შუბითიძე. ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაულის ნიშნები სახეზე იყო, რასაც ადასტურებდა მოწმეთა

ჩვენებები. ამიტომ სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

8. კარუმ იბრაგიმის ძე მირზა ოღლი. 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით ვადით შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ მეუღლის ოჯახში სტუმრად მყოფმა უხამსად მოიხსენია საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

9. მარია ლავრენტის ასული შევჩენკო (საქმე №2088). 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა უცენზურო გამონათქვამები საბჭოთა ხელმძღვანელების მისამართით. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე.

10. ანდრეი ალექსის ძე თათოშვილი (საქმე №102854) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე (**სშსსა 25:4-31**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით ოცდამეექვსე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 30 მაისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. მიხეილ თევდორეს ძე გავლიცკი. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10

მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა 1944 წელს რუმინულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან კავშირი და კონტრრევოლუციური აგიტაცია.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით კონტრრევოლუციური აგიტაცია საქმის მასალებით არ დასტურდება. სასჯელის ვადა შეიცვალა 15 წლამდე.

2. გაბრიელ გიორგის ძე გოგოლაძე და ჭოლა ანთიმოზის ძე რუსიძე (საქმე №1492). ისინიგაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თურქულ დაზვერვასთან კავშირი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი მართებულად იქნა მიჩნეული.

3. ალექსანდრე სევერიანის ძე შავგულიძე, გრიგოლ ვარდენის ძე კოკელაძე, ვლადიმერ სერგოს ძე ლაცაბიძე, ევგენი ერმილეს ძე გაბელაშვილი, შოთა მემნონის ძე დგებუაძე, შოთა ნიკოლოზის ძე გვიმრაძე და ალექსანდრე გრიგოლის ძე გვენეტაძე (საქმე 81473). ეს პირები 1943 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით. ნაწილს მიესაჯა დახვრეტა, ნაწილს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ფაშისტურ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი მართებულად იქნა მიჩნეული და დარჩა ძალაში.

4. გრიგოლ მიხეილის ძე ლევშანოვი (საქმე №1726). 1949 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდა საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი არ იყო სასჯელის ვადა, ამიტომ დანაშაული გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 წლამდე.

5. ფელიქს იოპოს ძე იანულევიჩუსი (საქმე №104062). 1952 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკურმა კომისიამ განაჩენი მართებულად ჩათვალა საქმეში არსებული მასალებისა და მოწმეთა ჩვენებებით.

6. ნიკოლოზ მიხეილის ძე სუხოვი (საქმე №98500). გაასამართლა 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, აქებდა ცარისტულ რეჟიმს, აძაგებდა საკოლმეურნეო ცხოვრებას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

7. გიორგი კირიაკეს ძე ხიონიდი და პავლე ივანეს ძე კარდაშიდი (საქმე №102871). ეს პირები გაასამართლა 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯათ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. ირაკლი მელიტონის ძე მირცხულავა, კანონ პავლეს ძე ჯიქია და ვალერიან ჯოგოს ძე როგავა (საქმე №3546). ეს პირები გაასამართლა 1953 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის სასადილოში ლავრენტი ბერიაზე სიმღერის შესრულება. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ზომა არ შეესაბამებოდა ბრალდებას და შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 5 წლამდე.

9. მიხეილ ავეტისის ძე ხაჩატურიანი, ნიკოლოზ ეფრემის ძე ნემოვი, ივანე აკიმის ძე ტერ-აბრამოვი, ვასილი სერგოს ძე ნედოპეკინი და პავლე გრიგოლის ძე როგოვსკი (საქმე №342). ეს პირები 1948 წელს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრობა, კითხულობდნენ იეღოვურ ლიტერატურას. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, როგოვსკის შემთხვევაში (ის ითვლებოდა ამ დაჯგუფების ხელმძღვანელად) განაჩენი ჩაითვალა მართებულად, ხოლო დანარჩენებს შეუმცირდათ სასჯელის ვადა 10

წლამდე.

10. ბაგრატ ივანეს ძე წიკლაური (საქმე №103124). 1953 წლის 26 მარტს გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა უცენზურო სიტყვების გამოყენება საბჭოთა მთავრობისა და კანონების მისამართით.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული გადაკვალიფიცირდა როგორც ხულიგნობა და სასჯელის ვადა შემცირდა 5 წლამდე.

11. დიმიტრი ილიას ძე მამულაშვილი 1945 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 მუხლით და მიუსაჯა 10 წლით თ ავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა, რომელიც შეიქმნა 1941 წელს და რომლის მიზანიც იყო გერმანელების დახმარება შეიარაღებული ძალებით. კონსტანტინე ხიმშიაშვილმა, რომელიც დააპატიმრეს 1942 წელს, მისცა დავალება მსჯავრდებულ მამულაშვილს, მოეზიდა ახალი წევრები ორგანიზაციაში. მანაც რამდენიმე პიროვნება (კობიძე, ბოლქვაძე, მარგველაშვილი, ცინცაძე) გადმოიბირა. სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი რესპუბლიკურმა კომისიამ ჩათვალა მართებულად.

12. ალექსი მინასის ძე ალვარიანი (საქმე №1117), იური მიხეილის ძე ოპელი (საქმე №10149), ნიკოლოზ მიხეილის ძე ტუხაშვილი (საქმე №570), ვლადიმერ ანდრეის ძე ბაზალი-ბაზალიშვილი (საქმე №768), პლატონ ივანეს ძე გურეშიძე (საქმე №559), გიორგი ასლანის ძე ბარბაქაძე (საქმე №463), კარლო პორფირეს ძე უჩანეიშვილი (საქმე №514), გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით და ქონების კონფისკაცია. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკურმა კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე, რადგან მსჯავრდებულს გერმანელების მხრეს აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.

13. მიხეილ ივანეს ძე იგნატენკო (საქმე №103231), ვიქტორ ივანეს ძე ავალიანი (საქმე №60). ისინი 1949 წელს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად

ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

14. გიორგი ლევანის ძე პაპოშვილი (საქმე №336). 1949 წელს გაასამართლა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა.1942-1945 წლებში მსახურობდა ბატალიონ „ბერგმანში“. ებრძოდა საბჭოთა, ბერძენ და იუგოსლავიელ პარტიზანებს. ამავე დროს იყო ფაშისტური ორგანიზაცია„თეთრი გიორგის“ წევრი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

15. ახმედ მირზა ალი ოღლი ალი ზადე, ოსმან ალავერდი ოღლი ელჩიევი, ისმაილ ალი ოღლი ნაზაროვი, აივაზ კასუმ ოღლი მამედოვი, დინამალი ალაჰვერდი ოღლი ნა-ბუევი (საქმე №822). ეს პირები გაასამართლა 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შემცირდა 10 წლამდე.

16. შოთა იოსების ძე შანიძე (საქმე №25), დავით ეგნატეს ძე ზაზუნიშვილი (საქმე №18), შალვა იოველის ძე დარჩიაშვილი (საქმე №222), პროკოფი გრიგოლის ძე კიკაბიძე (საქმე №131), პავლე ვასილის ძე პირველაშვილი (საქმე №33). ისინი 1946-1949 წლებში გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

17. ბართოლომეო იოსების ძე მისანი, სერგეი ივანეს ძე გლადკი, მათე ტიმოთეს ძე მიხაილიჩენკო, ანტონ ათანასეს ძე ტრუშევსკი, პეტრე კლიმენტის ძე იაკიმენკო, ევდოკიმ ანდრეის ძე კალაშნიკოვი, მარია სერგეის ასული გლადკი (საქმე №2169). ეს პირები გაასამართლა 1949 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების

აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით.ბრალად ედებოდათ გერმანელებთან სამსახური და თანამშრომლობა დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად (**სშსსა 26:3-32**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი, რიგით ოცდამეშვიდე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 17 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჯანჯღავა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. აიდინ რუსთამ აჰმედის ძე თანთ ოღლი, ჰასან მემედის ძე სურმანიძე, ბესო ნურის ძე ებრალიძე, ისქანდერ ჰუსეინის ძე ბოლქვაძე, იაკობ მუსტაფას ძე ბოლქვაძე და ოსმან ჰასანის ძე სურმანიძე (საქმე №0409853). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდათ თურქულ დაზვერვასთან თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალა მართებულად და სასჯელის ზომა დარჩა ძალაში.

2. აჰმედ მეჯიდის ძე ბერიძე (საქმე №93985). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედ-რო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიუსაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდათ თურქეთის დაზვერვასთან კავშირი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული იკვეთება, მაგრამ სასჯელის ზომა მიიჩნიეს მკაცრად და შესაძლებლად ჩაითვალა მისი შემცირება 10 წლამდე.

3. მურთაზ შაკირ ოღლი კიკნაძე და ნადიმ რიზაკ ოღლი (საქმე №86216) გასამართლდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 20 წლით თავისუფლების

აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ თურქეთის დაზვერვასთან თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით დანაშაული იკვეთება, მსჯავრდებულთა კავშირი უცხოურ დაზვერვასთან ფაქტებით დადასტურებულია. ამიტომ განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

4. დავით სოლომონის ძე ვაშაკიძე (საქმე №253), იაკობ ალექსანდრეს ძე მდორეული (საქმე №407), ვლადიმერ ნიკოლოზის ძე სამადბეგიშვილი (საქმე №3038), გიორგი პლატონის ძე ტუღუში (საქმე №2474), გიორგი იულონის ძე ჩიჩუა (საქმე №1600), გიორგი ალექსანდრეს ძე ფენაშვილი (საქმე №2688), აკაკი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძე (საქმე №1227), ალექსანდრე ევდოკიმეს ძე დემიდოვი (საქმე №3013). შალვა გრიგოლის ძე ჩხაიძე (საქმე 99707), მოსე იესეს ძე ინწკირველი (საქმე 152), სერგო ივანეს ძე ჩუთლაშვილი (საქმე 97). გასამართლდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური დიდი სამამულო ომის დროს.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება.

5. მიხეილ ბენედიქტეს ძე კომლაძე (საქმე 3010), აკაკი ვლადიმერის ძე შუკაკიძე (საქმე №192), გიორგი ვასილის ძე ბეჟუაშვილი (საქმე №73), დავით გიგოს ძე ძიგავა (საქმე №53), ალექსანდრე ივლიანეს ძე კვირკველია (საქმე 99), აკაკი დიანოზის ძე ბაძაღუა (საქმე 89063). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

6. აჰმედ რამაზან ოღლი ბაირამოვი, ნეჰრალ ალი ოღლი ასკეროვი, ჰუსეინ გუმბათ ოღლი გუმბათოვი, კაზანფარ ისმაილ ოღლი ტაგიევი, აივაზ ალაჰვერან ოღლი ბინიატოვი, აბას ისაბალი ოღლი ვალიევი, ვაკილ მემედის ძე ხალივიევი და ვალი ალი ოღლი მუსტაფაევი (საქმე №1229). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25

წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციითა და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

7. პავლე რევაზის ძე დეკანოსიძე (საქმე №20), ბაგრატ ფირანის ძე ოგანოვი (საქმე №91), ალექსანდრე იოსების ძე ქობულაშვილი (საქმე №21) გრიგოლ დომენტის ძე მესხი (საქმე 69047). ისინი გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდათ გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

8. სერგო ერასტის ძე მამაგეიშვილი და ვლადიმერ ექვთიმეს ძე ნიშნიანიძე (საქმე №42). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაციით. ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა და სამსახური დიდი სამამულო ომის დროს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

9. ვიქტორ მიხეილის ძე პეტროვი (საქმე №103665) გაასამართლეს გერმანელებთან თანამშრომლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით 1947 წელს. მას ბრალად ედებოდა ის ფაქტი, რომ 1941 წლის ბოლოს, დაზვერვამ გადაისროლა მტრის ტერიტორიაზე, სადაც ის დაიჭირა გერმანელმა პატრულმა და ვიქტორ პეტროვმა დაკითხვაზე აღიარა თავისი მისია, დაასახელა მისთვის ცნობილი საბჭოთა მზვერავები. შემდგომშიც თანამშრომლობდა გერმანელებთან. საქმის სპეციალური შემოწმებისას, რაც მის საჩივარს მოჰყვა, მსჯავრდებულმა უარყო ადრე მიცემული ჩვენებები. ადრინდელი ჩვენებები უარყვეს მოწმეებმაც. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა კომისიამ საქმის წარმოება შეწყვიტა.

10. ნიკოლოზ თევდორეს ძე კარპოვი (საქმე №101 497) გაასამართლა საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ 1947 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ნიკოლოზ კარპოვის ანტისაბჭოთა საუბრები

მიზნად არ ისახავდა ფართო ანტისაბჭოთა აგიტაციას. ამიტომ სასჯელის ვადა შემცირდა 6 წლამდე.

11. აკაკი ერასტის ძე ცერცვაძე (საქმე №103377) გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ 1949 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ცილისმწამებლური საუბრები საბჭოთა ხელისუფლების მისამართით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით განაჩენი ჩაითვალა მართებულად.

12. ალექსი ტიმოთეს ძე სუნდუკოვი (საქმე №104 030), გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთშრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა განწყობის გამოხატვა საბჭოთა არმიის რიგებში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით არასაკმარისი მტკიცებულებების და დაუსაბუთებელი ბრალდების გამო, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მცდარად და საქმის წარმოება შეწყდა.

13. ივანე ალექსის ძე ბეგუნი და ალექსი დემიანის ძე ვოლოშჩუკი (საქმე №103824) გაასამართლა უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა. რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით ივანე ბეგუნის შემთხვევაში განაჩენი დარჩა ძალაში, ხოლო ვოლოშჩუკს შეუმცირდა სასჯელის ვადა 10 წლამდე.

14. ევგენი გრიგოლოს ძე კუნდისი, პანტელეიმონ პანტელეიმონის ძე ფერენჩაკი და პეტრე ივანეს ძე კოვალი (საქმე №97994). გაასამართლა უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდათ უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობა რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით განაჩენი ჩაითვალა მართებულად და სასჯელის ვადა დარჩა ძალაში.

15. გიორგი გრიგოლის ძე ჟივიძე (საქმე №1626). 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად

ედებოდა საბჭოთა ბელადის მისამართით უხეში გამონათქვამები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის 8 წლიანი ვადა შემცირდა 6 წლამდე.

16. ივანე ივანეს ძე პალშიკი (საქმე №1598) 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა ბელადის საწინააღმდეგო გამოსვლები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ივანე პალშიკის გამოსვლები მხოლოდ სიტყვიერი ხასიათის იყო და აქედან გამომდინარე სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 წლამდე.

17. ვახტანგ იაკობის ძე მაისურაძე (საქმე №2147) 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიმართ უცენზურო გამონათქვამები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, შეეცვალა 5 წლით. ამის შემდეგ შეეხებოდა 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ.

18. ლუკიანე ანთიმოზის ძე ქოიავა (საქმე №2000) 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიმართ უცენზურო გამონათქვამები. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შემცირდა 6 წლამდე.

19. თორგიომ ვართანის ძე მელიქიანი. (საქმე №2085) 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 წლამდე.

20. ნიკოლოზ ტიმოთეს ძე პლოტნიკოვი (საქმე №1735) 1950 წელს გაასამართლა უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში. ბრალად ედებოდა უკმაყოფილების გამოხატავდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა შემცირდა 7 წლამდე.

21. ივანე ივანეს ძე სობჩენკო (საქმე №3091). გაასამართლა ამიერკავკასიის რკინი-

გზის სასამართლო კოლეგიამ 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით ივანე სობჩენკოს მიმართ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და სასჯელის ვადა დარჩა ძალაში (**სშსსა 27:3-36**).

კონტრრევოლუციურ დანაშაულისთვის გასამართლებული პირების საქმეთა გადახედვის რესპუბლიკური კომისიის 28-ე და 29-ე სხდომების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ საქართველოს სსრ გენერალური პროკურორის მიხეილ თოფურიძის მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც მან გაუგზავნა საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მოხსენებაში ვკითხულობთ,რომ 1955 წლის 11 ივლისს ჩატარებულა რესპუბლიკური კომისიის 28-ე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე და კომისიის სხვა წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე და საქართველოს სსრ ის შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ჯანჯღავა.

კომისიის ამ სხდომაზე განუხილავთ სისხლის სამართლის 36 საქმე, რომელიც ეხებოდა 58 პირს, გასამართლებულებს დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელებთან თანამშრომლობისა და სამსახურის ბრალდებით. განაჩენი გამოტანილია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1946-1951 წლებში.

რესპუბლიკური კომისიის გადაწყვეტილებით 19 პირს ადრე გამოტანილი განაჩენი დარჩა ძალაში. ხოლო 39 პირს შეეცვალა სასჯელის ვადა. (25 წლიანი სასჯელის ვადა შეუმცირდათ 15 ან 10 წლამდე) (**სშსსა 28:1-2**).

1955 წლის 30 ივლისს ჩატარებულა რესპუბლიკური კომისიის 29-ე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე (კომისიის თავმჯდომარე). კომისიის წევრები იყვნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე და საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ჯანჯღავა.

რესპუბლიკურმა კომისიამ გადახედა 28 საქმეს (პირი 59). სასამართლო ორგანო აქაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალია, რომელმაც გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობის ბრალდებით გაასამართლა და სასჯელის 25 წლიანი ვადა შეუფარდა 59 საბჭოთა მოქალაქეს.

კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელის ვადა შეუმცირდა 31 პირს, მაგრამ 28 პირის შემთხვევაში, განაჩენი ჩაითვალა მართებულად (**სმსსა 29:1-3**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი რიგით 30-ე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 19 აგვისტოს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. ფუხაევა რუსუდან ალექსის ასული, მატვეი ივანეს ძე ზასეევი, ალექსი ნიკოლოზს ძე ჯიოევი, ვლადიმერ ივანეს ძე ზასეევი (საქმე №787), რუბენ საბას ძე ბერელიძე (საქმე №1362), დავით რომანის ძე რობაქიძე (საქმე №449), შალვა ნიკოლოზის ძე გიორხელიძე (საქმე №465), ილია ვარლამის ძე ნადირაძე (საქმე №817), ევგენი გიორგის ძე ჯავახიშვილი (საქმე №814), ივანე გედევანის ძე ნიკოლეიშვილი (საქმე №1814), შალვა ივანეს ძე ლურსმანიშვილი (საქმე №3113), სევერიან ერასტის ძე კუტივაძე (საქმე №241), იოსებ ესტატის ძე კვერცხიშვილი (საქმე №797), შოთა ქარუმის ძე ჯამათაშვილი (საქმე 286), შალვა დავითის ძე ეგნაძე (საქმე №553).

ეს პირები გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 25 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. მათ ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 25 წლიანი სასჯელის ვადა შეუმცირდათ 10 წლამდე.

2. ნიკოლოზ დავითის ძე გაბაძე (საქმე №416) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს

გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

3. სერგო პეტრეს ძე ლოხოვი (საქმე №23) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 15 წლიანი კატორღა. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 15 წლიანი სასჯელის ვადა შეიცვალა 12 წლიანი ვადით.

4. ზაქარია ბაგრატის ძე კაზარაშვილი (საქმე №295). გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ზაქარია კაზარაშვილი მსახურობდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, რადგან მსჯავრდებული აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში გერმანელების მხარეს, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

5 ნიკოლოზ პეტრეს ძე სოროკოპიტი (საქმე №3098) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით.ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, ნიკოლოზ სოროკოპიტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში გერმანელების მხარეს. აქედან გამომდინარე განაჩენი ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

6. ანდრეი ტიმოთეს ძე ზინჩენკო (საქმე №103829) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, მსჯავრდებული შემდგომშიც გამოირჩეოდა პროფაშისტური გამონათქვამებით. ამიტომ 25 წლიანი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

7. ილია კონოს ძე სულაძე (საქმე №87133) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 10 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური და თანამშრომლობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის 10 წლიანი ვადა ჩაითვალა მართებულად.

8 სამსონ ისიდორეს ძე ვიბლიანი და მუჰამედ ცინდელიანი (საქმე №839) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯათ 15 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდათ დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 15 წლიანი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

9. კარლო ირაკლის ძე გამცემლიძე (საქმე №69) ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან სამსახური. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 10 წლიანი სასჯელის ვადა, ქონების კონფისკაციით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით. კარლო გამცემლიძე იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი. 1942 წლიდან. მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში, იყო ბატალიონ „ბერგმანის“ წევრი. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

10. ფელიქს პეტრეს ძე კრასავინი (საქმე №2714) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. ბრალად ედებოდა თურქულ დაზვერვასთან კავშირი.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.

11. ვასილი გრიგოლის ძე კელინი (საქმე №1717) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. ბრალად ედებოდა თურქეთში საზღვრის გადაკვეთის მცდელობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით

შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

12. ფელულ ასკერ ოღლი მემიშევი (საქმე №1897) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. ბრალად ედებოდა თურქეთში საზღვრის გადაკვეთის მცდელობა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე.

13. ივანე დავითის ძე ნაუმჩუკი (საქმე 102 179) ბრალად ედებოდა უკრაინის ნაციონალისტურ ორგანიზაციასა და უკრაინის მეამბოხეთა არმიასთან თანამშრომლობა. გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 10 წლამდე.

14. ვლადიმერ ივანეს ძე საველევი (საქმე №103800) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1952 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია.რესპუბლიკური კომისიის დასკვნით 10 წლიანი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად (**სშსსა 30:4-30**).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ თავისი 31-ე სხდომა ჩაატარა 1955 წლის 30 სექტემბერს. სხდომას ესწრებოდნენ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ-ის გენერალური პროკურორი მიხეილ თოფურიძე. ასევე კომისიის წევრები: საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი მიხეილ ლომიძე და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული შემდეგი პირების საქმეთა გადახედვის შესახებ:

1. გრიგოლ ანდროს ძე დარციმელია (საქმე №810) გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1951 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით

და საარჩევნო უფლებების შეზღუდვით. ბრალად ედებოდა დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 15 წლამდე.

2. მარია ალექსანდრეს ასული ასათიანი (საქმე №96572) გაასამართლა 1947 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალად ედებოდა სამხედრო ტყვეებთან თარჯიმნად მუშაობის პერიოდში მათთვის ინფორმაციის მიწოდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესახებ. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით, მ. ასათიანის დანაშულის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლით კვალიფიკაცია არასწორია და უნდა დარჩეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი. შესაძლებლად ჩაითვალა სასჯელის ვადის შემცირება 9 წლამდე.

3. ვასილი მირონის ძე გოროხი (საქმე №0458411). გაასამართლა 1945 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 მუხლით და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში.ბრალად ედებოდა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანულ პოლიციაში სამსახური. დევნიდა კომუნისტებს. ართმევდა საკვებ პროდუქტებს. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის 15 წლიანი ვადა დანაშაულის ადეკვატური იყო. შესაბამისად ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში.

4. იასონ ზაქროს ძე მუშკიაშვილი და გრიგოლ გიგოს ძე გოგოლაძე (საქმე №1664.) გასამართლდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მკვლელობის ბრალდებით და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად.

5. ლიაშიკი სტეფანე კონსტანტინეს ძე გასამართლებული სისხლის სამართლის კოდექსის 54-1 და 54-11 მუხლებით. ბრალად ედებოდა უკრაინის მეამბოხეთა არმიასთან თანამშრომლობა. სასჯელის 25 წლიანი ვადა შესაძლებლად ჩაითვალა შემცირებულიყო 10 წლამდე.

6. მამედ ხაფო ოღლი, მამიშ ბილალ ოღლი, ბაშად მაჰმუდ ოღლი, თაარ ოსმან ოღლი, მამედ ისამილ ოღლი, ალადინ აზიზ ოღლი, გასანოვი ქაშიმ ბადირ ოღლი, კარა სულეიმან ოღლი, დადევი ალი ჰუსეინ ოღლი, ბაშათ იბრაჰიმ ოღლი, გაშიმ ჰამიდ

ოღლი, ფეიზულ იბრაჰიმ ოღლი, ასლან ასათ ოღლი, მეხრალი ხალილ ოღლი, მამედოვი ასლან გიულმუჰამედ ოღლი, აიდინ სულეიმან ოღლი შახვალად აჰმედ ოღლი, მაჰმუდ კიამილ ოღლი, გასანოვი ზაკი ბადარ ოღლი, ბაშირ მაჰმუდ ოღლი, ნიკოლოზ არქიფოს ძე გულშჩინი, ხუსეინ მუსტაფას ძე მუსტაფაევი, გიორგი ზაქროს ძე ბერულაშვილი, ალი შევქეთის ძე ცეცხლაძე, ჯემალ შაისმანის ძე ბერიძე, დურსუნ კამილის ძე გაბაიძე, იუსუფ ხაჯის ძე ბერიძე, ზულქიფერ ნურის ძე გაბაიძე. ეს პირები თურქულ დაზვერვასთან კავშირის ბრალდებით გაასამართლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა და მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რესპუბლიკური კომისიის დასკვნით სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი სასჯელის ვადა ჩაითვალა მართებულად (**სშსსა 31:3-11**).

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით 1954 წლის ივნისიდან 1955 წლის სექტემბრის ჩათვლით, კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეთა გადახედვის რესპუბლიკურმა კომისიამ გადახედა 1343 პირის სისხლის სამართლის საქმეს. აქედან ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით გასამართლებული იყო 379 პირი, დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობისა და სამსახურის ბრალდებით 886 პირი, სხვა კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის (შპიონაჟი, უცხო ქვეყნის დაზვერვასთან თანამშრომლობა, ტერორისტული აქტის მოწყობა, საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობა) 78 პირი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის გადაწყვეტილება ეხება 75 პირს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება 1163 პირს, საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს, საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის და აჭარია ასსრ-ის სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებები 105 პირს.

როგორია რესპუბლიკური კომისიის მიერ საქმეთა გადახედვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა. ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით გასამართლებული 379 პირის სისხლის სამართლის საქმიდან, დადებითი დასკვნა ანუ გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის თაობაზე მიღებულია 53 შემთხვევაში. დანაშაული გადაკვალიფიცირდა ან სასჯელის ვადა შეიცვალა 121 შემთხვევაში, ხოლო ადრე მიღებული გადაწყვეტილება

მართებულად ჩაითვალა და ძალაში დარჩა 205 შემთხვევაში. ზემოთაღნიშნული ბრალდებით გასამართლებულთა საქმეების გადახედვის დროს დადებითი დასკვნის გამოტანის საფუძველი რესპუბლიკური კომისიისათვის გახდა შემდეგი გარემოებები ა. სასამართლო თუ არასასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი განაჩენი დაუსაბუთებელია ბ. გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე გ. გადაწყვეტილება მიღებულია რამდენიმე მოწმის ჩვენების საფუძველზე მაგრამ მოწმეთა ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავია დ. საქმის მასალებში არ ჩანს მსჯავრდებულის კონტრრევოლუციური დანაშაულის არსებობის კონკრეტული ფაქტები. რესპუბლიკური კომისიის მიერ ადრე გამოტანილი განაჩენის შეცვლა ანუ სასჯელის ვადის შემცირება ხდება მაშინ, როცა რესპუბლიკური კომისიის წევრთა აზრით ჩადენილ დანაშაულს არ შეესაბამება სასჯელის ზომა და ის მეტისმეტად მკაცრია. რაც შეეხება განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში რესპუბლიკური კომისია მხედველობაში იღებს თავად მსჯავრდებულის აღიარებას, რამდენიმე მოწმის ჩვენებას და შესაბამისობას დანაშაულსა და სასჯელის ზომას შორის.

რაც შეეხება დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომ-ლობისა და სამსახურის ბრალდებით გასამართლებული პირების საქმეების გადახედ-ვის დროს მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკას. 886 სისხლის სამართლის საქმიდან, დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ 1 შემთხვევაში. ადრე გამოტანილი განაჩენი ძალაში დარჩა 256 შემთხვევაში, ხოლო სასჯელის ვადა შეიცვალა და შემცირდა 629 შემთხვევაში. აღნიშნული ბრალდებით გასამართლებულების სასჯელის ვადა 7-25 წლამდე მერყეობდა. მათ ასევე მისჯილი ჰქონდათ ქონების კონფისკაცია და საარჩევნო უფლებების შეზღუდვა 3-5 წლამდე. როგორც ვხედავთ, რესპუბლიკური კომისია ძირითადად ამცირებს სასჯელის ვადას. ეს ეხება 25 წლიანი პატიმრობის ვადას. რა გარემოებებს ითვალისწინებდა კომისია ამა თუ იმ სახის დასკვნის გამოტანის შემთხვევაში. თუკი საქმის მასალებით ჩანდა გასამართლებული პირების მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, საბჭოთა თუ სხვა ქვეყნის პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა ან სამხედრო ტყვეებზე ფიზიკური ძალადობა, მაშინ კომისიის დასკვნით განაჩენი რჩებოდა ძალაში და არ იცვლებოდა სასჯელის ვადაც. თუკი ჩანდა გასამართლებული პირების გერმანელებთან თანამშრომლობის ფაქტები, მაგრამ ისინი აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ, ასეთ შემთხვევებში ხდებოდა სასჯელის ვადის შემცირება. მაგრამ,

რაიმე შემამსუბუქებელი გარემოებებს იმ გასამართლებულთა მიმართ, რომელთაც თავიდანვე 15 ან 10 წლიანი ვადა ჰქონდათ მისჯილი, რესპუბლიკური კომისია არ ითვალისწინებდა.

სხვა კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებულთა შემთხვევებში, რესპუბლიკური კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება გამოტანილია 2, სასჯელის ვადა შეიცვალა 5 და 78 სისხლის სამართლის საქმეზე ადრე გამოტანილი განაჩენი დარჩა ძალაში.

თუკი გადავხედავთ კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების რესპუბლიკური კომისიის მუშაობის საერთო სურათს, ვნახავთ რომ კომისიამ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გააუქმა 56 გადაწყვეტილება, ძალაში დატოვა 532, ხოლო სასჯელის ვადა შეიცვალა და დანაშაული გადაკვალიფიცირდა 755 შემთხვევაში. ძირითადად გაუქმდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (75 სისხლის სამართლის საქმიდან 44, ძალაში დარჩა 30, შეიცვალა 1). სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა იცვლება (1163 სისხლის სამართლის საქმიდან შეიცვალა 690, ძალაში დარჩა 467, ხოლო გაუქმდა 6 გადაწყვეტილება). სასამართლო კოლეგიების მიერ მიღებული 105 გადაწყვეტილებიდან გაუქმდა 11, ძალაში დარჩა 33, ხოლო შეიცვალა 61 გადაწყვეტილება. (იხ. დანართი №2).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (ფონდი №14) დაცულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1955 წლის დადგენილების პროექტი კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა შესახებ საქმეების გადასინჯვის კომისიის მუშაობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ კომისიამ 1954 წლის 12 ივნისიდან 1955 წლის 1 ოქტომბრამდე გადასინჯა 2215 ადამიანის 1319 სისხლის სამართლის საქმე. საქმეების გადასინჯვის შედეგად, კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის შესახებ 1446 პირის მიმართ, საიდანაც 1135 მსჯავრდებულს შეუმცირდა სასჯელის ვადები, გამოყენებულია სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულება ამინისტიის შესახებ-197 მსჯავრდებულის მიმართ, საქმეები შეწყვეტილია 75 პირის მიმართ, დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაცია შეეცვალა 39 მსჯავრდებულს, განაჩენი მართებულადაა ცნობილი 769 მსჯავრდებულის მიმართ. საქართველოს კომუნისტური

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხედველობაში მიიღო კომისიის თავმჯდომარის, მ. თოფურიძის განცხადება რესპუბლიკური კომისიის მუშაობის დასრულების შესახებ. ამასთან, რესპუბლიკის პროკურატურამ გააგრძელა მუშაობა საქართველოს შინსახკომთან არსებული ყოფილი სამეულის გადაწყვეტილებათა მართებულობისა და სასამართლოთა განაჩენის სისწორის შესამოწმებლად სპეცსაქმეებზე იმ პირთა საჩივრების მიხედვით, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი ან განთავისუფლებული არიან გადასახლებიდან. (**ბოლშევიკური 2015:308**)

ამრიგად, კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული პირების საქმეთა გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობა, მიზნად არ ისახავდა ბრალდებულთა სრულ რეაბილიტაციას, ამინისტიას ან შეწყალებას. მისი მიზანი იყო, დაედგინა საბჭოთა კავშირში მოქმედი სასამართლო და არასასამართლო ორგანოების მიერ პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით რეპრესირებულთა მიმართ გამოტანილი განაჩენის მართებულობა. რესპუბლიკური კომისიის სხდომების ანგარიშებში მითითებულია, რომ არასაკმარისი მტკიცებულებებით მოქალაქეთა გასამართლების ფაქტები ძირითადად შეინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულების (1937-1938 წწ) მუშაობაში და ათობით საქმეზეც რესპუბლიკურმა კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო ანუ გააუქმა ადრე მიღებული განაჩენი. მაგრამ, სასჯელმოხდილი ადამიანები საგანგებო სათათბიროების მიერ ხელახლა იყვნენ გადასახლებული. საგანგებო სათათბიროს საქმეებს კი იხილავდა ცენტრალური კომისია. ფაქტობრივად ხდებოდა ერთი და იმავე საქმის ორჯერ გადახედვა. რაც შეეხება სასჯელის ვადის შეცვლას და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის გადაკვალიფიცირებას, აქაც ადგილი აქვს არა ბრალეულობის მოხსნას, არამედ სასჯელის ვადის შემცირებას. რესპუბლიკური კომისიის მუშაობა, ისევე როგორც მთლიანად რეაბილიტაციის პროცესი, ატარებდა შეზღუდულ ხასიათს.

თავი IV. XX საუკუნის 50-იანი წლების სასამართლო პროცესები: თბილისის სასამართლო პროცესი

ლავრენტი ბერიასა და მისი თანამზრახველების დასჯის შემდეგ, გადაიხედა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მომუშავე პასუხისმგებელ პირთა საქმეები, რომლებიც მონაწილეობდნენ რეპრესიული პოლიტიკის გატარებაში და რაც მთავარია, შეეძლოთ ლ. ბერიას გამოაშკარავება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორი სასამართლო პროცესი. ერთი, გაიმართა თბილისში, 1955 წლის სექტემბერში, ხოლო მეორე ბაქოში 1956 წლის აპრილში. ამ პროცესებმა სტალინური სისტემის რღვევაში თავისი წვლილი შეიტანა.

1955 წლის 7 დან 19 სექტემბრამდე, თბილისის რკინიგზელთა კულტურის სახლში მიმდინარეობდა ღია სასამართლო პროცესი. მას წარმართავდა სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია. განიხილეს საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პასუხისმგებელ პირთა საქმეები. განსასჯელთა სკამზე ისხდნენ: ავქსენტი რაფავა, ნიკოლოზ რუხაძე, შალვა წერეთელი, კონსტანტინე სავიცკი, ნიკიტა კრიმიანი, ალექსანდრე ხაზანი, გიორგი პანამოროვი, სარდიონ ნადარაია. სასამართლო პროცესის მსვლელობისას გამოიკვეთა თუ როდის, რა გარემოებებში დაიწყეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და უშიშროების ორგანოების თანამშრომლებმა გამოძიების არაკანონიერი მეთოდების გამოყენება. ბრალდებულებს ძირითად კითხვებს უსვამდა სახელმწიფო ბრალმდებელი. კითხვები, როგორც სასამართლოს მდივანი ნიკოლოზ სმირნოვი აღნიშნავს, არ იყო ბევრი და ამა თუ იმ გარემოების დაკონკრეტებას მოითხოვდა. ამასთან, კითხვის დასმამდე, სახელმწიფო ბრალმდებელი ასაჯაროებდა ბრალდებულის ჩვენებას, რომელიც მან წინასწარი გამოძიების დროს მისცა. განსასჯელები უმრავლეს შემთხვევაში ეთანხმებოდნენ წაყენებულ ბრალდებებს და აღნიშნავდნენ, რომ ლ. ბერიას, ს. გოგლიძისა და ბ. ქობულოვის ხელში ბრმა იარაღად იქცნენ და არ იცოდნენ მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ (**Смирнов 2014:21**).

სასამართლოზე გასაჯაროებული იყო ჩვენებები, რომლებიც წინასწარი გამოძიების დროს მოწმეებმა მისცეს და მათიც, ვინც სასამართლოში არ ჰყავდათ გამოძახებული.

მოწმის სტატუსით დაიკითხნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და უშიშრო-ების ორგანოების, ასევე ციხის თანამშრომლები, რომლებსაც სამსახურებრივი შემხებლობა ჰქონდათ განსასჯელებთან (დავლიანიძე, თვალჭრელიძე, ღლონტი, კოვშოვი, ტესტოვი, ოყროშიძე) (**Смирнов 2014:248**).

მოწმეთა ჩვენებები გამყარებული იყო არაერთი ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწის საგამოძიებო საქმის მასალებით, საიდანაც გამოჩნდა, რომ განსასჯელები არა მარტო საქმეთა ფალსიფიკაციით იყვნენ დაკავებულები, არამედ არ ერიდებოდნენ პატიმრების მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც, მათი დანა-შაულებრივი საქმიანობის შესახებ სასურველი ჩვენების მისაღებად. აღინიშნა, რომ ბრალდებულთა დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენდა ერთგვარ ტერორის-ტულ ანგარიშსწორებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც მიუღებელი იყვნენ ლ. ბერიასა და მისი გარემოცვისთვის და რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მათი მოღალატური გეგმებისთვის ან შეეძლოთ ლ. ბერიას დანაშაულებრივი წარსულის გამოაშკარავება.

მოწმეთა ჩვენებების მოსმენის შემდეგ დაიწყო მტკიცებულებათა მოკვლევის ეტაპი. სიტყვით გამოსულმა სახელმწიფო ბრალმდებელმა რ. რუდენკომ, დაასაბუთა განსასჯელთა ბრალეულობა და მოითხოვა მათი დასჯა სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 (სამშობლოს ღალატი), 58-8 (ტერორისტული აქტის მოწყობა) და 58-11 (ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა) მუხლებით.

სახელმწიფო ბრალმდებლის აზრით, არღვევდნენ რა კანონებს, განსასჯელები ხდებოდნენ შეთქმულების ჯგუფის წევრები, რომელთა მიზანიც ხელისუფლების დამხობა იყო. ჩადიოდნენ რა დანაშაულს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ მსგავსი ქმედებები მხოლოდ სამშობლოს მოღალატეებს შეეძლოთ. ეს მხოლოდ გააძლიერებდა იმპერიალისტურ ძალებს და საბჭოთა სახელმწიფოს საფრთხეს შეუქმნიდა.

ნ. სმირნოვის აზრით, რომან რუდენკოს მოსაზრებები ნაკლებდამაჯერებელი იყო. განსასჯელთა დანაშაულებრივი საქმიანობა მხოლოდ ლ. ბერიასთავის მიუღებელ პირთა წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული. ამან დააზარალა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. არაკანონიერი მეთოდების გამოყენების მიუხედავად, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ შეთქმულების ჯგუფის არსებობას არ ჰქონია ადგილი. დამნაშავეები იყვნენ, მაგრამ ამას არ აკეთებდნენ იმ შეგნებით, რომ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება (**Смирнов 2014:145**).

„როგორც მთლიანად სასამართლო პროცესი, რუდენკოს სიტყვაც იმ დროს გაბატონებული სტერეოტიპებით იყო ნასაზრდოები. საბჭოთა ადამიანების უმრავლესობაში ჯერ კიდევ მყარად იყო გამჯდარი კლასთა ბრძოლის სტალინური კონცეფცია და გამოაშკარავებული ადამიანი აუცილებლად იყო ხალხის მტერი. შსსკ, შსს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები კანონმდებლობის დარღვევით ებრძოდნენ ხალხის მტრებს, მაგრამ იაგოდაც, ეჟოვი, ბერია და ბევრი სხვა პასუხისმგებელი პირიც, თავად გამოცხადდნენ ხალხის მტრებად“ (**Смирнов 2014:146**).

თავისი სიტყვის დასასრულს, რუდენკომ მოითხოვა მსჯავრდებულ ს. ნადარაიასთვის ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა (ნადარაიას დანაშაულებრივი საქმიანობის დამტკიცებას, სასამართლომ ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა, რადგან სხვა განსასჯელებთან შედარებით, ნაკლები პრეტენზიები იყო მის მიმართ), ხოლო დანარჩენი განსასჯელების მიმართ კი სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ადვოკატები, რომლებმაც ბრალდების რამდენიმე ეპიზოდი გაასაჩივრეს. მათ სასამართლოს ყურადღება გაამახვილეს 1937-1938 წლებში ზოგადად საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებაზე, ასევე ლ. ბერიას როლზე, რომელსაც შეეძლო უსიტყვო მორჩილება მოეთხოვა თავისი ქვეშევრდომებისგან. დაცვის მხარის წარმომადგენლები მოითხოვდნენ სხვებსაც დაკისრებოდათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მაგალითად, მოწმე დავლიანიძეს, ფაჩულიას და ა.შ.

დაცვის მხარე თანხმდებოდა, რომ ბრალდებულები უნდა გასამართლებულიყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 და 58-11 მუხლებით და ასევე რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 მუხლის ბ პუნქტის გამოყენებას. ადვოკატთა აზრით, მტკიცებულებები, რომ ბრალდებულები იყვნენ სამშობლოს მოღალატეები, არ არსებობდა (არც ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ უცხო ქვეყნის სასარგებლოდ, არც სამხედრო საიდუმლოება გაუციათ, არც მტრის მხარეს გადასულან და არც ქვეყნიდან გაქცეულან).

ალექსანდრე ხაზანის, ნიკიტა კრიმიანის, კონსტანტინე სავიცკის, გიორგი პარამონოვის ადვოკატები მოითხოვდნენ მათი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლის გამოყენებას. ამ მუხლის თანახმად, დანაშაულისათვის, რომელიც 5 წლის ზევით სასჯელის ვადას ითვალისწინებს და ჩადენიდან გასულია 10 წელზე მეტი, არ შეიძლება დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. იმ

შემთხვევაში, თუ პირი კონტრრევოლუციურ დანაშაულშია ბრალდებული, სასამართლო ადგენს ხანდაზმულობის ვადას. თუმცა, სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლი შენიშნავს, რომ თუ სასამართლო არ გაითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადას, მაშინ სასჯელის ზომა – დახვრეტა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს სასჯელის სხვა ზომით.

ადვოკატთა განცხადებით, დანაშაულის ჩადენიდან გასული იყო 10 წელზე მეტი და განსასჯელებს სხვა დანაშაული ამ ხნის განმავლობაში არ ჩაუდენიათ. ამიტომ, სავიცკის, კრიმიანს, ხაზანს და პარამონოვს – არ უნდა დაკისრებოდათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ადვოკატები ითხოვდნენ სიცოცხლის შენარჩუნებას და განაჩენის გამოტანის დროს, ბრალდებულთა მიმართ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებას. მაგალითად, იმას, რომ შალვა წერეთელს მძიმე ცხოვრება ჰქონდა გავლილი, ებრძოდა ბანდიტიზმს საქართველოში და დაჭრილია იყო 4-ჯერ. გიორგი პარამონოვი 1937-1938 წლებში იყო კონსტანტინე სავიცკის თანაშემწე და მისგან იღებდა პატიმართა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების გამოყენების მაგალითს. ნიკოლოზ რუხაძე მძიმედ იყო ავად და ნანობდა თავის დანაშაულს (**Смирнов 2014:268**).

დაცვის მხარის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ, სიტყვა მისცეს ბრალდებულებს. ისინი ძირითადად აღიარებდნენ დანაშაულს, მაგრამ ლ. ბერიას შეთქმულების ჯგუფთან კავშირს, უარყოფდნენ. არ ცნობდნენ თავს დამნაშავედ სამშობლოს ღალატში. ავქსენტი რაფავა კი თვლიდა, რომ არ იყო დამნაშავე და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ზემდგომი ინსტანციების ბრძანებებს. ს. ნადარაიაც თვლიდა, რომ დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი და ითხოვდა ამის გათვალისწინებას განაჩენის გამოტანის დროს. სხვა განსასჯელები აღიარებდნენ დანაშაულს და ითხოვდნენ სიცოცხლის შენარჩუნებას.

18 სექტემბერს, სასამართლო წევრები გავიდნენ განაჩენის გამოსატანად, ხოლო 19 სექტემბრის 11 საათზე, სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ნ. რუხაძე, ა. რაფავა, ნ. კრიმიანი, კ. სავიცკი, ა. ხაზანი, გ. პარამონოვი, ს. ნადარაია, შ. წერეთელი – დამნაშავედ ცნო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-10 და 58-11 მუხლებით.

ნ. რუხაძეს, ა. რაფავას, ნ. კრიმიანს, კ. სავიცკის, ა. ხაზანს, შ. წერეთელს მიესაჯათ დახვრეტა და ქონების კონფისკაცია, ხოლო გ. პარამონოვს და ს. ნადარაიას 25 და 10 წლით

თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით. ყველა მათგანს ჩამოერთვა სამხედრო წოდება და სახელმწიფო ჯილდოები.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კ. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით, უარი განუცხადა შეწყალების თაობაზე ა. რაფავას, შ. წერეთელს, ნ. რუხაძეს, კ. სავიცკის, ნ. კრიმიანს, ა. ხაზანს. 1955 წლის 15 ნოემბერს ისინი დახვრიტეს (**Смирнов 2014:293**).

თბილისის სასამართლო პროცესის შემდეგ, დააპატიმრეს კიდევ რამდენიმე პასუხისმგებელი პირი. მიხეილ შავგულიძე დააპატიმრეს 1956 წლის 6 სექტემბერს. საბრალდებულო დასკვნის თანახმად, მიხეილ შავგულიძე 1936-1952 წლებში მუშაობდა რა სამძებრო-ოპერატიულ ორგანოებში, ასრულებდა ლ. ბერიას დანაშაულებრივ მითითებებს და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ცემისა და წამების შედეგად აყალბებდა სისხლის სამართლის საქმეებს. მ. შავგულიძე, ერთ-ერთი თანამშრომლის განცხადებით, ცემის სპეციალისტად ჩამოყალიბდა. სერგო დავლიანიძე დააპატიმრეს 1956 წლის 23 ივლისს. 1957 წლის 31 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალი ედებოდა ხალხის მტრების – ლ. ბერიას, ს. გოგლიძის, ბ. ქობულოვის დანაშაულებრივი მითითებების შესრულება, რაც გულისხმობდა პატიმრების მიმართ სასტიკ მოპყრობას, სისხლის სამართლის საქმეების გაყალბებას და საზოგადოების საუკეთესო ნაწილის დაპატიმრებას. საბრალდებულო დასკვნის თანახმად, ს. დავლიანიძე პატიმრების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ს. გოგლიძესთან. 1934 წელს საბჭოთა კანონების დარღვევისათვის დაპატიმრებული ს. დავლიანიძე სერგო გოგლიძის დახმარებით გათავისუფლა. ლ. ბერიას მხარდაჭერით მაღალი თანამდებობები ეკავა. ანდობდნენ შინსახკომის თანამშრომლებსა და პარტიული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს. მის მიერ პასუხისგებაში მისცეს 456 ადამიანი, ამათგან 222-ს დახვრეტა მიესაჯა (**ბარბაქაძე 2016:14**).

ლავრენტი ბერიას გარემოცვის „წმენდაში“ მოჰყვა ალექსანდრე მოროზოვიც. 1937-1938 წლებში სამეულის მდივანი. ძიებისას მას ფრიად არასასიამოვნო ფაქტზე მოსთხოვეს ახსნა-განმარტების გაკეთება: მოროზოვი 1937 წლის ნოემბერში პირადად სერგო გოგლიძის სანქციით შესახლდა დაპატიმრებული მეზობლის, ასევე შინსახკომის

თანამშრომლის ბინაში, რომლის საქმეც ჯერ კიდევ ძიების პროცესში იყო. ერთ თვეში სამეულის გადაწყვეტილებით და მოროზოვის მდივნობით მას დახვრეტა, მეუღლეს კი რვაწლიანი პატიმრობა მიესაჯა. განაჩენის გამოტანის შემდეგ, მათი ბინის, ავეჯის და სხვა მოწყობილობის ნაწილი მოროზოვის საკუთრება გახდა. მოროზოვმა გამოძიებას განუცხადა, რომ აღნიშნული ნივთები მან კანონიერ საფუძველზე, სახელმწიფო ფასებში შეისყიდა. დიდი ტერორის დროს არსებული პრაქტიკა – დახვრეტილთა ქონების კონფისკაცია და დახურული მაღაზიების ქსელში პარტიისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომელთათვის მიყიდვა – იმ დროისათვის კანონიერი იყო. ამ ბრალდებაში ჩაძიება სისტემის გასამართლებას მოითხოვდა და არა კონკრეტული პიროვნებების. გამოძიებამ ა. მოროზოვს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა იმ მოტივით, რომ დადასტურებულად ცნო მისი სიახლოვე ხალხის მტრებთან: ს. გოგლიძესთან, ბ. ქობულოვთან, ა. რაფავასთან, შ. წერეთელთან. თუმცა, სასჯელი შედარებით მსუბუქი იყო: წოდების, პენსიის და სადავო ნივთების ჩამორთმევა (**ტერორის 2011:38**).

აშოტ ასლანოვი დააპატიმრეს 1955 წელს. ბრალად წაუყენეს პატიმრების შეურაცხყოფა, მუქარა, ცემა და სისხლის სამართლის საქმეების გაყალბება. საგამოძიებო მასალებით დადგინდა, რომ ციხეში არაერთი პატიმარი გარდაიცვალა ასლანოვის ცემის შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით ასლანოვს ჩამოერთვა ქონება და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა (**ბარბაქაძე 2016:15**).

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წლის 2 ივლისის განაჩენით, გრიგოლ ფაჩულიას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეეფარდა. იმავე წლის 10 სექტემბრის დადგენილებით, დახვრეტა 25 წლიანი თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს (**ბარბაქაძე 2016:15**).

თბილისის სასამართლო პროცესის ძირითადი მახასიათებელი იყო განხილული საქმეების და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირების კავშირი ლავრენტი ბერიასა და მის დანაშაულებრივ ჯგუფთან. განსასჯელები დამნაშავეები იყვნენ კონკრეტულ კანონდარღვევებში, მაგრამ არ იყვნენ დანაშაულის ორგანიზატორები.

ისინი არ უარყოფდნენ მონაწილეობას მოქალაქეთა დაპატიმრებებში. იმას, რომ მიუღებელი და გაუმართლებელი მეთოდებით ცდილობდნენ აღიარებითი ჩვენებების მოპოვებას, მაგრამ ამავე დროს არ იყვნენ მასობრივი რეპრესიების ორგანიზატორები.

ხელისუფლებას კი, როგორც ჩანს სისტემის დანაშაულის აღიარება არ სურდა. მაშინ რამდენიმე გამომძიებელი კი არა, ხალხის დიდი ნაწილი უნდა გასამართლებულიყო.

დასკვნა

XX საუკუნის 50-იან წლებში დაწყებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესის ძირითადი შედეგები იყო:

1. უდანაშაულო მსხვერპლთა სახელის აღდგენა და ბანაკებიდან, ციხეებიდან და გადასახლებიდან ათასობით ადამიანის გათავისუფლება. იოსებ სტალინის სიცოცხლის პერიოდში და ასევე მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის მანძილზე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს არ ჰქონდა საშუალება გასცნობოდა თუ რა ხდებოდა სინამდვილეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. მხოლოდ ლავრენტი ბერიას დაპატიმრების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა და მიეცათ წვდომა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მასალებთან. შესაძლებელი გახდა შემოწმებულიყო რამდენად კანონიერი და დასაბუთებული იყო განხორციელებული რეპრესიები. გადაიხედა მთელი რიგი საქმეები და უამრავი ადამიანი უდანაშაულოდ გამოცხადდა და რეაბილიტირებული იქნა. (მნიშვნელოვანი ნაწილი სიკვდილის შემდეგ). ამასთან ცხადი გახდა, რომ ათასობით ადამიანი ვერასდროს ვერ დაბრუნდებოდა ციხეებიდან, ბანაკებიდან და კოლონიებიდან. იმ პირთა საქმეების გადასინჯვის მიზნით, რომლებიც გასამართლებულები იყვნენ კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა გამო და იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის კოლონიებში, ბანაკებში, ციხეებში და გადასახლებაში, შეიქმნა კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა საქმეთა გადახედვის ცენტრალური კომისია, რომელმაც თავის მხრივ დაამტკიცა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომისიების შემადგენლობა. 1954 წლის მაისიდან 1956 წლის მარტამდე პერიოდში ცენტრალურმა და ადგილობრივმა კომისიებმა გადახედეს 337183 პირის საქმეს. აქედან 153502 პირის შემთხვევაში მიიღეს გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის, ამინისტიის შესახებ ბრძანებულების გამოყენების და სასჯელის ვადის შემცირების შესახებ. 183681 პირის შემთხვევაში ძველი გადაწყვეტილება ჩაითვალა მართებულად და დარჩა ძალაში. (**Реабилитация В 2000:71**)

სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 1956 წლის თებერვალში

შეიქმნა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიები, რომელთაც უნდა შეესწავლათ იმ პირთა საქმეები, რომლებიც პოლიტიკური, სამსახურებრივი და სამეურნეო დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭოს დადგენილება კომისიების შესახებ ითვალისწინებდა გათავისუფლებას მხოლოდ შემდგომი სასჯელის ზომისგან. იურიდიულად ეს არ იყო რეაბილიტაცია, რადგან ითვლებოდა, რომ მათ წარსულში ჩაიდინეს დანაშაული. გათავისუფლება არ ეხებოდათ: სამშობლოს ღალატის, ტერორისტული აქტების, შპიონაჟისა და მავნებლობის, კონტრრევოლუციური და ნაციონალისტური იატაკქვეშა ორგანიზაციების წევრობისათვის მსჯავრდებულებს. ასევე დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა ადამიანების წამებაში, ბანდიტიზმში, მკვლელობაში მხილებულ პირებს, რეციდივისტებს, სოციალისტური საკუთრების გამფლანგველებს.

2. საკანონმდებლო ცვლილებები, სამართლებრივი შეზღუდვების მოხსნა და რეპრესიული კანონების გაუქმება.

1953 წლის 20 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებულ პირთა შეწყალების შუამდგომლობის წესის შესახებ“, რომლის თანახმად, ყველა შუამდგომლობა შესაბამისი სამხედრო ტრიბუნალების გავლით უნდა გადაგზავნილიყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. უზენაესი სასამართლო თავისი განმარტებებს წარადგენდა შეწყალების შესახებ შუამდგომლობაზე. ეს უკანასკნელი წინასწარ განიხილებოდა უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (მდივნის მონაწილეობით) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და გენერალური პროკურორის ანგარიშის საფუძველზე. საქმეები შეწყალების შესახებ უნდა განხილულიყო სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე და სხდომებს შორის პერიოდში გაგზავნილიყო პრეზიდიუმის ყველა წევრთან კენჭისყრაზე. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრის დროს პრეზიდიუმის წევრთა შორის შეწყალების პროექტის შესახებ წარმოიშობოდა შენიშვნები, მაშინ არ გაფორმდებოდა ეს პროექტი და დამატებით შემოწმდებოდა მორიგ სხდომაზე. პრეზიდიუმის დადგენილებები შესასრულებლად გაიგზავნებოდა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში. მიზანშეუწონლად მიიჩნიეს 1937 წლის

14 სექტემბრის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საკასაციო საჩივრების შეზღუდვის შესახებ, რომლებიც ეხებოდა გასამართლებულებს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 (მავნებლობა) და 58-9 (დივერსია) მუხლებით და სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებულებს (**Реабилитация А 2000:25**).

დადგინდა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა საქმეები უნდა განეხილა მხოლოდ სასამართლო ორგანოებს. 1953 წლის 1 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი იღებს გადაწყვეტილებას 1934 წლის დადგენილების და შესაბამისად საგანგებო სათათბიროების, როგორც ერთ-ერთი სადამსჯელო ორგანოს გაუქმების შესახებ.

1955 წლის 17 სექტემბერს, სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბრძანებით გამოცხადდა ამინისტია იმ საბჭოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებიც თანამშრომლობდნენ ოკუპანტებთან დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამინისტია არ ეხებოდა პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაში. უკვე 1956 წლის სექტემბერში სამხედრო მოსამსახურეთა მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის (თავმჯდომარე გ. ჟუკოვი) დასკვნაში აღნიშნულია, რომ როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგ უხეშად ირღვეოდა კანონი და რეპრესიებს დაექვემდებარა სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა, რომელთაც არაფრით არ შეურცხვენიათ თავი ტყვეობაში ყოფნის დროს. დაევალა პარტიულ, საბჭოთა, და სამეურნეო ორგანოებს გაეუქმებინათ ყველა ის შეზღუდვა, რომელსაც უყენებდნენ ყოფილ სამხედრო ტყვეებს და მათი ოჯახის წევრებს დასაქმებაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვასა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაში. განიხილეს ოფიციალურ დოკუმენტებში მათი ტყვედ ყოფნის მითითების მიზანშეწონილობა. გადაიხედა ტყვეობაში ყოფნის გამო პარტიიდან გარიცხულების პარტიული კუთვნილების საკითხი. სასამართლო საქმეების გადახედვის დროს რეაბილიტაცია უნდა შეხებოდა იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც საომარი მდგომარეობის გამო ჩავარდნენ ტყვედ და შემდეგ გაუმართლებლად გასამართლდნენ იმის გამო, რომ ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროს ასრულებდნენ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს. განიხილეს საკითხი სამთავრობო ორდენებით იმ სამხედროების დაჯილდოების შესახებ, რომლებიც დაიჭრნენ ან გაიქცნენ ტყვეობიდან. 1956 წლის 18 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ყველა საგამოძიებო საქმის, მათ შორის

ისეთებისაც, რომელიც არ ჰქონდა სასამართლოს განხილული და ეხებოდა დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი სამხედროების პასუხისმგებლობას, შეწყვეტის შესახებ (**Реабилитация А 2000:260**).

1955 წლის ნოემბრიდან სპეციალურ კოლონისტებს მოეხსნათ შეზღუდვები, თუმცა დადგენილება აზუსტებდა, რომ იურიდიული, პროფესიული სტატუსის და საცხოვრებლის შეზღუდვების გაუქმებას არ მოჰყვებოდა არც ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, არც იმ ადგილებში დაბრუნების უფლება, საიდანაც სპეციალური კოლონისტები გადაასახლეს. მაგალითად, აფხაზეთიდან გასახლებული ბერძნების 530 ოჯახი თავის წერილში ნიკიტა ხრუშჩოვს ატყობინებდა, რომ საქართველოს მთავრობა უხეშად არღვევდა მათ სამოქალაქო უფლებებს და ჩამორთმეული სახლებისა და მიწის ნაკვეთების ნაცვლად სთავაზობდა ფულად კონპესაციას ან ახლად აშენებულ სახლებში შესახლებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს დაევალა ერთი თვის ვადაში მიეღო ინფორმაცია საქართველოში დაბრუნებული ყველა ბერნული ოჯახისგან მათთვის ჩამორთმეული ქონების რაოდენობის შესახებ და უზრუნველყო მათი დაბრუნება. ასევე, ბერძნების შრომითი მოწყობა კოლმეურნეობებში (**Реабилитация А 2000:275**).

როგორც აღინიშნა სკკპ-ის მეოცე ყრილობაზე ხალხთა მასობრივი გადასახლება არ წარმოადგენდა აუცილებლობას და არც სამხედრო თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი. ეს იყო პიროვნების კულტის მახინჯი გამოვლინება, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მარქსიზმ-ლენინიზმთან და უხეშად არღვევდა პარტიის ეროვნულ პოლიტიკას.

1956 წლის 10 მარტს გაუქმდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარდგინებით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1948 წლის 21 თებერვალს გამოცემული ბრძანება, რომლითაც განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავეები, რომელთაც უკვე ჰქონდათ მოხდილი სასჯელის ვადა, ისევ იგზავნებოდნენ გადასახლებაში. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ჯაშუშები, დივერსანტები, მემარჯვენეები, მენშევიკები, ესერები, ანარქისტები, ნაციონალისტები, ემიგრანტები, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები და ის პირები, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდნენ ანტისაბჭოთა კავშირებითა და მტრული საქმიანობით. იმავე ბრძანების მეორე მუხლის თანახმად, უშიშროების სამინისტრო ვადლებული იყო საგანგებო სათათბიროების გადაწყვეტილებით გადასახლებაში გადაეგზავნა პირველი

მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო დამნაშავეები, რომლებიც გათავისუფლდნენ შრომა-გასწორებითი ბანაკებიდან სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. დადგინდა, რომ ამიერიდან გადასახლებაში გაიგზავნებოდნენ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ გადასახლებაში ამ ბრძანების შესაბამისად, გათავისუფლდნენ.

1956 წლის 12 მარტს ანასტას მიქოიანის წინადადებით გაუქმდა 1934 წლის 1 დეკემბრის კანონი. პირადად სტალინის გადაწყვეტილებით შემოღებული ამ საგანგებო ღონისძიებით, რომელიც პოლიტბიურომ მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაამტკიცა, ტერორისტული საქმეების გამოძიების ვადა 10 დღემდე მცირდებოდა. ეს საქმეები მხარეების დაუსწრებლად უნდა განხილულიყო და სასიკვდილო განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა გამოტანილიყო (**Реабилитация В 2000:20**).

სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიღებული და შემდგომში რეაბილიტირებულთა შრომითი სტაჟის, შრომითი მოწყობის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ პატიმრობაში ან გადასახლებაში გატარებული წლები ჩათვლილიყო საერთო სტაჟად. ეს დრო ითვლებოდა უწყვეტ სამუშაო სტაჟში, თუკი შუალედი რეაბილიტაციის მიღებას, ციხიდან ან გადასახლებიდან გათავისუფლებასა და სამუშაოზე მოწყობას შორის არ აღემატება 6 თვეს. შრომითი სტაჟის გამოთვლის არსებული წესი გამოიყენებოდა პენსიის დანიშვნის და თვიური ანაზღაურების გამოანგარიშების დროს. დაევალა სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებს ამ ადამიანების შრომითი მოწყობა და შრომითი წიგნაკების გაცემა სტაჟის მითითებით. მოქალაქეებისთვის უნდა მიეცათ დაპატიმრებამდე დაკავებული თანამდებობის თუ სამუშაო ადგილისათვის დადგენილი ორი თვის ხელფასი.სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაციის შემთხვევაში ორი თვის ხელფასი გადაეცემოდა მათ ოჯახს. იმისდა მიუხედავად, გათავისუფლების შემდეგ, იმუშავა თუ არა, მაინც უნდა დანიშვნოდათ პენსია თუ ჰქონდათ სამუშაო სტაჟი ან საპენსიო ასაკი. სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაციის შემთხვევაში ოჯახს ენიშნებოდა მარჩენალდაკარგულის პენსია. შრომა-გასწორების ბანაკში მუშაობაც ჩაითვალა საერთო სამუშაო სტაჟში. ეს დადგენილება ვრცელდება იმ მოქალაქეებზეც, რომლებიც რეაბილიტირებულები იყვნენ ამ დადგენილების გამოსვლამდე.

სკკპ-ის ცენტრალურმა კომიტეტმა 1956 წლის 9 მაისს მიიღო დადგენილება

რეაბილიტირებული პირების პარტიაში აღდგენის შესახებ. ამასთან მითითებული არ უნდა ყოფილიყო პარტიული სტაჟის წყვეტა. პარტიის საწევრო გადასახადს გადაიხდიდნენ პარტიაში აღდგენის პერიოდიდან. ამის მიუხედავად დარღვევები აღინიშნებოდა ადრე გასამართლებული და შემდგომ რეაბილიტირებული პირების შრომითი მოწყობაში, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაში, ადრინდელ საცხოვრებელ ადგილას ჩაწერაში, არ ეხმარებოდნენ სამედიცინო მომსახურებაში, პენსიის მიღებასა და სხვა საკითხებში.

1956 წლის 17 სექტემბერს გაუქმდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებზე. ხელისუფლების განცხადებით ეს აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას და შეფასდა, როგორც საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციური უფლების დარღვევა. (**Реабилитация В 2000:187**).

ამასთან ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა საკანონმდებლო ინიციატივების კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებათა პროექტი, რომელიც ზოგიერთი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადმინისტრაციული და დისციპლინარული ზომებით შეცვლას და ცალკეული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ითვალისწინებდა.

3. კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების დაბრუნება. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ფინანსთა სამინისტრო ერთობლივად სწავლობდნენ იმ საკითხს, რომელიც ეხებოდა კონტრრევოლუციურ დანაშაულში მსჯავრდებულ და შემდგომ რეაბილიტირებულთა ქონების დაბრუნებას. შეიქმნა კომისიები, როგორც ცენტრალური ისე ადგილებზე უშიშროების კომიტეტის, პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლების შემადგენლობით.

4. რეპრესიების და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების დაგმობა და დამნაშავეთა დასჯა. ქვეყნის პოლიტიკური განვითარების მიღმა რეაბილიტაციის პროცესის განხილვა შეუძლებელია. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოსულ ხელისუფლებას არც ძველებური მეთოდებით მართვა შეეძლო და ამასთან უნდა გაეხანგრძლივებინა სისტემის არსებობა და არ უნდა დაეშვა კიდევ ერთი პერსონალური დიქტატურის აღმოცენება. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ინიცირებული სამართლებრივი აქტები და ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილე-

ბები, კონკრეტული საქმეების გადახედვას და ახლობელთა რეაბილიტაციას ეხებოდა და ლავრენტი ბერიას ავტორიტეტის და მომავალში მისი ძალაუფლების გაზრდას უწყობდა ხელს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა მმართველი ელიტის სხვა წევრებისთვის. თავდაპირველად ლ. ბერიასადმი ნდობის გამოცხადება უფრო დროის მოგებას ჰგავს სტალინის სხვა მემკვიდრეების მხრიდან, რადგან შემდგომ უარყოფითად შეფასდა ლ. ბერიას ყველა ინიციატივა. ძალოვან სტრუქტურებსა და სასამართლო ორგანოებში არსებული განუკითხაობა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები გადაბრალდა ლ. ბერიას და ვ. აბაკუმოვს.

ლავრენტი ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ ისევ ხელისუფლებისათვის ბრძოლას ვხედავთ ამჯერად ნიკიტა ხრუშჩოვის მხრიდან, მიუხედავად მის მიერ გამოცხადებული კოლექტიური მმართველობის უპირატესობისა. ლავრენტი ბერიას სურდა ძალაუფლების მოპოვება, კომპრომატების შეგროვება პრეზიდიუმის სხვა წევრებზე. ასევე მოქმედებს ნ. ხრუშჩოვი, რომელსაც რეაბილიტაციის პროცესი საკუთარი მდგომარეობის გასამტკიცებლად და სხვებზე პოლიტიკური დარტყმის მისაყენებლად სჭირდებოდა. არაერთი დადგენილება, სამართლებლივი აქტი თუ სასამართლო პროცესები,ლავრენტი ბერიას, როგორც მთავარი დამნაშავის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ნიკიტა ხრუშჩოვი ემზადებოდა სტალინზე შეტევისთვის. დაუსაბუთებელი ბრალდებების, ფალსიფიცირებული საქმეების, ფიზიკური ზემოქმედების დაგმობა, რაზეც ასე ხშირად საუბრობდნენ მმართველი წრის წარმომადგენლები, არ ითვალისწინებდა მათ პირად პასუხისმგებლობას.

1955 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა სკკპ-ის XVII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ-ის წევრებისა და წევრობის კანდიდატების მასობრივი რეპრესიების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის საკითხი. კომისიას ხელმძღვანელობდა პეტრე პოსპელოვი. 1956 წლის 9თებერვალს კომისიამ სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს წარუდგინა თავისი მუშაობის ანგარიში, რომლის თანახმადაც, 1935-1940 წლებში საბჭოთა კავშირში იყო მასობრივი დაპატიმრებები. ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დააპატიმრეს 1980635 და აქედან დახვრიტეს 688503 ადამიანი. დაპატიმრებების რაოდენობა გაიზარდა 1937-1938 წლებში. შინსახკომის ორგანოები,

რომლებსაც იოსებ სტალინი პარტიის შეიარაღებულ რაზმს უწოდებდა, სინამდვილეში მოქმედებდა იმავე პარტიის წინააღმდეგ.კომისიამ ორ გარემოებას მიაქცია ყურადღება, რომლებმაც საბედისწერო როლო ითამაშეს და განსაზღვრეს მასობრივი რეპრესიების მასშტაბებიც. პირველი: მრავალი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრებისა და დახვრეტის საფუძველი გახდა სტალინის 1934 წლის 1 დეკემბრის ბრძანება, რომლითაც საგამოძიებო საქმეები დაჩქარებული წესით უნდა განხილულიყო და კრძალავდა საკასაციო გასაჩივრებას და თხოვნას შეწყალების თაობაზე. მეორე: ფართო რეპრესიები დაიწყო 1936 წლის ბოლოს, იოსებ სტალინის და ანდრეი ჟდანოვის დეპეშით, რომელიც 1936 წლის 25 სექტემბერს სოჭიდან გაიგზავნა ლაზარ კაგანოვიჩის, ვიაჩესლავ მოლოტოვისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების მისამართით. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ ტროცკისტურ-ზინოვიევური ბლოკის გამოაშკარავების გზაზე დააგვიანა 4 წლით.

კომისიის ანგარიშიდან გამომდინარე ადგილი ჰქონდა საგამოძიებო პროცესში კანონიერების უხეშ დარღვევებს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიული მუშაკები ნებისმიერი საშუალებით ცდილობდნენ გაემართლებინათ უკანონო დაპატიმრებები და შეექმნათ წარმოდგენა ანტისაბჭოთა ფორმირებების არსებობის შესახებ. გამოძიების გამარტივებული მეთოდები გამორიცხავდა მოპოვებული ჩვენებების რაიმე სახით გადამოწმებას. ეს არც იყო საჭირო, რადგან სამეულები ყოველგვარი მასალის გარეშეც ასამართლებდნენ.

ბევრ ადგილებში ხელმძღვანელები წინასწარ ადგენდნენ ამა თუ იმ გამომძიებელს დღეში რამდენი აღიარება უნდა მოეპოვებინა დაპატიმრებულებისგან და ანტისაბჭოთა ფორმირების წევრი რამდენი ადამიანის გვარი უნდა დაფიქსირებული ოქმში. როგორც წესი, დაკითხვის ოქმების შედგენას არ ესწრებოდნენ თავად ბრალდებულები. ისინი თავის აღიარებებს ეცნობოდნენ ოქმზე ხელის მოწერის დროს. უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები მიმართავდნენ პირდაპირ პროვოკაციას იმისათვის, რომ მოეპოვებინათ რაც შეიძლება ბევრი აღიარებითი ჩვენება. დაპატიმრებულებს პირდებოდნენ აღიარების შემდეგ გათავისუფლებას და ამასთან ეუბნებოდნენ, რომ მათი ჩვენებები სჭირდებოდა პარტიას და ხელისუფლებას.

მასობრივი რეპრესიული ოპერაციების დროს გაიზარდა დაპატიმრებულთა რაოდენობა. უშიშროების ზოგიერთ, განსაკუთრებით საქალაქო და რაიონულ

აპარატებში, მარტო ოპერატიულ მუშაკებს არ შეეძლოთ დაპატიმრებულთა მხოლოდ ანკეტების შევსებაც. მაშინ მათ ეხმარებოდნენ სხვა დაწესებულების თანამშრომლები. ისინი მონაწილეობდნენ უკანონო დაპატიმრებებში, ყარაულობდნენ ბრალდებულებს, ზოგჯერ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ მათ. იყო შემთხვევები როცა ზოგიერთი მუშაკი აპროტესტებდა უკანონო ქმედებებს, მაშინ ისინი ხვდებოდნენ ციხეში. ნ. ეჟოვმა სასამართლოზე განაცხადა, რომ დააპატიმრა 14000 ჩეკისტი.

დაპატიმრებები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ხდებოდა პროკურორის სანქციის გარეშე. პროკურორების მონაწილეობა გამოიხატებოდა მხოლოდ ბეჭდის დასმით საგამოძიებო მასალებზე, საბრალდებულო დასკვნასა და სასამართლოში საქმის გაგზავნაში.

1937-1938 წლებში დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დაამათავრებდა რა საქმის გამოძიებას და უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გადაუგზავნიდა, წინასწარ განსაზღვრავდა ბრალდებულის სასჯელის ზომას. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ადგენდნენ სიებს იმ პირებისას, რომელთა საქმე უნდა განეხილა სამხედრო კოლეგიას. სიებში მითითებული იყო გვარი და სასჯელის ზომა. სამხედრო კოლეგია ფაქტობრივად სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობდა და მისი სასამართლო სხდომა 15-20 წუთი გრძელდებოდა (**Реабилитация В 2000:308-357**).

პრეზიდიუმში, რომლისთვისაც პეტრე პოსპელოვს უნდა წარედგინა კომისიის დასკვნები 1956 წელს, შედიოდნენ ვ. მოლოტოვი, ლ. კაგანოვიჩი, კ. ვოროშილოვი, ა. მიქოიანი. ესე იგი ადამიანები, რომლებიც 1937 წელს იყვნენ პოლიტბიუროს წევრები (ხრუშჩოვი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი 1938 წლის 14 იანვარს გახდა). სწორედ მათ იცოდნენ ყველაზე კარგად იმ დროის რეპრესიების მასშტაბები და მიზეზები, რადგან თავად იყვნენ ამ რეპრესიათა ორგანიზატორები.პოსპელოვის კომისიის მოხსენება ამოსავალ წერტილად იქცა 1956 წლის შემდეგ სტალინის დადანაშაულებაში. სწორედ აქედან იღებდნენ ციფრებს რეპრესირებულთა თაობაზე. 18 თებერვლისთვის უკვე მზად იყო ხრუშჩოვის ანგარიშის პროექტი „პიროვნების კულტის შესახებ“. ყველა ფაქტზე დაყრდნობით საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ მთავარი პასუხისმგებლობა 1937-1938 წლების მასობრივ, დაუსაბუთებელ რეპრესიებზე ეკისრებოდა იოსებ სტალინს, რომ აუცილებელი

იყო პიროვნების კულტის დაგმობა, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში სოციალისტური კანონმდებლობის დარღვევების გამოსწორება და უდანაშაულო ადამიანების სრული რეაბილიტაცია. იოსებ სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრები თითქოსდა არ ფლობდნენ ინფორმაციას რეპრესიების ნამდვილი მიზნების, მასშტაბების, მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ და მხოლოდ პ. პოსპელოვის კომისიის დასკვნით აეხილათ თვალი. ასეთი პოზიცია საშუალებას აძლევდათ ერთის მხრივ გაეგრძელებინათ რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი და მეორეს მხრივ არ დაეყენებინათ საკითხი საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ.

ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენების განხილვამ სათავე დაუდო სტალინიზმის ფართო და საჯარო კრიტიკას. ეს კრიტიკა ყოველთვის არ ჯდებოდა ჩარჩოებში. ზოგიერთები კმაყოფილდებოდნენ სტალინის პირადი პასუხისმგებლობის განსაზღვრებით, იმეორებდნენ მითითებულ დირექტივებს და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბელადის ძეგლების აღების, მისი ცხედრის მავზოლეუმიდან გამოტანის და ქალაქებისა და ქუჩებისთვის მისი სახელის გადარქმევის მოთხოვნით. მაგრამ პარტიული სხდომების სტენოგრამები, სადაც განიხილებოდა ხრუშჩოვის მოხსენება, „საჭირო ადგილებში“ აპლოდისმენტების გარდა, სულ უფრო ხშირად აფიქსირებდნენ რიგითი კომუნისტების სურვილს გარკვეულიყვნენ მასობრივი ტერორის მიზეზებში, დაედგინათ სტალინის თანაგუნდელთა პერსონალური პასუხისმგებლობა და დანაშაულის ხარისხი. პოლიტიკურად მოუმწიფებელი და გაუმართლებელი – ასეთი შეფასება მისცა ხელისუფლებამ კრიტიკულ შენიშვნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებასთან დაკავშირებით. სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო აკრძალვითი ხასიათის დოკუმენტები. ეს იყო დადგენილება „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი პარტიული ორგანოებისა და პირველადი ორგანიზაციებისთვის (**Реабилитация В 2000:45-48**).

რეპრესიების მასალების შესწავლის მიზნით შექმნილმა კიდევ ერთმა კომისიამ ნიკოლაი შვერნიკის თავმჯდომარეობით, თავის ანგარიშში ცალკე თავები დაუთმო ფიზიკური ზემოქმედებას, როგორც ყალბი ჩვენებების მიღების ძირითად მეთოდს,

რეპრესიებს ე.წ. სიების მიხედვით, რეპრესირებულთა ლიმიტებს, სამხედრო კადრების წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიებს, ნაციონალური და სხვა ნიშნით გატარებულ რეპრესიებს, ომისწინა და ომის შემდგომ რეპრესიებს, მსაჯავრდებულთა ოჯახის წევრების წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიებს. ანგარიშში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის რეპრესიების მასშტაბებზე. იოსებ სტალინის გარდა მთავარ დამნაშავეებად ჩაითვალნენ ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ნ. ეჟოვი, ლ. კაგანოვიჩი,ლ. ბერია, გ. მალენკოვი, ვ. აბაკუმოვი.

შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეაბილიტაციის პროცესი იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი და ატარებდა არათანმიმდევრულ, შეზღუდულ ხასიათს. მართალია, XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად დაგმო 30-იანი წლების რეპრესიები, თუმცა მხილებული იქნა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც იმ პერიოდში აძლევდა ხელს ხელისუფლებას. მმართველი ელიტა ერთის მხრივ ებრძოდა უკანონობას და მეორეს მხრივ ცდილობდა ტოტალიტარიზმზე დაფუძნებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური სისტემის და საკანონმდებლო ბაზის შენარჩუნებას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

I. წყაროები

ა. საარქივო დოკუმენტები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 12.06.1954, საქმე №1, ფურცლები 3-18.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 19.06.1954, საქმე №2, ფურცლები 20-38.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 29.06.1954, საქმე №3, ფურცლები 40-73.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ფონდი 8, აღწერა 03.07.1954, საქმე №4, ფურცლები 6-30.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 20.07.1954, საქმე №5, ფურცლები 35-87.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ფონდი 8, აღწერა 24.07.195, საქმე №6, ფურცლები 88-120.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ფონდი 8, აღწერა 04.08.1954, საქმე №7, ფურცლები 1-36.
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ფონდი 8, აღწერა 18.08.1954, საქმე №8, ფურცლები 37-86.
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ფონდი 8, აღწერა 28.08 1954, საქმე №9, ფურცლები 87-122.
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 21.01.1955, საქმე №18, ფურცლები 2-83.
11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი №8 აღწერა 26.01. 1955, საქმე №19, ფურცლები 86-131.
12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8 აღწერა 19.02.1955, საქმე №20, ფურცლები 2-88.
13. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 04.03.1955, საქმე №21, ფურცლები 93-141.

14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 18.03.1955, საქმე №22, ფურცლები 3-55.
15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 14.04.1955, საქმე №23, ფურცლები 3-56.
16. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 25.04.1955, საქმე №24, ფურცლები 4-29.
17. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 12.05. 1955, საქმე №25, ფურცლები 4-31.
18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 30.05.1955, საქმე 26, ფურცლები 3-32.
19. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 17.06.1955, საქმე №27, ფურცლები 3-36.
20. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I) ,ფონდი 8, აღწერა 11.07-1955, საქმე №28, ფურცლები 1-3.
21. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 30-07 1955, საქმე №29, ფურცლები 1-3.
22. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 19.08 1955, საქმე №30, ფურცლები 4-27.
23. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 8, აღწერა 30.09.1955, საქმე №31, ფურცლები 3-11.
24. ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: II ტომი. დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში. შემდგენელები იუნგე. მ. თუშურაშვილი. ო. ბონვეჩი. ბ. თბილისი, 2015.
25. Лаврентий Берия 1953. Документы. Международный фонд „демократия“. Москва, 1999.
26. Реабилитация: как это было А. Документы Президиума ЦК КПСС и другие материалы. Март 1953 – февраль 1956. Москва, 2000.
27. Реабилитация:как это было В. Документы Президиума ЦК КПСС и другие материалы. февраль 1956 начало 80-х годов. Москва, 2000.

ბ. მემუარები

28. **კახაძე ნ. მჟავანაძე ნ.** ვასილ მჟავანაძე: ასეთი იყო ჩემი საქართველო. თბილისი, 2000.
29. **კოტეტიშვილი ვ.** ჩემი წუთისოფელი. თბილისი, 2005.
30. **ღოღობერიძე ლ.** რაც მაგონდება და როგორც მაგონდება. თბილისი, 2019.
31. **ჩილაჩავა რ.** ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს. თბილისი, 2012.
32. **ენვერ ხოჯა.** ხრუშჩოველები. http://www.enverhoxha.ru/Archive_of_books/Georgian/enver_hoxha_the_khrushchevites_georgian_2011.pdf
33. **ჯავახიშვილი ქ.** მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. თბილისი, 1991.
34. **Аджубей А.** Хамелеон. Сборник Берия:конец карьеры. Москва, 1991.
35. **Хрущёв Н.С.** Акция. Сборник Берия:конец карьеры. Москва, 1991.
36. **Хрущёв Н.С.** Лаврентий. Сборник Берия:конец карьеры. Москва, 1991.

II სამეცნიერო ლიტერატურა

37. **კვერენჩხილაძე რ.** საბუთები ღაღადებენ. თბილისი, 2007.
38. **კიკნაძე ვ.** წამებული რაინდები (თეატრი სუკის არქივებში). თბილისი, 1992.
39. **კრემლიოვი ს.** ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი. ტ. IV. თბილისი, 2012.
40. **სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბერტოსეკი, ჟან ლუი მარგოლენი.** კომუნიზმის შავი წიგნი: დანაშაული, ტერორი, რეპრესია. თბილისი, 2011.
41. **მონტეფიორე საიმონ სებაგ.** სტალინი: წითელი კარის მეფე. თბილისი, 2004
42. ტერორის ტოპოგრაფია: საბჭოთა თბილისი. თბილისი, 2011.
43. **ყიფშიძე ნ.** პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაცია. საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია. ტ. II. თბილისი, 2015.
44. **Максимович А.** Досье на Берию. Сборник Берия: конец карьеры. Москва, 1991.
45. **Мухин Ю.** Убийцы Сталина. Главная тайна XX века. Москва «Яуза-пресс», 2007.
46. **Попов Б.С., Оплоков В.Т.** Бериевщина. Сборник Берия: конец карьеры. Москва, 1991.
47. **Симонов К.** Страшный человек. Бериевщина. Сборник Берия: конец карьеры. Москва, 1991.
48. **Смирнов Н. Г.** Рапава, Багиров и другие «Антисталинские процессы 1950-х годов»

Москва, 2014. https://royallib.com/book/smirnov_nikolay/rapava_bagirov_i_drugie_antistalinskie_protsessi_1950h_gg.html

49. **Antonov-Ovseenko A.** The Time of Stalin. Portrait of a Tyranny. New York, 1981.
50. **Goudoever V.** The Limits of Destalinisation in the Soviet Union since Stalin. London, 1989.
51. **Levitsky B.**The Stalinist Terror in the Thirties. Dokumentation from the Soviet Press. Stanford, Cal.1974.
52. **Medvedev R**. **Medvedev Zh.** Khrushchev.The Years in Power. New York, 1976
53. **Shapiro J.** Rehabilitation Policy and Politikal Conflicts in the Soviet Union 1953-1964.New York, 1967

III პერიოდიკა

54. პარტიის ხმა, ხალხის ხმა – გაზეთი „კომუნისტი“. №163, 1953.
55. მშრომელთა ხალხმრავალ კრებებზე – გაზეთი „კომუნისტი“. №166, 1953.
56. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა – გაზეთი „კომუნისტი“. №167, 1953.
57. საბჭოთა ხალხი სამარცხვინო ბოძზე აკრავს სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს – გაზეთი „კომუნისტი“. №299, 1953.
58. ჩვენი ხალხის ნება – გაზეთი „კომუნისტი“ №303, 1953.
59. **ბარბაქაძე მ.** შინსახკომის ჯალათები. ჟურნალი „საარქივო მოამბე“. №16, 2016.
60. **კლდიაშვილი გ. ავალიშვილი ლ.** სანდრო ახმეტელის საქმე. ჟურნალი „საარქივო მოამბე“. №1, 2008.
61. **მჟავანაძე ვ.** საქართველოს მწერლობის მორიგი ამოცანები. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. №3, 1954.
62. სანდრო ახმეტელი. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. №5, 1956.

IV ენციკლოპედია

63. **თეზელიშვილი ს.** იურიდიული ენციკლოპედია. თბილისი, 2008.

V ინტერნეტ-რესურსი

64. სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონული მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში – HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS. - 2013. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=696

დანართი 1

მონაცემთა წყარო: სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონული მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში – HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS. - 2013. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=696

გვარი სახელი მამის სახელი	სასჯელის ზომა	რეაბილიტაცია	შენიშვნა
აბაშიძე მემედბეგ იბრაგიმის ძე	დახრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 22.02-1958 წლის განჩინებით №4н-012586 საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	ნათესავებს ეცნობათ რომ გარდაიცვალა 16.03. 1941
ავალიშვილი გრიგოლ ლუარსაბის ძე	დახვრეტა	ამიერკავკასიის სმხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის № 1172/н 08/06-1956 წლის გადაწყვეტილებით სამეულის განაჩენი გაუქმნდეს და საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	ნათესავებს განუცხადეს რომ გარდაიცვალა 14/07-1941 წელს გულის ინფარქტით. სიკვდილი დარეგისტრირებულია ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის მმაჩის ბიუროში.
ალექსანიანი იაკობ მკირტიჩის ძე	დახვრეტა	ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 13/02-1956 წლის გადაწყვეტილება.	გამოცხადდა, რომ გარდაიცვალა 05/10-1946 წ. ღვიძლის ანთებით. გარდაცვალება რეგისტრირებულია ქ. თბილისის სტალინის რ-ნის მმაჩის ბიუროში 11/12-1956 წ., აქტი №211.
ანთიძე ვასილ კაპიტონის ძე	დახვრეტა	რეაბილიტირებულია სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წ. განჩინებით ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.	ნათესავებს განუცხადეს, რომ გარდაიცვალა 1956 წლის 15 აპრილს სსრკ შინსახკომის შრომა-გასწორების ბანაკში ფილტვების ანთებით.
არძინბა კიამინ მიხეილის ძე	დახვრეტა	აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 27/03-1956 წ. დადგენილებით საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გამოცხადებულია გარდაცვლილად 02/02-1943 წ ფილტვების კრუპოზული ანთებით. სიკვდილი რეგისტრირებულია ქ. სოხუმის მმაჩის ბიუროში 02/10-1956 წ.
აღაზადე ფერიდ ხასანის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს 12/04-1959 წლის განჩინებით საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გამოცხადებულია გარდაცვლილად 11.11-1942 წ. თირკმლების ანთებით. სიკვდილი რეგისტრირებულია ზუგდიდის რაიონის მმაჩის ბიუროში 25/12- 1959 წ. აქტი №31.
ახალაია იასონ ლუკას ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 23/07-1959 წ. განჩინებით 04/10-1937 წ. განაჩენი გაუქმებულია და საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	კ. ახალაიას განუცხადეს, რომ მისი მამა გარდაიცვალა 04/10-1937 წ. (აცნობა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ).
ბერიტაშვილი ევსეი სოლომონის ძე	დახვრეტა	სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 23/07-1957 წლის გადაწყვეტილება	ძმას განუცხადეს, რომ ე. ს. ბერიტაშვილი გარდაიცვალა 05/12-1938 წელს.

გვარი სახელი მამის სახელი	სასჯელის ზომა	რეაბილიტაცია	შენიშვნა
დავიდოვი ნიკოლოზ დავითის ძე	დახვრეტა	აღრიცხვიდან მოხსნილია სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 18/03-1954წ. № 4н-025100/54 განჩინებით დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	პირის გარდაცვალება რეგისტრირებულია 1967 წლის ნოემბერში თბილისის 26 კომისრის რ-ნის მმაჩის ბიუროში.
დიტრიხი იოსებ ალფონსის ძე	დახვრეტა	არ არის მითითებული	არსებობს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის იუსტიციის პოლკოვნიკის, ვ. ბორისოგლებსკის 1956 წლის 18-20 თებერვლის მითითება სსრკ შსს მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსის, სსრკ შსს 1-ლი სპეც განყ-ის და მთავარი სამხედრო პროკურორის სახელზე, მიეცეს მმაჩის შესაბამის განყოფილებას მითითება, რომ გენრიხ ალფონსის ძე დიტრიხს მიეცეს მისი ძმის, იოსებ ალფონსის ძე დიტრიხის სიკვდილის ცნობა, სიტყვასიტყვით შემდეგი: „გაცნობებთ, რომ ი. ა. დიტრიხი, დაბ. 1904 წელს, გასამართლებულ იქნა 1937 წლის 14 სექტემბერს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ. გარდაიცვალა სასჯელის მოხდის პერიოდში, 1939 წლის 9 მაისს.“
გოზალოვი ივანე ივანეს ძე	დახვრეტა	არ არის მითითებული	გამოცხადდა, რომ მიესაჯა 10 წელი და გარდაიცვალა 17.01-1942 წ. ათეროსკლეროზით. სიკვდილი რეგისტრირებულია ქ. თბილისის სტალინის რაიონის მმაჩის ბიუროში 29/04-1957 წ. აქტი N109.
ესენი ალექსი ანტონის ძე	დახვრეტა	არ არის მითითებული	ნათესავებს გამოუცხადეს, რომ მიესაჯა 10 წლით თ/ა და გარდაიცვალა 25/01-1942წ. გულის სკლეროზით. გარდაცვალება რეგისტრირებულია ქ. თბილისის სტალინის რ-ნის მმაჩის ბიუროში
თოფურია არისტარქე დიმიტრის ძე	დახვრეტა	სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს გამსვლელი კომისიის 23.11-1955 წლის განჩინებით 02.10-1937 წლის განაჩენი გაუქმდეს, №4н-013473/55 საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გამოცხადდა გარდაცვლილად 10.11-1940 წ.
კუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე	დახვრეტა	არ არის მითითებული	განაცხადეს, რომ გარდაიცვალა 10/07/1937 წელს. გარდაცვალება დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის რეგისტრაციაში.
ლასკარი გრიგოლ ემანუელის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 17/11-1956	გამოცხადდა რომ გარდაიცვალა 17/06-1937 წ. სასჯელის მოხდისას.

გვარი სახელი მამის სახელი	სასჯელის ზომა	რეაბილიტაცია	შენიშვნა
მადანსკი ჟან ივანეს ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 17/11-1956 წ.	ნათესავებს აუწყეს/აცნობეს/ განუცხდეს, რომ გარდაიცვალა 26/05-1940 წ. (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შეტყობინება).
მავლიუტოვი ხუსეინ ბოგაუტდინის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 01/06-1957 წ.	1946 წ. ნათესავებს განუცხადეს, რომ გარდაიცვალა 02/06-1945 წ. ფილტვების ანთებით.
მებუკე სიმონ ვალერიანის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 28.04-1956 წლის განჩინებით №4н-02375/56 საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გარდაიცვალა 22.12-1938 წ. (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 10.12-56 წლის შეტყობინება).
ნუცუბიძე ტიტე გიორგის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 20.05 -1958 წლის განჩინებით №4н -2314/58 საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გამოცხადებულია გარდაცვლილად ყელის კიბოთი 14.09-1943 წ. (პოლტავის ოლქის შინსახკომის რაიგანყ-ის სამმართველოს შეტყობინება).
ნებიერიძე კონსტანტინე პორფირეს ძე	დახვრეტა	ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრუბუნალის 11/05-1956 წლის განჩინებით სამეულის გადაწყვეტილება გაუქმებულია, საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	ნათესავებს აცნობეს, რომ გარდაიცვალა 11/09-1944 წელს კუჭ-ნაწლავის დაავადებისგან. სიკვდილი რეგისტრირებულია 03/02-1959 წელს ქ. თბილისის კალინინის რაიონის მმაჩის ბიუროში.
პაიჭაძე კალენიკე ამბაკოს ძე	დახვრეტა	სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 12.04-1958 წლის განჩინებით 12.09-1937 წლის განაჩენი გაუქმებულია და საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	გამოცხადებულია გარდაცვლილად 12.12-1942 წ.
ურიდია ალექსანდრე სერგის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 18.07-1957 წლის განჩინებით №4н-025910/56 საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	ნათესავებს ეცნობათ, რომ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და გარდაიცვალა 15.04-1943 წელს თირკმლების ანთებით.
შენგელია ვარლამ ნიკოლოზის ძე	დახვრეტა	არ არის ინფორმაცია	ნათესავებს აცნობეს, რომ გარდაიცვალა 06/11-1942 წელს ღვიძლის ანთებით. სიკვდილი რეგისტრირებულია სამტრედიის რაიონის მმაჩის ბიუროში 25/11-1958 წელს.
ჩარკვიანი ალექსანდრე იასონის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 08.03-1958 წ. განჩინებით 19.09-1937 წ. ბრალდება გაუქმდეს და საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	მხ. ვ. ნ. ჩარკვიანს აცნობეს, რომ მისი ვაჟი გარდაიცვალა სასჯელის მოხდისას 11.02-1939 წ. (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 21.06-1957 წ. შეტყობინება, 146622/57).

გვარი სახელი მამის სახელი	სასჯელის ზომა	რეაბილიტაცია	შენიშვნა
ცაბაძე ვლადიმერ სოლომონის ძედ	დახვრეტა	სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 15/12-1956 წლის გადაწყვეტილებით, 26/06-1937 განაჩენი შეიცვალოს. საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	მოქალაქე ტ. ცაბაძეს განუცხადეს, რომ მამამისი გარდაიცვალა სასჯელის მოხდის დროს, 01/10/1940 წელს.
ცხოიძე პარმენ გიორგის ძე	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 14.12-1957 წლის განჩინებით 17.09-1937 წლის განაჩენი გაუქმდეს და საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	მხ. ტ. ტ. ცხოიძეს აცნობეს, რომ მისი მამა გარდაიცვალა 17.09-1937 წელს (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შეტყობინება 63687/58, ხელმოწერილი 22.03-1958 წ.).
ძიუბა სერგო ივანეს ძე	დახვრეტა	ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის №194/4 განჩინებით სამეულის გადაწყვეტილება გაუქმებულია და საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	ნათესავებს განუცხადეს, რომ მისჯილი ჰქონდა 10 წელი შრომა-გასწორებით კოლონიაში და პატიმრობაში გარდაიცვალა 20/01-1942 წელს ფილტვების ანთებით. სიკვდილი რეგისტრირებულია ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მმაჩის ბიუროში.
ხომასურიძე გიორგი ლავრენტის ძე	დახვრეტა	ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით სამეულის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო	ნათესავებს აცნობეს, რომ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და გარდაიცვალა ფილტვის ტუბერკულოზით 04.04-1937 წელს, გადასახლებაში ყოფნისას.
ხუნწარია ილია ალექსის ძე დ	დახვრეტა	სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 23.07-1957 წ. განჩინებით 29.09-1937 წ. ბრალდება გაუქმდეს და საქმე შეწყდეს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.	მხ. მ. ზ. ხასიას ეცნობა, რომ მისი ქმარი გარდაიცვალა სასჯელის მოხდისას 17.11-1938 წ. (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შეტყობინება 172287/57, ხელმოწერილი 09.08-1957 წ.).
ხუჭუა ბაგრატ ბესარიონის ძე	დახვრეტა	საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს 31/12-1958 წლის №1629 განჩინებით საქმე შეწყვეტილია ბრალდების დაუსაბუთებლობის გამო.	ნათესავებს აცნობეს, რომ გარდაიცვალა 06/11-1942 წელს ფილტვების ანთებით. სიკვდილი რეგისტრირებულია სამტრედიის რაიონის მმაჩის ბიუროში.

დანართი 2. კონტრრევოლუციურ დანაშაულისთვის გასამართლებული პირების საქმეების გადახედვის რესპუბლიკური კომისიის მუშაობა

სხდომა №1 12.06.1954

ცხრილი №1

ბრალდება	საერთო რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
ანტისაბჭოთა აგიტაცია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა	12	8	3	1

შენიშვნა: 1 საქმის (№2033) განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

სხდომა №2 19.06.1954

ცხრილი №2

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	4		2	2
ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა	11	6	4	1
სულ	15	6	6	3

სხდომა № 3 29.06.1954

ცხრილი №3

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	16		6	10
ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა	14	6	5	3
დეზერტირობა	1			1
სულ	31	6	11	14

სხდომა № 4 03.07 1954

ცხრილი №4

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	5		2	3
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	16	10	5	1
სულ	21	10	7	4

შენიშვნა: 2 საქმე მოიხსნა განხილვიდან შემდგომი შესწავლის მიზნით.

სხდომა № 5 20.07.1954

ცხრილი №5

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	21		5	16
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	25	9	6	10
სულ	46	9	11	26

შენიშვნა: 4 ბრალდებულის საქმე გადაიდო, შემდგომი შესწავლის მიზნით.

სხდომა № 6 24.07.1954

ცხრილი №6

ბრალდების სახე	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა	17		2	15
ანტისაბჭოთა აგიტაცია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა	16	5	11	
შპიონაჟი	1		1	
სულ	34	5	14	15

შენიშვნა: ერთი საქმე მოიხსნა განხილვიდან შემდგომი გადამოწმების მიზნით.

სხდომა №7 04.08.1954

ცხრილი №7

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	20		2	18
ანტისაბჭოთა პროპაგანდა და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა	10		10	
საზღვრის გადაკვეთის მცდელობა	6		6	
მავნებლობა	2		2	
შპიონაჟი	1			1
სულ	39		20	19

სხდომა №8 18.08.1954

ცხრილი №8

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	36		6	30
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	37	3	27	7
სულ	73	3	33	37

სხდომა №9 28.08.1954

ცხრილი №9

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	45		8	37
ანტისაბჭოთა აგიტაცია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა	15	1	12	2
დივერსია	1		1	
სულ	61	1	21	39

სხდომა №18 21.01.1955

ცხრილი №18

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	89		14	75
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	33	1	8	24
სულ	122	1	22	99

სხდომა № 19 26.01.1955

ცხრილი №19

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	62		18	44
შპიონაჟი და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	20		12	8
სულ	82		30	52

სხდომა №20 19.02.1955

ცხრილი №20

ბრალდების სახე	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	102		49	53
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	21			21
სულ	123		49	74

სხდომა №21 04.03.1955

ცხრილი №21

ბრალდება სახე	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა	51		20	31
ანტისაბჭოთა აგიტაცია და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა	40		38	2
საზღვრის გადაკვეთის მცდელობა	2	1		1
სულ	93	1	58	34

სხდომა №22 18.03.1955

ცხრილი №22

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	65	1	12	52
ანტისაბჭოთა აგიტაცია და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა	21	1	17	3
შპიონაჟი და ჯაშუშობა	1		1	
ტერაქტის მოწყობის მცდელობა	5		5	
მკვლელობა	1		1	
სულ	93	2	36	55

სხდომა №23 14.04.1955

ცხრილი №23

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	85		7	78
ანტისაბჭოთა აგიტაცია და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა	16	2	5	9
ჯაშუშობა და შპიონაჟი	2		2	
საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება	3		3	
ტერორისტული აქტის მოწყობა	5		5	
სულ	111	2	22	87

სხდომა № 24 25.04.1955

ცხრილი №24

ბრალდება სახე	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	39		13	26
ანტისაბჭოთა აგიტაცია და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა	13		8	5
კრიმინალური დაჯგუფების წევრობა	6		6	
საზღვრის გადაკვეთის მცდელობა	1	1		
სულ	59	1	27	31

სხდომა №25 12.05.1955

ცხრილი №25

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	21		5	16
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაულები	20		15	5
სულ	41		20	21

სხდომა № 26 30.05.1955

ცხრილი №26

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	29		17	12
ანტისაბჭოთა აგიტაცია და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა	22		13	9
საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება	1			1
სულ	52		30	22

სხდომა №27 17.06.1955

ცხრილი №27

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა	32	1	12	19
ანტისაბჭოთა აგიტაცია და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა	14	1	5	8
უცხო ქვეყნის დაზვერვასთან თანამშრომლობა	9		8	1
სულ	55	2	25	28

სხდომა №28 11.07.1955

ცხრილი 28

ბრალდების სახე	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	58		19	39

სხდომა №29 30.07 1955

ცხრილი №29

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლო ბა და სამსახური	59		28	31

სხდომა №30 18.09.1955

ცხრილი №29

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	27		8	19
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაული	2		1	1
სულ	29		9	20

ცხრილი №31

ბრალდება	რაოდენობა	განაჩენის გაუქმების გადაწყვეტილება	განაჩენის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება	განაჩენის შეცვლა, გადაკვალიფიცირება
გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა და სამსახური	3		1	2
ანტისაბჭოთა აგიტაცია და სხვა კონტრრევოლუციური დანაშაულ	1			1
უცხოურ დაზვერვასთან თანამშრომლობა	28		28	
მკვლელობა	2		2	
სულ	34		31	3